ალექსანდრე დაუშვილი

სოსო ჯუგაშვილის ამბავი

წიგნი პირველი

ს ო ს ე ლ ო

თბილისი
2000

УДК 947.922
დ 243

ახლადგამოვლენილი საარქივო მასალისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე ნაშრომში წარმოჩენილია ი. ბ. სტალინის ბავშვობისა და ყრმობის საინტერესო ისტორია, ნაჩვენებია მისი პიროვნების ფორმირების პროცესი.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორი ისტ. მეც. დოქტორი მ. სამსონაძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ხარბედია

ისტ. მეცნ. კანდიდატი ლ. ნანიკაშვილი

წიგნი გამოსაცემად მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში "მემატიანე".

გამომცემლობის მთავარი რედაქტორი თ. ჭყონია

კომპიუტერული უზრუნველყოფა მ. ბუტიკაშვილის

დ —37—
2000

ხორციელდებოდა დიადი სამართლიანობის პრინციპები და ზეცის ქვეშ ყველაფერი საერთო იყო. ირჩევდნენ ბრძენთა და ნიჭიერთ, იქცეოდნენ კეთილსინდისიერად და მხარს უჭერდნენ თანხმობას და მშვიდობას. ადამიანები ნათესაურად ექცეოდნენ არა მარტო თავის ნათესავებს, მაშაშვილურად - არა მარტო საკუთარ შვილებს. ამიტომა ჰქონდათ მოხუცებს თავშესაფარი. მცირეწლოვანთ დიდი ამაგით ზრდიდნენ, უვლიდნენ ყველას - ქვრივ მამაკაცებს და ქალებს, ობლებს, უშვილო მოხუცებს, უძლურებს... პროდუქტების დაყრა ადგილზე არ შეიძლებოდა, მაგრამ არ არსებობდა მათი საკუთარ სახლში შენახვის აუცილებლობაც. ისინი შრომისათვის თავის არიდებას სამარცხვინოდ თვლიდნენ, მაგრამ შრომობდნენ არა საკუთარი თავისათვის. აი, რატომ არ ხორციელდებოდა ბოროტი ზრახვები. არ არსებობდა მოტყუება. არ იყო ქურდობა და ყაჩაღობა. ამიტომ არ კეტავდნენ შემოსასვლელ კარებს. ყოველივე ამას დიდი ერთობა ეწოდებოდა.

კონ-ფუ-ცი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რა დროა საჭიროა, რომ საზოგადოებამ, შთამომაელობამ, ისტორიოგრაფიამ ობიექტური, მიუკერძოებელი სიტყვა თქვას გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეზე? ათი? ორმოცდაათი? იქნებ ასი?

ისტორიოგრაფი ხომ საზოგადოების შვილია და ამ საზოგადოების სუნთქვა მუდამ ყურში ჩაესმის, ნებით თუ უნებლიეთ, ობიუქტური თუ სუბიექტური მიზეზებით, ღიათ თუ ფარულად წაუბიძგებს მას გარკვეული პოზიციისაკენ, რაც ყოველთვის ობიექტური როდია, ყოველთვის ჭეშმარიტების დადგენას არ ემსახურება. მეცნიერება კი, - ნამდვილი მეცნიერება, ვალდებულია ჭეშმარიტება დაადგინოს, კანონზომიერება ჩამოაყალიბოს, გამიჯნოს მთავარი და მეორეხარისხოვანი, მოგვცეს ობიექტური დასკვნა...

მსოფლიოს ისტორიამ გამოჩენილ პიროვნებათა ადგილისა და მნიშვნელობის რადიკალური გადაფასების არა ერთი პრეცენდენტი იცის. მაგალითად, ფრანგულ ისტორიოგრაფიას 400 წელი დასჭირდა, რომ საყოველთაოდ დადგენილი შეხედულება ჰენრიხ III-ზე (1574-1589) სუსტ, უნდილ, ზნედაცემულ პიროვნებაზე (ეს მონარქი ჰომოსექსუალისტობის ეტალონად იყო მიჩნეული, მისი მმართველობის პერიოდში გამძაფრდა სამოქალაქო დაპირისპირება, მას თვლიდნენ „ბართელომეს ღამის“ ერთ-ერთ ინიციატორად, მან წერტილი დაუსვა ვალუათა დინასტიის მმართველობის ხანას და ა.შ. და ა.შ.) - შეცვლილიყო გონიერი, საზრიანი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკური მოღვაწის იმიჯით, რომელიც მხოლოდ ორიგინალური, ექსცენტრული იყო ყოფაში, არვითარ სოდომურ გატაცებას არ მისდევდა, იყო ჩინებული მეუღლე და მეგობარი (მხედველობაში გვაქვს პ. შევალიეს გახმაურებული, ჩინებული ნაშრომი „ჰენრიხ III“).

მართლაც, გამორჩეული, დიდებული ნაშრომია: მეცნიერის ერთ-ერთი ამოცანა ხომ ისიც არის, რომ დაანგრიოს, შეცვალოს დრომოჭმული შეხედულებები, სტერეოტიპები, ათასჯერ ცნობილი ფაქტები ახლებურად დაინახოს და შეაფასოს, მოგვცეს

მისი ორიგინალური, ნოვატორული ინტერპრეტაცია. ამაშია მეცნიერების ხიბლი, ისტორიკოსის ძალა.

როცა თვით საფრანგეთის ისტორიისათვისაც არც თუ დიდად მნიშვნელოვანი პიროვნების (როგორ მივა ჰენრიხ III ჟანა დარკთან, ლუი XIV და ნაპოლეონთან) ობიექტური შეფასებისათვის 400 წელი გახდა საჭირო, რა გასაკვირია, რომ მსოფლიო ისტორიაში ისეთი გამორჩეული პიროვნება, როგორიცაა იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი (ი. ბ. სტალინი) ჯერ კიდევ აზრთა რადიკალურ დაპირისპირებას იწვევს, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება მისი მოღვაწეობის „ოქროს შუალედის“ მიგნება და ობიექტური შეფასება.

მსოფლიოს დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ი. ბ. სტალინი ერთერთია, ალბათ, რომლის ბიოგრაფია მსოფლიო იდეოლოგიური დაპირისპირების ეპიცენტრში მოექცა. არც მარქსის, არც ენგელსის და არც ლენინის მიმართ ამდენი ზიზღი და აღფრთოვანება არ ყოფილა კონცენტრი-რებული, რამდენიც ი. ბ. სტალინის შემთხვევაში. ის, რისიც ასე ძალუმად შეეშინდა „დასავლეთის თავისუფალ სამყაროს“ - პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებს ეს ი. ბ. სტალინის შემოქმედების ნაყოფი - უძლიერესი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი იყო. საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა, პირველ რიგში, მისი დამაარსებლის წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობდა. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა: თუ გინდა გაანადგურო სახელმწიფო ყოველმხრივ უნდა გაანადგურო მისი შემოქმედი, დამაარსებელი. თვითონ ი. ბ. სტალინიც კი წინასწარმეტყველებდა მომავალში თავისი ისტორიული შეფასების რადიკალურ შეცვლას.

ი. ბ. სტალინის მიერ დამკვიდრებული დოგმა - ვ. ი. ლენინი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შემოქმედია, ხოლო ი. ბ. სტალინი მისი უერთგულესი მოწაფე და მისი მიზნების რეალიზატორი, ამ დოგმის ავტორს ბუმერანგივით დაუბრუნდა. საბჭოთა დუალისტური დოგმატიკა (რაც გულისხმობდა იმას, რომ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პოლიტიკურ მოძღვრებათა ერთობლიობა იყო საბჭოთა ქვეყნის ყოველმხრივი განვი-თარებისა და ძლიერების საფუძველი), რამაც კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში უზრუნველყო მტკიცე სახელმწიფო სტრუქტურა, ქვეყნის ძლიერი ეკონომიკური

პოტენცია, უძლიერესი სამხედრო მანქანა, სახელმწიფო ინ-სტიტუტები, რამაც განაპირობა კიდეც ამ სახელმწიფოს მსოფლიო ისტორიული გამარჯვება II მსოფლიო ომში (რაც ი. ბ. სტალინის მთავარი მსოფლიო ისტორიული მისიაა ჩვენი აზრით) და ომის შემდგომ სახელმწიფოს დამოუკიდებელი სწრაფი აღორძინება - სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების ზემოქმედებით სკკპ XX ყრილობაზე შეწყდა. ეს სწრაფად შეამჩნიეს დასავლეთში და „ცივი ომის“ კანონებიდან გამომ-დინარე დაიწყო მათი ისტორიკოსების „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ი. ბ. სტალინის პიროვნების და მისი ისტორიული როლის შეფასების წინააღმდეგ. წარმოიშვა მეტად პოპულარული ის-ტორიოგრაფიული კლიშე: „ვ. ი. ლენინი -კარგი, ი. ბ. სტალ-ინი ცუდი!“.

ამ დევიზით და ამ განწყობილებებით 60-80-იან წლებში დასავლეთში უამრავი ნაშრომი დაიწერა. მათში ვ. ი. ლენინი სწორუპოვარი პოლიტიკური მოღვაწეა, დიდსულოვანი და ჰუმანური, ი. ბ. სტალინი კი სასტიკი, შურიანი, ინტრიგანი, შეუბრალებელი და ა.შ. და ა.შ. ამ ოპუსებიდან ზოგი შედა-რებით ობიექტურია, ზოგიც ზერელე, არაფრისმთქმელი. ამ ნაშრომებს საბჭოთა კავშირში არავინ ეხმაურებოდა, მაშას-ადამე, არავინ არც აკრიტიკებდა. დასავლეთში კი კარგად იგრძნეს, რომ საბჭოთა სისტემის იდეოლოგიური დამარცხების კიდევ ერთი ეფექტიანი გზაა ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის დისკრედიტაცია. ეს შეხედულება საბჭოთა კავშირში „დემოკ-რატებმაც“ აიტაცეს და 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის ქვაკუთხედად გახადეს (გავიხსენოთ უკვე საკმაოდ დავიწყებული ა. რიბაკოვის „არბატის შვილები“). მოპასუხე არავინ იყო. განსაკუთრებით აბიაბურებდნენ ი. ბ. სტალინის ბავშვობისა და ყრმობის პერიოდს.

ყველა ჭორი, ყველა განაწყენებულის სადღაც ნათქვამი სიტყვა ყოველგვარი კრიტიკის, წყაროს მითითების გარეშე ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის ეჭვმიუტანელ დეტალად ცხად-დებოდა. მაგალითად აი, ასეთი: ამერიკელი სტალინოლოგი რ. ტაკერი, შედარებით ობიექტური და საინტერესო ისტორ-იკოსი სტალინოლოგთა შორის, იმოწმებს ყოფილი ესერის სიმონ ვერეშჩაკის მტკიცებას, რომ მას ბაქოში, ბაილოვის

ციხეში ყოფნისას, ი. ბ. სტალინის სემინარიის მეგობრებისაგან გაუგია, რომ სემინარიის მიტოვების დროს სოსო ჯუგაშვილს მამა-რექტორთან დაუბეზღებია თავისი მარქსისტული ჯგუფის წევრები. სოსოს ეს ულიარებია და თავი იმით უმართლებია, რომ სემინარიიდან გარიცხული ამხანაგები ჩინებული რევოლუციონერები გახდებოდნენ(1).

ამ შეხედულებას რ. ტაკერი სხვა, ამგვარივე ღირებულების მქონე დოკუმენტებითაც ამაგრებს(2) და მკითხველს უჩნდება მოსაზრება, რომ ი. ბ. სტალინი უკვე ყრმობის პერიოდში უზნეო საქმიანობას ეწეოდა.

ამ ცნობის გადამოწმებამ გვიბიძგა წინამდებარე წიგნი დაგვეწერა: საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ თბილისის სასულიერო სემინარიის ფონდში ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ყველა საჭირო საქმე, მათ შორის გარიცხულთა საქმეებიც. პედაგოგიური საბჭოს ჟურნალები ჩვენთვის საინტერესო პერიოდიდან უკლებლივ ადგილზეა. მათმა გაცნობამ ს. ვერეშჩაკის მტკიცების დამადასტურებელი არცერთი დოკუმენტი არ მოგვცა, თუმცა აღმოჩნდა ბევრი, ისტორიოგრაფიისათვის უცნობი მასალა, რამაც გაგვაბედინა ობიექტურად გაგვეაზრებინა ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის ადრეული პერიოდი.

ამავე ყაიდისაა მეორე მტკიცებაც: ბოლო წლებში დასავლეთის სტალინოლოგთა შორის ერთობ პოპულარული გახდა თემა ი. ბ. სტალინის ჰომოსექსუალისტობის შესახებ. ალექსანდრე დიდის, ცეზარის, პეტრე I, პლატონისა და სოკრატეს, მიქელანჯელოსა და ლეონარდო და ვინჩის, სხვათა და სხვათა ფონზე ეს შეიძლება დიდი პოლიტიკოსისათვის ცოდვად არ ჩაგვეთვალა, მაგრამ მთავრი აქ ხომ მტკიცებულებაა. აი, როგორ ამტკიცებენ ამ მოსაზრებას: „ისტორიის ანალებში არის მხოლოდ ერთი მითითება სტალინის ცხოვრებაში ჭეშმარიტი ჰომოსექსუალისტური კავშირის შესახებ. სავარაუდო საყვარელი იყო უნგრელი ებრაელი კ. ვ. პაუკერი, სტალინის პირადი დაცვის უფროსი 30-იან წლების დასაწყისში და შუა ხანებში. ორლოვის აღწერით პაუკერი „ულირსამდე ლამაზი ტუჩებით და ენებიანი შავი თვალებით“ მთლიანად სტალინის ერთგული იყო. ორლოვი იგონებს თუ როგორ გაიგო პაუკერისა და სტალინის განსაკუთრებული ურთიერთობის

შესახებ.

„1937 წლის ზაფხულში, როცა შინსახკომის ხელმძღვანელობის ძირითადი ნაწილი უკვე დაპატიმრებული იყო, მე შემთხვევით პარიზში გადავეყარე ვიღაც გ-ს, ეროვნებით უნგრელს, რომელიც შინსახკომის ფარული საზღვარგარეთელი აგენტი და პაუკერის ძველი მეგობარი იყო. ვივარაუდერა, რომ ის ახალი ჩამოსული იქნებოდა მოსკოვიდან და ვიმედოვნებდი გავიგებდი რაიმე ახალს ბოლოდროინდელი დაჭერების შესახებ, მე მაგიდას მივუჯექი. „პაუკერს საქმე ხომ კარგად აქვს“- გავეხუმრე მე, ვერც კი წარმომედგინა, რომ მას რაიმე დაემუქრებოდა“.

„ამას როგორ ბედავ!“- წამოიყვირა მან, ღრმად შეშფოთებულმა, თითქოს მე რაღაც ცოდვა ჩამედინოს.“ პაუკერი სტალინისათვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე შენ ფიქრობ, ის მეგობარზე მეტია... და ძმაზეც მეტი. ეს კი მე ჩინებულად ვიცი“- მითხრა მან მრავალმნიშვნელოვანი მახვილით(3).

ამ შემთხვევაში კომენტარები აშკარად ზედმეტია. რამდენი წინადადებაც არის ამ ცნობაში, იმდენი ეჭვი იბადება: ვინ არის „გ“? ვინ არის „ორლოვი“, განა შინსახკომის საზღვთარგარეთელი აგენტები 30-იან წლებში ისეთი საცნაურები იყვნენ, რომ ი. ბ. სტალინის ჰომოსექსუალისტობით დაინტერესებული პირები მათ პარიზში, კაფეში მაგიდასთან ასე უპრეტენზიოდ მიუჯდებოდნენ და საჩოთირო თემებზე მასლაათობდნენ? ამას ხომ აშკარად სიყალბის სუნი უდის, ჩვეულებრივი, ულირსი ჭორის სუნი.

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია ჯერაც „ტერა ინკოგნიტოა“, ის ჯერ კიდევ მოელის პირუთვნელი მემატიანის მახვილ თვალს და გულწრფელ გულს.

„ცივი ომი“ დამთავრდა. წერტილი დაესვა ი. ბ. სტალინის სახელმწიფოსაც. ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია პოლიტიკური ბატალიებისა და დისკუსიების ცენტრში აღარ უნდა ექცეოდეს. ის უკვე ისტორიის კუთნილებაა. ისტორია კი სასამართლო აუდიტორია არაა. ისტორია მეცნიერული შემეცნების საშუალებაა, ამიტომ მხოლოდ ცნობიერი, მეცნიერული მეთოდებით შეიარაღებულ მკვლევარს ძალუძს თქვას სიმართლე ი. ბ. სტალინზე, მის ეპოქაზე.

ი. ბ. სტალინი საქართველოს შვილია, საქართველოში დაირწა მისი აკვანი და მის ფსიქიკაში ბევრია ქართული. ამიტომ ვერცერთი მკვლევარი, ვინც ღრმად და ყოველმხრივ არ იცის საქართველო, მისი ისტორია, მისი ხალხის სულიერი სამყარო, ყოფა - ბოლომდე ვერ გაიგებს ი. ბ. სტალინის ფენომენს და მუდამ ზღაპრების ტყვეობაში დარჩება.

სწორედ ამიტომ წინამდებარე ნაშრომს ჩვენ წავუმ-ძღვარეთ მცირე ისტორიული ექსკურსი საქართველოს მდიდარი წარსულიდან, რომ უფრო გასაგები გახდეს მკითხველისათვის, განსაკუთრებით არაქართველი, დასაელური ცივილიზაციის ფასეულობების მატარებელი მკითხველისათვის ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის საყურადღებო დეტალები.

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიაში კი, მართლაც, ბევრია „თეთრი ლაქა“, ბევრიც ახლებურად გააზრებას და შეფასებას საჭიროებს. ი. ბ. სტალინის ზეობის ხანაში მისი ბიოგრაფია პროპაგანდის, ახალგაზრდა თაობის აღზრდის ფუნქციას ასრულებდა და ის აუცილებლად უნდა შელამაზებულიყო, ისევე როგორც შელამაზდა ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარ-ტიის სხვა ლიდერების, თვით კომუნისტური პარტიის ბიოგ-რაფიები და ისტორიები.

დიდი პიროვნების ბიოგრაფიის შელამაზება გამონაკლისი არც არის და არც დიდ ცოდვად ითვლებოდა წარსულში. ეს ასე რომ არ იყოს ვერცერთი მსოფლიო რელიგია ვერ იარსებებდა, იმდენი უზუსტობა და გაუგებრობაა წმინდანთა მიწიერ ცხოვრების ამსახველ ანალებში. მაგრამ აქაც ხომ ძირითადი და მთავარი არსია...

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის ახლებური გააზრება მისი ბავშვობისა და ყრმობის წლებიდან უნდა დაიწყოს (პიროვნების ფორმირება ბავშვობიდან იწყება, რადგან ეგზუპერისა არ იყოს, „ჩვენ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“). ეს კი ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის ერთობ სუსტად შესწავლილი პერიოდია.

ყველაზე ადრეული ბიოგრაფიული ნარკვევი, რომელსაც ჩვენ მივაკვლიეთ, არის 1925 წელს მოსკოვის გამომცემლობა „რაბოჩაია მოსკვას“ მიერ დასტამბული „12 ბიოგრაფია“(4). ფალსიფიკაციის კვალი უკვე შეიმჩნევა და არა მარტო ი ბ სტალინის ბიოგრაფიაში. მის გარდა ფსევდონიმით ცნობილი ყველა პოლიტიკური ლიდერი (ლ. ტროცკი, ლ. კამენევი, გ. ზინოვიევი)

საგულდაგულოდ მალავს თავის წარმომავლობას, ეროვნულ კუთვნილებას. მხოლოდ ი. ბ. სტალინთან არის მითითებული მისი ქართული წარმოშობა. მისი ყრმობის პერიოდის ზოგიერთი დეტალი უკვე იდეალიზებულია: სემინარიაში სწავლის შეწყვეტის მიზეზად დასახელებულია „გარიცხვა არაკეთილსაიმედობის გამო“(5).

1932 წელს გერმანიაში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის სიყრმის ამხანაგის იოსებ ირემაშვილის მოგონებები, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობოდა ბავშობისა და ყრმობის პერიოდს(6). ნაშრომი, უდავოდ, საინტერესოა, ერთი სერიოზული ნაკლი რომ არა ჰქონდეს - მოგონებების ავტორი, ალბათ, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იქნებოდა სამშობლოდან შორს, გერმანიაში. მისთვის უცხო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის ერთადერთი საშუალება სწორედ ბავშვობის პერიოდში ი. ბ. სტალინთან ახლობლობა და მის შესახებ ესკლუზიური ინფორმაციის ფლობა იყო და ის შეეცდებოდა თავისი ინფორმაცია ძვირად გაეყიდა, ამიტომაც ი. ირემაშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა არაორდინალური, სტალინის პიროვნების მაკომპრომიტირებელი ფაქტების „გახსენებას“.

სწორედ ი. ირემაშვილმა დაუდო საფუძველი მითს ი. ბ. სტალინის არაქართული წარმოშობის, უკვე ბავშვობის წლებში მისი არაეთიკური ქცევის, დაუნდობლობის, გულღრძოობის შესახებ. თუმცა მას აქვს საინტერესო დადებითი ინფორმაციაც. ჩვენ საფუძველი გვაქვს ვვიფიქროთ, რომ ი. ირემაშვილს ცუდი მეხსიერება აქვს: მას, რატომღაც, არ ახსენდება ის ერთობლივი ცელქობა და არაეთიკური საქციელი, რომელშიც თვითონაც მონაწილეობდა და რომელთა დოკუმენტურად გადამოწმება შეიძლება; ამასთან, როგორც ჩანს, მას მეხსიერება არც მოწიფულობის ასაკში გამოუსწორდა, რადგან სწორედ ვერ იხსენებს ი. ბ. სტალინის პირველი ქორწინების თარიღს - ის უთითებს 1903 წელს, მაშინ როცა დოკუმენტურად დასტურდება, რომ ი. ბ. სტალინის პირველი ქორწინება მოხდა 1906 წელს, თბილისის მამადავითის ეკლესიაში და ი. ირემაშვილი ქორწინების მოწმეთა შორის არ იყო.

ი. ირემაშვილის ნაშრომისადმი კრიტიკულ მიდგომას მოითხოვდა თვით ერთ-ერთი პირველი სტალინოლოგი ლ. დ. ტროცკი, თუმცა ის საკმაოდ უხვად იყენებს ნაწყვეტებს ირემაშვილის ოპუსიდან.

ასევე სერიზულ კრიტიკას მოითხოვს ი. ბ. სტალინის ზეობის ხანაში გამოქვეყნებული მისი ბავშვობის მეგობრების (დ. გოგოხიას, პ. კაპანაძის, გ. გლურჯიძის და სხვების) მემუარები(7). მათ ნაშრომებს გამოცდილი რედაქტორის კვალი ატყვია, ამასთან, ჩვენ დავადგინეთ. რომ არცერთი მათგანი ი. ბ. სტალინის თანაკლასელი არ იყო, ამიტომ მათი მოგონებები, განსაკუთრები ი. ბ. სტალინის გამორჩეული ბეჯითობის შესახებ სემინარიაში სწავლის პერიოდში, უფრო სხვათა გადმოცემებს ან გვიანდელი პერიოდის სუბიექტურ განცდებს შეიძლება მიეაწეროთ.

ი. ბ. სტალინის დაბადების 60 წლისთავზე ჟურნალმა „მოლოდაია გვარდიამ“ დაბეჭდა ვ. კამინსკისა და ი. ვერეშ-ჩაგინის საკმაოდ ვრცელი ნარკვევი „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“(8). ჩვენი აზრით, ნარკვევი ი. ბ. სტალინის სიცოცხლეში გამოქვეყნებული მისი ბავშვობისა და ყრმობის ყველაზე ვრცელი გამოკვლევაა. ის ძირითადად ი. ბ. სტალინის ბავშვობისდროინდელი მეგობრების (პ. კაპანაძის, დ. გოგოხიას და სხვ.) გამოქვეყნებულ, ასევე გამოუქვეყნებელ, პარტიულ არქივში დაცულ (დ. პაპიტაშვილის, ს. გოგლიჩიძის და სხვათა) მემუარებს უკრიტიკოდ ეყრდნობა. ნაშრომის პათოსი მთლიანად შეესაბამება 30-იანი წლების დასასრულს საბჭოთა კავშირში შექმნილ მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებას, პიროვნების კულტის ზეობის ხანას. ბელადის ბიოგრაფია ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალება იყო, ამიტომ ავტორთა მცდელობა, მხოლოდ დადებითი მხრიდან წარმოაჩინონ ბელადის ახალგაზრდობა და ყრმობა - სრულიად გასაგებია. საჩოთირო პრობლემებზე (ბელადის წარმომავლობა, „ლოთი მამა“, აყალმაყალი ოჯახში და ა.შ.) ავტორები არც ჩერდებიან. საყურადღებოა, რომ ავტორები დაუფარავად აცხადებენ თბილისის სასულიერო სემინარიიდან სოსოს წამოსვლის მიზეზს: „გაირიცხა უცნობი მიზეზით გამოცდაზე გამოუცხადებლობის გამო“(9). დასავლეთელი სტალინოლოგები კი ამტკიცებენ, რომ თვითონ ი. ბ. სტალინი ამ ფაქტის დრამატიზაციას ახდენდა და აღნიშნავდა, რომ ის მარქსიზმის პროპაგანდის გამო გარიცხეს სემინარიიდან(10). ძნელი დასაჯერებელია, რომ საბჭოთა ცენზურას ასეთი შეუსაბამობა დაეშვა, რადგან წყარო, რომელსაც სოვეტოლოგები ეყრდნობიან

1944 წელს არის გამოქვეყნებული, ე.ი. კამენსკისა და ვერეშჩაგინის აღნიშნული პუბლიკაციის შემდეგ.

ნაშრომის ავტორები, როგორც ჩანს, არ იცნობდნენ ივ. ჯავახიშვილის ნარკვევს ჯუგაშვილების გვარის ისტორიული წარმომაელობის შესახებ, არც გორის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის სასულიერო სემინარიის საარქივო დოკუმიენტებზე უმუშავიათ. მათი ნარკვევის წყაროთმცოდნეობითი ბაზაა ი. ბ. სტალინის მუზეუმებსა და სახელმწიფო წიგნსაცავებში დაცული ცენზურით ნებადართული დოკუმენტური მასალა.

ამავე პერიოდში, საიუბილეოდ გამოქვეყნდა მდიდრულად გაფორმებული, ი. ბ. სტალინისადმი მიძღვნილი მხატვრული ალბომები(11). მათში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ბელადის ბავშვობისა და ყრმობის ამსახველ დოკუმენტებს. აქ საყურადღებოა ის, რომ ალბომის შემდგენლები იცნობენ საქართველოს არქივსაცავებში დაცულ გასაიდუმლოებულ დოკუმენტებს, რადგან ფოტო-ასლით აქვეყნებენ ი. ბ. სტალინის სემინარიაში სწავლის პერიოდის ერთ-ერთი ნიშნების ფურცელს, რაც არცთუ სანაქებოა.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ პერიოდში ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიით დაინტერესდა მისი მთავარი პოლიტიკური ოპონენტი ლ. დ. ტროცკი. მას დაუმთავრებელი დარჩა დიდი, ორტომიანი ნაშრომი „სტალინი“(12). ამ ნაშრომში ის გამორჩეულ ყურადღებას უთმობს სოსო ჯუგაშვილის ბავშვობასა და ყრმობას, მაგრამ მეტად ტენდენციურად აშუქებს. მას ისე სძულს მეტოქე, რომ არ ინდობს მის მშობელ ქვეყანასაც კი. „შვილი კავკასიისა, მისი ათეულობით ნახევრადკულტურული და პირველყოფილი ხალხით“ - ასე უწოდებს ლ. დ. ტროცკი რეგიონს, სადაც უძველესი ცივილიზაცია ჩაისახა, სადაც ურარტუს, კოლხეთის, იბერიის კულტურა, საქართველოს, სომხეთის უძველესი ქრისტიანული ცივილიზაციები არაფრით ჩამოუვარდება ბევრი დიდი, მსოფლიო სახელმწიფოს კულტურულ მიღწევებს, ხოლო შოთა რუსთაველის ჰუმმანიზმით აღსავსე შემოქმედება დღესაც კი ეტალონად არის მიჩნეული. საკვირველია, რომ მემარცხენე კომუნიზმის იდეოლოგი და პროლეტარიატის ბელადი სადისტურ კმაყოფილებას განიცდის მეტოქის სწორედ პროლეტარული

წარმოშობის, მისი მშობლების სიღარიბის და მათი ყოფის ორდინალურობის განქიქების გამო. რა თქმა უნდა, განსხვავებული ბავშვობა და ყრმობა ექნებოდათ გორელი ხელოსნის შვილს სოსო ჯუგაშვილს და მდიდარი ხერსონელი მოიჯარადრის ვაჟს - ლევ ბრონშტეინს. თუმცა ი. ბ. სტალინი ერთადერთი არ არის მსოფლიო პოლიტიკის გიგანტებს შორის, რომელსაც პროლეტარული წარმოშობა ჰქონდათ. კათოლიკური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე, ცეზარო-პაპიზმის ფუძემდებელი, რომის პაპი გრიგოლ VII (XI ს.) ჰილდებრანდი, ასევე, ხელოსნის ვაჟი იყო.

ლ. ტროცკის ნაშრომი ბევრ საინტერესო და საგულისხმო დაკვირვებას შეიცავს, რასაც ჩვენ წინამდებარე წიგნის სათანადო ადგილზე შევეხებით. წიგნი სამაგიდო გახდა დასავლეთის ბევრი სტალინოლოგისათვის, მართალია, ისინი აღნიშნავენ მის სუბიექტივიზმს, ზოგიერთ ცალმხრივობას, მაგრამ არ ცდილობენ უფრო ღრმად შეისწავლონ ი. ბ. სტალინის ბავშვობისა და ყრმობის ამსახველი მასალა, გაეცნონ საქართველოში არსებულ დოკუმენტებს, ქართველი მეცნიერების ნაღვაწს.

დასავლეთში ბოლო ხანებში გამოქვეყნებული მრავალი პუბლიკაციიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფთ. მათ შორის მნიშვნელოვანი და მეტად საინტერესოა თვალსაჩინო ამერიკელი სტალინოლოგის რ. ტაკერის გახმაურებული მონოგრაფია: „სტალინი, გზა ძალაუფლებისაკენ (1879-1929)". ეს მონოგრაფია 70-იან წლებში გამოქვეყნდა და „ცივი ომის" პერიოდის იდეოლოგიური განწყობილებებით არის გაჟღენთილი. ავტორი ქედს უხრის ფორმულას - „ლენინი კარგი, სტალინი ცუდი!" თუმცა ერთგვარად ცდილობს ობიექტური იყოს. ის დიდ ყურადღებას უთმობს ი. ბ. სტალინის ბავშვობისა და ყრმობის პერიოდს, ძირითადად ი. ირემაშვილის მოგონებების წიგნს ეყრდნობა, თუმცა იცნობს ი. ბ. სტალინის შესახებ საბჭოთა კავშირში რუსულ ენაზე გამოცემულ თითქმის ყველა საყურადღებო პუბლიკაციას. გასაგები მიზეზების გამო ის არ იცნობს საქართველოში დაცულ დოკუმენტებს და ქართულ ენაზე არსებულ მასალას. ი. ბ. სტალინის ბავშვობისა და ყრმობის პერიოდზე მსჯელობისას ის ზედმეტ აქცენტირებას ახდენს ბესარიონ ჯუგაშვილის ღვინით გატაცებაზე და

ი. ბ. სტალინის გვიანდელ სიმკაცრეს ბავშვობის პერიოდში გადატანილ ოჯახური დრამის ქვეცნობიერ აღქმას უკავშირებს (თითქოს მსოფლიოს ყველა გამოჩენილი პოლიტიკოსი, ვინც თავისი ისტორიული მისია ძალის გამოყენებით შეასრულა - ლოთის შვილი ყოფილიყოს). რ. ტაკერის ნაშრომში, ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე მსჯელობისას, ბევრია შეუმოწმებელი ფაქტი და აშკარა ლეგენდა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნაშრომი სტალინოლოგიის თვალსაჩინო მიღწევაა.

ი. ბ. სტალინის ბავშვობასა და ყრმობას მეტ-ნაკლებად ყველა დასავლეთევროპელი სტალინოლოგი ეხება, თუმცა რ. ტაკერზე მეტი ამ საკითხის გარკვევისათვის არსებითად არაფერი გაუკეთებიათ. მათ ყველას აერთიანებთ საერთო კონცეფცია: „ლოთი მამა“, აქედან მომდინარეობს ყოველგვარი ვარიაცია და დასკვნა იოსებ ჯუგაშვილის ცხოვრების ადრეული ეტაპების გააზრებისას. აქ შეიძლება დავასახელოთ გახმაურებული ნაშრომები: ა. ბულოკის „ჰიტლერი და სტალინი“(13), ლ. ბე-ლადის და ტ. კრაუსის „სტალინი“(14), დ. რანკურ-ლაფარიერის „სტალინის ფსიქიკა“(15) და სხვ.

ქართული ისტორიოგრაფია დიდი ხნის განმავლობაში დუმილით უვლიდა გვერდს ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის პრობლემებს. ითვლებოდა, რომ ეს საკითხები მოსკოვსა და ლენინგრადში, პარიზსა და ნიუ-იორკში უნდა შესწავლილიყო და არა თბილისში, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ისტორიოგრაფია უკვე 30-იან წლებში დაინტერესდა ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის ნაკლებად ცნობილი დეტალების გარკვევით. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რა იყო მიზეზი, რომ 30-იანი წლების დასასრულს ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქმა ივანე ჯავახიშვილმა სპეციალურად შეისწავლა ჯუგაშვილების წარმომავლობის პრობლემა. არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთ ევროპაში ატეხილმა აჟიოტაჟმა ი. ბ. სტალინის წარმომავლობის შესახებ საბჭოთა კავშირის პარტიულ ელიტას (ან უშუალოდ ლ. პ. ბერიას) გაუღვიძეს ინტერესი და მათ დიდ მეცნიერს დააკალეს თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით. ივ. ჯავახიშვილის ეს გამოკვლევა დიდი ხნის განმავლობაში მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და პარტიული არქივის საცავებში დავანებული. მხოლოდ 80-იანი წლების დასასრულს გახდა

ის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის და ისიც საქართველოში.

აღნიშნული ნაშრომი სკრუპულოზური შრომის შედეგია და მას მნიშვნელოვნად ვეყრდნობით ჯუგაშვილების გვარის წარმომავლობაზე მსჯელობის დროს.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის შესწავლაში ხანძლივი დუმილის აღთქმა 90-იანი წლების დასაწყისიდან დაარღვია და საქართველოშიც გამოჩნდა ნაშრომები იოსებ ჯუგაშვილის ცხოვრების ადრეული პერიოდების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა პროფ. კ. ცქიტიშვილის კრებული „მე - იოსებ სტალინი". პირველ წიგნში(16) კრებულის შემდგენელი ათავსებს ვრცელ ნარკვევს ი. ბ. სტალინის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ. ავტორი საქართველოში დაცული საარქივო დოკუმენტებისა და უცნობი წყაროების დახმარებით (მან პირველმა შემოიტანა მეცნიერულ ბრუნვაში დიდი ივანე ჯავახიშვილის ზემოაღნიშნული ნაშრომი), იძლევა ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის ადრეული პერიოდის საკუთარ, ორიგინალურ გააზრებას.

1995 წლის სექტემბერში საქართველოს პრესაში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ჩვენი პირველი გამოკვლევა. წერილი ეხებოდა ი. ბ. სტალინის დაბადების ზუსტი თარიღის დადგენას. აქვე მოტანილი იყო მისი მშობლების ქორწინების მოწმობა და ოჯახთან დაკავშირებული სხვა უცნობი ფაქტები(17). ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი დაზუსტებულია ჩვენ შემდგომ მონოგრაფიაშიც: „ლენინის უკანასკნელი ინტრიგა"(18).

ჯუგაშვილების გვარის სადაურობის საკითხი ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევის ძირითადი დებულებების გათვალისწინებით წარმოაჩინა ისტორიკოსმა ჯ. ლომაშვილმა. ეს საქართველოს პრესაში დიდი ივანეს გასაიდუმლოებული ნაშრომის ახალი მეცნიერული ინტერპრეტაციის წარმატებული ცდაა(19).

საინტერესო ნაშრომები გამოაქვეყნა ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის ადრეული პერიოდის შესახებ პროფ. ე. გურულმა. ერთ-ერთი ნაშრომი(20) სწორედ ბიოგრაფიის ადრეულ პერიოდებს ეხება და ავტორი საინტერესო დოკუმენტურ მასალასაც გვთავაზობს.

მეორე ნაშრომი „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“ განმაზოგადებელი ხასიათისაა. ავტორი ცდილობს გაიაზროს ამ დიდი პოლიტიკური მოღვაწის ბიოგრაფიის არა ერთი საყურადღებო ეპიზოდი. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ „1896 - 1901 წლები ყველაზე უფრო ბუნდოვანია ი. სტალინის ბიოგრაფიაში. სად იყო, რითი სულდგმულობდა, რას ფიქრობდა და რას აკეთებდა არავინ იცის“(21).

წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების ცდაცაა. ჩვენს მიერ საქართველოს არქივსაცავებში მიკვლეული მასალა ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის 1896 - 1901 წლების ცხოვრებისა და საქმიანობის უცნობ პერიპეტიებსაც წარმოაჩენს.

როგორც უკვე აღინიშნა, რ. ტაკერის წიგნში მოტანილი ესერი ს. ვერეშჩაკის ინფორმაციის შემოწმების სურვილმა საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის საცავებში მიგვიყვანა. თბილისის სასულიერო სემინარიის ფონდი (ფ. 400) დეტალურად შევისწავლეთ. თვეების განმავლობაში ძიებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო: თითქოს ვილაცის გულმოდგინე ხელს ყველა დოკუმენტი და მასალა, რაც ი. ბ. სტალინის სახელთან იქნებოდა დაკავშირებული, საგულდაგულოდ შეუგროვებია და გადაუმალავს. არსად არ იყო ხსენებული ჯუგაშვილის გვარიც კი.

იმედგაცრუებული უკვე უშედეგოდ ვამთავრებდით მუშაობას, რომ ერთ დღეს (ეს უკვე ბოლო დღე იყო) ჩვენს მიერ გამოწერილ საქმეებში გადავაწყდით იოსებ ჯუგაშვილის გვარს. დოკუმენტი ეხებოდა სემინარისტების დიდი ჯგუფის მიერ სემინარიის შინაგანაწესის უხეში დარღვევისათვის მათი დასჯის ფაქტს. დასჯილთა შორის ი. ჯუგაშვილიც მოიხსენიებოდა.

შევამოწმე საქაღალდე და გაირკვა, რომ ის სულ სხვა, ჩემთვის უცნობი ანაწერიდან იყო, რომლის შესახებ მე ინფორმაცია არ მქონდა და არც არავის უთქვამს. ჩემთვის ეს საქაღალდე არც არქივის კეთილ თანამშრომელს მოუძებნია. ამიტომ ყველაფერი განგების ძალას მივაწერე და უცნობი ანაწერები მოვითხოვე. ამ ანაწერში (ფ. 400, აღ. 2) აღმოჩნდა თავმოყრილი ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის ადრეული პერიოდისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტები (მისი მშობლების ქორწინების მოწმობა, მათი შვილების, მათ

შორის ი. ბ. სტალინის დაბადებისა და მისი პირველი ქორწინების რეგისტრაციის დოკუმენტები, თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდთან დაკავშირებული უნიკალური მასალები, მათ შორის სემინარიის ინსპექტორების ჩანაწერების ჟურნალები, თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურში მუშაობასთან დაკავშირებული სრულიად უცნობი მასალა, დოკუმენტები დაკავშირებული ბათუმის 1902 წლის მუშათა გამოსვლებთან და სხვა მრავალი.

ახალმა, უცნობმა მასალამ შესაძლებლობა მოგვცა ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის ადრეული პერიოდის რიგი მოვლენები ახლებურად გაგვეაზრებინა. დოკუმენტების მცირე ნაწილი გამოვაქვეყნეთ კიდეც (ჟურნალი „ანალები“, 1999 წ., №2), ხოლო ბათუმის 1902 წლის მუშათა გამოსვლასთან დაკავშირებული ახალი საარქივო მასალებით შემაგრებული მოხსენება წავიკითხეთ აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნების 120 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.

წინამდებარე ნაშრომი ახლადაღმოჩენილი საარქივო დოკუმენტების საფუძველზე მომზადდა. ნაშრომის გამოქვეყნება ორ წიგნად გადავწყვიტეთ: პირველში „სოსელო“, განვიხილავთ ბავშვობასა და ყრმობას, ის დასრულდება თბილისის სასულიერო სემინარიიდან წამოსვლის ეპიზოდით. მეორე წიგნში - „კობა“, გადმოცემული იქნება ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის პირველ პერიოდი, რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიით დაინტერესებული მკითხველისათვის. ავტორი ყველა არგუმენტირებულ შენიშვნას მადლიერებით მიიღებს.

დედა სამშობლო

სტალინის სამშობლო - უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა. „ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელო, ის გადარჩა და სახელად ეწოდება საქართველო“- პოეტის მიერ ნათქვამი ეს მოსწრებული სიტყვები მთლიანად შეესაბამება საქართველოს ისტორიულ ბედს: ქვეყანამ განულო ძნელი, ტრაგიზმით აღსავსე ისტორიული გზა, რომლის მგავსი იშვიათია. ქართველმა ხალხმა გაუძლო ისტორიის გამოცდას და ღირსეულად ატარა ქართველობა და ქრისტიანობა, არასოდეს არ უღალატია მათთვის, არ უძებნია უკეთესი სამშობლო ოკიანეების გადაღმა სხვა ქვეყნებში და სხვა ტერიტორიებზე - ქართველს ბედნიერება მხოლოდ საქართველოში მიაჩნდა ბედნიერებად...

ისტორიკოსები და არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც (სხვა ზოგიერთი ქვეყნის მსგავსად) მოხდა მაიმუნის ადამიანად ფორმირების პროცესი. საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციაში - კახეთში ადამიანის მსგავსი მაიმუნის ქვედა ყბა და კბილები, ხოლო სამხრეთში - დმანისში ევროპაში უძველესი განათხარი ადამიანის ნაშთებია აღმოჩენილი. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მრავლად არის გამოვლენილი პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების კვალი: იაშთხვა, კელასური, დევის ხვრელი, საკაჟია, გვარჯილის კლდე, პალეოლითისა და ნეოლითის ეს განსაცვიფრებელი ძეგლები, მიუთითებენ იმ რთულ და მრავალმხრივ საინტერესო პროცესზე, რაც თან ახლდა ადამიანის განვითარებას ველურობიდან ცივილიზაციისაკენ. საქართველოში ეს პროცესი ისევე რთული და დრამატული იყო, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

თანდათან გამოიკვეთა გეოგრაფიული არეალი, რომელიც პროტოქართველების სამშობლოდ გადაიქცა. ორ ზღვას შორის, უამრავი მდინარეებით დასერილი, სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობისათვის შესაშური პირობებით, მრავალი უნიკალური წიაღისეულით მდიდარი მხარე, მართლაც, ჩინებული საჩუქარი იყო იქ მოსახლე ხალხისათვის.

საქართველოში უყვართ ერთი ძველი ლეგენდით თავის მოწონება: უფალი მსოფლიო ხალხებს მიწებს ურიგებდა.

ქართველები ლაღობდნენ, ნადიში ჰქონდათ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ, ამიტომ ღმერთთან მისვლა დააგვიანდათ. ღმერთს დედამიწა უკვე განაწილებული ჰქონდა, მაგრამ ძალიან მოეწონა ეს ლამაზი, ამაყი, ლხინის მოყვარული, ჩინებულად მომღერალი და მოცეკვავე ხალხი და ანუქა დედამიწის ის ნაწილი, რომელიც თავის საცხოვრებლად ჰქონდა გამიზნული - ჭეშმარიტი ედემი, ნამდვილი სამოთხე, სადაც მეტად მცირე ეტერიტორიაზე არის მყინვარწვერიც და უდაბნოც, ზღვაც და ტბაც, უმდიდრესი ფაუნა და ფლორა. მიწის წიაღში კი შეიძლება მცირე, მაგრამ საჭირო სიმდიდრეა დაუნჯებული - ცოტა-ცოტა ყველაფერი: ნავთი, მარგანეცი, ოქრო, ვერცხლი, რკინა, მარმარილო, ბენტონიტური თიხები, ქვანახშირი, დარიშხანი, კვარციტები და ა.შ.

მშრომელი და გამრჯე ხალხი ცხოვრობდა იმ უძველეს ხანაში ამ ტერიტორიაზე. საყურადღებო და საამაყო ცივილიზაცია დაუტოვა მან შთამომავლობას - მტკვარ-არაქსის კუტურა (IV ათასწლეული ჩ.წ.-მდე), თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანები (XV ს. ჩ.წ.-მდე). ეს ბარბაროსობის ეპოქაა - პირველი ტომობრივი გაერთიანებების. ფორმირების ხანა, ქართული ცივილიზაციის აკვანი. თრიალეთის ყორღანებში აღმოჩნდა უნიკალური ფასეულობა - ოქროს თასი ძვირფასი ქვებით მოჭედილი, ვერცხის სარწყაული ადამიანთა მაგიური მსვლელობის ამსახველი რელიეფური გამოსახულებით, რომლებიც ტოლს არ უდებენ იმჟამინდელი მსოფლის ანალოგიურ მონაპოვრებს. ეს მხოლოდ უმდიდრესი არქეოლოგიური მონაპოვარის მცირე ნაწილია.

არგუმენტირებულად ამტკიცებენ, რომ ლითონის დამუშავების საქმეში პროტოქართველებს დიდი და მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი. სწორედ მათ ერთ-ერთ პირველებს აუთვისებიათ ბრინჯაოს წარმოება, ხოლო უკანასკნელი აღმოჩენების თანახმად, შესაძლებელია, რომ პირველებიც კი იყვნენ რკინის ათვისების საქმეში. ამას ადასტურებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში - აჭარაში გამოვლენილი უძველესი რკინის საბადოები პრიმიტიული სადნობი მოწყობილობებით.

მსოფლიოს უძველეს ცივილიზაციებთან ერთად მეცნიერები მოიხსენებენ დიაოხისა და კოლხას. უძველესი

მითი არგონავტების შესახებ, რომელიც ერთ-ერთი პოპულარულია მსოფლიოში, კარგად მიუთითებს, რომ კოლხეთი (დასავლეთ საქართველო, რიონის აუზი) ოქროთი მდიდარი ქვეყანა ყოფილა. ეს ქვეყანა გამოირჩეოდა ბერძნებისათვისაც კი გასაოცარი კულტურული ფასეულობებით, სოციალური მიღწევებით. ლოგიკას არ უნდა იყოს მოკლებული მტკიცება, რომ ოქროს ვერძის კოლხეთიდან გატაცების მითს საფუძვლად უნდა დასდებოდა ბერძნების მიერ კოლხეთში შეთვისებული და სამშობლოში გადატანილი რაღაც მნიშვნელოვანი გამოცდილება, მასზე მოგონებამ ტრანსფორმაცია განიცადა და მითიურ ცნობიერებაში ოქროს ვერძად მოგვევლინა. არ არის გამორიცხული, რომ ეს გამოცდილება ყოფილიყო რკინის დამუშავების ადგილობრივი წესი, რაც იმდროინდელი ბერძნული ცივილიზაციისათვის უცნობი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა მეორე ქართველური სახელმწიფო - იბერია. ეს იყო საინტერესო ისტორიის და მაღალი კულტურის ქვეყანა. ჩვ.წ-მდე III საუკუნეში აქ შეიქმნა სახელმწიფო მეფით სათავეში. მისმა ფუძემდებელმა და რეფორმატორმა ფარნავაზმა ძლიერი და მაღალგანვითარებული სამეფო შექმნა. საისტორიო ტრადიცია სწორედ მას უკავშირებს დამწერლობის შექმნას. ფარნავაზის დროს საბოლოოდ გაფორმდა რელიგიური რწმენა-წარმოდგენებიც. უზენაესი ღვთაება იყო არმაზი მთვარის ღვთაება, შეაბჯრული მხედარი, რომლის უზარმაზარი ქანდაკება აღმართული იყო იბერიის დედაქალაქში, მცხეთაში, მტკვრის ნაპირას აღმართულ გორაკზე.

ფარნავაზის მემკვიდრეებმა გააძლიერეს და განავითარეს ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები. ამ ქვეყანას ანგარიშს უწევდნენ ძლიერი მეზობლები: რომი, პართია, სომხეთი. ქვეყნის სიმდიდრე მრავალ მტერსა და დუშმანს იზიდავდა: რომაელები და პართელები ერთმანეთს ეცილებოდნენ. დიდმა პომპეუსმა ჩ. წ.-მდე 65 წელს ილაშქრა იბერიაში, რათა დაეპყრო ეს მხარე. იბერიის მეფე არტაგი ძვირფასი საჩუქრით შეეგება ამაყ რომაელს ოქროს ტახტი, მაგიდა და სკამები მიართვა სახელოვან მხედარმთავარს.

რომაელებმა ვერ დაიმონეს თავისუფლებასმოყვარე იბერები, ისინი ღირსეული მეგობრობით დაკმაყოფილდნენ და

ხელი არ ახლეს ქვეყნის სუვერენიტეტს. რომაული ანალები მოგვითხროობენ, რომ რომში, მარსის მინდორში, სადაც ღმერთებისა და იმპერატორების ქანდაკებები იყო განლაგებული, დიდი ხნის განმავლობაში იდგა რომაელთა მეგობრის, იბერიის მეფის ფარსმანის ქანდაკებაც.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება რომის იმპერატორის, ვესპასიანეს და მისი ვაჟების: ტიტუსისა და დომიციანეს ერთობლივი წარწერაა კედლის სამშენებლო ქვაზე, სადაც ლაპარაკია, რომ არმაზის ციხე გამაგრებულია რომაელთა შიერ იბერიის მეფე მითრიდატისათვის, „კეისრისა და რომაელთა მეგობრისათვის".

წარმართული რელიგია მალე შეიცვალა ახალი რელიგიით - საქართველო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ქვეყანაა. აქ ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად 337 წელს გამოცხადდა. თუმცა საეკლესიო ტრადიციით ქრისტიანები საქართველოში ადრეულ პერიოდშიც იყვნენ. საისტორიო ანალები ამტკიცებენ, რომ მცხეთელმა ებრაელებმა იერუსალიმიდან ჩამოიტანეს და მცხეთაში დაფლეს მაცხოვრის კვართი. ამ ადგილზე მოგვიანებით კათედრალური ტაძარი-სვეტიცხოველი აღიმართა.

ქრისტიანობა საქართველოში იქადაგა კაბადოკიიდან მოსულმა ქალმა -ნინომ, რომელიც საეკლესიო ტრადიციით თვით ღვთისმშობელმა გამოგზავნა, რათა მისი წილხვედრი ქვეყანა ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებინა. მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ ყველაფერი გააკეთეს ახალი რელიგიის გასავრცელებლად. თანდათან დაიწყო წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების სინთეზი და ბევრმა წინაქრისტიანულმა წარმოდგენამ ახალი ელერადობა შეიძინა. საყურადღებოა, რომ არმაზის კულტი შეერწყა წმინდა გიორგის კულტს და განუსაზღვრელი პოპულარობა მოიპოვა ქართველთა შორის, იმდენად რომ ამ ქვეყანას ევროპაში „გეორგიას" ანუ გიორგის ქვეყანას უწოდებენ.

523 წელს გაქრისტიანდა დასავლეთ საქართველო და მთელი ქვეყანა ერთი რწმენით გაერთიანებული დაადგა ქრისტეს გზას. თუმცა საქართველოსათვის ეს იყო ჭეშმარიტად გოლგოთის გზა არცერთ ქრისტიან ერს არ განუცდია იმდენი რბევა-აწიოკება, დამცირება და შეურაცხყოფა, რაც

ქართველმა ერმა განიცადა საკუთარი რწმენისათვის, სამშობლოს ერთგულებისათვის, იმისათვის, რომ სურდა ყოფილიყო ქართველი და ქრიატიანი, დამოუკიდებელი. სამშობლოს ქართველს ხშირად ეცილებოდნენ და აიძულებდნენ იარაღი აეღო ხელში. ისიც ებრძოდა არაბებს, ხაზარებს, მონღოლებს, სპარსელებს, თურქებს, ლეკებს და ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიან ხალხებს.

ამ ბრძოლებში ყალიბდებოდა ახალი საქართველო - VIII-IX საუკუნეებში დაიწყო ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფორმირების პროცესი. ამ პროცესს სათავეში ჩაუდგნენ ტაო-კლარჯეთელი ბაგრატიონები. ბაგრატ III პირველი სერიოზული ნაბიჯები გადადგა სახელმწიფო ერთიანობისათვის ბრძოლაში. ბაგრატ IV დროს საქართველო თითქმის ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოა.

ეს ეპოქა გამორჩეული იყო უდიდესი კულტურული ძვრებით. ქრისტიანობით ნასულდგმულები კულტურული ფასეულობები თავის თავს ავლენდნენ ლიტერატურაში, ხუროთმოძღვრებაში, ლითონის მხატვრულ დამოშავებაში, ხელოვნებისა და კულტურის სხვა დარგებში.

ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში შეიქმნა ქართული ლიტერატურის შედევრი „შუშანიკის წამება“. ნაწარმოები იმდენად მაღალმხატვრულია, რომ საფუძველს იძლევა, რომ მასზე ადრე სხვა, ჩვენამდე მოუღწეველი მხატვრული ქმნილებების არსებობაც ვივარაუდოთ.

ქართველები იმხანად აქტიურად იღვწოდნენ ქრისტიანული რელიგიურ ცენტრებში - სინას მთაზე, პალესტინაში, ათონის მთაზე და სხვა ადგილებში. არსებობს შეხედულება, რომ ცნობილი ღვთისმეტყველი ფსევდოდიონისე არიოპაგელი იყო ცნობილი ქართველი მწიგნობარი პეტრე იბერი.

კულტურის მოღვაწეთა შორის, ჩვენ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ X საუკუნის ცნობილი ჰიმნოგრაფი იოანე ზოსიმე. მას ეკუთვნის საქართველოში მეტად პოპულარული ქმნილება: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ეს ნაშრომი მიჩნეულია როგორც ეროვნული ცნობიერების ზრდის მაჩვენებელი, როცა ქართულ ენას აშკარად უპირისპირებენ ბერძნულს, ებრაულს, ლათინურს

საღვთისმეტყველო ენებს და მესიის სალაპარაკო ენადაც კი თვლიან. პროვიდენციალისტებს მეტად საყურადღებოდ ეჩვენებათ ავტორის მტკიცება მეორედ მოსვლის დროს მესიის ქართულ ენაზე მეტყველების შესახებ და სხვადასხვა, ზოგჯერ დაუჯერებელ ჰიპოთეზებსაც კი აგებენ.

საქართველო და ქართული კულტურა განვითარების არნახულ სიმაღლეებს აღწევს. დიდი მეფის - დავით აღმაშენებლის (1089-1125) მეფობის წლებში საბოლოოდ დასრულდა საქართველოს გაერთიანება, წარმატებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის წყალობით მან საქართველო ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს ქვეყნად გადააქცია. არაბთა მფლობელობაში 400 წლის განმავლობაში მყოფი თბილისი კვლავ დედა-სამშობლოს დაუბრუნა, არა ერთხელ გაანადგურა მაჰმადიანი მფლობელების კოალიცია, რის გამოც თანამედროვეებმა „მესიის მახვილი“ უწოდეს. მის სახელთან არის დაკავშირებული გორის, როგორც ქალაქის აღმშენებლობა. ადრეულ საუკუნეებში უკვე არსებული დასახლება გორი და მისი ციხე დავითმა განამტკიცა, გააძლიერა, ჩაასახლა ვაჭრები და მნიშვნელოვან გამაგრებულ ციტადელად აქცია. გორი, მართლაც, „დავითის ქალაქია“.

დავითის მემკვიდრეების, განსაკუთრებით დიდი თამარის (1183-1213) დროს წარმატებულმა სამხედრო ოპერაციებმა საქართველო ძლევამოსილ სახელმწიფოდ გადააქცია: მას ემორჩილებოდა მთელი ამიერკავკასია, ჩრდილო კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ირანის ჩრდილოეთი პროვინციები. საქართველოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო თამარის ხელშეწყობით ჩამოყალიბებული ტრაპიზონის იმპერია, სადაც მისი ნათესავები - კომნენოსები მეფობდნენ. ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ წინ წასული ქვეყანა კულტურულადაც საოცრად დაწინაურდა.

თამარის ეპოქის სწორუპოვარი შედევრია გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“- ეპიკური პოემა სიყვარულზე, მეგობრობაზე, მაღალ ადამიანურ გრძნობებზე. მართალია, პოემა მთლიანად განმსჭვალულია ქართული სულით, საქართველოს პოლიტიკური ვითარება კი სკრუპულოზურად არის გადმოცემული, მასში ერთხელაც არ არის ნახსენები საქართველო, ქართველი, არც ერთი ტერმინი

ან გეოგრაფიული სახელწოდება არ მიგვანიშნებს საქართველოსთან მის კავშირზე. პოემაში არიან არაბები, ინდოელები, ჩინელები, ვენეციელებიც კი, არ არიან მხოლოდ ქართველები მაგრამ ქართველები არიან ყველგან - ეს ქართული სული ლაპარაკობს არაბის, ინდოელის პირით: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად", „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი", „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია". პოემის ღრმა ფილოსოფიური არსი ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის, კაცთმოყვარეობის გამომხატველია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს არის რუსთაველის ხაზი არა მარტო ლიტერატურაში, არამედ პოლიტიკაშიც - მეგობრობის, ხალხთა ერთიანობის, საყოველთაო ბედნიერების რეალიები, დამკვიდრებული არა მარტო გამოგონილ სამყაროში, არამედ დედამიწაზეც, ადამიანთა შორის, რადგან ავტორის აზრით მხოლოდ მეგობრობა უზრუნველყოფს საყოველთაო მშვიდობას, საზოგადოებრივ პროგრესს. შოთა რუსთაველისთვის „მეგობრობა" - მართლაც მთავარი სიტყვაა.

საერთოდ, შოთა რუსთაველის ინტერნაციონალიზმი არ არის მარტო ამ გენიალური პოეტის მიღწევა. საქართველოს ისტორიულმა ბედმა განაპირობა ქართველი ერის ღრმა ინტერნაციონალიზმი. ცნობილია, რომ ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის ტაძრის დანგრევისა და ებრაელთა ბაბილონის ტყვეობის შემდეგ ებრაელების ერთი ჯგუფი შემოიეხიზნა მცხეთას და აქ მკვიდრად დასახლდა. საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ებრაელთა დარბევის არცერთი შემთხვევა, ეს მაშინ როცა ლატერანის IV მსოფლიო საეკლესიო კრების (1215 წ.) გადაწყვეტილებით ებრაელთა დისკრიმინაცია საკლესიო კანონად გამოცხადდა. საქართველოში ცხოვრობდნენ სომხები, არაბები, თურქები. თბილისში ქართული კათედრალური ტაძრის მახლობლად მდებარეობდა სომხური ეკლესია, მაჰმადიანთა მეჩეთი და ებრაელთა სირნაგოგაც. ეს ღრმა ინტერნაცმიონალიზმი და ტოლერანტობა ქართველი ერის ისტორიული მონაპოვარია და განსაკუთრებით ფასეული.

ქართველები კი იყვნენ მშვიდობისა და მეგობრობის მოსურნენი, მაგრამ სხვათა პოლიტიკური ინტერესები მათ მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობას არ აძლევდათ.

მალე ჩაბარდა ისტორიას ერთიანი, ძლიერი საქართველო.

გაუთავებელმა შემოსევებმა მუსრი გააკლო მოსახლეობას. მარტო თემურ ლენგმა (XIV ს.) რვაჯერ ილაშქრა საქართველოში და მთლიანად მოაოხრა მისი მდიდარი პროვინციები და ოლქები.

მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური ვითარებაც კიდევ უფრო ამძიმებდა ქრისტიანული ქვეყნის მდგომარეობას: ბიზანტიის განადგურებამ და მის ნაცვლად საქართველოს სახლვრებთან მაჰმადიანური ქვეყნის გაბატონებამ, თურქების მიერ შავი ზღვის სრუტეების გაკონტროლებამ ცივილიზებულ ევროპისაკენ საქართველოს გზა გადაჭრა - დიდი ხნით ჩაიკეტა კარები, საქართველო პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა. დაიწყო საქართველოს სისხლიანი გოლგოთა.

მრავალი დამანგრეველი თავდასხმის შემდეგ თურქეთმა და ირანმა გაინაწილეს საქართველო: აღმოსავლეთი - ირანს, დასავლეთი თურქეთს ერგო. თანდათან მოხდა ერთიანი ეროვნული ორგანიზმისაგან ცალკეული მხარეებისა და კუთხეების მოწყვეტა, მაჰმადიანურ სამაყაროსთან მათი ინკორპორაცია. ამიერკავკასიაში სომხეთის ქრისტიანული სახელმწიფოს მოსპობის შემდეგ ერთადერთი ქრისტიანი სახელმწიფო საქართველო დარჩა. მაჰმადიანურმა სამყარომ თანდათან რკალში მოაქცია საქართველო და ექსპანსია გააძლიერა. საგარეო ფაქტორების ხელშეწყობით ერთიანი საქართველოს ნაცვლად გაჩნდა სამი სამეფო (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და ოთხი სამთავრო (გურია, აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი). თურქებმა წარმატება მიაღწიეს - მათ გაამაჰმადიანეს სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ირანმა მიაღწია იმას, რომ ქართლსა და კახეთში გამაჰ მადიანებული უფლისწულები იკავებდნენ სამეფო ტახტს.

ქართველი საზოგადოებისათვის აშკარა იყო, რომ ან ქვეყანას უნდა მიეკრიფა ძალები და მტკიცე ერთიანობის პირობებში წინ აღდგომოდა მაჰმადიანურ ექსპანსიას, ანარადა ბევრი სხვა ქრისტიანი სახელმწიფოს (სირია, ეგვიპტე, ბიზანტია, ალბანეთი) მსგავსად გათქვეფილიყო მაჰმადიანურ ოკიანეში.

იყო სხვა გზაც: ძლიერი ქვეყნის დახმარებით მოეპოვებინა დაკარგული თავისუფლება, ტერიტორიები ქრისტიანული იდეოლოგიური და პოლიტიკური კავშირის საფუძველზე. როცა კონტაქტებისათვის გზა დასავლეთ ევროპასთან თურქეთმა

გადაკეტა, დიპლომატიურმა ძალისხმევამ შედეგი არ გამოიღო (გაიხსენოთ საქართველოს მეფე - მთავრების წერილები ესპანეთის, საფრანგეთის მონარქებთან, სულხან-საბა ორბელიანის ვიზიტები ვატიკანში, ვერსალში და ა.შ.), გადაწყდა მტკიცე კავშირის დამყარება ერთმორწმუნე რუსეთთან. ამ პოლიტიკის სულისჩამდგმელი იყო ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს მეფე ალექსანდრე I (XV ს.) მისი პოლიტიკური ხაზის გამტარებლები იყვნენ პროგრესული სახელმწიფო მოღვაწეები: თეიმურაზ I, მეფე არჩილი, ვახტანგ VI, რომლებსაც ღრმად სწამდათ, რომ საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩებოდა, თუკი ამიერკავკასიაში გამოჩნდებოდა კიდევ უფრო დიდი და ძლიერი ქრისტიანული ქვეყანა, რომელიც დაეხმარებოდა საქართველოს გამოსულიყო მაჰმადიანი ქვეყნების ინტერესების სფეროდან.

რუსეთი XVI-XVII საუკუნეებში ძალებს იკრებდა და საგრძნობლად აფართოებდა თავის ტერიტორიებს. რუსები ქართველებისათვის უცნობი ხალხი არ ყოფილა - ჯერ კიდევ კიევის რუსეთში ქართველ მხატვრებს იწვევდნენ ეკლესია-მონასტრების შესამკობად. დიდი თამარის პირველი ქმარი გიორგი რუსი კიევის ცნობილი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი იყო და ამ დინასტიურ კავშირის საფუძველი სწორედ ერთმორწმუნე ძლიერ ქვეყანასთან მტკიცე კავშირის დამყარების სურვილი უნდა ყოფილიყო.

რუსეთის გაძლიერებამ და საქართველოს მეფე - მთავრების ინტენსიურმა კონტაქტებმა სერიოზულად შეაშფოთა მაჰ მადიანური სამყარო. ისინი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად, ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის გადმოსვლა კავკასიონის ქედზე სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა მათ ინტერესებს ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. ეს მათთვის საბედისწერო იქნებოდა, ამიტომაც მტკიცედ უნდა ამოექოლათ კავკასიის ყველა გადმოსასვლელი, რომ კავკასიის მაღალი მთები ყოფილიყო ბუნებრივი წყალგამყოფი ორ სამყაროს: ქრისტიანულ და მაჰ ამადიანურ სამყაროებს შორის. ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა ან ქართველების ტოტალური გამაჰ მადიანებით, ანდა ქართველებისაგან აღნიშნული ტერიტორიების განთავისუფლებით და მათ ნაცლად ერთგული

მაჰმადიანი ტომების ჩასახლებით. ამ მიზანს სკრუპულოზურად ახორციელებდნენ როგორც ირანის, ისე თურქეთის მმართველი წრეები საუკუნეების განმავლობაში. მათ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს ქართველი ერის გენოციდის საქმეში. ქვეყანა გაპარტახდა, მოსახლეობის რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა. ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს დასუსტებით ისარგებლეს ჩრდილოეთ კავკასიის ტომებმა და დაიწყეს საქართველოს ტერიტორიაზე დასახლება: აფსუები, ოსები, ლეკები ძირძველ ქართულ მიწებზე სახლდებოდნენ. მათ უერთდებოდნენ თურქებისაგან შევიწროვებული სომხები, ბერძნები, აისორები, ქურთები. საქართველო, მტრისაგან შევიწროვებული და დასუსტებული, იმუამად ვერც იმას გრძნობდა, თუ რას მოუტანდა მას მოსახლეობის ასეთი მრავალეროვანი შემადგენლობა, და არც იმის სამხედრო შესაძლებლობები ჰქონდა, რომ წერტილი დაესვა პერმანენტული მიგრაციული პროცესებისათვის, ამიტომ ძმურად იღებდა ახალმოსახლეებს და საკუთარი ქვეყნის მიწა-წყალს უყოფდა.

XVIII საუკუნეში განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს ხელისუფალთა ინტერესი ერთმორწმუნე რუსეთისადმი. უკვე აშკარაა მაჰმადიანური ქვეყნების სტრატეგიული ხაზი ამიერკავკასიის ქრისტიანული „რუნდიმენტი“ ამოსაკვეთია. სომხეთი ერევნის სახანოდ არის გადაქცეული, სამცხე-ჯავახეთი - ახალციხის საფაშოდ, აჭარა - მაჰმადიანურ ვილაიეთად.

საქართველოს მეფეებმა მოუხშირეს სტუმრობას მოსკოვში: თეიმურაზ I, მეფე არჩილი, ერეკლე I მრავალი წლის განმაელობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მოსკოვში. ერეკლე I ყმაწვილობაში ათი წლის განმავლობაში (1664-1674) ცხოვრობდა მოსკოვში ალექსი მიხეილის ძის სასახლეში. ის დაახლოებული იყო სამეფო ოჯახთან, მეგობრობდა მეფის ახალგაზრდა, თავნება მეუღლესთან ნატალია ნარიშკინასთან. არის სერიოზული ეჭვები, რომ რუსეთის დიდი იმპერატორი პეტრე I მამა არის არა ავადმყოფი შვილების მშობელი, მოხუცი ალექსი მიხეილის ძე, არამედ შავთვალება ქართველი უფლისწული. პეტრეს შავგვრემანი, ეგზოტიკური, არა სლავური გარეგნობა და დედოფალი ნატალიას ავხორცობა ასეთი ეჭვების

საფუძველს იძლევა.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა განსაკუთრებული გახდა გმირი მეფის - ერეკლე II მართველობის ხანაში (1744-1798). მან ხელმეორედ დაიწყო საქართველოს გაერთიანების პროცესი, მოახერხა ქართლ-კახეთის შეერთება. მას სურდა ამ პროცესის ორგანული დასრულება, ამიერკავკასიიდან მაჰმადიანთა საბოლოო განევნა და ამ საქმეში სერიოზულ მოკავშირედ სწორედ რუსეთი ესახებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლემ თვითონ იწვნია რუსეთის დიპლომატიის თვალთმაქცობა და ორგულობა, ის მაინც ერთგული იყო ერთხელ არჩეული პოლიტიკური გზის - 1783 წელს დაიდო მფარველობითი ხელშეკრულება რუსეთთან. ერეკლემ შეგნებულად თქვა უარი საკუთარი სუვერენიტეტის მნიშვნელოვან ნაწილზე და სწამდა, რომ ეკატერინე II მთავრობა უზრუნველყოფდა საქართველოს დაცვას მაჰმადიანი აგრესორებისაგან, შეუქმნიდა მოსახლეობას ხანგძლივ მშვიდობას და დაეხმარებოდა საქართველოს მისი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში. გმირი მეფე იმედოვნებდა, რომ რუსეთის ძლევამოსილი არმიის დახმარებით დაიბრუნებდა სამცხე-ჯავახეთს, სხვა დაკარგულ ისტორიულ მიწებს.

ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში უმძიმესია: ქვეყნის მრავალრიცხოვანი მოსახლეობიდან (XIII ს.) რამდენიმე ასეული ათასიღა დარჩა, გაჩანაგდა ეკონომიკა, მოიშალა პოლიტიკური ინფრასტრუქტურა.

მართალია, ეკონომიკა გაჩანაგდა, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ხალხის სულიერი პოტენციცია. ასეთ მდგომარეობაში მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აღმოჩნდა: ინდოეთი - უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა, განსაცვიფრებელი სულიერი კულტურით და გაყინული ეკონომიკური ურთიერთობებით, ჩინეთი - გრანდიოზული იმპერია საოცარი სულიერი ფასეულობებით და სუსტი ეკონომიკური პოტენციით, ჩამორჩენილი, არქაული სოციალური ურთიერთობებით ეს ყველაფერი ხომ შედეგი იყო აგრესიული მეზობლების მტაცებლური პოლიტიკის.

ამიტომ მცდარად უნდა ჩაითვალოს ი. ბ. სტალინის მთავარი პოლიტიკური ოპონენტისა და ბიოგრაფის ლ. დ. ტროცკის მტკიცება: „მისი (ე. ი. საქართველოს - ა. დაუშვილი) ნახევრად

ფეოდალური ურთიერთობანი ეყრდნობოდა დაბალ მატერიალურ საფუძველს და ამიტომაც გამოირჩეოდა აზიატური პატრიარქალურობის ნიშნებით, რაც არ გამორიცხავდა აზიურ სიმკაცრესაც კი"(1).

მართალია, 1800 წლისათვის საქართველო ბევრი პარამეტრით ჩამორჩებოდა რუსეთს, მაგრამ სოციალური თვალსაზრისით ძალიან არა. რუსეთშიც ფეოდალიზმი ბატონობდა და საქართველოშიც. რუსეთის შესაძლებლობები და მატერიალური დოვლათი, რა თქმა უნდა, შეუდარებალად მეტი იყო, ვიდრე საქართველოსი, მაგრამ ერის სულიერი პოტენცია, ხალხის მისწრაებები და იმედები, ქრისტიანული რწმენისადმი თავდადება და პატივისცემა დიდად არ განსხვავდებოდა რუსეთსა და საქართველოში. ამიტომაც მომავალში ადვილად მოხერხდა საქართველოს ინტელექტუალური ელიტის გაერთიანება მოწინავე რუსულ ინტელიგენციასთან.

რუსეთთან საქართველოს დაახლოება და კავკასიაში რუსეთის შემოსვლა სერიოზულად აღელვებდა ირანს. აღა-მაჰმად-ხანმა 1795 წელს ილაშქრა საქართველოში, სასტიკად დაამარცხა რუსეთის მთავრობის მიერ გადამწყვეტ დროს ორგულად მიტოვებული ქართველობა და თბილისი გადაწვა. ამ კატასტროფამ დააჩქარა დასასრული - სუსტი გიორგი XII გარდაცვალებისთანავე ჯერ პავლე I, ხოლო შემდეგ ალექსანდრე I ხელს აწერენ მანიფესტ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციის შესახებ.

ათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა დასრულდა. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის გუბერნიად გადაიქცა. დაიწყო ახალი ხანა ქართველი ხალხის ისტორიაში.

ძირმომპალი იმპერია

რუსეთის სახელმწიფოს ფორმირება წინააღმდეგობებით არის აღსავსე. ისტორიის ასპარეზზე აღმოსავლეთ სლავები ძალიან გვიან გამოვიდნენ. კიევის რუსეთის შესახებ ცნობები IX საუკუნეზე ადრე არ გვხვდება. მათი სახელმწიფოდ ფორმირების პროცესიც იდუმალებით არის მოცული. უძველესი სლავური ტომები: დრეველიანები, პოლიანები, ვიატიჩები, ულიჩები, ილმენის სლავები თემურ-გვაროვნული წყობილების ეტაპზე იმყოფებოდნენ იმ დროს, როცა ხმელთაშუაზღვისპირეთში, მათ შორის საქართველოშიც, მონათმფლობელობა ფეოდალიზმით იცვლებოდა და განსაცვიფრებელი კულტურული შედეგები იქმნებოდა, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად მტკიცდებოდა.

აღმოსავლეთ სლავების პოლიტიკური კონცენტრაციის პროცესის გაჭიანურდა. ძველი რუსული მატიანის: „გარდასულ დღეთა აღწერის“ მიხედვით დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით სლავებმა ვერ მოახერხეს სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა, არსებული პოლიტიკური ანარქიის ლიკვიდაცია, სამოქალაქო მშვიდობის აღდგენა. სლავები იძულებულნი გახდნენ წესრიგის აღსადგენად და სახელმწიფო ინსტიტუტების შესაქმნელად ქვეყანაში მოეწვიათ გარეშე სამხედრო ძალა ნორმანების ძლიერი რაზმი. ნორმანი რიურიკი და მისი ძმები ნოვგორედელი წარჩინებულების მიწვევით ძალის გამოყენებით ახერხებენ ანარქიის ლიკვიდაციას და უძველესი სლავური სახელმწიფოს შექმნას. ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი ამ ფაქტს ხსნის ძველი სლავური ტომების შიდაპოლიტიკური აშლილობით, როდესაც ვერ იმარჯვებს ვერცერთი მხარე და იძულებულია არბიტრად მოიწვიოს გარეშე ძალა ნეიტრალური, უცხო ელემენტი, რომელიც მოახერხებს დაპირისპირებულთა შერიგებას და საყოველთაო მშვიდობისა და წესრიგის დამყარებას(1).

საბჭოთა, ოფიციალური ისტორიოგრაფია უარყოფდა რუსული საისტორიო წყაროს ასეთ ინტერპრეტაციას, რაც ჩრდილს აყენებდა რუსების ნაციონალურ თავმოყვარეობას და იშველიებდა რა მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას და მის კონცეფციას კლასობრივი საზოგადოების, სახელმწიფოს

წარმოშობის შესახებ, ამტკიცებდა რუსეთში სახელმწიფოს ჩამოყალიბებას მხოლოდ საკუთარი, ადგილობრივი პოლიტიკური შესაძლებლობების გამოყენებით ძველი სლავური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველზე. მათი აზრით, ეს იყო შედეგი კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა, რამაც მოითხოვა სახელმწიფოს და მისი ძირითადი ატრიბუტის: სახელმწიფო მანქანის, ჯარის, დამსჯელი ორგანოების, უზენაესი სუზერენის - დიდი მთავრის ინსტიტუტსის წარმოშობა. ეს თეორია ნორმანულ ელემენტს მხოლოდ დამხმარე ფაქტორად განიხილავდა, რამაც, შესაძლებელია, მხოლოდ წერტილი დაუსვა სახელმწიფოს ფორმირების ხანგძლივ და შინაგან წინააღმდეგობრივ პროცესს.

რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ძალები კი მუდამ ეწეოდნენ ამ ფაქტით სპეკულაციას და ამტკიცებდნენ, რომ რუსებს არა აქვთ უნარი შექმნან სახელმწიფო, დამოუკიდებლად გამოვიდნენ ანარქიიდან, მუდამ სჭირდებათ უცხო ელემენტის აქტიური ჩარევა, რომ დასახულ მიზნებს მიაღწიონ.

წინააღმდეგობების მიუხედავად, რუსეთის სახელმწიფო ვითარდებოდა. თანდათან გაერთიანდნენ კიევისა და ნოვგოროდის სამთავროები. წარმოიშვა კიევის რუსეთი: ძლიერი, ექსპანსიური სახელმწიფო. მისი პირველი მთავრების: იგორისა და სვიატოსლავის მმართველობა ადასტურებს ამ შეხედულებას. 988 წელს კიევის რუსეთი გაქრისტიანდა - მან აღიარა ქრისტიანობის აღმოსავლურ-ბერძნული მიმართულება და მისადმი, მართლაც, შესაშური ერგულება გამოიჩინა.

კიევის რუსეთი გარკვეული პატივით სარგებლობდა ევროპაში. იეროსლავ ბრძენის დროს მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა წარმატებულიც იყო. მისი დიპლომატიური და დინასტიური ურთიერთობები საფრანგეთთან, უნგრეთთან, ბიზანტიასთან და სხვა ქვეყნებთან მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგებით გამოირჩეოდნენ.

ძველი რუსეთის გეო-სტრატეგიული მდგომარეობა და მისი საგარეო პოლიტიკური პრეტენზიები უკვე ამ პერიოდში სერიოზულად უპირისპირდებოდა მეზობელი ხალხებისა და სახელმწიფოების ინტერესებს. ამიტომაც ძველი რუსეთი ერთობ აგრესიული სახელმწიფოც იყო, როგორც ბევრი სხვა ქვეყანა. მისი წარმატებული ლაშქრობები ბიზანტიაში, ტერიტორიების

შემოერთება ვოლგისპირეთში, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ შემოჭრილი გერმანელი ტომებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა იმჟამად განსაზღვრავდა ძველი რუსეთის სახელმწიფოს მესვეურთა პოლიტიკას. რუსეთისა და გერმანიის სახელმწიფო ინტერესები უკვე იმ შორეულ ეპოქაში მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რამაც განაპირობა კიდეც ამ ორი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები ხანგძლივ ისტორიულ პერსპექტივაში.

მართალია, რუსეთი მაშინ ნაკლებად ორგანიზებული, სუსტი ეკონომიკური პოტენციით, მცირე შესაძლებლობების ქვეყანა იყო, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში მუდამ სჯობნიდა უფრო დისციპლინირებულ, მიზანსწრაფ გერმანელებს. ეს, ერთი მხრივ, მუდამ დამოკიდებული იყო გამორჩეული ისტორიული პიროვნების პოლიტიკურ და სამხედრო ალღოზე და, მეორე მხრივ, რუსეთის განუსაზღვრელ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებზე. ნოვგოროდის დიდი მთავრის ალექსანდრე ნეველის 1242 წელს გამარჯვეაბა გერმანელ რაინდებზე დიდი ისტორიული მნიშვნელობისაა.

ერთადერთი მონღოლები იყვნენ, რომლებმაც ისარგებლეს რუსეთის ფეოდალური დაქუცმაცებით და გატეხეს რუსეთის სამხედრო ძლიერება. XIII საუკუნის შუა ხანებში მთელი რუსეთი მონღოლთა ბატონობის უღელში აღმოჩნდა. მონღოლთა ორასწლიანმა ბატონობამ, რაც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა, დიდი კვალი დატოვა რუსების ფსიქოლოგიაზე, მათ სოციალურ ურთიერთობებზე. მონღოლთა გაუგონარმა სისასტიკემ გამოიწვია, გარკვეულწილად, მონური ფსიქოლოგიის გამომუშავება რუსეთის მოსახლეობის ძირითად მასაში, რამაც მომავალში, უკვე სახელმწიფო თავისუფლების პირობებში, ველარ მოახერხა სწრაფი ევოლუცია ახალ თვისებრიობაში - ვერ მოხერხდა შინაგანად თავისუფალი ერის მდგომარეობაში გადასვლა.

მონღოლთა ბატონობამ, რომელიც ერთნაირად შემაწუხებელი იყო როგორც მქონებელთათვის, ისე უქონლებისათვისს, ძლიერ დასწია უკან რუსეთის სოციალურ - ეკონომიკური განვითარება. მწარმოებელი ძალები ფიზიკურად ნადგურდებოდა, ქვეყნის თავისუფლებისაკენ მიმართული ყველა

მოძრაობა სასტიკად ისჯებოდა. რუსეთის დიდ მთავარსაც კი სისტემატურად უნდა შეესრულებინა ღირსების შემლახავი რიტუალი მონღოლთა ყაენთან მისვლის დროს - ორ ცეცხლს შორის უნდა გაევლო და სუზერენისაგან მმართველობის ნებართვა - რაყამი მიეღო. უხეში სამხედრო ძალა იყო ერთადერთი კანონი, რომელიც ეფექტურად მოქმედებდა იმ წლებში. აღმოსავლური დესპოტიზმი ხანგძლივად გაბატონდა რუსეთში.

ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა მოსკოვის სახელმწიფო გახდა ინიციატორი რუსი ხალხის განთავისუფლების. მოსკოვის გარშემო თანდათან დაირაზმა მთელი რუსეთი, მოსკოვის მთავრები გახდნენ ეროვნული იდეის რეალიზატორები. მათ აღმართეს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა და შორსმჭვრეტელი პოლიტიკით მოახერხეს საკუთარი ხალხის დარაზმვა ისტორიულ ბრძოლაში.

რუსეთის სახელმწიფო იქცა იმ ინსტრუმენტად, რომელსაც შეეძლო ყველაზე რთული ამოცანების გადაწყვეტა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა ივანე III (1462-1505) მმართველობის ხანაში. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი რუსეთის ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. მან ჯვარი დაიწერა ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის ძმისშვილზე - სოფიო პალეოლოგზე და ამით პრეტენზია განაცხადა ბიზანტიის სამეფო სიმბოლიკაზეც, მის პოლიტიკურ და სულიერ მემკვიდრეობაზე. რუსეთის წრეგადასული პრეტენზიები აშკარად ჩანს მოსკოვის მესამე რომის თეორიის ჩამოყალიბებაში: პირველი რომი - დაეცა, მეორე რომი (კონსტანტინეპოლი) დაეცა, მესამე რომი მოსკოვი, მარადიული დედაქალაქი იქნება.

ივანე III მემკვიდრეები, განსაკუთრებით ივანე IV (1533-1583) მრისხანეს მეფობის წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა და განმტკიცდა რუსეთის სახელმწიფო, გაფართოვდა მისი საზღვრები, გაიზარდა ქვეყნის პოლიტიკური მნიშვნელობა. ივანე IV მეთოდურად აფართოებდა ქვეყნის საზღვრებს, იერთებდა ახალ-ახალ მიწებსა და სახელმწიფოებს. მის დროს დაიწყო მაჰმადიანური სახელმწიფო-სამთავროების დაპყრობების ხანა: ვოლგისპირეთი, ციმბირი, ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოები ერთმანეთის მიყოლებით შედიოდნენ რუსეთის საელმწიფოს შემადგენლობაში და ძლიერებასთან

ერთად სისუსტის ნიშნებიც შეეჰქონდათ მასში: მრავალეროვანი, მრავალკონფესიური სახელმწიფოს ერთობა და ძლიერება ძნელი მისაღწევი იყო. მას გარკვეულ პერიოდში მუდამ დაშლის საფრთხე ემუქრებოდა. ასეთი სახელმწიფოს ერთიანობისა და ძლიერების გარანტი მხოლოდ ძლიერი სახელმწიფო მანქანა შეიძლება ყოფილიყო და მხოლოდ ძლიერი პიროვნება - მეფე-მონარქი შეძლებდა მუდმივად ასეთი სახელმწიფოს ერთიანობის უზრუნველყოფას.

ივანე IV ძლიერი სახელმწიფოს შენება უდიდესი მსხვერპლი დაუჯდა დაქუცმაცებული სახელმწიფოს ნაცვალად ერთიანი მონარქიის მისაღებად მას მკაცრი რეპრესიული აპარატის შექმნა დასჭირდა. „ოპრიჩნინამ“ და „ოპრიჩნიკებმა“ შესძლეს სისხლით შეედუღაბებინათ ყოფილი სამეფო-სამთავროები ერთ მონოლითურ ორგანიზმში. ამ სისხლიანმა ვაკხანალიამ რუსეთის ძირძველი თავადაზნაურობის ბევრი გვარეულობა შეიწირა. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ რუსული მოვლენა: ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში ახალი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფორმირება დაკავშირებული იყო ტრაგიკულ ამბებთან, სისხლიან შეტაკებებთან. ასე იყო საფრანგეთში ლუი XI დროს, ესპანეთში - ფილიპე II დროს, იტალიაში ჩეზარე ბორჯიას დროს, ირანში შაჰ-აბასის დროს და ა.შ.

ისტორიას აქვს „შავი საქმე“ - აუცილებლად გასაკეთებელი მოქმედება, ხშირად დაკავშირებული სიხლისღვრებთან, ტრაგიკულ შეტაკებებთან, სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებებთან, სხვა ეთნოსის გენოციდთან, ერთი ეთნოსისათვის საინტერესო ტერიტორიიდან მეორე ეთნოსის განდევნასთან, ეთნიკური საზღვრების შემომტკიცებასთან, სახელმწიფო საზღვრების განმტკიცებასთან და ა.შ. ეს ყველა „შავი საქმე“ სასურველია დასრულდეს შუა საუკუნეებში, რომ ერმა მოასწროს თავისი ნაციონალური და სახელმწიფო ფიზიონომიის ჩამობალიბება, კულტურული დამკვიდრება, ეროვნული მონოლითურობის მიღწევა. სამწუხაროდ, ისტორიას სხვა შემაკავშირებელი არაფერი გამოუგონია გარდა სისხლისა და შრომისა. ამასთან, ყველა ეს პროცესი უნდა ჩატარდეს საკუთარი ძალისხმევით, სხვების დაუხმარებლად, საკუთარი სულიერი და მატერიალური შესაძლებლობების მაქსიმალური დაძაბვით.

ვისაც ისტორიის ამოცანები თავის დროზე გადაუწყვეტი დარჩა სხვადასასხვა მიზეზის გამო, ის საოცრად დაიტანჯა იმ ეპოქაში, როცა ძალა უკვე აღარ იყო ისტორიის მთავარი შემოქმედი.

ივანე IV შემდეგ რუსეთი საოცარმა ანარქიამ მოიცვა. აქ გამოვლინდა კიდევ ერთი განსაკუთრებელი თვისება რუსეთის სახელმწიფო აპარატის, ცენტრალური მმართველობის დასუსტება ქვეყანაში იწვევს წარმოუდგენელ ანარქიას, სახელმწიფოს ყველა ატრიბუტის მოშლას. დასუსტებული კი ის ადვილი ლუკმა ხდება უცხო დამპყრობლის - ესეც ისტორიის აქსიომაა. ახლაც პოლონელებმა და შვედებმა თვალი დაადგეს რუსეთის უკიდეგანო ტერიტორიებს.

გამოიკვეთა კიდევ ერთი კანონზომიერება: როგორც კი მეზობელი პოლონეთი ამჩნევს რუსეთის დასუსტებას, ის აქტიურად ცდილობს თავისი ტერიტორიების გაფართოებას რუსეთის ხარჯზე. პოლონეთი დიდხანს ერთობოდა იმით, რომ რუსეთის სამეფო ტახტზე ერთიმეორეს მიყოლებით აჰ ყავდა სხვადასხვა თვივმარქვია პრეტენდენტი. ცრუდიმიტრების „ათთურმა“ დაკავშირებული იყო ეროვნული თავმოყვარეობის შელახვასთან, რელიგიური შეხედულებების შებღალვასთან, სახელმწიფო ინსტიტუტების შემდგომ დაკნინებასთან.

სახელმწიფოებრივი ძლიერების დაკარგვასთან ერთად რუსეთში გამოიკვეთა კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი რუსი ხალხისა, რაც ძლიერ შეესისხლხორცა კიდეც მას: ხანგძლივი, მდუმარე მორჩილების შემდეგ იწყება საშინელ აფეთქება, მქონებელთა და მჩაგვრელთა მიმართ სისხლიანი ანგარიშსწორება, გლეხური ბუნტის დამანგრეველი ენერგიის გამოვლენა. ივანე ბოლოტნიკოვის, სტაფანე რაზინის (XVII ს.) და მოგვიანებით (XVIII ს.) ე. პუგაჩოვის ძლიერი სახალხო ახანყებები თავისი სისხლიანი ვაკხანალიებით საშინელ კოშმარებად შემორჩა რუსეთის ისტორია და ნათელყო რუსეთის დემოსის დამანგრეველი ძალა კრიტიკულ ისტორიულ ეპოქებში.

ასეთი დამანგრეველი ტენდენციების ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი კვლავ ძლიერი სახელმწიფო მარნქანა იყო. მასვე შეეძლო გათავხედებული გარეშე დამპყრობლის ექსპანსიის შეჩერებაც.

XVII საუკუნის ანარქიიდან რუსეთი ახალმა სამეფო დინასტიამ გამოიყვანა. რომანოვების გვარის პირველი მეფეები

განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ახალ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს რუსეთში. რუსეთის სახელმწიფო საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოოდა: შემოიერთეს უკრაინა, ბელორუსიის ნაწილი. მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, რომ უსარმაზარ ტერიტორიაზე განფენილი, ეკონომიკურად განუვითარებელი ქვეყანა, რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი, საჭიროებდა ძირეულ ეკონომიკურ გარადაქმნებსა და პოლიტიკურ ცვლილებებს, რათა დაეკავებინა ღირსეული ადგილი მსოფლიოს ძლიერსა და წამყვან სახელმწიფოებს შორის. გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება: რუსეთში ვერ ხერხდებოდა საზოგადოებრივი განვითარების ევოლუცია, პერიოდულად მუდამ საჭირო იყო ვიღაცის მძავრი ხელი, ბიძგი, ნახტომი, რომ ქვეყანა ახალ თვისებრიობაში გადასულიყო.

მეფე ალექსი მიხეილის ძის დროს მოხდა მეტად საინტერესო რამ, რაც ასევე სიმპტომატურია და ანგარიშგასაწევი. ეს მოვლენა კარგად მიუთითებს რუსეთის საზოგადოებრივ ცნობიერებაში დაბუდებულ ტენდენციაზე, რაც რუსი ხალხის განსაკუთრებული რელიგიოზურობით, ბერძნულ მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მისი კუთვნილებით უნდა აიხსნას. უსახური ალექსი მიხეილის ძის მმართველობის დროს სახელმწიფოში განსაკუფთრებული ავტორიტეტი მოიპოვა პატრიარქმა ნიკონმა - გლეხის ოჯახიდან გამოსცულმა ენერგიულმა საეკლესიო მოღვაწემ, რელიგიურმა ფანატიკოსმა, დიდი ნებისყოფის კაცმა. მან საეკლესიო რეფორმა განახორციელა: რუსეთის ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები შეუდარა ბერძნული ეკლესიის დოგმატიკას და შემჩნეული ცდომილება ბერძნული კანონიკური წიგნების საფუძველზე გაასწორა. ამან რუსეთის ეკლესიაში განხეთქილება გამოიწვია. რუსეთის ეკლესიას გამოეყო მრავალრიცხოვანი დაჯგუფება „სტაროვერებისა“, რომელთა წინააღმდეგ შეუბრალებელი ომი გაჩაღდა. ამაშიც გაცხადდა რუსეთის ისტორიის კიდევ ერთი თავისებურება - რუსეთი მმუდამ ვიღაცის მიბაძვით ცხოვრობდა: ხან ბერძნებს ებაძებოდა, შემდეგ გერმანელებს, ფრანგებს, დღეს - ამერიკელებს.

პატრიარქი ნიკონი აშკარად ცეზარო-პაპიზმის იდეების

მატარებელი იყო. ძლიერ და ენერგიულ პიროვნებას სურდა ეკლესია (იდეოლოგია) საერო ცხოვრებაზე გაებატონებინა. ის აშკარად მიუთითებდა, რომ ეკლესია ეს მზეა, ხოლო მეფის ხელისუფლება - მთვარე, რომლმაც მზისაგან ცხოველმყოფელი სხივები უნდა მიიღოსო. ეს ნიშნავდა სასულიერო ხელისუფ-ლების გაბატონებას საეროზე. ასეთი შეხედულება აღმოსავლეთ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დამახასიათებელი არ არის, რადგან ის მუდამ ექვემდებარებოდა უზენაესი ხელისუფლის - იმპერატორის ძალაუფლებას, განსხვავებით დასავლეთ რომის კათოლიკური ეკლესიისა, რომელიც უკვე XI საუკუნიდან მმთლიანად იმორჩილებდა საერო ხელისუფლებას და ხანგძლივადაც ჩაუყარა საფუძველი ცეზარო-პაპიზმის იდეოლო-გიასა და პრაქტიკას. ხელოსნის შვილი - გრიოგოლ VII ჰილდებრანდი (XI ს.), ინოკენტი III (XIII ს.) და სხვები ჩინებულად ახორციელებდნენ ცეზარო-პაპიზმის იდეოლოგიურ პრინციპებს ცხოვრებაში. რუსი გლეხის შვილმა ეს პრინციპები ვერ განახორციელა რუსეთში. ქართველი გლეხის შვილმა ამის გაკეთება შესძლო...

ნიშანდობლივია ისიც, რომ რუსეთში მუდამ რელიგიური (სულიერი) პრობლემატიკა უფრო აღელვებდათ, ვიდრე ეკონომიკა. საუკუნეების განმავლობაში რუსეთის ეკონომიკის სახე თითქმის არ იცვლებოდა: ექსპორტის ტრადიციული სახე იყო ბეწვეული, დამარილებული თევზი, მარილი, სხვადასხვა ნედლეული. ეს მაშინ როცა ევროპაში ახალ-ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური აღმოჩენები ხდებოდა და ეკონომიკა სწრაფი ტემპით მიიწევდა წინ. რუსეთ სულ მუდამ ემუქრებოდა საფრთხე გადაქცეულიყო მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ.

რუსეთში მართლაც მომწიფდა რადიკალური ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განახლების აუცილებლობა. მაგრამ ამ იდეის რეალიზატორი არა ჩანდა: მეფე ალექსი მიხეილის ძის უფროსი ვაჟები: თეოდორე და ივანე ფიზიკურად გამოფიტული, ახალგაზრდობიდანვე დაჩაჩანაკებული პირები იყვნენ. მამის ავადმყოფი გენი მათ ძლიერი პოლიტიკური იმპულსების გამოვლენის შესაძლებლობას არ აძლევდა. ისინი ადრეულ ასაკში უსახელოდ ჩაბარდნენ ისტორიას.

საჭირო ენერგია და გაქანება გამოავლინა ალექსი

მიხეილის ძის მეორე ცოლის - ნატალია ნარიშკინას უფროსმა ვაჟმა პეტრე ალექსის ძემ (1672-1725). მუდამ გაკვირვებას იწვევდა მოხუცი, ავადმყოფი მამის, უდღეური ვაჟების მშობელი კაცის ზედმეტად ენერგიული, ბუმბერაზი აღნაგობის, შაგგვრემანი და შაკთმიანი ვაჟიშვილი, მეფე-რეფორმატორი.

დედოფალი ნატალია სულ ნორმი იყო, როცა ავადმყოფ მეფეს გააყოლეს და მოწყენილობას სასიყვარულო ინტრიგებში იქარვებდა. თვითონ პეტრე I ჩინებულად იცოდა, რომ არ იყო მეფის კანონიერი შვილი. შეზარხოშებული ის ხშირად ეკითხებოდა ხოლმე დედის ახალგაზრდობის „მეგობარს“ ბოიარ ტიხონ სტრეშნევს და მოითხოვდა მისგან პასუხს კითხვაზე: „ვისი შვილი ვარ მე?“ გაბეზრებული ბოიარი შეზარხოშებულ იმპერატორს შემდეგი პასუხით იცილებდა: “შემიწყალე მეფეო, არ ვიცი, განა მარტო მე ვიყავი?“. ეს ეპიზოდი კიდევ უფრო ზრდის „ქართული ვერსიის“ შესაძლებლობას.

პეტრე I საფუძველი ჩაუყარა ახალ რუსეთს. ევროპული ცხოვრების წესით მოხიბლულმა მან სასტიკი რეპრესიებით მოახერხა მისი ქვეყნისათვის სრულიად უცხო, ახალ ცივილიზაციის დანერგვა, მან უმოკლეს დროში რუსეთი ერთი თვისობრიობიდან მეორეში გადაიყვანა, საუკუნეების ძილისაგან გამოაღვიძა იგი და ისეთი ძლიერი იმპულსი მისცა, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში უზრუნველყო მისი პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება. თუმცა რუსეთმა დაკარგა თვითმყოფადობა, მან ღრუბელივით შეისრუტა ევროპის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობა. გარეგნულად ევროპული, მაგრამ შინაგანად რუსულ-აზიური სახელმწიფო წარმოშობისთანავე თავზარს სცემდა ახლო თუ შორეულ მეზობლებს. მიუხედავად გარკვეული ეკონომიკური პროგრესისა, სამხედრო საქმე უფრო სწრაფი ტემპით მიიწევდა წინ, ვიდრე სხვა დანარჩენი. რუსეთი პირველ რიგში სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფო იყო. პეტრემ არნახულად გააძლიერა სახელმწიფო მანქანა, გააძლიერა რუსეთი. რუსეთის სამხედრო შეიარაღება საუკეთესო ევროპულ სახელმწიფოების შეიარაღებას არ ჩამოუვარდებოდა. მაგრამ თავისებურება ის იყო, რომ ეკონომიკური წინსვლა მუდამ მიიღწეოდა მხოლოდ სახელმწიფოს ენერგიული ჩარევის შედეგად. ბიუროკრატია სახელმწიფო წინსვლის მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდა. რუსეთის პროვინციაში

კი თითქოს დრო გაიყინა ევროპული ქალაქები და არისტოკრატია, აზიური პროვინცია და გაალატაკებული გლეხობა - ეს რუსეთის ისტორიული განვითარების ორიგინალური და თავისებური კომპროზიტი იყო. ეს წინააღმდეგობა თავის თავში აერთიანებდა საშინელი აჯანყების შესაძლებლობას, რაც, რა თქმა უნდა, შეეცდებოდა რუსეთი განვითარების ტრადიციული იდეალებისაკენ დაებრუნებინა.

პეტრეს დროს კი ძლიერი ხელით შეიქმნა რუსეთის ძლევამოსილი იმპერია. სახელმწიფოს გეო-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე პეტრემ გაჭრა ფანჯარა ევროპაში - დაიკავა ბალტიისპირეთის ტერიტორიები, რომელიც შვედეთის კუთვნილება იყო და, ძირითადად, გერმანიზებულიც. ბალტიის ზღვა რუსეთისათვის განსაკუთრებით აუცილებელი გახადა მის შემდეგ, რაც პეტრემ ახალი დედაქალაქი სანკტ-პეტერბურგი დააარსა მდინარე ნევის შესართავთან და ჩრდილოეთის პალმირად გადააქცია ის. ბალტიისპირეთი რუსეთისათვის ისევე აუცილებელი გახდა, როგორც რიაზანი, ტვერი ან ფსკოვი.

რუსეთის ახალგაზრდა იმპერია კიდევ უფრო გაძლიერდა პეტრეს ნიჭიერი თუ უნიჭო მემკვიდრეების მმართველობის წლებში. მართალია, XVIII საუკუნის დასასრულს რუსეთის ტახტზე ეთნიკური გერმანელები აღმოჩდნენ: პეტრე III და ეკატერინე II ნამდვილი გერმანელები იყვნენ. პეტრე III ნახევრად რუსული წარმოშობა (ის პეტრე I ქალიშვილის ანას ვაჟი იყო) ბევრ არაფერს ცვლიდა, რადგან სულით-ხორცამდე გერმანელს არაფერი რუსული არ მოსწონდა. მისი პატივმოყვარე და მეტად აეხორცი მეუღლე კი თავისი ბუნებით უფრო რუსი აღმოჩნდა, რადგან ფავორიტების მიერ ტახტზე უკანონოდ აყვანილი დედოფალი რუსეთის უდიდეს ხელმწიფედ გადაიქცა. მის დროს რუსეთმა მოიპოვა უდიდესი სამხედრო გამარჯვებები, განიმტკიცა პოზიციები სამხრეთში ძლიერ შეავიწროვა თურქეთი, დაშალა და ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან ერთად დაინაწილა პოლონეთი, აქტიურად ერეოდა ევროპის ქვეყნების საშინაო საქმეებში. რუსეთი ზესახელმწიფო გახდა.

რუსეთის ძლიერება მუდამ იყო დაკავშირებული უზარ-მაზარ ადამიანურ რესურსებთან, მატერიალურ შესაძლებლო-

ბებთან, წარმატებულ დიპლომატიურ მოლთაწეობასთან. ბევრი თელის, რომ რუსეთის დიპლომატია უკვე მაშინ გამოირჩეოდა ლიციმერობით, ფლიდობით, რომ რუსეთი არასოდეს არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს, პატივს არ სცემდა საკუთარ ხელმოწერას საერთაშორისო დოკუმენტებზე. ამის ტიპიური მაგალითია რუსეთ-საქართველოს მფარველობის ტრაქტატი (1783), რაც რუსეთის მთავრობამ არ შეასრულა.

თუმცა, ძნელი დასაჯერებელია, რომ XVIII ს. ბოლოს შესაძლებელი ყოფილიყო არა მარტო რესეთთან, არამედ ცივილიზებულ ევროპულ ქვეყნებთანაც კი თანასწორი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, ძლიერი და სუსტი ქვეყნების ინტერესების ჰარმონიული შეხამება. მაშინაც, როგორც ყოველთვის, მთავარი იყო საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და გეო-სტრატეგიტული ინტერესი და უანგარო დახმარება და მხარდაჭერა მხოლოდ კეთილი სურვილის დონეზე რჩებოდა. ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ესპანეთი და პორტუგალია თავის უსარმაზარ კოლონიალურ იმპერიებს რუსეთზე უფრო ცივილიზებული მეთოდებით არ ქმნიდნენ. მაგრამ რუსეთის თავისებურება ის იყო, რომ ის დაპყრობილ ქვეყნებს თავის ტერიტორიებს უერთებდა, მას თავის კოლონიებისაგან არ აშორებდა ზღვები და ოკიანეები. თუმცა რუსეთის საგრძნობლად სუსტი ეკონომიკური და კულტურული იმპულსები არ იძლეოდა კოლონიზაციის ის სიმაღლეებისათვის მიეღწია, რითიც ამაყობდნენ საფრანგეთი და ინგლისი.

ეკატერინეს და მისი მემკვიდრეების დროს რუსეთი წარომატებით დამკვიდრდა ამიერკავკასიაში. ამაში საქართველოს პოლიტიკური მესვეურების დამსახურება უცილებელია. 1801 წელს ქართლ-კახეთის ძალმომრეობითი მიტაცების შემდეგ რუსეთმა მთელი ამიერკავკასია თანდათან დაიკავა. ამისათვის მას დასჭირდა მრავალი ძლევამოსილი ომი ირანთან და თურქეთთან. რუსეთმა ერთმანეთის მიყოლებით შეიერთა იმერეთის სამეფო (1810), აფხაზეთის სამთავრო (1865), გურიის სამთავრო (1828), სამცხე-ჯავახეთი (1829), სამეგრელოს სამთავრო (1857). რუსეთის ისტორიულმა გამარჯვებამ თურქეთზე 1877-1878 წლებში დააგვირგვინა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემომტკიცების პროცესი რუსეთის ეგიდით - დედა-სამშობლოს დაუბრუნდა ისტორიული აჭარა, კოლა-

არტაანი, კლარჯეთი, შავშეთი და სხვა ისტორიული მიწები, სადაც ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების ქართული ცივილიზაცია. რუსეთის სახელმწიფომ ფაქტიურად შეასრულა გეორგიევსკის ტრაქტატის ფარული მუხლები. მართალია, ოფიციალურად რუსეთის იმპერიამ და არა საქართველომ შეიერთა სამცხე-ჯავახეთი, აჭარა-ბათუმი, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა აღდგა - დედა სამშობლოს დაუბრუნადა ისტორიის ბედუკუღმართობის შედეგად დაკარგული ტერიტორიები.

ამ ფაქტმა დიდი ზეიმი გამოიწვია საქართველოში. უცხო მტრის მიერ ხელოვნურად გათიშული ძმები - ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები კვლავ გაერთიანდნენ. საქართველოში ეს უხაროდა ყველას. უხაროდათ პატარა ქართულ ქალაქშიც - გორშიც, უზარმაზარი იმპერიის პატარა პრვინციულ ქალაქში, რომლის აღზევება საქართველოს დიდი მეფის დავით აღმაშენებლის სახელთან იყო დაკავშიერებული.

დავითის ქალაქი

საქრთველოს ცენტრალურ ნაწილში, თბილისიდან 76 კილომეტრზე, იქ სადაც მდინარე ლიახვი მტკვარს უერთდება, მდებარეობს ი. ბ. სტალინის მშობლიური ქალაქი, დიდი მეფის დავითის ქალაქი გორი.

ქართულ ნარატიულ წყაროებში გორის პირველი ხსენება XI საუკუნის ანალებში გვხვდება. მემატიანე გვამცნობს, რომ VII საუკუნეში ამ ტერიტორიაზე უკვე არსებობდა გეოგრაფიული პუნქტი ძლიერი სიმაგრით.

არქეოლოგიური გათხრები კი ადასტურებენ, რომ გორის თანამედროვე ტერიტორიაზე, ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანებში უკვე არსებობდა კულტურული დასახლება. შემორჩენილია საინტერესო მატერიალური კულტურის ძეგლები, რაც ადგილობრივი მოსახლეობის დაწინაურებულ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე

მიგვანიშნებს(1).

გორი სავაჭრო საქარავნო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა. აქ ინასკვებოდა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მოძავალი სავაჭრო მაგისტრალები, მაგრამ გორი ყოველთვის თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით გამოირჩეოდა. ის მდებარეობდა ქართლის გულში, თბილისისაკენ მიმავალ გზაზე. ბუნებრივად შექმნილი მნიშვნელოვანი ციტადელი - საკმაოდ მაღალი გორაკი, ბუნებრივ დაბრკოლებას უქმნიდა მტერს დედაქალაქისაკენ მიმავალ გზაზე. ადამიანის ხელმა კი ბუნებრივი ციტადელი ხელთქმნილ ციხე-სიმაგრედ გადააქცია. როცა ქართველები თბილისს კარგავდნენ, პოლიტიკური ცენტრი გორში გადადიოდა და იქიდან იწყებოდა ბრძოლა ქვეყნის მტრისგან დასახსნელად.

მრავალი მოთარეშის შემოსევა ახსოვს გორს, ბევრჯერ დააქციეს მისი კედლები, მაგრამ ფენიქსივით კვლავ ფერფლიდან აღდგა და მუდამ ბურჯი იყო საქართველოს ძლიერებისა.

დიდმა მეფემ - დავით აღმაშენებელმა არა მარტო აღადგინა და გაამაგრა ციხე-სიმაგრე გორი, არამედ სწორედ ამ მეფის სახელს უკავშირდება გორის ქალაქად გადაქცევა. ქართული და უცხოური წყაროები გორს დავით აღმაშენებლის ქალაქად თვლიან. მეფემ აქ გადმოასახლა დიდძალი ახალი მოსახლეობა, მათ შორის სომეხი ვაჭრებიც, შეუქმნა მათ ეკონომიკური განვითარებისათვის ჩინებული პირობები და ქალაქი სავაჭრო ცენტრად გადააქცია(2).

ცნობილი სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაელი წერდა: „ხოლო დავით მეფე იყო ძლიერი სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში... მან აღაშენა ქალაქი ქართლის ქვეყანაში, ააგო ეკლესიები და მონასტრები მრავლად და უწოდა ქალაქი სახელი გორი“(3).

დავითის ქალაქი გორი თანდათან აღორძინდა, გამშვენიერდა. საქართველოს ძლიერების ხანაში (XI-XIII სს.) ის იყო შიდა ქართლის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი. ქალაქი მდებარეობდა ოანამედროვე ციხის უბანში, მას გარშემო შემოვლებული ჰქონდა ქვითკირის კედელი.

გორის ციხეს ფეოდალურ ხანაში უდიდესი სტრატეგიული

მნიშვნელობა ენიჭებოდა. ის მდებარეობდა იმ გზაზე, რომელიც თბილისს აკავშირებდა ახალციხესთან, იმერეთთან. ის გზას ულობავდა ჯავახეთიდან გადმოსულ მტრებს.

XIII-XVII საუკუნეებში გორი არა ერთხელ გახდა უთანასწორო ბრძოლების ასპარეზი. მონღოლების, ირანელებისა და ოსმალების ურდოებმა ამ ქალაქზეც გადაიარეს. ქართველები გმირულად იცავდნენ მას, იცავდნენ თავის დამოუკიდებლობას. უთანასწორო ბრძოლებში გორი არა ერთხელ განადგურდა, ჩაიფერფლა, მაგრამ ყოველი გამარჯვების შემდეგ ქართველები რუდუნებით აღადგენდნენ ხოლმე ქალაქ გორსა და მის ციხეს. გვიანი შუა საუკუნეების ხანაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დაკნინების მიუხედავად, გორი უცხოელ მოგზაურებზე მაინც დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. იტალიელი ამბროზიო კანტარინის ცნობით გორი „კეთილმოწყობილი ქალაქია“(3). ფრანგი მოგზაური შარდენი (XVII ს.) წერდა: „გორი პატარა ქალაქია, მდებარეობს ერთი გორის ძირას, რომელზედაც ციხე არის აშენებული“(4).

1770 წელს გორი ინახულა რუსეთის არმიის კაპიტანმა იაზიკოვმა და ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „ქალაქი გორი, თბილისიდან 80 კილომეტრზე მდებარეობს და შემოსაზღვრულია ქვის დაბალი, სუსტი კედლით... ახლა ქალაქის მცხოვრებნი ცოტანი არიან, მაგრამ ნანგრევებიდან ჩანს, რომ ისინი ბევრი ყოფილან“(5).

ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) წერდა, რომ „გორში არის შენობა უმეტეს ქვითკირისა, ეკლესიანნი კეთილშობილნი“(6).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გარეშე მტრების თავდასხმები შეწყდა. შეიქმნა პირობები ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის. გორი გახდა თბილისის გუბერნიის სამაზრო ცენტრი. ქალაქი გაფართოვდა, გაჩნდა ახალი უბნები. ქალაქში დამკვიდრდა რუსეთის არმიის სამხედრო ნაწილი.

ევროპელმა მოგზაურმა კლაპროტმა 1807 წელს ნახა გორი და შემოგვინახა თავისი შთაბეჭდილება: „ეს ქალაქი საქართველოში თბილისის შემდეგ უდიდესად ითვლება. აქ ითვლიან 300-მდე სახლს რომლებიც მოთავსებული არიან წრისებურად გალავნის შიგნით.“

1824 წელს შედგა ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა, მაგრამ მისი რეალიზაცია გაჭიანურდა. ქალაქში მშენებლობა მაინც სტიქიურად მიმდინარეობდა.

1837 წელს გორი ასე გამოიყურებოდა: ქალაქში იყო ხის შვიდი ხიდი, ქუჩები არა ჰქონდა, იყო 15 შესახვევი, არ იყო არცერთი მოკირწყლული ქუჩა, იყო სამი მოედანი, არცერთი საზოგადოებრივი ბაღი, კერძო პირებს ჰქონდათ 49 ბაღი და 35 ბოსტანი, ქალაქს ეჭირა 730 კვ. დესეტინა ფართობი. იმ წელს ქალაქში აიღირიცხა 646 ქვითკირის სახლი(7).

XIX ს. 50-იან წლებში ქალაქში გაელით იყო დიდი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა(მამა). საქართველოს ბუნებით და მისი ადამიანებით მოხიბლულმა რომანტიკოსმა ასეთი მოგონება დატოვა ქალაქ გორზე: „მე აქ შევნიშნე XII ან XIV საუკუნის ციხის ნანგრევები, რაც მშვენიერად მეჩვენა. ნანგრევები კლდის მწვერვალზეა და იმ მხრიდან, საიდანაც მე ვუყურებდი, სწორედ საკვირველი იყო, თუ მშენებლები როგორ ადიოდნენ ამ კლდეზე. უფრო შეიძლება გვეფიქრა, რომ ციხე ღმერთმა ჩამოუშვა ციდან მავთულით, დადგა კლდეზე და თქვა „აი ღვთაებრივი უფლება“(8).

გორის სოციალური და კულტურული ცხოვრება უფრო სწრაფი ტემპით წავიდა წინ 1861 წლის რეფორმების შემდეგ. ბატონყმობის ლიკვიდაციამ, კაპიტალისტური ურთიერთობების განმტკიცებამ დიდი იმპულსი მისცა მთელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა გორის მოსახლეობა. 1880 წელს ქალაქში უკვე 5668 კაცი ცხოვრობდა(9). ზრდასრული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოებაში იყო ჩაბმული. განსაკუთრებით დაწინაურებული იყო მეხამლეობა: თუ 1837 წელს გორში 19 ხარაზი მუშაობდა, 1864 წელს ფეხსაცმლის ბიზნესში ჩაბმული იყო უკვე 138 კაცი. საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩანს ევროპული ფეხსაცმლის მწარმოებელ ხელოსანთა რიცხვიც (46 კაცი). ხელოსნები ძირითადად ქართველებია, იყვნენ სომეხი ხარაზებიც.

60-70-იანი წლების რეფორმების დადებითი სოციალური შედეგები მალე გამოჩნდა: გორში შეიქმნა საქალაქო თვით-მართველობა. მალე აშენდა აქალაქში პირველი ქვითკირის ხიდიც, კეთილმოეწყო ქალაქის ცენტრალური მაგისტრალები.

1871 წელს შეკეთდა და პირველი ქვაფენილი დაიგო მეფის ქუჩაზე, შემდეგ მოწესრიგდა ტერიტორია არტილერიის ყაზარმებიდან ვიდრე მეჯვრისხევის ქუჩამდე. კერძო პირების ხელშეწყობით თანდათან მოიკირწყლა ჰოსპიტლის, ტაძრის (ამ ქუჩაზე ცხოვრობდა ჯუგაშვილების ოჯახი) ქუჩები, მჭედლების რიგები და სხვა ქუჩები.

გორი თანდაათან იღებდა ცივილიზებული ქალაქის სახეს ევროპული და ქართული ცივილიზაცია აქ მჭიდროდ გადაეჯასკვა ერთმანეთს. გორი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა.

ქალაქში შვიდი სასწავლებელი ფუნქციონირებდა: გორის სასულიერო და საქალაქო სასწავლებლები, ქალთა გიმნაზია, ამიერკავკასიის სამასწავლო სემინარია, ვაჟთა პროგიმნაზია, სომხური სასწავლებელი.

გორი ქართველი კულტურის მოღვაწეების საყვარელი ადგილი იყო. აქ ხშირად ჩამოდიოდნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, მსახიობები. გორის მოსახლეობას საოცრად უყვარდა სანახაობა. ყველიერში ჩვეულებრივად იმართებოდა ყეენობა - თეატრალიზებული მასობრივი მსვლელობა - კარნავალი, რაც შეიცავდა სპორტულ ელემენტებსაც: იმართებოდა ჭიდაობა, კრივი.

1892 წელს გორში იმყოფებოდა მაქსიმ გორკი. იმხანად ის რუსეთის სამხრეთ პროვინციებში მოგზაურობდა და ეცნობოდა ცხოვრებას. საქართველომ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მოგვიანებით ის ეტყვის ქართველებს: „თქვენი ქვეყნის ულამაზესმა ბუნებამ და თქვენმა რომანტიკულმა სიფაქიზემ სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ბიძგი, რომ მაწანწალიდან ლიტერატორი გავმხარიყავი“(10).

გორში მიღებულ შთაბეჭდილებას მან მიუძღვნა ნარკვევი „გორი“. მ. გორკი წერს: „გორი ძველი ქართული მოზრდილი რუსული სოფლის ოდენაა. ქალაქის შუა მაღალი გორაკია აღმართული და მასზე ციხეა. გორაკის ფერდობზე და მის ძირში გაბნეულია პატარა სახლები, თითქმის ყველა ქვისაა. მთელ ქალაქს რაღაც განცალკევებისა და ველური ორიგინალურობის კოლორიტი სდევს. მცხუნვარე ცა, გიუმაჟი და მღვრიე ტალღები მტკვრისა. ახლოს მთებია, მთაში რაღაც თანაბრად განლაგებული ხვრელებია - ეს მღვიმეთა ქალაქია.

შორს ჰორიზონტზე მუდამ უძრავი თეთრი ღრუბლები. ეს მთები კავკასიის მთავარი ქედისა, დაფარულია ვერცხლის უდნობი თოვლით"(11).

სწოროედ ამ კოლორიტულ ქალაქში, ერთ-ერთ ქუჩაზე ცხოვრობდა იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მშობლების ახალგაზრდა ოჯახი.

მ ა მ ა

ბევრი ძირძველი გვარია საქართველოში. მათ შესახებ საისტორიო ანალები მოგვითხრობენ. ბაგრატიონთა გვარის სამეფო დინასტია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. იგი უფრო ძველია, ვიდრე ბურბონები და ვალუები, ჰაბსბურგები და ჰოჰენცოლერნები, მით უფრო - რომანოვები. ეს გვარი საისტორიო ტრადიციით და ჰერალდიკაში ასახული სიმბოლიკით თავის წინაპრად ბიბლიურ მეფეს - დავით წინასწარმეტყველს თვლის: ბაგრატიონთა ღერბში ასახულია შურდული და ქნარი - ამ დიდი მეფის დამახასიათებელი ატრიბუტები. ბაგრატიონთა გვარი საქართველოში სამეფო ტახტზე უკვე X საუკუნეში დამკვიდრდა. ამ გვარის წარმომადგენლებმა არნახული ღვაწლი დასდეს საქართველოს, მის პოლიტიკას, კულტურას. ამ გვარის წარმომადგენლები დღესაც მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ენათესავებიან რომანოვების, ბურბონების და ორსინების სახელოვან დინასტიებს.

ასეთივე უძველესი გვარია „ანდრონიკაშვილი" გადმოცემით ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე კომნენოსის შთამომავლები, ბაგრატიონთა გვარის ნათესავები. ბედის უკუღმართობამ მათ ბიზანტიის სამეფო ტასტი დააკარგვინა, მაგრამ საქართველოს მეფეების დახმარებით ტრაპიზონის იმპერია შექმნეს და იმპერატორის ტახტი დაიკავეს. თურქების მიერ ბიზანტიის განადგურების, ტრაპიზონის აღების შემდეგ ამ გვარის წარმომადგენლები საქართველოში შემოიხიზნენ,

დიდი წინაპრის ანდრონიკე კომნენის სახელი გვარად აქციეს და გაქართველდნენ. ანდრონიკაშვილები აღმოსავლეთ საქართველოს ძლიერი და გაელენიანი თავადები გახდნენ.

რა თქმა უნდა, საისტორიო დინასტიურ ფოლიანტებში ვერ გადავაწყდებით გვარს „ჯუგაშვილი“...

ძველი ქართული სიგელ-გუჯრების შესწავლის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა დააღგინა, რომ XVIII საუკუნის კახეთის სამეფოს აღწერის მასალებში არ ფიგურირებს გვარი „ჯულაშვილი“, არამედ დაფიქსირებულია გვარი „ჯუგაშვილი“. ასოთშეხამება „ჯუგა“ თავისთავად მიგვანიშნებს უძველეს ქართულ სოფელზე გარე კახეთში ჯუგაანზე. ეს იყო ამ რეგიონის დაწინაურებული, ხალხმრავალი სოფელი. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, გვარის ფუძე ხშირად ემთხვეოდა მშობლიური სოფლის დასახელებას. საქართველოში ამგვარი ძალიან ბევრი გვარია: „მეტრეველი“ - სოფელ ტრევიდან, „ქსოვრელი“ - სოფელ ქსოვრისიდან და ა.შ.

ამ შემთხვევაშიც აშკარაა, რომ გვარის ფუძეს დასაბამი მისცა სოფლის სახელწოდებამ. კახეთის სამეფოს მე-18 საუკუნის მასალებში გვარი „ჯუგაშვილი“ გვხვდება სოფლებში: ჯუგაანში, მატაანში, მარილისში.

სოფელ მარილისის აღწერაში მითითებულია ვინმე ბერო ჯუგაშვილი და მისი ძმა - დიაკვანი გრიგოლი. ისინი ყოფილან თავისუფალი მოლაშქრეები, რომლებსაც არა ერთხელ გამოუჩენიათ თავი მტრის, განსაკუთრებით ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

XVIII საუკუნეში ლეკებმა განსაკუთრებით გააჩანაგეს კახეთის გლეხობა. მათმა სისტემატურმა ლაშქრობებმა და დარბევამ ცხოვრება აუტანელი გახადა. მათ მიერ გატაცებული ლამაზი ქართველი გოგო-ბიჭებით სავსე იყო მახლობელი აღმოსავლეთის მონათა ბაზარი. ქართველ ვაჭაცებს ყიდულობდნენ მამელუქთა ლაშქრისათვის და ზოგიერთმა მათგანმა ეგვიპტესა და ერაყში უმაღლეს ხელისუფლებასაც კი მიაღწია.

ლეკების გაუთავებელი თარეში კახელ გლეხებს აიძულებდა მშვიდი საცხოვრებელი გარემო მოეძებნათ. ისინი სახლდებოდნენ შიდა ქართლში, კავკასიის მთიან ზოლში. როგორც ჩანს, ბერო ჯუგაშვილის ოჯახიც აყრილა და ქართლში გადმოსულა საცხოვრებლად. ბერის სახელიდან ჩამოყალიბდა

გვარის ახალი შტო ბერიშვილი. ი. ბ. სტალინის ოჯახში არსებობდა გადმოცემა, რომ ისინი ადრე ბერიშვილები იყვნენ. ჯუგაშვილები დასახლდნენ სამაჩაბლოში - ლიახვის ხეობაში, სოფელ გერში. აქ მათ ხელი მოჰკიდეს მესაქონლეობას და განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ამ საქმეში. მათ „ჯუგაშვილებს“ უწოდებდნენ. არა ერთი დოკუმენტი ადასტურებს „ჯუგაშვილების“ არსებობას ამ სოფელში(1). ი. ბ. სტალინის დედა - ეკატერინე ჯუგაშვილი-გელაძის მოგონებაც ადასტურებს, რომ მისი მეუღლის წინაპრები გერიდან იყვნენ(2).

1861 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგ, როცა გლეხთა დიდი მასა უმიწოდ დარჩა, ჩრდილოეთ ოსეთში უმიწოდ დარჩენილი გლეხობა მოაწყდა საქართველოს. მათ დაიწყეს თავისუფალი მიწების დაკავება. ამ ნიადაგზე იყო კონფლიქტები ქართველ და ოს გლეხებს შორის. ზოგჯერ ქართველი მოსახლეობა იძულებული ხდებოდა ან აყრილიყო და სხვაგან გადასულიყო, ან ეროვნება შეეცვალა, გაოსებულიყო.

XIX ს. მეორე ნახევარში ჯუგაშვილების გვარის უფროსმა ზაზა ჯუგაშვილმა თხოვნით მიმართა თავად მაჩაბელს ჩაებარებინა მათი მამული სოფელ გერში და სამაგიერო მათთვის მიეცა საცხოვრებელი ადგილი ქართლ კახეთში. თავადმა მაჩაბელმა მას ეს თხოვნა შეუსრულა.

ჯუგაშვილების ოჯახი დასახლდა სოფელ დიდ ლილოში: თბილისთან ახლოს. ამ სოფელში დასახლდა ი. ბ. სტალინის პაპაც - ვანო ჯუგაშვილი. მან სოფლის განაპირა უბანში ააგო მიწური სახლი. მას ჰყავდა ორი ვაჟი: გიორგი და ბესარიონი. ივანე ურმით დადიოდა თბილისში და ვაჭრობდა. ერთხელ მას ყაჩაღები დაესხნენ თავს, ურემი წაართვეს და თვითონ კი მოჰკლეს.

მამის სიკვდილის შემდეგ ძმებმა ქონება გაიყვეს. გიორგი ჯუგაშვილმა მანგლისში სამიკიტნო გახსნა, მაგრამ მალე ისიც ყაჩაღებმა იმსხვერპლეს.

ბესო ჯუგაშვილი კი თბილისში ჩამოვიდა, მიეკედლა თბილისელ ხარაზებს, შეისწავლა მათი ხელობა და თავისი საქმის ჩინებული ოსტატი გახდა.

იმ ხანებში ვინმე გორელი მეწარმე ოსეფ აბრამოვი აპირებდა ფეხსაცმლის სახელოსნოს გახსნას გორში და თბილისში 30 ხელოსანი დაიქირავა. მათ შორის იყო ბესარიონ

ჯუგაშვილიც.

გადმოცემით, გორში ბესარიონს მალე სახელი მოუხვეჭავს როგორც ჩინებულ სპეციალისტს, ჰქონდა საკმაო ფული, კარგად იცვამდა და უყვარდა მეგობრებთან დროსტარება. არსებობს მისი გვიანდელი, სიტყვიერი პორტრეტი. ი.ბ. სტალინის ბავშვობის მეგობარი ი. ირემაშვილი ასე ახასიათებს მას: „ბესო ბესარიონი, შავი ხშირი წარბებით და მუქი უხეში წვერით, დიდი ტანის წარმოსადეგი კაცი იყო. ის ქართულ ჩოხასა და ჩექმებში ჩატანებულ განიერ ლურჯ შარვალს ატარებდა“. ძნელი დასაჯერებელია, რომ ი. ირემაშვილის გვიანდელი მოგონება ზუსტად ასახავდეს მეგობრის მამის გარეგნობას. ამ შემთხვევაში უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ოფიციალურად ცნობილ ბესო ჯუგაშვილის ფოტოსურათს.

როცა სათანადო დრო მოვიდა, ბესო ჯუგაშვილმა გადაწყვიტა დაოჯახება. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ბესოს და კეკეს ქორწილში, რომელიც 1874 წელს შედგა, მეჯვარედ იყვნენ იაკობ ეგნატაშვილი და მიხა ციხითათრიშვილი“(3).

ეს შეხედულება არ არის სწორი. აღმოჩნდა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ 1874 წლის 17 მაისს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში გორში დროებით მცხოვრებმა გლეხმა ბესარიონ ივანეს ძე ჯუგაშვილმა, მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელმა, პირველი ქორწინებით, 24 წლისამ ჯვარი დაიწერა გორში მცხოვრები, გარდაცვლილი გლახა გელაძის ასულ ეკატერინეზე, რომელიც ასევე მართლმადიდებელი აღმსარებლობის იყო, პირველი ქორწინებით და შეუსრულდა 18 წელი. ახალგაზრდებს ჯვარი დასწერა დეკანოზმა ხახანოვმა/ხახანაშვილი/(4).

ამ დოკუმენტში საინტერესოა ის, რომ იგი ქართულ ენაზეა შედგენილი და მასში დაფიქსირებულია სასიძოს გვარი - „ჯუგაშვილი“. ეს დოკუმენტი კიდევ უფრო ამაგრებს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ XIX ს. 70-იან წლებში ი. ბ. სტალინის მშობელი „ჯუგაშვილის“ გვარს ატარებდა და ასო „გ“ ჯერ არ იყო „ღ“-დ გადაქცეული (ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ როდის და რატომ მოხდა ჯუგაშვილის გვარში ასო „გ“-ს „ღ“-დ ტრანსფორმაცია). ასევე აშკარაა, რომ ივ. ჯავახიშვილი არ იცნობდა ჩვენ მიერ დამოწმებულ დოკუმენტს, თორემ მას, უდავოდ,

გამოიყენებდა თავის სტატიაში საკუთარი კონცეფციის გასამაგრებლად.

საინტერესოა ქორწინების დროს მოწმეთა ვინაობაც. სასიძოს მხრიდან მოწმეები იყვნენ გორში მცხოვრები გლეხები: ალექსი ნიკოლოზის ძე ზოზიევი, ნიკოლაი იესეს ძე კოპინოვი და ივანე იოსების ძე შარამოვი. საპატარძლოს მხრიდან მოწმეები იყვნენ: გორელი მოქალაქე ივანე სტეფანეს ძე მამასახლისოვი, ივანე გლახას ძე მესითოვი და სტეფანე გიორგის ძე გალუსტოვი.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოტანილი ცნობა, რომ სასიძოს მოწმეები იყვნენ ეგნატაშვილი და ციხითათრიშვილი, არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს პირები, უდავოდ, ჯუგაშვილების ოჯახის ახლობლები იყვნენ, მაგრამ დოკუმენტებში შედარებით გვიან ჩნდებიან.

საყურადღებოა, რომ მოწმეებს შორის ბევრია სომეხი ეროვნების წარმომადგენელი, რაც ჯუგაშვილი-გელაძის ოჯახების ინტერნაციონალურ ტრადიციებზე მიუთითებს და ქართული ტოლერანტობიდან გამომდინარეობს.

რეგისტრაციის ამავე წიგნში, სადაც ქორწინებაა დაფიქსირებული, ცხრა თვის შემდეგ გადავაწყდით შემდეგ ჩანაწერს: „1875 წლის 14 თებერვალს დაიბადა, 20 თებერვალს ნათლისღება მიიღო, სახელი - მიხეილი, მშობლები: გორში მცხოვრები გლეხი ბესარიონ ივანეს ძე ჯუგაშვილი და სჯულიერი ცოლი მისი ეკატერინე გლახას ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოების, მიმრქმელი გორელი გლეხი შალუა ბეჟანის ძე მაჩაბელაშვილი“(5).

სამწუხაროდ ერთი კვირის შემდეგ (და არა ერთი წლის შემდეგ, როგორც ეს ლიტერატურაში იყო ცნობილი) ბავშვი გარდაიცვალა წითელასაგან. იმჟამად გორში ძალიან დიდი სიკვდილიანობა იყო. ბევრი ადამიანი დაიღუპა სხვადასხვა დაავადებისაგან. ბავშვების დიდი ნაწილი, მათ შორის თავადაზნაურთა შვილებიც კი, გარდაიცვალნენ წითელასაგან.

1876 წლის 24 დეკემბერს ბესოს და ეკატერინეს კვლავ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც გიორგი დაარქვეს. მისი ნათლია იყო გორელი გლეხი იაკობ გიორგის ძე ეგნატაშვილი(6). ბავშვმა მხოლოდ შვიდი თვე იცოცხლა და ისიც წითელასაგან გარდაიცვალა (1877 წ. 19 ივნისს).

ამრიგად, უნდა გასწორდეს ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომ „მალე ახალგაზრდა ოჯახს პირველი ვაჟი შეეძინა, ნათლიამ იაკობ ეგნატაშვილმა მას გიორგი დაარქვა. ერთი წლის შემდეგ ბავშვი გარდაიცვალა. დაიბადა მეორე ვაჟი, რომელსაც იგივე ნათლიამ მიხეილი დაარქვა... ორი კვირის შემდეგ იგი გარდაიცვალა“(7).

ასევე დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბესო ჯუგაშვილს ყავდა სამი შვილი და არა ოთხი, რასაც ზოგიერთი მკვლევარი, ისტორიკოსი თუ ბელეტრისტი ამტკიცებს /მაგალითად: რ. ტაკერი, ა. რიბაკოვი, რ. მედვედევი/(8). გორის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის სარეგისტრაციო წიგნში მეოთხე ბავშვის შესახებ ინფორმაცია არ არის.

ორი ვაჟიშვილის გარდაცვალება ახალგაზრდა ოჯახში დეპრესიას, უდავოდ, გამოიწვევდა, მართალია, ბავშვების სიკვდილიანობა იმჟამად იშვიათი არ იყო, მაგრამ ახალგაზრდა ოჯახის განმტკიცების საქმეში შვილის დაბადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ უბედურებას გაემწვავებინა ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა, არ უნდა იყოს გამორიცხული ისიც, რომ ბესოს ბავშვების გარდაცვალების გამო მეუღლე დაედანაშაულებინა. ბევრი სტალინოლოგი ამ ფაქტებს უკავშირებს ბესარიონ ჯუგაშვილის სასმელისადმი მიდრეკილების გაძლიერებას. ეს შესაძლებლობა მხედველობიდან არ უნდა იყოს გამორიცხული, თუმცა, ჩვენი ვარაუდით, ეს მაინც უფრო გვიან უნდა მომხდარიყო.

ბესარიონის სასმელისადმი ზედმეტად მიდრეკილების ფაქტს განსაკუთრებით სიამოვნებით აღნიშნავს თავის ნაშრომებში ი. ბ. სტალინის პოლიტიკური ოპონენტი და ბიოგრაფი ლ. ტროცკი. მას სიამოვნებას ჰგვრის, რომ თავის მთავარ პოლიტიკურ მეტოქეს ლოთის შვილი უწოდოს და ამტკიცებს, რომ ი. ბ. სტალინის მოხრილი მარცხენა ხელი და ფეხზე შეზრდილი ორი თითი, უდავოდ, ქრონიკული ლოთის შვილის გენეტიკური დაღი იყო(9).

ლ. ტროცკი, საერთოდ, ავლენს სრულ უვიცობას საქართველოს ისტორიისა და ქართველი ხალხის ტრადიციების ცოდნაში. მან არ იცის, რომ საქართველოს უძველესი მეღვინეობის ქვეყანაა, სადაც არა მარტო მოჰყავდათ და მოჰ ყავთ ღვინო, არამედ მისი მოხმარებაც იციან. ნატურალური

ღვინის სამკურნალო თვისებები დადასტურებულია უძველეს ქართულ სამკურნალო წიგნებში და სამედიცინო პრაქტიკაშიც. საქართველოში ღვინოს და, საერთოდ, სასმელს ადრინდელ პერიოდებში არ მოჰქონდა ისეთი დამანგრეველი სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგები, როგორც ეს იყო რუსეთში, რადგან აქ ძირითადად იყენებდნენ ნატურალური ყურძნის ღვინოს, როცა რუსეთში პოპულარული უფრო იყო არაყი.

და კიდევ ერთი გარემოება: ი. ბ. სტალინის ფენომენალური გონებრივი შესაძლებლობები არ ადასტურებს მის მძიმე გენეტიკურ მემკვიდრეობის შედეგებს. ქრონიკული ალკოჰოლიკების შვილები, როგორც წესი, დაბალი გონებრივი შესაძლებლობებით გამოირჩევიან.

ბესარიან ჯუგაშვილი თავისი სოციალური კლასის ტიპიური წარმომადგენელი იყო. კარგი ხელოსანი, ახალგაზრდა, მეგობრობის მოყვარული. ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე ახალგაზრდები ხშირად იკრიბებოდნენ ერთმანეთის ოჯახებში, აწყობდნენ მეგობრულ ლხინს, მღეროდნენ ქართულ მრავალხმიან სიმღერებს, ბაასობდნენ, ლაღობდნენ. ეს ჩვეულება დღესაც ქართული სოფლის მნიშვნელოვანი თავისებურებაა. ქართველი ბავშვობიდან ეზიარება ცხოვრების ამ წესს. ამიერკავკასიაში ყველაზე საუკეთესო სუფრის ღვინოს ქართლ-კახეთში ამზადებდნენ. მოსახლეობას სახლში მუდამ ჰქონდა და დღესაც აქვს საუკეთესო ხარისხის ქართული ღვინო. ნადიმი საქართველოში ხანგძლივი იციან. ნადიმის დროს ღვინის დახმარებით ყოფითი პირობითობა ირღვევა, ადამიანები ადვილად ამყარებენ კონტაქტს ერთმანეთთან, ხდება ერთმანეთის სულიერი სამყაროს შეცნობა და იმის მიხედვით, თუ რა შთაბეჭდილებას დატოვებს თანამეინახე დაიახლოებს ან საბოლოოდ უარყოფს მას. ამიტომაც დღესაც ქართულ ნადიმს - „ჭეშმარიტ აკადემიას“ უწოდებენ. ეს არის საკრალური რიტუალი რთული ტრადიციული ატრიბუტიკით. ევროპელისთვის ის ირაციონალურ ყოფიერებას წარმოადგენს, ქართველისათვის კი ნაციონალური თავისებურებაა. ეს ქართული წეს-ჩვეულება ბესო ჯუღაშვილის ოჯახშიც იყო კულტივირებული, ი. ბ. სტალინი ბავშვობიდავე ეზიარა მას, შეისისხლხორცა და სიცოცხლის ბოლომდე მისი ცხოვრების წესი გახდა, განსაკუთრებით სოციცხლის ბოლო წლებში.

გადატანილი ტაგედიის შემდეგ ჯუგაშვილებმა კიდევ ერთხელ სცადეს ბედი და გაუმართლათ. მათ მესამე ვაჟიშვილი შეეძინათ. მას იოსები დაარქვეს.

მესამე ვაჟის დაბადება ოჯახში სიხარულთან ერთად გარკვეულ შიშსაც წარმოშობდა მისი ჯანმრთელობისა და მომავალი ბედის გამო.

ჩვენ არ ვიცით და ძნელი სათქმელია, განახორციელა თუ არა ბესარიონ ჯუგაშვილმა ვაჟიშვილის დაბადებისას ქართული ტრადიციული წეს-ჩვეულება: გაისროლა თოფი, მოაწყო ოჯახური წვეულება. ი. ბ. სტალინის მშობლები ვაჟის დაბადების დროს ახალგაზრდები იყვნენ: მამა - 28 წლის, დედა - 22 წლის და საფიქრებელია, რომ ტრადიციით გათვალისწინებულ ყველა წესს შეასრულებდნენ.

მესამე ვაჟის დაბადების შემდეგ ბესარიონი კვლავ გორში აგრძელებს საქმიანობას. ეს პერიოდი, ალბათ, არაფრით არ იყო გამორჩეული: ყოველდღიური შრომა, სარჩო-საბადებელის ძიება იქნებოდა მისი ცხოვრების მთავარი მიზანი. ამასთან, ტრადიციული ცხოვრების წესიც უცვლელი დარჩებოდა - საღამოობით მეგობრების წრეში ლხინი, დროსტარება. ასეთი იყო ტიპური ქართველი მუშა-კაცის ყოფა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

გვინდა სპეციალურად შევეხოთ ბესარიონ ჯუგაშვილის ეროვნულ კუთვნილებას. ჯერაც პოპულარულია ამ თემით სპეკულირება. ი. ბ. სტალინის პოლიტიკური ოპონენტები ავრცელებდნენ მოსაზრებას ბესოს არაქართული წარმომავლობის შესახებ. ი.ირემაშვილი თავის მოგონებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოსოს მამა „ოსი იყო"(10). ამ მოსაზრებას დღესაც სია-მოვნებით იმეორებენ ოსი ისტორიკოსები.

ჩვენ გვსურს ერთ გარემოებაზე გავამახვილოთ ყურადღება: XIX საუკუნის საქართველოში, რუსეთის რუსიფიკატურული პოლიტიკა გულისხმობდა არარუსი ეროვნებების წარმომად-გენელთა ფართო ასიმილაცია. ბევრი ფაქტორი აიძულებდა იმ დროის მცხოვრებს შეეცვალა გვარი, გათქვეფილიყო რუსულ სინამდვილეში. ამ საქმეშიც პირველობდნენ ქართველი თავადაზნაურები: გავიხსენოთ ციციანოვები (ციციშვილები), ლაშქაროვები (ლაშქარაშვილები), ჩოლოკაევები (ჩოლოყა-შვილები), ანდრონიკოვები (ანდრონიკაშვილები). მათ არც

გლეხები ჩამოუვარდებოდნენ. თვითონ ბესარმიონ ჯუგაშვილის გარემოცვაშიც ბევრს ჰქონდა გვარი რუსულ ყაიდაზე გადაკეთებული. გავიხსენოთ მისი ხელისმომკიდენი: ზოზიევი (ზოზიაშვილი), კოპინოვი (კოპინაშვილი), დეკანოზი ხახანოვი აშკარად ხახანაშვილია. მოვლენებს გავუსწრებ წინ და სოსოს თანაკლასელებიდან ძალიან ბევრს გვარი რუსულად ჰქონდა გადაკეთებული: ლაპეროვი (ლაფერაშვილი), დავიდოვი (დავითაშვილი), კარბელოვი (კარბელაშვილი) და ა.შ. ბესარიონ ჯუგაშვილს რომ არაქართული წარმომავლობა, ქართული თვითშეგნება არა ჰქონოდა, ის უმტკივნეულოდ შეიცვლიდა გვარს და გახდებოდა „ჯუგაევი“. მაგრამ მან ბოლომდე ქართული გვარი ატარა. ამ ფაქტს, ჩვენი აზრით, აქცენტირება უნდა.

ამავე დროს, ამ ფსევდოპრობლემით ზედმეტად გატაცებულ ისტორიკოსებს მინდა შევახსენო, რომ ნებისმიერი პიროვნების რეალურ და არა ფორმალურ ნაციონალურ კუთვნილებას განსაზღვრავს დედა და არა მამა!

ჩვენ არ ვიცით, თუ რა იყო კონკრეტული მიზეზი, 1885 წელს ბესარიონ ჯუგაშვილი თბილისში მიდის სამუშაოდ. შეიძლება ეს დაკავშირებული იყო ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუაირესებასთან. ამ წელს თბილისში მრეწველმა ადელხანოვმა ამიერკავკასიაში უდიდესი ფეხსაცმლის ფაბრიკა გახსნა და მას კვალიფიცირებული ხელოსნები სჭირდებოდა. როგორც გადმოგვცემენ, პირველ ხანებში ბესო ჯუგაშვილი ხშირად ჩადიოდა გორში, აკითხავდა ოჯახს. შემდეგ უკლო ვიზიტებს. სავარაუდოა რომ თბილისის ბოჰემამ ჩაითირია. ღვინისადმი მისი მიდრეკილება კიდევ უფრო გაიზარდა. ალბათ, ამის გამო მან დაკარგა სამუშაო ფაბრიკაში, დაიწყო ქუჩაში ფეხსაცმლის შემკეთებლად მუშაობა, აღებულ ფულს სასმელს ახმარდა. ასეთ ვითარებაში მან, როგორც ჩანს, ოჯახისადმი ინტერესი დაკარგა და აღარ მატერიალურად ეხმარებოდა მას.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული იყო შეხედულება, რომ ის გარდაიცვალა 1890 წელს სამიკიტნოში ატეხილი აურ-ზაურის დროს. მაგრამ დოკუმენტურად დასტურდება, რომ ამ დროს ის ცოცხალია. ჯერ ერთი, არსებობს ი. ბ. სტალინის ბავშვობისდროინდელი განცხადება თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის სახელზე (დოკუმენტი

თარიღდება 1894 წლის სექტემბრით), სადაც სოსო მშობლებს მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს. განცხადება ხაზინის ხარჯზე სემინარიაში შენახვის საკითხს ეხებოდა და ახალგაზრდა სემინარისტი, უდავოდ, ხაზს გაუსვამდე თავის ობლობას, მამის გარადაცვალებას(11).

თბილისის სასულიერო სემინარიის დოკუმენტებში აღმოჩნდა საყურადღებო ცნობა: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების უწყისზე, რომელიც 1898-1899 წლებით თარიღდება, არის მითითება პასუხისმგებელი მშობლის შესახებ. ყველა მოსწავლის ფორმულარში მოხსენიებულია მამა. იოსებ ჯუგაშვილის უწყისში დაფიქსირებულია დედა ეკატერინე ჯუგაშვილი(12). ამ შემთხვევაში მხოლოდ ორი რამ შეიძლება ვივარაუდოთ: მამა ან უკვე გარდაცვლილია, ან მას აღარავითარი კავშირი ოჯახთან აღარ აქვს და ის არავის აღარ მიაჩნია „პასუხისმგებელ პირად“ არც შინაურს, და არც გარეშეს. წინაამღმდეგ შემთხვევაში, ის ხომ თბილისში ცხოვრობდა და შვილთან ტერიტორიულად უფრო ახლოს იყო, ვიდრე დედა.

ამ ორი ვერსიიდან სწორი უნდა იყოს მეორე - ბესარიონ ჯუგაშვილს 1895 წლიდან ოჯახთან კავშირი აღარ აქვს, რადგან დასტურდება, რომ ის ცოცხალია და თბილისში ცხოვრობდა.

არსებობს რამდენიმე ვერსია მისი გარადაცვალების შესახებ. თბილისის არქივსაცავებში ინახება მოგონება, რომელიც ამტკიცებს, რომ ბესარიონ ჯუგაშვილი გარდაიცვალა თბილისში 1905 წლის რევოლუციის დროს. როცა ეკატერინეს ეს ამბავი გორში გაუგია, ძალიან დაღონებულა და მეორე დღესვე თბილისში გამგზავრებულა(13).

არის სხვა ვერსიაც, უფრო სარწმუნო: სოფელ ლილოდან წასვლის შემდეგ ბესარიონ ჯუგაშვილი მაინც ითვლებოდა ამ სოფლის მაცხოვრებლად და ვალდებული იყო ფიქსირებული გადასახადი გადაეხადა. როცა წლების განმავლობაში მან ეს გადასახადი არ გადაიხადა, მას ლილოდან თბილისში ჩააკითხეს სოფლის მამასახლისმა და გადასახადების ამკრეფმა. ბესოს გადასახადის გადახდაზე უარი განუცხადებია(14).

როცა მოვალეები მას აღარ მოეშვნენ, ბესოს უთქვამს, - ჩემი ბიჭი უკვე 18 წლის არის და იმან გადაიხადოსო. მაგ-

რამ, როგორც ჩანს, იოსებსაც უარი უთქვამს ვალის გადახდაზე უფულობის გამო. გადასახადის ამკრეფს ბესოსათვის მაზრის უფროსთან უჩივლია, რომელსაც ჩაფარი გაუგზავნია იოსების მოსაყვანად. განყოფილებაში იოსებს განუცხადებია, რომ სწავლობს და ამდენი თანხის გადახდა არ შეუძლია. ამის გამო მისთვის პალტო წაურთმევიათ. მეორე დღეს იოსებ ჯუგაშვილს მოუტანია ვალის ნაწილი და მისთვის პალტო უკან დაუბრუნებიათ(15).

არის კიდევ ერთი საყურადღებო დოკუმენტი: 1909 წლის 7 აგვისტოს თბილისის მიხეილის საავადმყოფოში რეგისტრაციაში გატარდა ბესო ჯუგაშვილი, 55 წლის. მართალია, 1909 წელს ი. ბ. სტალინის მამა 55 წლის კი არა, არამედ 59 წლის უნდა ყოფილიყო, თუ ვერწმუნებით მისი ქორწინების მოწმობას, რომ 1874 წელს, ქორწინების დღისათვის ის 24 წლის ახალგაზრდა იყო. ეს მისი წლოვანების დამადასტურებელი ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. მასში მითითებულია ავადმყოფის დაბადების ადგილი თბილისის მაზრა, სოფელი ლილო. ავადმყოფი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. საცხოვრებელ ადგილად აღნიშნულია: თბილისის მე-3 უბანი, ღამის თავშესაფარი. ხელოსანი. ხარაზი. დოკუმენტები და ფული არა ჰქონდა. გარდაიცვალა 1909 წლის 12 აგვისტოს. დოკუმენტს თან ერთვის საავადმყოფოს ხელმძღვანელებისა და თბილისის პოლიციის განყოფილების მესვეურთა შორის დაფიქსირებული მიმოწერა ბესარიონ ჯუგაშვილის საავადმყოფო ხარჯების გადამხდელის მოძებნის შესახებ.

როგორც ჩანს, ნათესავებმა ბესარიონ ჯუგაშვილის გარდაცვალების შესახებ არაფერი იცოდნენ. არსებობს ბესარიონ ჯუგაშვილის სხეულის გაკვეთის აქტი, რის საფუძველზეც გაიცა გარდაცვალების მოწმობა.

ყოველივე ზემოთ თქმული კვლავ ადასტურებს, რომ ბესარიონ ჯუგაშვილს ოჯახთან არავითარი კავშირი უკვე აღარ ჰქონდა. ცხოვრობდა მარტო. ეაჟიშვილი რევოლუციურ მოძრაობაში იყო ჩაბმული და ნაკლებად ფიქრობდა ოჯახზე, მით უფრო რომ იმ დროს გადასახლებაში იმყოფებოდა. მას მამის მიმართ, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ნაზი გრძნობები არ ექნებოდა. და ამას ამტკიცებს ერთი შემთხვევაც: 1946 წელს ი. ბ. სტალინმა სოჩაში, თავის აგარაკზე მიიწვია

ქართველი ინტელიგენციისა და პოლიტიკური მოღვაწეების მცირე ჯგუფი. მათ ორი დღე გაატარეს ერთად ქართულ ტრადიციულ გარემოში. ქართული ლხინის დროს შეისვა მხოლოდ დედის - ეკატერინე ჯუგაშვილი-გელაძის სადღეგრძელო(16). მამაზე კი არაფერი თქმულა. ეს იშვიათი შემთხვევაა ქართულ სუფრაზე. როგორც ჩანს, ყველამ იცოდა, რომ მამა მოგონებისა და შესანდობრის ღირსი არ იყო. ეს შემთხვევა დაფიქსირებულია ცნობილი ქართველი მსახიობის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ვასაძის მემუარებში.

ამრიგად, ბესარიონ ჯუგაშვილს ეაჟიშვილის პიროვნების ფორმირებაში ნაკლები წვლილი მიუძღვის.

დ ა ბ ა დ ე ბ ა

მსოფლიო ხალხთა ყველა ენციკლოპედიასა და ცნობარში, ი. ბ. სტალინის ყველა ბიოგრაფიაში მითითებული იყო და ყველამ ასე ვიცოდით, რომ ი. ბ. სტალინი დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს ქალაქ გორში. ამ თარიღის საფუძველზე მრავალი ჰოროსკოპი შეიქმნა და ასტროლოგიური თვალსაზრისიც გამოითქვა.

ასტროლოგები და პროვიდენციალისტები ი. ბ. სტალინს აერთიანებდნენ ე.წ. „ცხრიანთა“ კლუბში: მსოფლიოს ტრაგიკული და ბედგამწყრალი პოლიტიკოსების რიგებში. ისინი „ცხრაში“ დაიბადნენ: ნაპოლეონ ბონაპარტი (1769 წ.), ადოლფ ჰიტლერი (1889 წ.), ლავრენტი ბერია (1899 წ.), ლევ ტროცკი (1879 წ)...

„ცხრიანი“ მართლაც უბედური და ტრაგიკული ფაქტებითა და მოვლენებით შევიდა კაცობრიობის ისტორიაში: 1649 წელს, ინგლისის რევოლუციის დროს თავი მოჰკვეთეს მეფეს. 1789 წელს დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია, 9 თებერვალს

დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი (1904 წ.), 1905 წლის 9 იანვარს დაიწყო რუსეთის პირველი რევოლუცია, 9 ნოემბერს იფეთქა გერმანიის რევოლუციამ (1918 წ.), 1939 წელს გაჩაღდა II მსოფლიო ომი...

სტალინელებს მუდამ საგონებელში აგდებდათ მათი კერპის „ცხრიანთა" კლუბისადმი მიკუთვნება, რადგან თელიდნენ, რომ საბჭოთა ხალხების დიდი ბელადის პოლიტიკური ბედი რადიკალურად განსხვავებულია.

სრულიად შემთხვევით საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში თბილისის სასულიერო სემინარიის დიდი ხნის მანძილზე გასაიდუმლოებულ ფონდებში ჩვენ გადავაწყდით დროისაგან გაყვითლებულ, საკმაოდ მოზრდილ წიგნს: „მეტრიჩესკი წიგნი მიცემული საქართველოს იმერეთის უწმინდესი მმართველის სინოდის კანტორიდგან 1878 წ.".

ამ წიგნში 24-ე ნომრად გაკეთებულია შემდეგი ჩანაწერი: „ვაჟი, დაბადების დღე - 6 დეკემბერი, ნათლისღება - 17 დეკემბერი, სახელი იოსებ, მშობლები: გორში მცხოვრები გლეხი ბესარიონ ივანეს ძე ჯუგაშვილი და სულიერი ცოლი მისი ეკატერინე გაბრიელის ასული, ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა"(1).

ბავშვის მიმრქმელი იყო გორელი გლეხი მიხეილ შოთას ძე ციხითათრიშვილი. ეს ჩანაწერი გააკეთა დეკანოზმა ხახანოვმა.

ი. ბ. სტალინი დაბადების ახალი თარიღის სასარგებლოდ მეტყველებს კიდევ სხვა, ჩვენ მიერ გამოვლენილი რამდენიმე დოკუმენტი: გორის სასულიერო სასწავლებლის ატესტატი, რომელიც ს. ჯუგაშვილზეა გაცემული და საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იოსებ ჯუგაშვილი დაიბადა 1878 წლის 6 დეკემბერს(2). ეს დოკუმენტი თარიღდება 1894 წლის ივნისით.

აქვე ინახება ი. ბ. სტალინის მოწმობა, რაც გაიცა მის მიერ თბილისის სასულიერო სემინარიის დატოვების შემდეგ. აქ მითითებულია, რომ „იოსებ ჯუგაშვილი დაიბადა ექვს დეკემბერს ათას რვაას სამოცდათვრამეტ წელს"(3). დოკუმენტი თარიღდება 1899 წლის ოქტომბრით.

არის სხვა დოკუმენტიც: თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა აკადემიური წარმატებებისა და ყოფაქცევის

ალრიცხვის ჟურნალი (1899 წ.). იოსებ ჯუგაშვილის შესახებ გაკეთებულ ჩანაწერში მითითებულია დაბადების წელი - 1878 თუმცა დაბადების რიცხი მცდარია აღნიშნულია 8 დეკემ-ბერი(4).

ამრიგად, დადასტურებულად უნდა იქნეს ჩაითვალოს, რომ იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი (სტალინი) დაიბადა გორში 1878 წლის 6 დეკემბერს (ძველი სტილით).

მეტად საგულისხმო ფაქტად მეჩვენება და ბედის ირონიას წარმოადგენს ის, რომ სწორედ მის დაბადების დღეს - 6 დე-კემბერს თბილისის სასულიერო სემინარიის ტაძარში (სტალინის „მშობლიურ“ სასწაველებელში) გადაიხადეს პომპეზური პარაკ-ლისი ახლადშობილი ყრმის საპატივსაცემოდ. მთელი იმპერია, კავკასიის მეფისნაცვლის კარი და თბილისის ელიტა იმყამად ზეიმით აღნიშნავდა ცესარევიჩის - მიხეილ ალექსანდრეს ძე რომანოვის დაბადებას. უფლისწული 22 ნოემბერს დაიბადა და, როგორც ჩანს, ამ ფაქტმა თბილისში დაგვიანებით მოაღწია.

პროვიდენციალისტი ამ შემთხვევაში იტყოდა: „სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგაო“ - ღვთაებრივი კურთხევა მიიღო გლეხის ქოხში დაბადებულმა ყრმამ, რომელმაც თავისი ნიჭით მოიპოვა იმ იმპერისის უმაღლესი ხელისუფლება, რომლის „კანონიერი მემკვიდრის“ დაბადებას კავკასიის სატახტო ქალაქიც მისი დაბადების დღეს ზეიმობდა.

როდის უნდა მომხდარიყო იოსებ ჯუგაშვილის დაბადების თარიღის შეცვლა? ჩვენი ვარაუდით, ეს საქართველოშივე უნდა მომხდარიყო, რევოლუციური მოღვაწეობის ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზების გამო. ჩვენ მოსაზრებას ამაგრებს ცნობა, რომელსაც მივაკვლიეთ თბილისის მთაწმინდის მამა დავითის ეკლესიის სარეგისტრაციო დავთარში. 1906 წლის 16 ივნისს აქ ჯვარი დაიწერა იოსებ ჯუგაშვილმა ეკატერინე სვანიძეზე. აქ სასიძოს ასაკი მითითებულია 26 წელი(5). 1878 წელს დაბადებული კაცი 1906 წლის 16 ივლისს 28 წლის (ზუსტად, 27 წლისა და 6 თვის) მაინც იქნებოდა. სარეგისტრაციო წიგნში დაფიქსირებული წლოვანება აშკარად გვაფიქრებინებს, რომ ი. ბ.სტალინს დაბადების წელი უკვე გადაკეთებული აქვს.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ი. ბ. სტალინი, პირიქით, ოფიციალურ წლოვა-

ნებასთან შედარებით ერთი წლით პატარა (ე.ი. უნდა დაბადებულიყო 1880 წელს) იყო და ეს „სიყალბე" (ერთი წლის მოტება) დასჭირდა ჯუგაშვილების მეზობელს დეკანოზ ჩარკვიანს (მის პირველ მასწავლებელს), რათა ბეჯითი ყმაწვილი სასწავლებელში დროზე ადრე მიეღოთ(6).

ამ მოსაზრების ნაკლი აშკარაა: ორივე სასულიერო სასწავლებლის დოკუმენტებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მითითებულია სწორი თარიღი: 1878 წლის დეკემბერი.

ბოლო დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა ახალი მოსაზრება ი. ბ. სტალინის მიერ დაბადების თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით: „ი. სტალინი 1902 წელს დააპატიმრეს ბათუმში. მას ბრალად ედებოდა ორი რამ: თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის წევრობა და ბათუმის დემონსტრაციის ორგანიზება. ი. სტალინს ჰქონდა შანსი ორივე ბრალდებიდან თავის დაძვრენისა. მან კარგად იცოდა, რომ დაბადებული იყო 1878 წელს და როგორც სამხედრო ვალდებული 1900-1901 წლების გაწვევას ექვემდებარებოდა. ამდენად, ი. სტა-ლინისათვის შეიძლებოდა წაეყენებინათ ბრალდება - სამხედრო. სამსახურისათვის თავის არიდება. 1879 წელს დაბადებულს კი ასეთ ბრალდებას ვერ წაუყენებდნენ"(7).

ძნელი დასაჯერებელია, რომ ორი სერიოზული „დანაშაული" - სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრობა და გაფიცვის ორგანიზება გაენეიტრალებინა ასაკის შემცირებას, მით უფრო, რომ სოსო ჯუგაშვილის დაზიანებული მარცხენა ხელი და ფეხზე შეზრდილი ორი თითი, დედისერთობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მის სამხედრო ვალდებულებას გარკვეული ეჭვის ქვეშ აყენებდა. დამატებით კითხვებს წარმოშობს დაბადების დღის ცვლილებაც - როგორც წესი, იცვლიან (ამცირებენ) დაბადების წელს. დაბადების დღე კი ნამდვილი რჩება. ამ შემთხვევაში დაბადების დღე, 6 დეკემბერი უნდა შეცვლილიყო ახალი სტილით 19 დეკემბრით. ეს საკითხი, ჩვენი აზრით, დამატებით შესწავლას საჭიროებს.

აქვე გვსურს ანტისტალინელთა შორის მეტად პოპულარულ თემასაც შევეხოთ: ზოგიერთ ავტორთან ხანდახან ფიგურირებს დებულება იმის შესახებ, რომ ბესარიონ ჯუგაშვილი არ იყო ი. ბ. სტალინის ნამდვილი მამა.

ამ შეხედულების წარმოშობის მიზეზი ძნელი გამოსაცნობი

არ არის: ი. ბ. სტალინმა უნიკალური პოლიტიკური კარიერა გაიკეთა, ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომ, მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ მისი მამა ასეთი ჩვეულებრივი მოკედავი - ქართველი ხარაზი იყო.

მწერალი ა. ადამოვიჩი ამტკიცებს, რომ როცა იმპერატორი ალექსანდრე III თბილისში იყო სტუმრად, მას ერთ-ერთ სალამოს საწოლში მიჰგვარეს ახალგაზრდა, ლამაზი ქართველი ქალი. ამ კავშირის შედეგია ი. ბ. სტალინი. იმპერატორი თბილისში 1888 წელს ჩამოვიდა, ამ დროს ი. ბ. სტალინი თითქმის ათი წლის იყო და უკვე სასწავლებელში დადიოდა(8).

მეორე ლეგენდის მიხედვით ი. ბ. სტალინის მამა უნდა ყოფილიყო ცნობილი რუსი გეოგრაფი ნიკოლოზ მიხეილის ძე პრჟევალსკი, რომელიც ვითომდა 1879 წლის დასაწყისში გორში ცხოვრების დროს გაეცნო ეკატერინე გელაძეს. ეს ვერსია ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ი. ბ. სტალინი დაიბადა 1879 წელს. მაგრამ ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ ი. ბ. სტალინი დაიბადა 1878 წელს. ამასთან, 1878-1879 წლებში პრჟევალსკი ცხოვრობდა პეტერბურგში და ამზადებდა აზიის მესამე ექსპედიციას(9).

საქართველოში უფრო პოპულარულია მითი, რომ ი. ბ. სტალინის მამა იყო ბესარიონის მეგობარი იაკობ ეგნატაშვილი. ამტკიცებენ, რომ ეს ფაქტი იცოდნენ მეზობლებმა და მეზობლის ბავშვებმაც კი. სოსოს ამის გამო თითქოს დასცინოდნენ და ეძახდნენ „ნაბიჭვარს", რამაც ბავშვს არასრულყოფილების კომპლექსი განუვითარა, შეზიზღდა ადამიანთა მოდგმა და აქედან არის მისი წრეგადასული სისასტიკე.

ეს ვერსიაც ძნელი დასაჯერებელია. იაკობ ეგნატაშვილი ბესარიონ ჯუგაშვილის მეგობარი, ხელოსანი კაცი იყო მკედარი შვილის ნათლია. ნათლიობის ტრადიცია საქართველოში დღესაც წმინდათაწმინდაა, მით უფრო XIX საუკუნეში. ნათლია ოჯახის ახლო ნათესავად ითვლებოდა, იკრძალებოდა ყოველგვარი საქორწინო კავშირიც კი მეშვიდე თაობამდე, მით უფრო ადიულტერი. ეკატერინე გელაძე, ყველას აღიარებით, ღვთისმოშიში, ტრადიციების დამცველი ქალი იყო და ამ წმინდათაწმინდა ტრადიციას ის არ დაარღვევდა

მაგრამ, მოდი დავუშვათ, რომ ი. ბ. სტალინი ადულტერის ნაყოფი იყო (რამდენი დიდი პოლიტიკური მოღვაწე იყო ბასტარდი), უნდა დავუშვათ, რომ ეს უცნობი იქნებოდა მეზობლებისათვის,

რადგან ეკატერინე გელაძე მარტოხელა დედა არ ყოფილა, ის იყო ჯვარდაწერილი მეუღლე და დედა, გორში პატივცემული ქალი და არვითარი საფუძველი არ არსებობდა მისი შვილისათვის დამამცირებელი სახელი ეწოდებინათ. თანაც, განა გორის მაღალი საზოგადოება თავის ოჯახში მიიღებდა სამუშაოდ ქალს, რომელსაც შელახული რეპუტაცია ექნებოდა? ეს ხომ ნონსენსია.

მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ სტალინის დაბადებასთან დაკავშირებულია ბასტარდობის მითი, პროვინდენციალიზმის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ეს მას აახლოებს მსოფლიო მითოლოგიის ისეთ გმირებთან, რომელლებიც „უკანონო შვილები“ არიან (რომული და რემი, ჰერაკლე და ა.შ.). მსგავსი ლეგენდა არსებობს ნაპოლეონზეც.

დ ე დ ა

იოსებ ჯუგაშვილის დედა - ეკატერინე გელაძე დაიბადა 1856 წელს გორელი მოქალაქის გაბრიელ (გლახა) გელაძის ოჯახში. მისი ბავშვობისა და ყრმობის შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცით. უცნობია მისი მამის გაბრიელის ბიოგრაფიაც. ერთი კი აშკარაა - არავის და არასდროს ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია გაბრიელ (გლახა) გელაძის ქართველობა.

პირველი დოკუმენტური ცნობა ეკატერინე გელაძის შესახებ ჩნდება 1874 წელს, როცა მან 17 მაისს გორის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ბესარიონ ჯუგაშვილზე. ამ დროს ეკატერინე 18 წლის ყოფილა. როგორც ჩანს, მისი მამა - გაბრიელი ცოცხალი აღარ იყო, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა კიდეც ეკატერინეს გათხოვება. დოკუმენტებში ეკატერინეს მამა ძირითადად იხსენება ზეღწოდებით „გლახა“. მხოლოდ ერთ შემთხვევაში - ი. ბ. სტალინის დაბადების აღმნიშვნელ ჩანაწერშია დაფიქსირებული სახელი - „გაბრიელი“(1).

შემდგომში, ი. ბ. სტალინის ზეობის ხანაში ეკატერინეს მამას ოფიციალურ დოკუმენტებში უწოდებენ „გიორგის“. ეკატერინეს დედის სახელი და წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია.

ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ ეკატერინე გელაძის ბავშვობა და ყრმობა ქართული ტარადიციული აღზრდის სისტემა ქალს უპირველეს ყოვლისა დედად და ოჯახის დიასახლისად ზრდიდა. შესაძლებელია, რომ მას გათხოვების პერიოდში არ სცოდნოდა წერა-კითხვა, მაგრამ ქართული ხალხური სიბრძნის ელემენტებს ის, უდავოდ, ნაზიარები იქნებოდა: ეცოდინებოდა ხალხური სიმღერები და ლექსები, აფორიზმები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, ხალხური ზღაპრები და თქმულებები, საქართველოს ისტორიის საყურადღებო ხალხური გადმოცემები, ხელსაქმე და ოჯახის გაძღოლის ტრადიციული წესები.

ისიც ხაზგასასმელია, რომ ეკატერინე გელაძის ოჯახში ტოლერანტობისა და ტრადიციული ქართული ინტერნაციონალიზმის ტრადიცია უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული, რადგან ქორწინების ცერემონიალზე მისი სამი მოწმიდან სამივე სომეხია(2).

ოჯახური ცხოვრება ჯუგაშვილების ოჯახში პერმანენტული სიტკბოებითა და ბედნიერებით აღსავსე შეიძლება არა ყოფილიყო, თუ წარმოვიდგენთ ოჯახის სოციალურ მდგომარეობას და XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს, კოლონიალური ქვეყნის, სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, რაც მძიმე ტვირთად სწორედ დემოკრატიული ფენების წარმომადგენლებს აწვებოდათ. მაგრამ ახლადშექმნილი ოჯახი, ალბათ, შეეცდებოდა ცხოვრების ელემენტარული პირობები შეექმნა.

ახალგაზრდა ოჯახისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი ვაჟიშვილის დაბადებას. ეს განსაკუთრებით ეკატერინესთვის იყო სიხარულის მომტანი - ახალგაზრდა ქალი უკვე დედა გახდა. მაგრამ პირველი ორი ვაჟიშვილის ტრაგიკული აღსასრული, უდავოდ, პირველ რიგში ტრავმას სწორედ დედის გულს და მის ფსიქიკას მიაყენებდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ტრავმამ მასში გააძლიერა მისი რელიგიური ცნობიერება. საქართველოში, ტრადიციულად, ქალი-

შვილებს, განსაკუთრებით დემოკრატიულ ფენებში, ორთოდოქსალური მართლმადმიდებლობის პრინციპების საფუძველზე ზრდიდნენ.

ეკატერინე ამ პერიოდში ძირითადად საკუთარი ოჯახური საქმეებით იყო დაკავებული, ზრუნავდა მეუღლეზე და ელოდებოდა შვილის დაბადებას.

ეს ნანატრი ვაჟიც დაიბადა. ეკატერინე იმ დროს 22 წლის - ენერგიული და ჯანღონით აღსავსე ქალი იყო. მისი მთავარი ამოცანა პატარა სოსოზე ზრუნვა იქნებოდა. სოსო აკვანში გაზარდეს - ბავშვის ტრადიციულ საწოლში, რაც საგრძნობლად აადვილებდა ბავშვის აღზრდას.

ახალგაზრდა ქალი მთლიანად ჩაეფლო ნანატრი ვაჟის აღზრდის საქმეში. პატარა სოსო იზრდებოდა გამორჩეული სიყვარულისა და ზრუნვის ატმოსფეროში: საქართველოში მუდამ ვაჟიშვილის კულტი არსებობდა (და დღესაც არსებობს, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში), რაც უნდა შეუძლო ყოფილიყო ოჯახი მემკვიდრე ვაჟიშვილს, განსაკუთრებით ბავშვობისა და ყრმობის ასაკში, ცხოვრების შესაძლო მაქსიმალურ პირობებს უქმნიდა: ოჯახში ყველაზე საუკეთესო ეკუთვნოდა მას - სიყვარულიც, ზრუნვაც, საკვებიც და ტანსაცმელიც. სოსო იზრდებოდა მშობლების, ახლო ნათესავების (თუმცა ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით ვინ იყვნენ ისინი), კარის მეზობლების გარემოცვაში. მისი იმჟამინდელი ყოფა არაფრით იქნებოდა გამორჩეული მისი თანატოლების ყოველდღიური ყოფიერებისაგან.

მაგრამ უბედურება არ ტოვებდა ჯუგაშვილების ოჯახს 5 წლის იოსები ყვავილით გახდა ავად. ეს დაავადება იმჟამად სასიკვდილო იყო - მან ხომ სოსოს უფროსი ძმების სიცოცხლეც შეიწირა. როგორც გადმოგვცემენ, შეშინებული ეკატერინე ფეხით ასულა გორის წმინდა გიორგის ეკლესიაში და იქ ფიცი მიუცია წმინდა გიორგისათვის, რომ თუ შვილს გადაურჩენდა - მას წმინდა გიორგის მარადიულ მსახურად განაწესებდა.

ბავშვი გადარჩა, მაგრამ მას მთელი ცხოვრება სახეზე გაჰყვა ნაყვავილარი, რაც დაუფარავ სიხარულს ჰგვრიდა მდიდარი მოიჯარადრის შვილს ლევ ბრონშტეინს, როცა ხაზგასმით აღნიშნავდა: „ნაკვალევი მთელი ცხოვრების მანძილზე შემორჩა როგორც ჭეშმარიტი პლებეური წარმოშობისა

და კულტურულად ჩამორჩენილი გარემოს ნაშთი"(3).

დედის ლოცვა-ვედრებამ თუ სახალხო მედიცინამ დადებითი შედეგი გამოიღო, სოსო გამოჯანმრთელდა. ამან ეკატერინეს განუმტკიცა რწმენა, რომ შვილი აუცილებლად ღვთისმსახური უნდა გამოსულიყო.

შვილის აღზრდის გარდა ახალგაზრდა ქალს დიასახლისის მოვალეობის შესრულებაც ეკისრებოდა. მართალია, ჯუგაშვილების ოჯახი დიდი არ იყო, მაგრამ ოჯახში საქმე ეკატერინეს ბევრი ჰქონდა. ქართული ტრადიციით მეგობრული ლხინი ოჯახში იმართებოდა. ქმრის მეგობრების მიღება-გასტუმრება, ბინაში წესრიგისა და სისუფთავის დაცვა ახალგაზრდა დიასახლისის მოვალეობა იყო. ზეპირი გადმოცემები ადასტურებენ, რომ ჯუგაშვილების ოჯახში სასიამოვნო ატმოსფერო ყოფილა, რაც სტუმრებს იზიდავდა. ამ ატმოსფეროს შექმნა მხოლოდ ღირსეულ ქალს შეეძლო.

ჯუგაშვილებს ეკავათ ოროთახიანი ბინა პატარა აივნით და სარდაფით. ოჯახი ცხოვრობდა თავისი სოციალური წრისათვის დამახასიათებელი ყოფით, ჰქონდათ მხოლოდ აუცილებელი ნივთები, არ უჭირდათ, მაგრამ არც ზედმეტი ჰქონდათ. ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული ლ. ტროცკის მტკიცება, რომ „ჯუგაშვილებს ეკავათ ძველი ფიცრული აგურის კუთხეებით და საბრალო სახურავით, რომელიც თავისუფლად ატარებდა წვიმასა და ქარს"(4). ბესარიონ ჯუგაშვილი ხელოსანი კაცი იყო და, როგორმე, მოახერხებდა ბინის სახურავის შეკეთებას. ეს შეხედულება კიდევ ერთი ადასტურებს ლ. ტროცკის სუბიექტურობას და სიღარიბისადმი მის ცინიკურ დამოკიდებულებას: იმჟამად სწორედ ასე და არა სხვანაირად ცხოვრობდა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთისა და დასავლეთ ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატის დიდი უმეტესობა.

სამკაციანი ოჯახისათვის ოროთახიანი ბინა შედარებით პრივილეგირებულ ქუჩაზე (ჩვენთვის დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ჯუგაშვილები ცხოვრობდნენ ტაძრის ქუჩაზე, რომელზედაც ქალაქში ერთ-ერთი პირველი ქვაფენილი დაიგო) ცუდ პირობებად არ უნდა ჩაითვალოს, როცა რუსეთის იმპერიის პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა მიწურ სარდაფებსა და ბნელ ოთახებში ათევდა ღამეს, ხოლო ძალიან ბევრს კი

საერთოდ ბინაც არა ჰქონდა.

ჯუგაშვილების პატარა, ოროთახიანი ბინა, რომელიც დღემდე შემორჩენილია, მრავალი ინსინუაციის საბაბი გახდა. არის საფუძვლიანი მოსაზრება, რომ სახლი, რომელშიც ბესარიონ ჯუგაშვილის ოჯახი ცხოვრობდა, არ შემონახულა, ის დაინგრა 1920 წელს გორში დიდი მიწისძვრის დროს, ხოლო მოგვიანებით, 30-იან წლებში საქართველოს კომპარტიის ლიდერმა ლ. ბერიამ სრულიად შემთხვევითი ოროთახიანი ნაგებობა ი. ბ. სტალინის ბავშვობისდროინდელ სახლ-მუზეუმად გამოაცხადა.

ამ სახლის მონახულებამ მძიმე ფიქრები აუშალა ეკატერინე გელაძის შვილიშვილს სვეტლანა ალილუევას. იგი მას თავის მოგონებებში კნინობითი ეპითეტებით მოიხსენებს: "лачужка, хибарка" და გმობს ლ. ბერიას გულმოდგინებას, რომელმაც დამცავი პომპეზური პავილიონი დაადგმევინა სახლის გარშემო(5).

ამ ფაქტთან დაკავშირებით მუდამ მაგონდება მეორე ეპიზოდი მსოფლიო ისტორიიდან: ერთი პატარა სახლი ლორეტოში. ანალები მოგვითხრობენ: რომის ცნობილი და სასტიკი პაპი ბენეფიციუს VIII დაპირდა მორწმუნეებს, რომ ანგელოზების დახმარებით ნაზარეთიდან გადმოიტანდა პატარა სახლს, სადაც დაიბადა ღვთისმშობელი, ჯვარი დაიწერა იოსებზე და სულიწმინდისაგან იესო ჩაესახა. მთელ კათოლიკურ სამყაროს სწამს, რომ რომის პაპმა რამდენჯერმე შეაწუხა ანგელოზები თხოვნით, რომ მათ ჯერ დალმაციაში, შემდეგ რეკანათში, და ბოლოს, ლორეტოში გადმოეტანათ ეს სახლი. ანგელოზებმა ეს სურვილი რომის პაპას შეუსრულეს. რამდენად რეალურია აღნიშნული გადმოცემა - ამაზე პასუხი მკითხველისთვის მიგვინდია. დღეს კი ეს სახლი, რომელიც დიდებული ტაძრის შიგნით არის მოქცეული კათოლიკეთა ერთ-ერთი წმინდა ადგილია. როგორც ჩანს, ყველა რწმენას სჭირდება თავისი რელიკვია.

ი. ბ. სტალინის მშობლების პატარა სახლი არც უკეთესი და არც უარესი არ იქნებოდა. ასეთი იყო ქართველი ხელოსნის ტიპიური ბინა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და ამ სახლმა ჩინებულად შეასრულა ერთ-ერთი კომუნისტური რელიკვის ფუნქცია მაშინ, როცა ამას საზოგადოების განვითარების კონკრეტული ისტორიული ყოფიერება მოითხოვდა.

ეკატერინე გელაძეს ოჯახში სითბო და სიყვარული ექნებოდა შექმნილი. მათთან სტუმრობა უყვარდათ მეზობლებს, ქმრის მეგობრებს, როცა სოსო წამოიზარდა - ახლა უკვე შვილის მეგობრებს. ამაზე ნათლად მიუთითებენ ი. ირემაშვილის, დ. გოგოხიას, პ. კაპანაძის მოგონებები. დ. გოგოხია იგონებს: „მათი ოთახი ცხრა კვადრატულ არშიაზე მეტი არ იქნებოდა და სამზარეულოსთან იყო. კარი ეზოდან პირდაპირ ოთახში შედიოდა, არ ჰქონდა არცერთი საფეხური. იატაკი აგურისა იყო, პატარა ფანჯარა ძლივს უშვებდა სინათლეს. ოთახის მთელ მოწყობილობას შეადგენდა პატარა მაგიდა, სკამი და ჭილოფგადაფარებული განიერი ტახტი“(6).

ჯუგაშვილების სახლი მეორე ოჯახად გადაიქცა ი. ირემაშვილისათვის, ი. ბ. სტალინის ბავშვობის მეგობრისათვის. ის აქებს ეკატერინე გელაძეს. თავის მოგონებების წიგნში ის წერდა: „გორელები მეწაღის შრომისმოყვარე, კეთილ და ღვთისმოშიშ ცოლს დიდად აფასებდნენ“(7). იოსებ ირემაშვილის მოგონებები ეკატერინეს შესახებ წინააღმდეგობებით არის აღსავსე: ის ხან ამტკიცებს, რომ „სოსოს დედა ტიპიური ქართველი ქალი იყო“(14), ღვთისმოშიში, კეთილი, შრომისმოყვარე, რომელსაც ქალაქში ძლიერ აფასებდნენ, ამასთან აღნიშნავს, რომ ჯუგაშვილების ბინა „ძველი და ჭუჭყიანი იყო“, და ამასთან, ამტკიცებს: „წვიმით, ნესტიანი ტანსაცმლით და საჭმლის სუნით დამძიმებული ვერასოდეს ნიავდებოდა“. როგორც ჩანს. ი. ბ. სტალინის ბავშვობის მეგობარს ლოგიკა ღალატობს, როცა სურს ერთმანეთს მოარგოს „უსუფთაო ბინა“ და „წესიერი დიასახლისი“. საერთოდ, ი. ირემაშვილის მოგონებებში ძალიან ბევრია წინააღმდეგობა. მაგალითად ასეთი: „მაგიდის ცისფერი დიასახლისის სისუფთავეზე მეტყველებდა“ ვერ ეხამება „საჭმლის სუნით დამძიმებულ ოთახს, რომელიც არასოდეს ნიავდებოდა“, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ოთახს რამდენიმე ფანჯარა ჰქონდა.

ეკატერინე გელაძის ერთ-ერთი შვილიშვილის, სვეტლანა ალილუევას მოგონებით, რაც, ალბათ, მამის გადმოცემებს ეფუძნება, მისი ბებია იყო პურიტანელი ქალი, მკაცრი და ენერგიული, მტკიცე და ჭირვეული, მომთხოვნი თავისი თავისადმი და ეს თვისებები გადავიდა შვილზეც(9).

აშკარაა, რომ ეკატერინე გელაძე ღვისმოშიში ქალი

იყო. ამაზე მეტყველებს არა მარტო ეპიზოდი, შვილის ავადმყოფობასთან დაკავშირებით. არამედ ისიც, რომ მან პრინციპულად იბრძოლა შვილისთვის რელიგიური განათლების მისაღებად და არ მოერიდა ამ საკითხში ქმართან კონფრონტაციასაც.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეკატერინე მკაცრი ქალი იყო, რომ ის ხშირად სცემდა შვილს, რამაც მას არასრულყოფილების კომპლექსი ჩამოუყალიბა. სვეტლანა ალილუევა წერს, რომ მამა მას უყვებოდა თუ როგორ სცემდა მას დედა, რომელსაც თავის მხრივ სცემდა მამა. გამოდის, რომ ბავშვს გაუთავებლად სცემდნენ, ოჯახში მუდამ იქნებოდა აყალ-მაყალი, არეულობა. დასავლეთის სპეციალურ ლიტერატურაში იმოწმებენ ჯუგაშვილების მეზობლის დ. მაჭაკარიანის მოგონებას, რომელიც აღწერს საოცრად დრამატულ სცენას, როცა სოსო ყვირილზე და ჭურჭლის მსხვრევის ხმაზე ოთახში დასახმარებლად მისულ მეზობლებს თვალწინ დაუდგათ „პატარა სოსო, გასისხლიანებული, რომელიც შემოსულ მეზობლებს სასოწარკვეთილი კივილით მიეგება "გვიშველეთ! წამოდით ჩქარა, ის დედაჩემს კლავს". მამაჩემმა და მეზობლებმა ძლივს დააწყნარეს ბესო, რომელიც დუჟმორეული და კატოზე გადამჯდარი ახრჩობდა მას. იგი რომ დაგვეწყნარებინა, იძულებული გავხდით მისთვის დაგვერტყა და ხელები და ფეხები გაგვეკრა. დედაჩემი უბედურ სოსოზე ზრუნვით იყო დაკავებული, რომელსაც თავზე ჭრილობა ჰქონდა, და რადგან მას ეშინოდა სახლში დაბრუნების, ის კატოსთან ერთად ღამით დარჩა ჩვენთან, იწვნენ რა იატაკზე დაგებულ ლეიბზე ერთმანეთს ჩახვეულები"(10). კომენტარები ზედმეტია. ეს არის XIX საუკუნის მეორე ნახევარში პროლეტარული ყოფისათვის (გავიხსენოთ მაქსიმ გორკის ბავშვობა, აღწერილი მისი ავტობიოგრაფიულ თხზულებებში) ჩვეულებრივი, დამახასიათებელი სურათი, დაკავშირებული პროლეტარიატის მძიმე მატერიალურ მდგომარეობასთან, გაურკვეველ სოციალურ პერსპექტივასთან, დაბალ კულტურულ ყოფასთან. არ შეიძლება გამოვრიცხოთ ასეთი ეპიზოდები მეჩექმის ოჯახში, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ხშირი იყო ასეთი ეპიზოდები. ეს რომ პერმანენტული პროცესი ყოფილიყო, ასეთ ვითარებაში უფრო ტიპიური იქნებოდა გაზრდილიყო გონებადაქვეითებული, დაშინებული, უნებისყოფო პიროვნება და არა მსოფლიო

პოლიტიკის გამორჩეული გენიოსი. ამ შემთხვევაში კი შედეგი აშკარად პირიქითაა. მშობლების „ძალადობა“ შვილზე არ გასცდებოდა დასაშვებ საზღვრებს, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში, განსაკუთრებით დემოკრატიულ ფენებში როგორი გამორჩეულად თბილი იყო დამოკიდებულება ერთადერთი ვაჟისადმი და დ. მაჭავარიანის მოგონებაში დაფიქსირებული ეპიზოდი შეიძლება გამონაკლისი და არა ტიპიური ყოფილიყო.

ჯუგაშვილების ოჯახში, რა თქმა უნდა, ბავშვის აღზრდის ტრადიციული ხალხური მეთოდები იქნებოდა გავრცელებული. ამ მეთოდებით საუკუნეების მანძილზე ზრდიდა ქართველობა თავის შვილებს, იყენებდნენ ფიზიკური დასჯის მეთოდსაც. ბავშვს ცელქობის, უწესობის და სხვა მიზეზების გამო მშობლები, ალბათ ტუქსავდნენ და სცემდნენ კიდეც (ამაში არაფერია გასაკვირი, ბავშვობაში ვინ არ გალახულა!), მაგრამ უნდა გამოირიცხოს, ალბათ, დედის მიერ სოსოს სისტემატური ცემა: ეს არ ეთანხმება ღვთისმოშიში, დედისერთა შვილის აღმზრდელი, ორშვილმკვდარი დედის წარმოსახვას.

კიდევ მეტი, მართალია, ჩვენ არ ვიზიარებთ არც ბესარიონის მიერ შვილის განუწყვეტელი ცემის მოსაზრებას, მაგრამ თუ თეორიულად მაინც დავუშვებთ ასეთი რამის არსებობას, ქართველი დედის ფენომენი, შვილს მონატრებული დედის ფენომენი ყველაფერს იღონებდა, რომ გაავებული მეულლე დაეშოშმინებინა და ყველა შესაძლო საშუალებით შვილისათვის აეცილებინა უსიამოვნება. მით უფრო, რომ ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ გორელი მეწაღის ცოლი ძლიერი ხასიათის მქონე პიროვნება იყო, არ ეგუებოდა ქმრის მოთხოვნებსაც კი.

ეკატერინე გელაძე ღირსეული და ჩინებული დედა იყო. ის, როგორც ყველა ქართველი დედა, „იავნანას“ უმღეროდა თავის სოსელოს (ეკატერინე მოფერებით ასე ეძახდა თავის ვაჟიშვილს), უყვებოდა ქართულ ზღაპრებს, რომელშიც, როგორც წესი, ღარიბი გლეხის შვილი თავისი შრომით, მოხერხებით, სიბრძნით დიდი ხელმწიფე ხდებოდა. დედასთან დამოკიდებულება თბილი და მეგობრული უნდა ყოფილიყო. ისინი თანამოაზრენიც იქნებოდნენ. დედა ცდილობდა შვილი გაეყვანა ცხოვრების ახალ ჰორიზონტებზე, მას მიეღო საფუძვლიანი

ცოდნა, ყოფილიყო ბედნიერი. არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ დედა შეეცდებოდა დაეჭირა თადარიგი, რომ მომავალში შვილს შეეცვალა თავისი სოციალური მდგომარეობა, გამხდარიყო რელიგიის მსახური. მით უფრო, რომ წმინდა გიორგისათვის მიცემული ფიცი ეკატერინეს ამის გაკეთებას ავალებდა და მისგან გადახვევა ღვთისმოსავი ქალისათვის დიდ ცოდვად ითვლებოდა.

ეკატერინე ოცნებობდა შვილი შეეყვანა გორის სასულიერო სასწავლებელში, ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ შეიძლებოდა სწავლის გაგრძელება ჯერ სასულიერო სემინარიაში, შემდეგ სასულიერო აკადემიაშიც კი. ეს სრულიად ბუნებრივი და რეალური გეგმა იყო: ცარისტულ რუსეთში მეწაღის ღარიბ ოჯახს სხვა შესაძლებლობა არა ჰქონდა, რომ დაეძლია სწორედ ის პროზაული ყოფა, რომლის გახსენება დღეს ასე სიამოვნებთ ი. ბ. სტალინის ოპონენტებს. ამიტომ არამართალზომიერია ლ. ტროცკის მტკიცება, რომ „თვით ეს ოცნება: ენახა შვილი ანაფორაში, მიანიშნებს, თუ რაოდენ ნაკლებად იყო განმსჭვალული მეწაღე ბესოს ოჯახი „პროლეტარული“ სულით. უკეთესი მომავალი მოაზრებოდა არა როგორც კლასთა ბრძოლის შედეგი, არამედ როგორც კლასთან განხეთქილების შედეგი“(11). რა გონჯი აზრია! შეიძლება ასეთი მოთხოვნები წაეყენოს მეწაღის ოჯახს, უპრეტენზიო ადამიანებს, რომელთაც იმჟამად პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შესახებ არც კი ექნებოდათ რაიმე წარმოდგენა. ძნელი დასაჯერებელია, რომ მდიდარი მოიჯარადრის, ბრონშტეინის ოჯახში შვილებს აკვნიდან პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თეორიით ზრდიდნენ.

XIX საუკუნის 70-80-იან პროლეტარიატი საქართველოში კი არა, რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებშიც კი ჩამოყალიბების პროცესში იყო და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თეორიის შესახებ რიგითი მუშა-ხელოსნის ოჯახებში, ალბათ, საერთოდ არ ფიქრობდნენ.

ეკატერინე გელაძის მცდელობას - შვილი განათლებულ კაცად აღეზარდა, მეზობლებიც ამოუდგნენ გვერდში. მახლობლად მღვდელი ჩარკვიანის ოჯახი ცხოვრობდა. მეზობლებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მღვდლის ორი ვაჟი სასულიერო

სასწავლებელში სწავლობდა. როგორც ი. ბ. სტალინის ბავშვობის მეგობარი პ. კაპანაძე იგონებს, ერთ ზაფხულს მღვდლის ვაჟმა კოტემ პატარა დას - კატოს დააწყებინა მეცადინეობა ქალთა სასაწავლებელში შესასვლელად. ისინი ეზოში მეცადინეობდნენ და პატარა სოსო ამ გაკვეთილების ხშირი მოწმე ყოფილა, ახლოც მისულა, ყური დაუგდია. ზოგჯერ, როცა გოგონა ვერ ახერხებდა კითხვაზე პასუხის გაცემას, სოსო ჩაერეოდა ხოლმე და ბეჯითად პასუხობდა. თანდათან კოტე დარწმუნდა, რომ ყმაწვილს ჩინებული მონაცემები ჰქონდა. ერთ დღეს ახალგაზრდა კაცმა სასწავლო მაგიდასთან მეორე სკამიც დადგა და სოსოს და კატოს ერთად ამეცადინებდა. სოსო იმდენად კარგად მეცადინეობდა, რომ როცა სასწავლებელში შეიყვანეს, ის ჩაირიცხა მოსამზადებელი კლასის მაღალ ჯგუფში.

ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ სასწავლებელში მიღების დროს მღვდელმა ჩარკვიანმა განაცხადა, რომ სოსო მისი დიაკვნის შვილია, რითაც სოსოს ნება მისცეს შესულიყო სასულიერო სასწავლებელში. დოკუმენტურად დასტურდება, რომ გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეების მესამედი გლეხობის სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ და ისინი არ მალავდნენ ამ წარმომავლობას, ისე რომ სოსო ჯუგაშვილს არ დასჭირდებოდა თავისი სოციალური წარმომავლობის დამალვა.

ეკატერინე შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებდა შვილის ღირსეული აღზრდისათვის - ამიტომ ბევრ მსხვერპლზეც წავიდა. როცა 1885 წელს მეუღლემ თბილისში, ადელხანოვის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, ხოლო შემდეგ სულ შეწყვიტა კავშირი ოჯახთან, ეკატერინე მდიდარი მოქალაქეების ოჯახებში დადიოდა: რეცხავდა, პურს აცხობდა, კერავდა და შვილს ისე ინახავდა. ის, რომ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ეკატერინე შვილისთვის დედაც იყო და მამაც, ეს, როგორც ზემოთ დავინახეთ, დოკუმენტურადაც კი დაფიქსირებულია.

მუხლჩაუხრელი შრომით ეკატერინე ახერხებდა არა მარტო ცხოვრების მინიმუმის შექმნას, არამედ თვითონ იხდიდა შვილის სწავლის ქირასაც. მოგვიანებით, უკვე თბილისში სწავლის დროს, იყო შემთხვევები, როცას სოსო ჯუგაშვილის განცხადებას სახაზინო ხარჯზე სწავლის შესახებ ვერ აკმაყოფილებდნენ

და დედაც იძულებული ხდებოდა გამოეძებნა ეს თანხები.

საშინელი ელდა ეცა ეკატერინეს, როცა ერთხელ სახლში გულშემოყრილი სოსო მოუყვანეს - გორში, სანაპიროსთან ხალხის მასაში, სადაც სოსოსც იმყოფებოდა, შეიჭრა ფაეტონი და ბავშვი დააზიანა. მაშინ სოსო 10-11 წლის თუ იქნებოდა. მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ ყმაწვილმა გონება დაკარგა და ორი კვირა გაუნძრეველად იწვა საწოლში(12). ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ შემთხვევამ დაუზიანა მარცხენა ხელის მტევანი, რის გამოც ის ხელს თავისუფლად ვეღარ ხრიდა. ეკატერინეს მზრუნველობამ ბიჭი მალე ფეხზე დააყენა.

სტალინოლოგები ერთხმად აღიარებენ ეკატერინეს გელაძის უდიდეს სულიერ ზემოქმედებას შვილზე. რ. ტაკერი აღნიშნავს: „ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ის დედისადმი ღრმა სიყვარულს განიცდიდა, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მისი პიროვნების ფორმირებაზე“(13).

რ. ტაკერს მოჰყავს ზ. ფრეიდის საყურადღებო სენტენცია, რითიც ცდილობს ახსნას ი. ბ. სტალინის დაუოკებელი ლტოლვა გამარჯვებისაკენ: „მამაკაცი, რომელიც იყო თავისი დედის უპირობო ფავორიტი, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ინარჩუნებს გამარჯვებულის გრძნობას, იმ ნამდვილ რწმენას გამარჯვებისას, რასაც სინამდვილეში მართლაც მოაქვს ნამდვილი გამარჯვება“(14).

ეკატერინეს სწამდა შვილის წარმატება და ყოველმხრივ ხელს უწყობდა მას. მართალია, შვილის მიერ სემინარიის მოულოდნელმა მიტოვებამ მას, ალბათ, გულიც ატკინა, მაგრამ არავითარი საბუთი არ არსებობს, რომ მან დაგმო შვილის რევოლუციური არჩევანი, არ ეხმარებოდა, მხარში არ ედგა გაჭირვებასა და ციხეში ყოფნის პერიოდებში.

შვილის საქართველოდან გადასახლების, რუსეთში საბოლოოდ დამკვიდრების დროს ეკატერინე არ აწუხებდა მას თავისი პრობლემებით. ის აგრძელებდა ტრადიციულ საქმიანობას და თავს თეთრეულის რეცხვით და პურის ცხობით ირჩენდა.

მისი შვილის პოლიტიკური ოპონენტები მოგვიანებით მასზე ბოროტ ხმებს გაავრცელებენ, ბრალს დასდებენ ადიულტერში, ქმართან განშორების შემდეგ მსუბუქ ყოფაქცევაში. პოპულარულია ასეთი მოგონება: „ბესარიონი შეიჭრა ოთახში, სადაც ეკატერინე და პატარა სოსო იმყოფებოდნენ, უწოდა

ეკატერინეს „ბოზი“ და მივარდა მას და შვილს საცემად“(15). მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ერთ ადამიანში გაერთიანდეს ღრმა რელიგიოზურობა და ასკეტიზმი (ეკატერინე გელაძის ამ დამახასიათებელ თვისებას ხომ აღიარებს ყველა, ვინც კი მას იცნობდა) და ძნელი წარმოსადგენია საქართველოში, სადაც დედის, ოჯახის ქალის ქცევის ნორმები მკაცრად იყო რეგლამენტირებული და ქრისტიანცულ მორალზე დაფუძნებული, ქალს უფლება მიეცა პირად გრძნობებს აჰყოლოდა.

ეკატერინე გელაძემ თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი თითქმის მარტოობაში გაატარა. ერთხანს გორში დარია და ლიზა ყულიჯანოვების სამკერვალო სახელოსნოშიც მუშაობდა. აქ მან 17 წელი იმსახურა და საუკეთესო მკერავის სახელი დაიმკიდრა(16).

ჩვენთვის ისიც ცნობილია, თუ როგორ განიცადა მეუღლის გარადაცვალება.

ძნელია იმის თქმა, შეიტყო თუ არა შვილის წარმატება 1917 წლის ოქტომბერში, როცა სოსო საბჭოთა მინისტრი სახალხო კომისარი გახდა? ეხმარებოდა კი იოსები მას ამ წლებში მატერიალურად? ეკატერინეს ცხოვრების ეს პერიოდი, ჯერჯერობით, იდუმალებით არის მოცული.

საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოების შემდეგ, მისი სოციალური მდგომარეობა არ შეცვლილა. ჩვენ არ ვიცით, შეხვდა თუ არა ი. ბ. სტალინი დედას, როცა 1921 წლის ზაფხულში ესტუმრა საბჭოთა საქართველოს.

როგორც ჩანს, ეკატერინეს იმ წლებში მატერიალურად ძალიან უჭირდა. ამიტომ არ არის სწორი ი. ირემაშვილის მტკიცება, რომ შვილის ზეობის ხანაში „ის თბილისის დიდ სასახლეში გადავიდა“(17). ეკატერინე სიცოცხლის ბოლომდე პურიატანელ ქალად დარჩა. არსებობს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც ეკატერინე გელაძის განცხადების საფუძველზეა მიღებული. უშუალოდ ეკატერინეს განცხადებას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. დადგენილება 1925 წლით თარიღდება. როგორც მისი შინაარსი მიუთითებს, ეკატერინე ჯუგაშვილი უმძიმეს მატერიალურ პირობებში იმყოფებოდა და ითხოვდა მატერიალურ შემწეობას. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა

მიიღო დადგენილება მისთვის საცხოვრებელი ფართის და ცხოვრების ელემენტარული პირობების შექმნის შესახებ(18).

მოგვიანებით, ი. ბ. სტალინმა საქართველოში ვიზიტების დროს რამდენჯერმე ნახა დედა. ისიც ცნობილია, რომ მან მოსკოვში თავისთან წაიყვანა მოხუცი ქალი, მაგრამ ეკატერინე ვერ შეეგუა უცხო გარემოს და საქართველოში დაბრუნდა. აქ ეკატერინე კომკავშირის ხეივანში მდებარე სახლში დაასახლეს, რა თქმა უნდა, უკვე მატერიალურად უზრუნველყოფილი და ყურადღებით გარემოცვილი. ი. ბ. სტალინმა დედა უკანასკნელად 1935 წელს ნახა, თბილისში თავისი ვიზიტის დროს. ქალიშვილისადმი გაგზავნილ წერილში ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „ერთი დღით ვიყავი თბილისში დედასთან და შენი და ვასიას მოკითხვა გადავეცი. დედას არა უშავს. ორივეს მაგრად გკოცნით“(19).

ღრმად მოხუცებელი ეკატერინე გელაძე 1937 წელს გარდაიცვალა. ის მთაწმინდაზე დაასაფლავეს. მის დასაფლავებაზე შვილი ვერ ჩამოვიდა, რამაც ი. ბ. სტალინის ოპონენტებს კიდევ ერთი საბაბი მისცა მისი გაქილიკების. მათ საპასუხოდ მხოლოდ ერთ არგუმენტია: „ვინაა ჩემი დედა და ჩემი ძმები, მის გარშემო მსხდომართ გადახედა და თქვა: „აი ჩემი დედა და ჩემი ძმები“ (მარკოზი, 4.32-34).

პირველი მოწაფე

გორში, ქალაქის ცენტრში, მკაცრი არქიტექტურული გემოვნებით ნაგებ შენობაში სასულიერო სასწავლებელი იყო მოთავსებული. იგი 1818 წელს გაიხსნა და ამ ტიპის სასწავლებლებს შორის კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. ამ სასწავლებელში აღიზარდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები: ქართული პედაგოგიური მეცნიერების მამამთავარი იაკობ გოგებაშვილი, ცნობილი მწერალები ნიკო ლომოური და სოფრომ მგალობლიშვილი, სახელოვანი რევოლუციონერი,

ი. ბ. სტალინის უფროსი მეგობარი ლ. კეცხოველი და ბევრი სხვა.

სკოლის მთავარი ამოცანა იყო ახალგაზრდებისათვის დაწყებითი რელიგიური განათლების მიცემა, სასულიერო სემინარიებისათვის მოსწავლეთა კონტიგენტის მომზადება, ხალხში რელიგიური ცოდნის პროპაგანადა. სასწავლებელში სწავლობდნენ წმინდა ისტორიას, კატეხიზისს, ღვთისმსახურების საეკლესიო წესდებას, რუსულსა და საეკლესიო სლავურს, ქართულ და ბერძნულ ენებს, არითმეტიკას, გეოგრაფიას, სუფთა წერას და საეკლესიო გალობას.

XIX საუკუნის 50-60-იან წლებში სასწავლებელში მძიმე, სულისშემხუთავი ატმოსფერო სუფევდა. ცნობილი მწერალი, მოგვიანებით ამავე სასწავლებლის პედაგოგი, სოფრომ მგალობლიშვილი ასე იგონებს სასწავლებელში გატარებულ პერიოდს: „პირველ შესვლაზე ვიგრძენი ჯოჯოხეთის ალი: კლასში იდგა გნიასი, ყვირილი, ტირილი - ამას როზგზე სცემდნენ ტიტველ ტანზე, იმას სახაზავს უტყაპუნებდნენ ხელზე ან თავზე, ზოგს თმას აწიწკნიდნენ, ზოგს ყურებს. ეს უკანასკნელი სასჯელი უფრო შეღავათიან სასჯელს წარმოადგენდა. მასწავლებელს ჟინი მოუვლიდა და მთელ კლასს გაროზგავდა... სწავლა რა ენაზე მიმდინარეობდა ღმერთმა უწყის - არც რუსული იყო, არც ქართული, რაღაცნაირი ენათა შერევა იყო“(1).

ასეთი მდგომარეობა რუსეთის იმპერიის კოლონიებში არსებულ სკოლებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. იგი ოდნავ შეიცვალა მომდევნო წლებში, განსაკუთრებით კი ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გორის სასულიერო სასწავლებელში ჩინებული პედკოლექტივი იყო: სასწავლებლის მზრუნველის თანამდებობა ეკავა ღვთისმეტყველების კანდიდატს დავით დათაშვილს. იმჟამად მასწავლებლების უმრავლესობა ქართველი იყო: მზრუნველის თანაშემწე გიორგი საძაგელოვი (საძაგლიშვილი), ქართული ენის მასწავლებელი სოფრომ მგალობლიშვილი, მათემატიკას ასწავლიდა პედაგოგი პ. ბურჯანაძე, გალობას - ლოტბარი ს. გოგრიჭიძე, რელიგიის საფუძვლებს - მღვდელი დიმიტრი ტატიევი (ტატიშვილი). იყ ენენ რუსი პედაგოგებიც: რუსულ ენასა და გეოგრაფიას ასწავ-

ლიდა ღვთისმეტყველების კანდიდატი ალ. იტალინსკი, ბერძნულ ენას - ივანე ბუტირსკი(2).

სასწავლებელში შვიდი კლასი იყო: სამი მოსამზადებელი და ოთხი ჩვეულებრივი. ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ სასწავლებელი ოთხკლასიანი იყო(3), მხედველობიდან არის გამორჩენილი მოსამზადებელი განყოფილება. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი სოსო ჯუგაშვილის მიერ სასწავლებელში გატარებულ ექვს წელს უკავშირებს მის ცუდ აკადემიურ მოსწრებას(4).

სოსო ჯუგაშვილი, როგორც ანბანის ჩინებული მცოდნე, ჩაირიცხა მოსამზადებელი განყოფილების უფროს ჯგუფში, მაშინ როცა მისი ბავშვობის მეგობარი პ. კაპანაძე უმცროს ჯგუფში, რის გამოც სწორედ ამ უკანასკნელს მოუწია სასწავლებელში შვილი წელი სწავლა(5).

1888 წლის სექტემბერში სოსო ჯუგაშვილმა ამ სასწავლის კარები შეაღო. პ. კაპანაძე ასე იგონებს სწავლის პირველ დღეს: „ბავშვებს გავურბოდი, მარტო ვიჯექი, მოწყენილი. თვალი შემასწრო ჩემზე პატარა, ცქრიალა ბიჭმა. მოირბინა ჩემთან და ღიმილით შემეკითხა:

მარტო რათა დგახარ და ჩვენთან არ თამაშობ?

წამსვე ვიგრძენი ამ ბავშვისადმი ამხანაგური სიყვარული და მეგობრობა.

- ვითამაშებ გაუბედავად ვუთხარი.

სადაური ხარ?

წაღვლელი.

- რა გქვიან?

პეტას მეძახიან.

მოდი მე და შენ ვიკოჭაოთ.

კოჭები არა მაქვს, - წარმოვთქვი ნაღვლიანად.

პატარა ბიჭს თითქოს გაეხარდა, რომ დაბრკოლება მარტო კოჭები ყოფილიყო და იმედიანად მითხრა:

- მე მაქვს და მოგცემ.

შენ რას გეძახიან?

სოსოს“(6).

ამ დღის შესახებ მეორე მოგონებაც არსებობს. იოსებ ირემაშვილი წერს: „სასკოლო რვეულებში 1890 წელი ჩავწერეთ. უცბათ გორის სასულიერო სემინარიის ეზოში უცნობი

სახე შევნიშნეთ. ჩვენს პატარა ქალაქში უცხო ადამიანის გამოჩენა 10 წლის ყმაწვილებში ნამდვილ სენსაციად იქცეოდა ხოლმე. მასწავლებელმა მისი სახელი დაფაზე დაწერა: „სოსო ჯუგაშვილი“. ის ჩვენ გვგავდა და ქართულსაც ჩვენსავით ლაპარაკობდა. მისმა თავხედურმა გამომეტყველებამ და საუბრის ძუნწმა, ყველაფრის უარმყოფელმა მანერამ თავიდანვე ანტიპატიურად განგვაწყო მისდამი“(7).

ორი მოგონება... ორივე სუბიექტური განცდით ნაკარნახები: პირველი სიყვარულით და თანაგრძნობით შეპყრობილი მეგობრის, მეორე კი - პოლიტიკური მოწინააღმიდეგის მიერ სამშობლოდან მოშორებით, ყოფილი ამხანაგის პოლიტიკური მოღვაწეობით განაწყენებული კაცის ნააზრევი. პირველში მეცნიერისათვის განსაკუთრებით საინტერესო არაფერია პიროვ-ნების კულტის ეპოქაში დაწერილი პანეგერიკის ტიპიური ნიმუშია.

მეორე კი რამდენიმე მომენტით დიდ ყურადღებას იქცევს და მას კომენტარები სჭირდება: „ჩვენს პატარა ქალაქში უცხო ადამიანის გამოჩენა“, „ის ჩვენ გვგავდა და ქართულსაც ჩვენსავით ლაპარაკობდა“. აშკარაა, რომ ი. ირემაშვილს სურს საქმე ისე წარმოადგინოს, რომ იოსებ ჯუგაშვილის ოჯახი გორში „უცხო“ იყო, იმ წელიწადს ჩამოვიდნენ საიდღანღაც. ამასთან იყვნენ არაქართველები „ის ჩვენ გვგავდა და ქართულსაც ჩვენსავით ლაპარაკობდა“, სწორედ მკითხველში ამ განწყობის შექმნას ისახავს მიზნად. ამასვე მიუთითებს ი. ირემაშვილის წიაღსვლებიც სოსო ჯუგაშვილის მამის წარმომავლობის შესახებ, რასაც ზემოთ უკვე შევეხეთ. კვლევის პერიოდში ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით, რომ ი. ირემაშვილს ცუდი მეხსიერება აქვს და ეს ამ შემთხვევაშიც დასტურდება - დოკუმენტურად ვიცით, რომ ი. ჯუგაშვილი გორის სასულიერო სასწავლებელში შევიადა არა 1890 წელს, როგორც ამას ი. ირემაშვილი ამტკიცებს, არამედ 1888 წელს.

უაღრესად საყურადღებოდ გვეჩვენება, რომ სწორედ ამ წელს, როცა იოსებ ჯუგაშვილმა გორის სასულიერო სასწავლებელის კარები შეაღო, სკოლაში მოხდა ამბოხება „უწესრიგობა მოსწავლეთა შორის“(8). სამწუხაროდ, ამ ინფორმაციის შემცველ დოკუმენტში არ არის მითითებული, თუ რაში გამოიხატა ეს „უწესრიგობა“. ხაზგასმულია, რომ მოხდა:

„მოსწავლეთა უწესრიგობა გაკვეთილების დროს, რაც არანორმალურია სასწავლებლის ხელმძღვანელობის გონებრივი და ზნეობრივი ავტორიტეტისათვის“(9).

ამ ფაქტს მეტად ფართო რეზონანსი ჰქონდა, რამაც ამ საკითხით ჩვენი დაინტერესება გააძლიერა. ჩვეულებრივ ბავშურ ცელქობას, თუნდაც მასობრივს, სასწავლებლის ხელმძღვანელები არ გაახმაურებდნენ. საქმეში ჩაერია თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობა, გორის სასწავლებლის ოფიციალური კურატორი, და მან სპეციალური კომისია გამოჰყო საქმის შესასწავლად. კომისიის ანგარიში არ შემონახულა და ჩვენ არ ვიცით, რამ აღაშფოთა გორის სასულიერო სასწავლების მოსწავლეები 1888 წლის ზამთარში. მაგრამ ოფიციალური პირების მიმოწერაში დაფიქსირებულმა ერთმა ფრაზამ შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას უწესრიგობის შინაარსზე. თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობა დაინტერესებული იყო გაერკვია: „მოსწავლეები ყველა მასწავლებლის გაკვეთილებზე ცელქობენ თუ მხოლოდ ზოგიერთის გაკვეთილზე, და რა მეთოდებს იყენებენ გაათავხედებული მოსწავლეების დასაშოშმინებლად?“(10).

როგორც ჩანს, „გათავხედებული“ მოსწავლეები ზედმეტად „ცელქობდნენ“ გაკვეთილებზე. არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო მოსწავლეთა ერთობლივი პროტესტი რომელიმე პედაგოგის დრაკონული კანონების წინააღმდეგ, ან მისი პედაგოგიური მეთოდებისადმი ობსტრუქცია. ვარაუდი მრავალგვარი შეიძლება. მთავარი ის არის, რომ გორის სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა შორის მეამბოხე სულისკვეთება იყო გავრცელებული.

თბილისიდან ჩასულმა კომისიამ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პროცესი არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. ამას მიუთითებს ის ცირკულარი, რაც თბილისის სასულიერო სემინარიიდან გაიგზავნა გორში და ითვალისწინებდა სასწავლო პროცესის შემდგომ სრულყოფას. ყველა პედაგოგმა მიიღო კონკრეტული დავალება საგნის სწავლების მეთოდიკის გასაუმჯობესებლად: მათემატიკის მასწავლებელს ავალებდნენ უსრუნველყო მოსწავლეთა მხრიდან ცოდნის გამჟღავნების მაქსიმალური პირობები, პასუხის დროს ზედმეტი აჩქარებით არ დაებნია მოზარდი. რუსული ენის

მასწავლებელს ავალებდნენ მოსწავლეთა მიერ რუსული ენის ჩინებულ შეთვისებას. პედაგოგს უნდა გამოემუშავებინა ქართველ მოსწავლეებში რუსულ ენაზე სწრაფი და გამართული მეტყველებისა და კითხვის უნარი. სასწავლებლის ხელმძღვანელობას კი ავალებდნენ გამოეჩინა უფრო მეტი გულისყური მოსწავლეებისადმი და ამასთან „უფრო ეფექტიანად გამოეყენებინათ დასჯის ფორმები გათავხედებული მოწაფეების მიმართ". დასჯის ფორმები ადეკვატური უნდა ყოფილიყო დანაშაულის შინაარსთან, რომ ამ საქმეში ზედმეტი ლმობიერებით არა გამოეწვია მოსწავლეთა შორის დისციპლინის დაქვეითება(11). მეტად საყურადღებო პასაჟია დასჯა, რეპრესია, როგორც დისციპლინის, წესრიგის მიღწევის საშუალება სასწავლებელში აღზრდის მთავარი და ეფექტიანი მეთოდია.

1888 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში 265 აღსაზრდელი სწავლობდა, მათ შორის - აზნაური 23, სასულიერო წოდების წარმომადგერნელი - 169, გლეხი - 93. როგორც ჩანს, სასწავლებელი ძირითადად დაკომპლექტებულია სასულიერო და გლეხების სოციალური ფენის წარმომადგენლებით. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომ იოსებ ჯუგაშვილმა სასწავლებელში მიღებისას დამალა თავისი სოციალური წარმომავლობა და თავი დიაკვნის შვილად გაასაღა. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ამის აუცილებლობა არ იყო.

ამასთან, საქართველოში დაბალი სასულიერო წოდებისა და გლეხობის სოციალური მდგომარეობა დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამ დროს ვერც ქართველი წვრილი აზნაურები დაიკვეხნიდნენ გამორჩეული მატერიალური მდგომარეობით. მდიდარი თავადაზნაურების შვილები, როგორც წესი, პრივილეგირებულ სასწავლებლებში: გიმნაზიებსა და პანსიონებში იზრდებოდნენ. ისე, რომ გორის სასულიერო სასწავლებლის აღსაზრდელებს დაახლოებით ერთნაირი სოციალური გარემო ჰქონდათ, რაც კეთილნაყოფიერ ფონს ქმნიდა ბავშვთა შორის ნორმალური, კოლეგიალური ურთიერთობის განვითარებისათვის.

სასწავლებლის ძირითადი კონტიგენტი ქართული იყო. შემორჩენილია ეროვნული შემადგენლობის სტატისტიკა, თუმცა

შედარებით გვიანდელი 1894 წელს მოსწავლეთა შორის 243 ქართველი იყო, 4 რუსი, 8 ოსი, 3 ბერძენი(12). არ არის არავითარი ცნობა მოსწავლეთა შორის ეროვნულ ნიადაგზე რაიმე გაუგებრობის ან კონფლიქტის შესახებ. საერთოდ, გორი მუდამ გამოირჩეოდა მაღალი ინტერნაციონალური კულტურით.

იოსებ ჯუგაშვილი, მისი უკეთ მომზადების გამო, მოსამზადებელი ჯგუფის საშუალო ქვეჯგუფში ჩაირიცხა. მისი პირველი პედაგოგი იყო ივანე კაპანაძე(13).

სოსო ჯუგაშვილის პირველი წიგნი ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ იყო. რუსულ ენას სწავლობდა იმავე ავტორის „რუსკოე სლოვოს“ დახმარებით. ამის გარდა, როგორც აღინიშნა, ისწავლებოდა რელიგიის საფუძვლები. კატეხიზისს თვითონ სასწავლებლის მზრუნველი დ. დათაშვილი ასწავლიდა. პატარა სოსო სწავლობდა წმინდა ისტორიას, ბერძნულ ენას, მათემატიკას.

1890 წელს სასწავლებლის ქართველი ხელმძღვანელი გაათავისუფლეს. მის ნაცვლად სასწავლებლის მზრუნველად დაინიშნა კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, კოლეჯის ასესორი ვასილ ბელიაევი. ი. ბ. სტალინის ბავშვობის მეგობარი პ. კაპანაძე საუკეთესო შეფასებას აძლევს ამ ახალ ხელმძღვანელს: „კაცი, საკმაოდ გონიერი, გულკეთილი და ახალგაზრდების მოყვარული. მართალია, მთავრობის დავალებებს ის გაუმრუდებლად ატარებდა, მაგრამ ამავე დროს ახერხებდა მოწაფეებისადმი ლმობიერების, ყურადღების გამოხატვას, რაც იშვიათად ხდებოდა იმ დროს“(14).

ახალმა ხელმძღვანელმა სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მიზანმიმართული გახადა, უფრო საქმიანიც. არ არის სწორი სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ 1888 წელს, როცა ს. ჯუგაშვილი სასწავლებელში მოვიდა, სწავლა-განათლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, კვირაში ორჯერ რუსული ენის გაკვეთილით, ხოლო ორი წლის შემდეგ ის შეიცვალა და ძირითადი გახდა რუსული ენა, კვირაში ორჯერ ქართული ენის გაკვეთილით(15). მით უფრო არ შეიძლება ეს ცვლილება დავუკავშიროთ სასწავლებელში ახალი ხელმძღვანელის მოსვლას.

საქართველოში განათლების დარგში რუსიფიკაცია 1801

წლიდანვე დაიწყო. კოლონიალური რეჟიმის გარკვეული ლიბერალიზმი, ლოიალობა საქართველოს თავადაზნაურობასათან, უფრო ფრთხილი და მოქნილი პოლიტიკა, რომლის ავტორი მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე იყო (კავკასიაში იმყოფებოდა 1862-1882 წწ.), ხალხისნების მიერ იმპერატორ ალექსანდრე II მოკვლის (1881 წ.) შემდეგ სწრაფად შეიცვალა საშინელი რეაქციით. ახალმა იმპერატორმა ამიერკავკასიაში კვლავ აღადგინა მთავარმართებლობა, სამხედრო-გუბერნატორების ინსტიტუტი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერკავკასიამ დაკარგა ის მოჩვენებითი ადმინისტარაციული ავტონომიაც კი, რაც მას ჰქონდა გრაფი მ. ვორონცოვის მეფისნაცვლად ყოფნის (1844 წ.) დროიდან. გუბერნატორები უშუალოდ მოსკოვს დაუქვემდებარეს. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრებადაც არქიერეაქციონერები დანიშნეს. კულტურის, რელიგიისა და პრესის დარგში, საერო და საეკლესიო სასწავლებლებში დამკვიდრდა მკაცრი ზედამხედველობა და ცენზურა. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ 1881 წელს შეადგინა ახალი სასწავლო გეგმა და გამოაქვეყნა ცირკულარი, რომლის მიხედვით ყველა ტიპის სასწავლებლებში დაწყებითი კლასიდანვე უნდა ესწავლათ რუსული ენა. დედა-ენის სწავლება ქართულ სკოლებში ჩაითვალა არასავალდებულოდ. ბოლო მოეღო ქართულ ენაზე სწავლას საზოგადოდ. ქართულ ენას, როგორც არასავალდებულო საგანს, სკოლაში პირველ და ნაწილობრივ მეორე კლასებში ეთმობოდა უმნიშვნელო რაოდენობის საათები და ისიც მხოლოდ გაკვეთილების ბოლოს, როცა ბავშვები გონებრივად და ფიზიკურად მოქანცულები იყვნენ(16).

რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც გორის სასულიერო სასწავლებელში იქნებოდა. რუსული ენა სკოლაში გაბატონებული იყო 1888 წლამდეც. ი. ბ. სტალინის ბავშვობის მეგობარი დ. გოგოხია იგონებს, რომ „საგნებს ჩვენ ვსწავლობდით რუსულ ენაზე და მხოლოდ კვირაში ორჯერ გვასწავლიდნენ ქართულს“(17).

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სოსო ჯუგაშვილმა ჩინებული ქართული იცოდა, უყვარდა ქართული ლიტერატურა და ერთ ხანს ლექსების წერითაც იყო გატაცებული. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა კარგად გრძნობ მშობლიური

ენის სილამაზეს, მის პოეტურ ნიუანსებს. ამაში ს. ჯუგაშვილს დაეხმარა ის, რომ მისი პირველი პედაგოგი ქართულ ენასა და ლიტერატურაში იყო ცნობილი ქართველი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925 წწ.). ის იყო ხალხოსანი, მეფის ხელისუფლების მიერ რამდენჯერმე რეპრესირებული, პატიმრობაში ნამყოფი, საინტერესო მხატვრული ნაწარმოებების ავტორი. სოფრომ მგალობლაშვილი ჩაგრული ხალხის ბედუკუღმართების მიზეზად უცოდინრობას თვლიდა და უდიდეს ძალისხმევას ახმარდა მშრომელი ხალხის შვილების განათლების საქმეს. გაკვეთილის დროს პროგრესული პედაგოგი ასწავლიდა არა მარტო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არამედ მოწაფეებს აცნობდა ხალხოსნების შეხედულებებს, უნერგავდა მათ სამშობლოს სიყვარულს, თავდადებას. თვითონ ს. მგალობლიშვილი ასე იგონებს თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას: „მასწავლებლები შეეუდექით სკოლაში ახალი სიოს შეტანას. უფროს კლასებში, სადაც უკვე 14-15 წლის ყმაწვილები ისხდნენ, შეგვქონდა რევოლუციური შინაარსის ნაწერები, მოთხრობები, ლექსები. ვაცნობდით ქართველ მწერლებს, ვუკითხავდით შესანიშნავ ისტორიულ ამბებს, რომლებსაც მთავარ საგნებად ვამზადებდით. ბავშვებს შეუყვარდათ ქართული ისტორია, სამშობლო, დედა-ენა, ქართული მწერლობა“(18).

მოწაფეებს, მართლაც, ძალიან უყვარდათ სოფრომ მასწავლებელი. პ. კაპანაძე იგონებს: „ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ს. მგალობლიშვილი, ჩვენში კარგად ცნობილი ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე, სასწავლებელში გაკვეთილების დროს მრავალ საუკეთესო გარეშე წიგნს გვიკითხავდა, მან შეგვაყვარა მშობლიური მწერლობა“(19).

სწორედ ამ დიდებულმა ადამიანმა შეაყვარა იოსებ ჯუგაშვილს წიგნისადმი საოცრად მოკრძალებული დამოკიდებულება, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. წიგნი მისი ერთადერთი უღალატო მეგობარი გახდა.

გორის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგები ბევრს ცდილობდნენ, რომ მოწაფეები ღრმად დაუფლებოდნენ სავალდებულო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს. სასწავლებლისათვის იმჟამად დამახასიათებელი იყო მაღალი აკადემიური მაჩვენებლები. ჩვენ ვიცით, რომ 1888-1889 სას-

წავლო წელს I კლასში იყო 19 ფრიადოსანი, II კლასში - 22, მესამე კლასში - 21, მე-4 კლასში - 11. ოროსანთა რაოდენობა მეტად უმნიშვნელოა. ჭარბობენ ოთხოსნები და ფრიადოსნები(20).

როგორი იყო სოსო ჯუგაშვილის აკადემიური მოსწრება ჩვენ არ ვიცით - საკლასო ჟურნალები არ შემონახულა. არც ტრადიცია იყო დაეფიქსირებინათ გამორჩეული მოწაფეების მიღწევები სასწავლებლის წლიურ ანგარიშებში. რახან სასწავლებლის აკადემიური დონე მაღალი იყო, სოსო ჯუგაშვილი, ალბათ, ამ საქმეში სხვებს არ ჩამორჩებოდა. არსებობს 1888-1889 სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების შემაჯამებელი სტატისტიკა, სადაც აღნიშნულია, რომ მთელ სასწავლებელში (265 მოსწავლე) სანიმუშო სწავლითა და ყოფაქცევით გამოირჩეოდა მხოლოდ ერთი მოწაფე მოსამზადებელი განყოფილების უფროს ჯგუფში(21). შესაძლებელია, რომ ეს გამორჩეული მოწაფე სწორედ ს. ჯუგაშვილი იყო.

რადგან, სოსო ჯუგაშვილის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტური ინფორმაცია ჩვენ არა გვაქვს (გორის სასულიერო სასწავლებლის არცერთ ანგარიშში არ ფიგურირებს ს. ჯუგაშვილის გვარი, და არც სხვა რომელიმე მოსწავლის), ამიტომ ჩვენი ძირითადი წყაროა მისი მეგობრების მოგონებები, მაგრამ მათ მიმართ, როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენ გარკვეული სკეპტიციზმი გვაქვს. მუდამ უნდა გვახსოვდეს ზ. ფრეიდის საყურადღებო შენიშვნა: „ადამიანის ბავშვობის მოგონებანი... არ ფიქსირდებიან განცდების პერიოდში და არ მეორდებიან შემდგომ, როგორც მოგონებანი მოწიფული პერიოდისა, მხოლოდ შემდგომში, როცა ბავშვობა უკვე დასრულებულია, ისინი აღდგებიან, ამასთან, იცვლებიან, მახინჯდებიან, მოერგებიან ხოლმე გვიანდელ ტენდენციებს, ისე რომ ძნელი ხდება მათი გამიჯვნა ფანტაზიისაგან“(22).

ეს, უდავოდ, ანგარიშგასაწევი შეხედულებაა.

ი. ბ. სტალინისადმი კეთილგანწყობილი მეგობრები ასე იგონებენ მას: „ჩვეულებრივად იგი დინჯი, ენერგიული იყო, არ უყვარდა ცელქობა და უტიფრობა. მეცადინეობის შემდეგ სახლში მიიჩქაროდა, და მას ყოველთვის ხედავდნენ წიგნით ხელში“ /დ. გოგოხია/(23). „იოსებთან ერთად ეს წავლობდი ცამეტ წელს, თვითონ მე ვმასწავლებლობ ოცდათხუთმეტი წელია, და მთელი ამ ხნის განმავლობაში არ შევხვედრივარ

ასეთ ნიჭიერ და განვითარებულ მოწაფეს“ /პ. კაპანაძე/(24). „იოსებ ჯულაშვილი განსხვავდებოდა დიდი თავდაჭერილობით და კარგი გულისხმიერი ამხანაგი იყო. იგი არასოდეს არავის არ აგრძნობინებდა თავის უპირატესობას, თუმცა უფრო განვითარებული იყო ვიდრე ჩვენ. მას თავი არ მოჰქონდა იმით, რომ ჩვენზე ნიჭიერი იყო, არამედ, პირიქით, გვეხმარებოდა თავისი ცოდნით, გვეხმარებოდა გეოგრაფიული რუკების ხატვაში, ამოცანების ამოხსნაში, გაკვეთილების მომზადებაში“(25).

ესა და მსგავსი მოგონებები გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირში, სტალინის კულტის პირობებში. ისინი, შესაძლებელია, სიმართლეა, თუმცა გადაჭარბებული, შელამაზებული, იდეალიზებული.

მაგრამ არსებობს მისი პოლიტიკური ოპონენტის ი. ირემაშვილის მოგონება ი. ბ. სტალინის აკადემიურ მოსწრებაზე გორის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში: „სოსო ჯუღაშვილი საუკეთესო, მაგრამ უწესო მოწაფედ ითვლებოდა“(26). ავტორი არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს „უწესოში“. ამ მოსაზრებას ის აძლიერებს შემდეგი შეხედულებით: „სოსოს ხშირად, თითქმის ყოველდღე სჯიდნენ“(27).

მაგრამ ი. ირემაშვილის ეს შეხედულება არ დასტურდება დოკუმენტურად. ის წარმატება, რაც სოსო ჯუგაშვილმა გორის სასულიერო სასწავლებელში მოიპოვა (მაღალი აკადემიური შედეგები, გამორჩეული შეფასება ყოფაქცევაში, „პირველი მოწაფის“ იმიჯი, რეკომენდაცია თბილისის სასულიერო სემინარიაში და თბილისშიც სახელმწიფო ხარჯზე სწავლის უფლება, რაც ვერ მოიპოვა ი. ირემაშვილმა) ყველაფერი ი. ირემაშვილის მოგონების საწინააღმდეგოდ მიუთითებს: სოსო ჯუგაშვილი მიღწევები გორში - ეს ღირსეული და ბეჯითი მოწაფის მრავალწლიანი შრომის შედეგია.

გორის სასულიერო სასწავლებელში სოსო ჯუგაშვილმა დიდი მონდომებით დაიწყო მეცნიერების საფუძვლების შესწავლა. მართალია, სასწავლებელი თეოლოგიური იყო, მაგრამ განა წმინდა წერილის, ბიბლიის შესწავლა ნაკლებად საინტერესო საქმეა? ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იოსებ ჯუგაშვილის მსოფლმეხველობის ფორმირებისათვის იმას, რომ ბავშვობაში ის საფუძვლიანად გაეცნო ბიბლიას, ქრისტეს მოძღვრებას. მესიის ტრაგიკული ცხოვრების გზა მას

აგონებდა ქართულ ხალხურ მითოლოგიას თქმულებას ამირანზე, ქართველ პრომეთეზე, რომელმაც ღმერთს ცეცხლი მოსტაცა და ხალხს აჩუქა, ე.ი. მოუტანა ნანატრი ბედნიერება.

იოსებ ჯუგაშვილს, გარკვეულწილად, ჩააფიქრებდა იესო ნაზარეველის უანგარო, კაცთმოყვარული მოღვაწეობა. იესოს ბევრი გამონათქვამი, მოსაზრება და შეხედულება ღრმად აისახა მის ცნობიერებაში, ეხმაურებოდა მის განწყობილებებს. არ შეიძლება არ მოსწონებოდა ახალგაზრდა ყმაწვილს იესოს გამონათქვამები ღარიბების სუფევასთან დაკავშირებით, ანდა, მისი კრიტიკა და შეურიგებლობა მდიდრების, მებაჟეებისა და ფარისევლების მიმართ. უდავოდ, გარკვეულ სიმპათიას მოიპოვებდნენ თანასწორობის, ქველმოქმედების, გულმოწყალების ქრისტიანული შეგონებები. გარკვეულ კვალს დატოვებდა მის ცნობიერებაში მატერიალური დოვლათის საყოველთაოდ თანასწორად განაწილების ქრისტიანული პრინციპიც.

ამავე დროს, დაკვირვებულ მოზარდს არ შეიძლება არ შეემჩნია, რომ საზოგადოება, რომელიც ვითომდა ქრისტეს მოძღვრების პრინციპებზე ცხოვრობდა, ფარისევლობდა, არაფერს არ აკეთებდა ამ მოძღვრების ძირითადი პრინციპების რეალურად დამკვიდრებისათვის. საყოველთაოდ არსებობდნენ მდიდრები და ღარიბები და მათ შორის დიდი ხანია უკვე რაც „ხიდი იყო ჩატეხილი“ (ილია ჭავჭავაძე).

ეფიქრობთ, რომ ქრისტეს მოწამეობრივმა ცხოვრებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა იოსების პიროვნებაზე და დიდად განსაზღვრა მისი შემდგომი მსოფლმხედველობა.

როგორ გამოიყურებოდა სოსო სკოლაში? მისი მეგობრები იგონებენ: „გარეგნულად იოსებ ჯუღაშვილი გამხდარი, მაგრამ მაგარი ბიჭი იყო. ხალისიანი და გულღია, მას ყოველნლთვის გარს ეხვივნენ ამხანაგები“(28). იოსებ ირემაშვილი იგონებს, რომ სოსო იყო გამხდარი, მაგრამ ძლიერი აღნაგობის. სიცოცხლით სავსე მუქ თაფლისფერ თვალებში შეუდრეკელ ხასიათს ამოიკითხავდით... მოძრაობები ნაკლებად ბავშური ჰქონდა(29). რ. ტაკერი ხაზს უსვამს ი. ირემაშვილის შთაბეჭდილების ერთ ნიუანსს: „ამაყად გადაწეული თავი და უკმეხად აპრეხილი ცხვირი“, რაც ი. ირემაშვილის ქართველს მთარგმნელს, რატომღაც, გამორჩენია თხზულებიდან(30).

ი. ირემაშვილის ეს მოგონება ძალიან ესადაგება ი. ბ. სტა-

ლინის ბავშვობისდროინდელ ჯგუფურ სურათზე სოსოს გამოსახულებას. აქ სოსო მასწავლებლებისა და თანაკლასელების წრეშია. სწორედ აქ არის სოსო „ამაყად გადაწეული თავით და უკმეხად აპრეხილი ცხვირით". არ არის გამორიცხული, რომ ი. ირემაშვილის ეს მოგონება ამ სურათის გვიანდელი შთაბეჭდილებით იყოს ნაკარნახევი.

ეს ცნობილი სურათი თავის მხრივ რამდენიმე შეკითხვას აღძრავს: ვინ არის ფოტოსურათზე გამოხატული პედაგოგი? ის არა ჰგავს ს. მგალობლიშვილს. არიან ამ სურათზე ი. ბ. სტალინის ბავშვობის მეგობრები პ. კაპანაძე, დ. გოგოხია ან ი. ირემაშვილი?

სურათზე თვალის ერთი შეკვლებაც კი ყურადღებას სოსო ჯუგაშვილის პიროვნებაზე აჩერებს - ის დგას მასზე მნიშვნელოვნად მაღალ ყმაწვილებს შორის (თითქოს განგებ), პედაგოგის უკან, ცენტრში. ასეთი საპატიო ადგილი მხოლოდ შემდეგი გარემოებით შეიძლება აიხსნას: ის იყო გამორჩეული მოსწავლე, სკოლის ფავორიტი, თავის ასაკთან შედარებით ავტორიტეტული და მას უკვე ანგარიშს უწევდნენ. სწორედ ამას მიუთითებს მისი ამაყად შემართული სახე და წინ წამოწეული მკერდი.

ეს სურათი საყურადღებოა იმითაც, რომ სურათზე გამოსახული ბავშვები გარეგნობით, ტანსაცმლით თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყველას სადად და სუფთათ აცვია. იგრძნობა, რომ სასწავლებელში დაცული იყო მოსწავლის უნიფორმის ტარების მოთხოვნა. არც ბავშვების სახეებს ეტყობათ ძლიერი სოციალური განსხვავება, მატერიალური გაჭირვება და ა.შ. მით უფრო ვიცით, რომ სასწავლებელში სწავლობდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. როგორც ჩანს, სასწავლებლის ხელმძღვანელობა მკაცრად იცავდა უნიფიცირების წესს ჩაცმაში. ამიტომ არ უნდა იყოს სამართლიანი ლ. ტროცკის შენიშვნა: „არა ნაკლებ უხეშად ასსენებდა თავს სოციალური გრადაცია სკოლაშიც, სადაც სამღვდელოების წოდების, აზნაურთა და ჩინოვნიკების შვილები არა ერთხელ აგრძნობინებდნენ ხოლმე იოსებს, რომ ის მათი ტოლი და სწორი არ იყო"(31).

ლ. ტროცკის თვალსაზრისში უფრო გაღიზიანებული კაცის სურვილი იგრძნობა, ვიდრე ობიექტურად არსებული ვითარება.

იმჟამად სასულიერო სასწავლებელში, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადად დაბალი მატერიალური შესაძლებლობების მქონე სოციალური ფენების წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ. დიდი განსხვავება არ იყო ღარიბი გლეხის, მღვდლის და აზნაურების შვილებს შორის. შეძლებული ფენების წარმომადგენლებისათვის საქართველოში არსებობდა სპეციალიზირებული სასწავლებლები, გიმნაზიები და პანსიონები.

სულ სხვა იყო კაპიტალისტური ყოფა. დაკვირვებულ ბავშვს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა სოციალური უთანასწორობით გამოწვეული უსამართლობის საშინელება. ქრისტიანული მოძღვრებისა და რეალური ცხოვრების საოცარი შეუსაბამობა, მდიდრების უზრუნველი ცხოვრება და ფეხჩაუხრელად მომუშავე მშრომელი ადამიანის გაუხარელი ყოფა მოზარდის შეგნებაში დაუფარავ პროტესტს წარმოშობდა. მას გულს მოუკლავდა სოციალური უსამართლობა, მას დაებადებოდა სოციალური შეკითხვები - რატომ ცხოვრობენ ცუდად ისინი, ვინც მუდამ შრომობენ და რატომ ფლანგავენ უზრუნველ ყოფაში მდიდარი ადამიანები საკუთარ ქონებას? როგოროც ჩანს, ეს გრძნობა მასში ისეთ ძლიერ სოციალურ ზიზღსა და პროტესტს ბადებდა, რომ მას არ უყვარდა შეძლებულ მეგობრების ოჯახებში სტუმრობა - ეს მას თვალნათლივ აგონებდა მის მიუსაფარ, დუხჭირ ცხოვრებას, აეჭვებდა ქრისტიანული თანასწორობის იდეის რეალურობაში. ეს გრძნობა არ უნდა ყოფილიყო შურის მტანჯველი გრძნობა, რადგან მომავალში - უზარმაზარი იმპერიის ლიდერი გამოირჩეოდა ზედმეტად პურიტანული მოთხოვნებით ყოფაში და ის არ მისცემია ჰედონიზმს თავისი აღზევების არცერთ ეტაპზე. ეს იყო კლასობრივი შურისძიების გრძნობა, რაც მუდამ ამოძრავებს ყველა რევოლუციონერსა და რადიკალს.

ი. ბ. სტალინის ბავშვობის მეგობარი დ. გოგოხია იგონებს: „დედის მძიმე შრომა, სიღარიბე გავლენას ახდენდა იოსების ხასიათზე. მას არ უყვარდა იმ ადამიანებთან მისვლა, რომლებიც შეძლებულად ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მე მასთან დღეში რამდენჯერმე მივდიოდი, ის ჩემთან ძალიან იშვიათად მოდიოდა, იმიტომ რომ ჩემი ბიძა იმ დროის კვალობაზე მდიდრულად ცხოვრობდა“(32).

ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენია ლ. ტროცკის და

ხაზგასმით მიუთითებს კიდეც "მეწაღის ეაჟმა ადრე და მწარედ შეიცნო სოციალური უთანასწორობით დამცირება"(33). ეს მდგომარეობა, რატომღაც, შეუმჩნეველი დარჩა ამერიკელ სტალინოლოგს რ. ტაკერს და სხვა ბიოგრაფებსაც. ჩვენი აზრით კი სწორედ ეს ფსიქოლოგიური კომპლექსი უნდა იყოს ის შინაგანი მუხტი, რამაც სოსო ჯუგაშვილი ქრისტეს მოძღვრებიდან მარქსის მოძღვრების აღიარებამდე მიიყვანა.

რევოლუციისაკენ ყველა ინდივიდი თავისი გზით მიდის. რა თქმა უნდა, რადიკალურად განსხვავებული ბავშვობა და ყრმობა ჰქონდათ ღარიბი მეწაღის შვილს სოსო ჯუგაშვილს, მდიდარი მოიჯარადრის შვილს ლევ ბრონშტეინს, ინტელიგენტის ოჯახიდან გამოსულ ელადიმერ ულიანოვსა და ამაყი გენერლის ქალიშვილს - ალექსანდრა კოლონტაის. მაგრამ მათ შორის რევოლუციასთან ყველაზე ლოგიკურად სწორედ სოსო ჯუგაშვილი მივიდა - მან არა მარტო მიზნად დაისახა საკუთარი სიღარიბის ლიკვიდაცია, არამედ სოციალური თანასწორობის დამყარების გზით სიღარიბის ლიკვიდაცია საერთოდ. პირველ ხანებში, ყრმობის ასაკში მან ამ ამოცანის გადაწყვეტა სწავლით სცადა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გორის სასწავლებელში ის ჩინებულად სწავლობდა. საბჭოთა კავშირში გამოქვეყნებული მოგონებები ერთხმად აღიარებენ სოსო ჯუგაშვილის გამორჩეულ ნიჭს უკვე ადრეულ ასაკში. დ. გოგოხია იგონებს: „იგი გამოირჩეოდა დიდი ნიჭით და ცნობისმოყვარეობით", „მას ყოველთვის ხედავდნენ წიგნით ხელში", „მას განსაკუთრებული მეხსიერება ჰქონდა"(34). გ. გლურჯიძე აღნიშნავს: „იოსები საუცხოოდ სწავლობდა, და შემდეგ უფრო და უფრო ბრწყინვალედ იფურჩქნებოდა მისი ნიჭი - იგი ერთი პირველი მოწაფეთაგანი გახდა"(35). გ. ელისაბედაშვილი აღნიშნავს, რომ ს. ჯუგაშვილი იყო „ერთადერთი უღარიბესი და უნიჭიერესი მოსწავლე". პ. კაპანაძე შენიშნავს, რომ არასოდეს შეხვედრია „ასეთ ნიჭიერ და განვითარებულ მოწაფეს"(36). ეს შეხედულებები რეალურთან მიახლოებულად უნდა ჩაითვალოს. რადგან მისი პოლიტიკური ოპონენტი ი. ირემაშვილიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოსო ჯუგაშვილი „სასწავლებელში კარგი სტუდენტი იყო"(37).

გამორჩეული მოწაფე რომ იყო, ეს თვითონაც კარგად

იცოდა სოსო ჯუგაშვილმა. თბილისის სასულიერო სემინარიაში შესვლისას დაწერილ განცხადებაში ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს: „დავასრულე რა გორის სასწავლებელი პირველ მოწაფედ“.

ჰქონდა თუ არა სწავლის პირობები? გამორჩეული პირობები მას, რა თქმა უნდა, არ ექნებოდა. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამასთან, დასავლეთელი სტალინოლოგებში უაღრესად პოპულარული თეზისის მიხედვით - ბესარიონ ჯუგაშვილის განუწყვეტლი ლოთობისა და დებოშის გამო ეს პირობები კიდევ უფრო დამძიმებული უნდა ყოფილიყო. ბესო ჯუგაშვილის სასმელისადმი დამოკიდებულების შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ამიტომ ამ საკითხს აღარ შეეხებით, მაგრამ ზოგიერთი გარემოება მოითხოვს დაკვირვებულ გარკვევას. იოსებ ჯუგაშვილის მეგობრები ერთხმად აღიარებენ, რომ მათ მიუხაროდათ მეგობრის ოჯახში. დ. გოგოხია აღნიშნავს, რომ სოსო ჯუგაშვილის ოჯახში დღეში რამდენჯერმე მიდიოდა(38). ამ ოჯახში სტუმრობას არ გაურბოდა იოსებ ირემაშვილიც, რომლისთვისაც მეგობრის სახლი „მეორე ოჯახად გადაიქცა“(39).

მოზარდი მგრძნობიარე ნატურაა საერთოდ. ის არასოდეს მეორედ არ მივა იმ ოჯახში, სადაც აუტანელი სიტუაციაა, სისტემატური აყალ-მაყალი. უბრალოდ, მშობლები მას იმ სახლში მეორედ აღარ გაუშვებენ, რომლის ბინადართ მეზობლებში სახელი აქვთ გატეხილი აყალ-მაყალით, დებოშით. ამიტომ, უნდა დავიჯეროთ, რომ იოსებ ჯუგაშვილის ოჯახში იყო ჩვეულებრივი, მისი სოციალური მდგომარეობისათვის ტიპიური, ორდინალური საოჯახო ვითარება. ამ აზრს ამტკიცებს ის მოსაზრებაც, რომ თუ სახლში სისტემატური აურზაური იყო, მაშინ მოზარდი ვერ შეძლებდა დაეცვა სასწავლო პროცესი, მოემზადებინა გაკვეთილები, დროზე დაესვენა, დაეძინა, ამასთან, თუ მამა მას სისტემატურად სცემდა - ეს სხეულზეც აისახებოდა, დალურჯებულ ბავშვს კი მოერიდებოდა სკოლაში წასვლა და მას იქ არც დედა გაუშვებდა. ეს კი გამოიწვევდა ხშირ გაცდენებს, აკადემიურ ჩამორჩენას, სწავლისადმი გულაცრუებას.

ჩვენ კი სხვადასხვა წყაროდან ვიცით, რომ იოსები კარგად სწავლობდა, იყო „პირველი მოწაფე“, ეხმარებოდა ამხანაგებს - ალბათ თავისთან, სახლშიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მამის სასმელისადმი მიდრეკილების მიუხედავად, სოსო ჯუგაშვილს ოჯახში ჰქონდა ასატანი ცხოვრებისა და სწავლის პირობები, რამაც უზრუნველყო მისი მაღალი აკადემიური მიღწევები სკოლაში. ზედმეტად გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთი ბიოგრაფის მიერ „ლოთი მამის“ ფაქტორით სპეკულაცია. ენერგიული და მზრუნველი ქართველი დედა ყველაფერს გააკეთებდა ერთადერთი შვილის ინტერესების დასაცავად.

წარმატებული სწავლა დაკავშირებული იყო იოსებ ჯუგაშვილის ძირითად შინაგან თვისებასთან - გამარჯვებისაკენ დაუოკებელ სწრაფვასთან. გამარჯვება ეს იყო მისი ძირითადი ცხოვრებისეული მიზანი. გამარჯვება სწავლაში, სპორტულ თამაშებში, ყველაფერში. ჩვენ მოგვეპოვება ბევრი ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ სოსო ცდილობდა მუდამ გამარჯვებული ყოფილიყო. იოსებ ირემაშვილი ამტკიცებს, რომ სოსომ მას აჯობა ჭიდაობაში, მაგრამ აჯობა აკრძალული ილეთის გამოყენებით - სოსომ ძირს დასცა მოწინააღმდეგე, როცა ის მტვერს იბერტყავდა(40). ამ მოგონების მთავარი მიზანია განუმტკიცოს მკითხველს რწმენა, რომ ი. ბ. სტალინი ბავშვობიდანვე აქტიურად იყენებდა „აკრძალულ ილეთებს“ მოწინააღმდეგესთან. ი. ირემაშვილის ეს ცნობა საეჭვოდ ჩანს, რადგან ძნელი დასაჯერებელია აქტიური მეგობრული ურთიერთობა დამყარებულიყო ახალგაზრდებს შორის, თუ მათი გაცნობა ჭიადაობაში „აკრძალული ილეთის“ გამოყენებით დაიწყო. ყმაწვილები ხომ ზედმეტად მტკივნეულად განიცდიან უსამართლობას ადამიანურ, მეგობრულ ურთიერთობებში.

გამარჯვებისადმი დაუოკებელი ლტოლვა კი მთლიანად განმსჭვალავდა სოსო ჯუგაშვილის პიროვნებას. პ. კაპანაძე იგონებს, რომ ბავშვობაში მეგობრებს ერთი საყვარელი თუთის ხე ჰქონიათ, ძალიან უყვარდათ ამ ხის ნაყოფით პირის ჩაგემრიელება. ერთ დღეს გადაწყვიტეს მოეწყოთ შეჯიბრი ვინ პირველი მივიდოდა თუთის ხესთან. „თუთის ხესთან პირველი მე გავჩნდი, - იგონებს პ. კაპანაძე, - ხეს ხელი მოვკიდე და დავიწყე ზედ ასვლა.

- პეტა, გინდა გიშველო? - ხის კენწეროდან სიცილით გადმომძახა სოსომ.

გავოცდი. თურმე ნუ იტყვი, ის გზაზე ჩამომრჩენოდა უკან და ხის გამოშვერილი ტოტიდან ხეზე სასწრაფოდ აცოცებულიყო"(41). ამ ცნობაში საყურადღებოა ის, რომ უკვე ყმაწვილობაში იოსებ ჯუგაშვილს უყვარდა გამარჯვებაზე ზრუნვა, ფიქრი, ეძებდა გამარჯვებისკენ მიმავალ ოპტიმალურ გზებს.

იოსებ ჯუგაშვილს რომ უყვარდა გამარჯვება და შეეძლო მისი მოპოვება, ეს სკოლის ხელმძღვანელობასაც ჰქონია შემჩნეული. მრავალმხრივ საყურადღებოა ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ იოსებ ჯუგაშვილს ჰქონდა ბუნებრივი ნიჭი გამარჯვებისკენ სწრაფვის ოპტიმალური გზების რეალიზაციაში. გორში ვაჟების ორ, სასულიერო და საერო სასწავლებლებს შორის, როგორც ჩანს, სპორტში ტრადიციული მეგობრული პაექრობა არსებობდა. როგორც გადმოგვცემენ, კრივში მუდამ საერო სასწავლებელი რჩებოდა გამარჯვებული. იოსებ ჯუგაშვილმა მოიფიქრა მეთოდი, რომლის დახმარებითაც სასულიერო სასწავლებლის გუნდმა პირველად გაიმარჯვა ამ შეჯიბრებაში.

ამ ფაქტის ორი ვერსია არსებობს: ერთის ავტორია პ. კაპანაძე, ხოლო მეორე ვერსია თვითონ ი. ბ. სტალინმა მოუთხრო 1946 წელს ქართველი ინტელიგენციის ერთ ჯგუფს სოჭში მასთან სტუმრობის დროს.

პ. კაპანაძის ვერსიით, სასწავლებლის ხელმძღვანელობამ დააავალა სოსოს ორგანიზაცია გაეკეთებინა მოკრივეთა გუნდისათვის და ის გამარჯვებისათვის მოემზადებინა. პ. კაპანაძე იგონებს: „გორის დიდი მოედანი საზოგადოებით გავსებულა, - მოედნის ერთ თავში სასულიერო სასწავლებლის მოწაფეები იდგნენ, მეორე თავში სამოქალაქო სასწავლებლის.

სამრიგად დააწყო სოსომ თავისიანები. აქ ყურადღებას იქცევს სოსოს გამჭრიახობა: პირველ რიგში დააყენა პატარები, შიგადაშიგ დიდებიც ჩართო. მცირე მანძილის მოშორებით უფრო ძლიერებს მიუჩინა ადგილი. ზურგში, საკმაოდ მოშორებით, კარგად გაწვრთნილი, მძლავრი ნაკრები დააყენა. თავად როგორც ხელმძღვანელი, პირველი რიგის წინ დადგა"(42).

იოსებ ჯუგაშვილის საბრძოლო მეთოდის გამოყენებამ სასწავლებელს პირველი გამარჯვება მოუტანა კრივში.

თვითონ ი. ბ. სტალინი ასე იგონებდა ამ ეპიზოდს: „გორში ორი სასწავლებელი იყო. სასულიერო სკოლა და სა-

მოქალაქო ანუ „გარადსკოე უჩილიშჩე“ .ამ უკანასკნელის მოწაფეებს „გოროდისტებს“ ვეძახოდით, რაც მათ ძალიან აბრაზებდათ. ჩვენსა და მათ შორის გაუთავებელი პაექრობა და ჩხუბი იყო. გაზაფხულობით კრივში გვიწვევდნენ სამოქალაქო სკოლის მაგარ-მაგარი ბიჭები. ერთ გაზაფხულზე მოდის პეტა (პ. კაპანაძის მეგობრული ზედწოდება - ა. დაუშვილი) და მეუბნება - რაღაც უნდა ვიღონოთ, რომ „გოროდისტებმა“ კრივში კვლავ არ დაგვჯაბნონო. ბევრი ვიფიქრეთ, მერე შევყარეთ კლასელები და მე ასეთი წინადადება წამოვაყენე: მთელი სასულიერო სასწავლებელი სამ მოკრივე ჯგუფად დაგვეყო. პირველ ჯგუფში სუსტები შეგვეყვანა, მეორე ჯგუფში ძლიერნი, მესამე ჯგუფში უძლიერესნი - ვინც კი გვყავდა. ჯერ ეს სუსტები მიგვეშვა „გოროდისტების“ წინააღმდეგ. „გოროდისტები“, რა თქმა უნდა, იმას იოლად გაუმკლავდებოდნენ. მერე მეორე ჯგუფი მიგვეშვა, მაგრამ პირველსაც არ მოესვენა და გალახულებს ისევ ეძახათ და ეყვირათ „გოროდისტებოო“, რომ ნერვები მოეშალათ მათთვის, მწყობრიდან გამოეყვანათ. მეორე ჯგუფსაც მოერეოდნენ „გოროდისტები“, მაგრამ საკმაოდ დაიღლებოდნენ და იმასაც კი იფიქრებდნენ, ახლა კი მოვათავეთ მაგათი საქმეო, რომ სწორედ ამ დროს უნდა მიგვეშვა მესამე, უძლიერესი ჯგუფი ჩვენი მოკრივეებისა და არაქათგამოცლილებისათვის ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მიგვეცა, ამასთან, პირველსა და მეორე ჯგუფს უნდა ეღრიალათ „გოროდისტებო, გოროდისტებოო!“ და კიდევ უნდა გაეცეცხლებინათ ისინი. ჩვენ კი უკვე დასუსტებულებისათვის და გაცეცხლებულებისათვის ახალი ძალით - ყველაზე ძლიერი ძალებით შეგვეტია. დასვენებულები და მომზადებულები ისინი ჩვენ უძლიერესებსაც კი გალახავდნენ, მაგრამ ახლა, წესით ჩვენ უნდა გვეჯობნა. როგორც მოვილაპარაკეთ ამ თავშეყრაზე, ისე აღვასრულეთ და მაშინ პირველად იყო კიდეც, რომ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებმა ჩხუბში „გოროდისტები“ დავჯაბნეთ და კუდით ქვა ვასროლინეთ“(43).

თვითონ ი. ბ. სტალინი ამ ფაქტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ყურადსაღებია მისი შენიშვნაც, რომელიც ამ ამბის გადმოცემას მოაყოლა: „აი, შენი ბავშვობის თამაშებიც. მე რომ მაშინ ის არ მომეფიქრებინა და „გოროდისტებთან“ გამარჯვებაში არ გამომეცადა ჩემი „ხერხი“, ალბათ იმაშიც

და სხვა საქმეებშიც საჭირო გამჭრიახობას ვერ გამოვიჩენდი. ამხანაგი ფსიქოლოგები არ სცდებიან, როცა ამბობენ - წყობა პიროვნების აზროვნებისა და ხასიათისა ბავშვობის წლებში ყალიბდებაო. აი, მეც ამათთან ერთად ჩამომიყალიბდა ჩემი ხასიათი და აზროვნების უნარი"(44).

პიროვნების გამორჩეული თვისებების ფორმირება, რა თქმა უნდა, ბავშვობის ასაკში ხდება. ამ თვისებებს შორის არის თანაგრძნობის, თანადგომის განცდა, მეგობრობის უნარი. პ. კაპანაძე იგონებს მეტად საყურადღებო ფაქტს: ავადმყოფობის გამო ის ვერ ასწრებდა გამოცდებისათვის მომზადებას, გამოცდის გადავადება სასწავლებლის პრაქტიკაში არ ჰქონდათ - ამიტომაც სასწავლებლის ხელმძღვანელისაგან ვ. ბელიაევისაგან თხოვნაზე სასტიკი უარი მიიღო. როგორც პ. კაპანაძე ამტკიცებს, სოსო ჯუგაშვილმა გამოიჩინა თანაგრძნობა, წაჰყვა მას სასწავლებლის ხელმძღვანელთან და ისე ენერგიულად დაუსაბუთა გამოცდის გადადების აუცილებლობა, რომ დირექტორი დაეთანხმა მის აზრს(45).

გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლის საინტერესო ხანა მცირე ხნით შეწყდა. მამამ - ბესარიონ ჯუგაშვილმა ერთხანობას გადაწყვიტა შვილი გამოეყვანა სასულიერო სასწავლებლიდან და მისთვის მეწაღის პროფესია ესწავლებინა. როგორც გადმოგვცემენ, ბესო ძალიან წინააღმდეგი ყოფილა ერთადერთი ვაჟის სასულიერო სასწავლებელში განწესების. მას არა ერთხელ უთქვამს მეუღლისათვის: „შენ გსურს ჩემი შვილი მიტროპოლიტი გახდეს?" გასაგებია, რომ მშრომელ კაცს არ სურდა ერთადერთი ვაჟი ცელიბატისათვის გაეწირა, რაც მას აშკარად დაემუქრებოდა თუ შავი სამღვდელოება გახდებოდა. მას სურდა შვილი მისი საქმის მემკვიდრეც ყოფილიყო. ამაში არაფერია გასაკვირი. ამიტომაც მან გამოიყვანა ვაჟი სასწავლებლიდან და თბილისში წაიყვანა ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში სამუშაოდ. ამ ფაქტს ადასტურებს ი. ბ. სტალინის დედაც - ეკატერინე გელაძე: „იგი ჩინებულად სწავლობდა, მაგრამ მამამისმა, განსვენებულმა ჩემმა ქმარმა ბესარიონმა, გადაწყვიტა ბიჭის სკოლიდან გამოყვანა, რათა მისთვის თავისი ხარაზობა ესწავლებინა. წინააღმდეგობას ვუწევდი როგორც შემეძლო, წავეჩხუბე კიდეც ქმარს, მაგრამ არაფერმა გაჭრა: მეუღლე თავის სიტყვაზე იდგა. რამდენიმე

ხნის შემდეგ მე მაინც მოვახერეხე მისი სკოლაში მიყვანა"(46).

ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს, რომ ეკატერინე ძლიერი ნებისყოფის ქალი ყოფილა, არ მოერიდა მეუღლის სურვილის წინააღმდეგ წასვლას და თავის მიზანს მაინც მიაღწია - შვილი სკოლაში დააბრუნა. როგორც ჩანს, არც ბესო ჯუგაშვილს გამოუდვია თავი: ის დამორჩილდა მეუღლისა და შვილის სურვილს და შემდგომში თუ არაფერში დიდად არ დახმარებია, ხელი მაინც აღარ შეუშლია შვილისთვის. საკვირაუდოა, რომ სოსო სკოლას მეტად მცირე ხნით მოწყდა, რადგან ბიჭმა მოახერხა გაცდენების აღდგენა და კელავ მოწინავე პოზიციის შენარჩუნება.

როგორი იყო სოსო მეგობართა წრეში, ყოველდღიურ ურთიერთოებებში? ი. ირემაშვილი იგონებს, რომ მას გამოარჩევდა „გარემოცვისადმი გულგრილდობა, მას არ აღელვებდა სასწავლებლის მეგობრების სიხარული და ნაღველი. მისი უდიდესი სიახარული იყო ის, რომ მოეპოვებინა გამარჯვება და ჩაენერგა შიში"(47).

ამ საყურადღებო შენიშვნაში, რომელსაც უკრიტიკოდ იღებენ დასავლეთელი სტალინოლოგები, საყურადღებოა ერთი გარემოება: თუ სოსო ჯუგაშვილი მძიმე ხასიათის მქონე, გულგრილი, უყურადღებო ყმაწვილი იყო, რომელსაც არ აღელვებდა მეგობრის არც სიხარული და არც მწუხარება, რანაირად იქცა მისი სახლი „მეორე ოჯახად", სადაც ი. ირემაშვილიც ხშირად იმყოფებოდა და რა აიძულებდა ეამხანაგა ისეთ „მეგობართან", რომელიც ჭიდაობის დროს „აკრძალულ ილეთებს" იყენებდა, გულგრილი იყო მისი სიხარულისა და ნაღველის მიმართ და რომლის მიზანი იყო „ჩაენერგა შიში"?

არ უნდა გამოირიცხოს ი. ირემაშვილის გვიანდელ მოგონებებში აისახა მისი პოლიტიკური ანტიპატია, გაღიზიანება, ინტერესები.

იოსებ ჯუგაშვილის „საბჭოთა" მეგობრები კი ერთხმად იგონებენ, რომ ის იყო თავდაჭერილი და გულისხმიერი. გ. ელისაბედაშვილი იგონებს, რომ სოსო მას ამეცადინებდა და ამზადებდა სემინარიაში შესასვლელად(48), პ. კაპანაძის მიხედვით სოსო იყო „ხალისიანი და გულღია, მას ყოველთვის გარს ეხვივნენ ამხანაგები... კარგი გულისხმიერი ამხანაგი იყო".(49) საყურადღებოა ასეთი შენიშვნა: „იგი არასოდეს არ

აგრძნობინებდა თავის უპირატესობას, თუმცა უფრო განვითარებული იყო ვიდრე ჩვენ. მას თავი არ მოჰქონდა იმით, რომ ჩვენზე ნიჭიერი იყო, არამედ პირიქით, გვეხმარებოდა თავისი ცოდნით, გვეხმარებოდა გეოგრაფიული რუკების ხატვაში, ამოცანების ამოცნობაში, გაკვეთილების მომზადებაში"(50).

დასაშვებია, რომ ამ აღფრთოვანებას გვიანდელი პოლიტიკური სიტუაციის ზეგავლენის დაღი აზის. მაგრამ მაინც: იოსებ ჯუგაშვილი ჯგუფის არაფორმალური ლიდერი იყო - ეს უკვე გულისხმობს, რომ მას გამორჩეული თვისებები უნდა ჰქონოდა, რა თქმა უნდა, ეს თვისებები არ იყო საბოოლოდ ჩამოყალიბებული, სრულიად დასაშვებია, რომ მას შეიძლება რაღაც შეშლოდა მეგობრებთან ურთიერთობაში, ყოველთვის არ ყოფილიყო სამართლიანი, მოსვლოდა გული, მაგრამ ერთი რამ აშკარაა - მას არა ჰქონდა ძლიერი ფიზიკური მონაცემები, რასაც შეიძლება შიში და მორჩილება გამოეწვია მეგობრებში, უფრო სარწმუნოა, რომ ის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებდა ინტელექტუალური უპირატესობით, საზრიანობით, მეგობრული სითბოს გამოვლენით. მაგრამ ჩვენ არავითარი ინფორმაცია არა გვაქვს, თუ როგორი იყო პატარა სოსო მოღალატეებთან, პირის გამტეხლებთან, მატყუარებთან: ასეთებიც ხომ გვხვდება სიყრმის მეგობართა წრეში. ამის შესახებ მეგობართა არცერთი მხარე არაფერს გვეუბნება. სავარაუდოა, რომ მას სძაგდა მოღალატე მეგობარი (როგორც ყველას), პირის გამტეხი და სიყვარული და პატივისცემა უეცრად ეცვლებოდა ზიზღით, უნდობლობით. და კიდევ ერთი, აშკარაა რომ ი. ბ. სტალინის თითქმის ყველა ბიოგრაფი თავისდაუნებურად მოხვდა პიროვნების კულტის ეპოქის პროპაგანდის ქვეცნობიერი ზეგავლენის ქვეშ და მოითხოვენ პატარა ქართველი ყმაწვილისაგან ღვთაებრივ ნიშნებს, უმაღლესი ეთიკის ნიმუშებს. სოსო ჯუგაშვილი რიგითი ქართველი მეჩექმის ვაჟი იყო, იმ ეპოქის ყმაწვილისათვის დამახასიათებელი ტიპიური ნიშნებით და მხოლოდ ერთი გამორჩეული თვისებით, რამაც ის მსოფლიო პოლიტიკის აღიარებული ლიდერი გახადა.

ბავშვობაში სოსოს გამორჩეულად ყვარებია ბუნება, განსაკუთრებით გორის შემოგარენი. პ. კაპანაძე იგონებს, რომ მათ ერთად მთელი ახლომდებარე სანახები ჰქონდათ მოვლილი და დათვალიერებული. გორის მაზრაში ბევრი ისტორი-

ული ძეგლი არსებობდა: ანტიკური ხანის უფლისციხის ნანგრევები, ადრეული ქრისტიანული ხანის უნიკალური ძეგლი ატენის სიონი, ქვახვრელის არქიტექტურული კომპლექსი და ბევრი სხვა. მაგრამ ჭაბუკებს განსაკუთრებით გორის ციხეზე ყოფნა ყვარებიათ. პატარა სოსოს ხშირად ხედავდნენ წიგნით ხელში გორის ციხეზე მიმავალს მას ძლიერ იზიდავდა მშობლიური ქალაქის ჭვრეტა გორის ციხის ქონგურებიდან.

ბუნებისადმი სოსოს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ადასტურებს ი.ირემაშვილიც: „სოსოს ძალიან უყვარდა ბუნება და შეეძლო მისი მშვენიერებით დიდხანს დამტკბარიყო... მთელი დღეები საათობით მდინარის პირას იდგა“(51).

მართალია, ი. ირემაშვილი ცდილობს მოარიგოს წინააღმდეგობა „ბუნების მოყვარულსა“ და „ცაში მონავარდე ჩიტების“ უმოწყალოდ შურდულით მონადირეს შორის, რაც ზოგიერთი არაკეთილსაიმედო ფსიქოლოგში წარმოშობს ცდუნებას დაინახოს მომავალ გენერალურ მდივანში „პათოლოგიის“ გენეტიკური ფესვები, მაგრამ გვინდა აქვე გავიხსენოთ ბიბლიური მეფე დავითის ყმაწვილობაში შურდულით გატაცება და ისიც, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში (თვით XX საუკუნის 50-იანი წლების ჩათვლით) შურდული ქართველი ყმაწვილების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტულ-აზარტული გატაცება იყო, და ამის გამო ისინი არავის ჩაუთვლია პათოლოგებად.

ბავშვების სიხარულს წარმოადგენდა ზაფხულობით მდინარეზე საბანაოდ სიარული. სოსოს ძალიან ყვარებია მდინარე ქსანზე ბანაობა მთის სუფთა, ბობოქარი მდინარესთან შერკინება სიამოვნებას ანიჭებდა მოზარდს. ყმაწვილს რომ ბუნება სერიოზულად იზიდავდა და მისით ტკბობის უნარიც ჰქონდა, ეს მის პოეტურ ქმნილებებსაც დაეტყო.

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ სოსო ჯუგაშვილი მეგობრებში ავტორიტეტით სარგებლობდა. ამას აპირობებდა არა მარტო მისი მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, არამედ არაფორმალური ლიდერის თანდაყოლილი თვისებებიც. მას ჰქონდა ჯგუფის დარაზმვის, მისი ქმედითუნარიანობის მიზნობრივად წარმართვის, მათ წინაშე იდგომი ამოცანების ოპტიმალურად გადაჭრის გზებისა და მეთოდების აღმოჩენისა

და რეალიზაციის უნარი. ამასთან, მას შეეძლო თანდგომა გაჭირვებაში, დახმარება სწავლასა და ყოველდღიურ საქმიანობაში. მისი მეგობრები ერთხმად ამტკიცებენ, რომ სოსო მათ ეხმარებოდა გაკვეთილების მომზადებაში, რუკების შედგენაში, ხოლო მეგრელ დ. გოგოხიას კი ქართულ ენაზე უნაკლო მეტყველებას ასწავლიდა. თვით მისი პოლიტიკური ოპონენტი ი. ირემაშვილიც კი აღნიშნავს, რომ სოსო „როგორც ბიჭი და მოზარდი კარგი მეგობარი იყო იმათთვის, ვინც ექვემდებარებოდა მის ბრძანებლურ ნებას"(52).

უდავოა, რომ სოსო ჯუგაშვილის გამორჩეული თვისებები ბავშვობის ასაკშიც უნდა ყოფილიყო შესამჩნევი, თუმცა სრულყოფილად, რა თქმა უნდა, არა. ლიდერის ბუნებრივი თვისება თანდათან ვითარდება და გარემომცველი პირობების ზეგავლენით ყალიბდება იმ ფენომენად, რაც პატარა სკოლის არაფორმალურ ლიდერს მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკურ მოღვაწედ აყალიბებს.

იოსებ ჯუგაშვილის ბიოგრაფები ამტკიცებენ, რომ უკვე ჭაბუკობაში მას ჰქნდა გამოკვეთილი შურისძიების გრძნობა - რამაც ასაკში პარანოიდალური შეფერილება მიიღო. შურისძიების გრძნობა ადამიანის ბუნებრივი გრძნობათაგანია, თუმცა არაქრისტიანული, მაგრამ მეტად ძლიერი. შურისძიება ზოგ შემთხვევაში აუცილებელი ხდება - სამშობლოს მჩაგვრელთა წინააღმდეგ შურისძიება, კლასობრივი მტრის წინააღმდეგ შურისძიება, იდეოლოგიური მოსაზრებითაც შურისძიება - ეს ყველა სახალხო-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სუბიექტური იმპულსთაგანია. შურისძიება რევოლუციური ხასიათის მთავარი თვისებაა. რომელი სოციალური ფენიდან არ უნდა გამოვიდეს რევოლუციონერი იქნება ის გლეხის შვილი, ინტელიგენტი, გენერლისა თუ მდიდარი ბურჟუასი, მას შეცნობილი შურისძიების ძლიერი გრძნობა უნდა ამოძრავებდეს. ამის გარეშე წარმოუდგენელია იმ ისტორიული მისიის შესრულება, რასაც ისა და მისი პოლიტიკური მოძრაობა ისახავენ მიზნად. შურისმაძიებელი იყო ისტორიაში ცნობილი ყველა რევოლუციონერი: ვ. ი. ულიანოვი, ლ. დ. ტროცკი, ა. კოლონტაი და სოსო ჯუგაშვილიც.

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პატარა იოსების ხასიათში, რა თქმა უნდა, ანგრესიულობის ძლიერი მუხტი

იქნებოდა. ესეც აუცილებელია რევოლუციონერისათვის. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყალიბდებოდა მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე რადიკალური სოციალური მოძრაობის მომავალი პოლიტიკური ლიდერი, იმ მოძრაობის ლიდერი, რომლისათვისაც წარმოუდგენელი იყო ყოველგვარი კომპრომისი დაპირისპირებული კლასებისადმი, მდიდრებისადმი; ლიდერი მოძრაობისა, რომელიც ვარაუდობდა (და განახორციელა კიდეც) არსებული სოციალურ-ეკონომიკური ყოფიერების საფუძვლიან დარნგრევას, სასტიკ პროლეტარულ დიქტატურას მქონებელი კლასის წინააღმდეგ, დაპირისპირებული ძალების ძალმომრეობით განადგურებას და განა ამას შეასრულებდნენ ადამიანები ჩვილი ნერვებით, ცრემლიანი თვალებით და აკანკალებული ხელებით? რა თქმა უნდა, არა!

სამწუხაროდ, იოსებ ჯუგაშვილის მეგობრების მოგონებებში ზოგჯერ ფანტაზიას ძალუმად ესხმება ფრთები. გ. ელისაბედაშვილი ამტკიცებს, რომ 13 წლის სოსო ჯუგაშვილი მას „ესაუბრებოდა რა რევოლუციური მოძრაობის სიკეთეებზე, იგი ამზადებდა მას პოლიტიკური ბრძოლისათვის"(53).

მეგობრების ზოგიერთი მოგონება აშკარად ბიბლიური ელფერის მატარებელია და ნაკლებად დამაჯერებელიც. აი, რას მოგვითხრობენ პატარა სოსოს შეხვედრაზე გლეხებთან: „ერთხელ გზა და გზა მივდიოდით და დავინახეთ მხვნელები, რომლებიც მინდორში ისვენებდნენ.

- მოდი, მივიდეთ მათთან. - მითხრა ამხანაგმა სტალინმა.

მივედით.

როდესაც ამხანაგმა სტალინმა დაინახა, რა მადიანად შეექცეოდა ერთ-ერთი გლეხი პურსა და ლობიოს, შეეკითხა:

- რატომ იკვეებით ასე ცუდად? განა თქვენ თვითონ არ ხნავთ, თესავთ, იღებთ მოსავალს. მაშასადამე შეიძლება უკეთესად იცხოვროთ.

ამაზე გლეხმა უპასუხა:

აღებით კი ჩვენ ვიღებთ, მაგრამ ბოქაულს ვაძლევთ, მღვდელს ვაძლევთ. რაღა გვრჩება?

ასე გაიმართა საუბარი, რომლის დროს ამხანაგმა სტალინმა თანდაათან განმარტა, რატომ ცხოვრობს გლეხი ცუდად, ვინ მდიდრდება მის ხარჯზე, ვინ არიან მისი მეგობრები და

ვინ მტრები. ისე გასაგებად და საინტერესოდ ლაპარაკობდა, რომ გლეხებმა სთხოვეს მისულიყო და კიდევ ელაპარაკა მათთან"(54).

ზოგიერთი მისი მეგობარი ამტკიცებს, რომ უკვე გორის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს სოსო ჯუგაშვილს ჩამოუყალიბდა ათეისტური შეხედულებები დარვინის მაშრომის გაცნობის შემდეგ(55). ამ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ ლ. ტროცკის ირონიას, როცა აღნიშნავს, რომ ძნელი წარმოსადგენია პატარა ყმაწვილს მივარდნილ ქალაქში წაეკითხა დარვინი და ამის საფუძველზე გაეკეთებინა ათეისტური დასკვნები(56).

ჩემი აზრით, და ამას ადასტურებს სოსო ჯუგაშვილის პოეზიის კრიტიკული ანალიზიც, ათეისტური რწმენა-წარმოდგენები სოსოს განუვითარდა თბილისში სწავლის პერიოდში და ამ საკითხს ჩვენ სპეციალურად შევეხებით ქვემოთ. ღვთისმოსავ დედასთან ყოველდღიური ურთიერთობის პირობებში, ქრისტიანული ორთოდოქსიით ცნობილ ქალაქ გორში მას ნაკლებად განუვითარდებოდა ათეისტური შეხედულებები.

ზოგიერთი მეგობარი იმასაც ამტკიცებს, რომ სოსოს უკვე გორში ჩამოუყალიბდა მეამბოხე სულისკვეთებაც კი. ი. ირემაშვილი აღნიშნავს, რომ სწორედ სოსო იყო სულისჩამდგმელი იმ ინციდენტისა, რაც მოხდა სასწავლებლის დერეფანში, როცა მოსწავლეებმა სტვენა გაუმართეს და სიცილი დააყარეს ერთ უვარგის პედაგოგს(57). მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ამერიკელი სტალინოლოგი რ. ტაკერი: „მისი მეამბრხე სული რომ ასე აშკარად გამოვლენილიყო, სოსო ჯუგაშვილი ვერ გახდებობა წარჩინებული მოწაფე და ვერ დაიმსახურებდა საპატიო დიპლომს"(58).

მეტად საყურადღებოა ერთი მოგონება, რომელსაც პ. კაპანაძე იხსენებს: „ერთხელ მე და სოსომ გორიჯვარისკენ გავისეირნეთ. აქ, ქალაქგარეთ, ტყის პირას დიდი ხავსიანი ლოდის შუა ამოჭრილ ადგილზე მოთავსებული იყო საღებავგადაცლილი წმინდა გიორგის ძველი ხატი, ეს ხატი ხალხში სასწაულმოქმედად იყო ცნობილი.

მე და იოსებმა ხატს შაურიანი სანთელი დავუნთეთ. ხატს იმას ვთხოვდით, რომ დაგვხმარებოდა კარგ სწავლაში და მუდამ პირველი მოწაფეები ვყოფილიყავით"(59).

საკუთარი სიბეჯითით (იქნება წმინდა გიორგის დახმარებითაც?!) სოსო ჯუგაშვილმა წარმატებით დაასრულა გორის სასულიერო სასწავლებელი. შემონახულია მოწმობა, რომელიც მიეცა ი. ჯუგაშვილს გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრებისას. მოწმობა თარიღდება 1894 წლის ივნისით. მოსწავლის ყოფაქცევა შეფასებულია „ფრიადით". ახალგაზრდამ სავალდებულო 12 საგნიდან ათში დაიმსახურა უმაღლესი შეფასება („ფრიადი") და ორი „ძალიან კარგი"(60). მოწმობას ხელს აწერს სასწავლებლის მზრუნველი ვ. ბელიაევი.

რაც შეეხება „საპატიო სიგელს", რომლის შესახებ მითითება ბევრ ბიოგრაფთან გვხვდება, დოკუმენტურად ეს ფაქტი არ დასტურდება, თუმცა ი.ჯუგაშვილის მიერ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის სახელზე დაწერილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ გორის სასულიერო სასწავლებელი დაამთავარა „პირველ მოწაფედ".

გორის სასულიერო სასწავლებელი თბილისის სასულიერო სემინარიას ექვემდებარებოდა და ახალბედა აბიტურიენტი ვერ გაბედავდა სიცრუეს. ამიტომ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ სოსო ჯუგაშვილი გორში, სასწავლებელში გამორჩეული მოწაფე იყო, რომელიც სასწავლებლის ბიუჯეტიდან სტიპენდიასაც კი იღებდა(61). სოსო ჯუგაშვილმა წარმატებით დაასრულა სწავლის ერთი ეტაპი. მის წინ გადაიშალა ახალი ასპარეზი - სწავლის გაგრძელება ამიერკავკასიის სატახტო ქალაქში თბილისში. მან დაუფიქრებლად მიიღო ეს გადაწყვეტილება.

სოსო თბილისის სასულიერო სემინარიაში

თბილისში სასულიერო სემინარია, საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ფაკულტეტი ჯერ კიდევ 1755 წელს დაარსდა ანჩისხატის ტაძრის ეზოში. აქ ისწავლებოდა გრამატიკა, რიტორიკა, მეტაფიზიკა, ფილოსოფია. ამ სასწავლებელში ცნობილი ქართველი განმანათლებელი ანტონ კათალიკოსი მოღვაწეობდა. სასწავლებელი განადგურდა 1795 წელს ირანის შაჰის, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს.

საქართველოში რუსეთის მმართველობის დამკვიდრებისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების (1811 წ.) შემდეგ საქართველოს საეგზარქოსოსთან 1817 წელს შეიქმნა თბილისის სასულიერო სემინარია. ეს სასწავლებელი თავიდანვე იყო რუსეთის ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ამიერკავკასიაში, მისი მიზანი იყო ტახტისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ერთგული მსახურების აღზრდა.

დროთა განმავლობაში სასწავლებელი გაიზარდა. 1838 წელს საეკლესიო უწყებამ ვაჭარ იაკობ ზუბალაშვილისაგან იყიდა მის მიერ 1825 წელს სასტუმროსათვის აგებული შენობა ერევნის მოედნის ჩრდილო ნაწილში და იქ მოათავსა თბილისის სასულიერო სემინარია. გვიანი კლასიციზმის სტილში ნაგები ეს საკმაოდ დიდი, სამსართულიანი შენობა რამდენიმე ათეული მეტრით იყო დაშორებული კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციას. სასწავლებელი თავიდანვე რუსეთის კოლონიალური ხელისუფლების გამორჩეული ყურადღების ქვეშ მოექცა.

ამ სასწავლებლის აღზრდილებს შორის იყვნენ ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კორიფეები: სოლომონ დოდაშვილი, დანიელ ჭონქაძე, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო ლომოური, იაკობ გოგებაშვილი, მოსე ჯანაშვილი, გიორგი საძაგლიშვილი (კათალიკოსი კირიონი) და ბევრი სხვა.

წლების განმავლობაში სასწავლებელმა რუსეთის სხვა ანალოგიურ დაწესებულებებს შორის პრივილეგირებული ადგილი დაიკავა - ის ამიერკავკასიის რეგიონის მთავარი ქრის-

ტიანული სასულიერო სასწავლებელი იყო. სემინარიის წარჩინებული კურსდამთავრებულები იგზავნებოდნენ კიევის, მოსკოვის, ყაზანის, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიებში.

მაგრამ ამ სასწავლებელს ჰქონდა ცხოვრების მეორე ნაკლებად ცნობილი, დაფარული მხარე. მიუხედავად სასწავლებლის საეკლესიო-რელიგიური მიმართულებისა, მოსწავლეები დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალყურს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ ცხოვრებას, აინტერესებდათ მისი ავ-კარგი და მუდამ იყვნენ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა საგლეხო რეფორმის შემდეგ (1861 წ.), როცა ალექსანდრე II შედარებით ლიბერალურმა მმართველობამ რუსეთის საზოგადოებრივ-ინტელექტუალური ცხოვრების გამოცოცხლება გამოიწვია. რუსეთის საზოგადოებრივი აზრი კი ბობოქრობდა, ეძებდა რუსეთის დამყაყებული დესპოტიზმის ლიკვიდაციის, სახელმწიფოს შემდგომი ევოლუციური თუ რევოლუციური განვითარების გზებსა და მეთოდებს. ამ საქმეში ახალგაზრდობა - სტუდენტობა ყველა საზოგადოებრივი მოძრაობისა და მიმდინარეობის ძირითადი დასაყრდენი იყო.

ხალხოსნური მოძრაობა, რომელიც რეფორმის შემდგომ საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახდა, საქართველოშიც გავრცელდა. დაუმსახურებლად ჩაგრული ღარიბი ფენებისადმი სამართლიანი ცხოვრების შექმნა ამ მოძრაობის მთავარი ამოცანა იყო. ნაროდნიკული შეხედულებები გავრცელდა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებს შორისაც. პროფ. ა. კიკვიძე სამართლიანად აღნიშნავდა: „ნაროდნიკული ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი თბილისის სასულიერო სემინარიიდან გამოსული იყო. მეფის მთავრობა პოლიტიკური მოსაზრებით სასურველად თვლიდა ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობის ეკლესიის მსახურებად განსწავლას. ამიტომ სასულიერო სემინარიაში ის კარს ულებდა გლეხთა ახალგაზრდობას. საგლეხო რეფორმის შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიის კონტიგენტს ძირითადად სოფელი იძლეოდა“(1).

რუსეთის დემოკრატიული აზროვნების კორიფეები ნ. ჩერნიშევსკი, ა. გერცენი, ნ. დობროლუბოვი და სხვები ქართველი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილის აზრთა მპყრობელებიც

გახდნენ.

1872 წელს სემინარისტმა დავით კეზელმა თბილისის სასულიერო სემინარიაში მოაწყო რევოლუციური წრე, რომელსაც ჰქონდა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება. წრის წევრები თავის იდეურ მამად ნ.ჩერნიშევსკის მიიჩნევდნენ(2). წრის წევრები მალე გამოავლინეს და დააპატიმრეს კიდეც.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სემინარიაში პედაგოგობდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი - სემინარიის აღზრდილი, ცნობილი განმანათლებელი-დიდაქტიკოსი. ის სემინარიაში რუსეთის რაზნოჩინული ინტელიგენციის მოწინავე იდეების პროპაგანდას ეწეოდა, ფარულად ავრცელებდა აკრძალულ ლიტერატურასაც, მათ შორის ჟურნალს „სოვრემენიკი"(3).

თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა პოლიტიკურ სიმწიფეზე ისიც მიუთითებს, რომ უკვე 70-იან წლებში ისინი ავრცელებდნენ ხელნაწერ ჟურნალს „შრომა". ამ ჟურნალის ფურცლებზე სემინარისტები აკრიტიკებდნენ სასწავლებელში გამეფებულ იეზუიტურ მეთოდებს, ყოვლად აუტანელ, სულისშემხუთავ ატმოსფეროს.

ალექსანდრე II შედარებით ლიბერალური მმართველობის დროსაც, კოლონიალურ ქვეყანაში, საქართველოში, ადგილი ჰქონდა პროგრესული იდეების მატარებელი ადამიანების დევნა-შევიწროვებას. სპეციალური აგენტები ავლენდნენ ასეთ პირებს, მათ დევნიდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან. ამ დევნის მსხვერპლი გახდა თბილისის სასულიერო სემინარიის ბევრი პედაგოგი, მათ შორის იაკობ გოგებაშვილიც.

1881 წელს ალექსანდრე II მოწყობილმა წარმატებულმა თავდასხმამ, გარკვეულად, ხელი შეუწყო რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების შემდგომ განვითარებას. სემინარიაში 1881 წელს დაარსდა ჟურნალი „იმედი", შეიქმნა მოსწავლეთა ახალი არალეგალური წრეები. მომავალში ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა მ. ჩოდრიშვილმა თავის ბინაში მოაწყო მოსწავლეთა შეკრება, სადაც გადაწყდა არალეგალური სტამბის მოწყობა. მათ მიერ დაარსებულმა სტამბამ იარსება 1887 წლამდე. იქ ბეჭდავდნენ რევოლუციურ ბროშურებს, ბუკლეტებს.

1885 წელს სემინარიის მოსწავლეთა წრემ გამოსცა

ახალგაზრდული ხელნაწერი ჟურნალი „ყვავილი“.

ხალხოსნური შეხედულებების გავრცელებამ, რეაქციური იდეების პროპაგანდამ ლოგიკური შედეგი გამოიღო - 1886 წლის 24 მაისს ხალხოსნური წრის წევრმა, სემინარიის მოსწავლემ იოსებ ლაღიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი, პირწავარდნილი შავრაზმელი დეკანოზი ჩუდეცკი. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ეს ტერორისტული აქტი ორგანიზებული იყო ხალხოსნური ჯგუფის დავალებით(4).

საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ ჩუდეცკის დასაფლავებაზე შეაჩვენა ქართველი ერი, რომელმაც წარმოშვა „ისეთი ავაზაკი, როგორიც იყო იოსებ ლაღიაშვილი“. ქართველი ერის შეურაცხყოფამ აღაშფოთა ქართველი მამულიშვილები. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, იმერეთის თავადაზნაურობის წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა 1886 წლის 6 ივნისს ეგზარქოს პავლეს ღია წერილი გაუგზავნ: „თქვენო აღმატებულებავ! მიიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება, თუ მე, გატაცებული დაუჯერებელი ხმებით, ვცოდავ თქვენს წინაშე, მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დაწყევლეთ ქვეყანა, რომელშიც თქვენ მოწოდებული ხართ სამწყმსოდ, რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას... თუ ყოველივე ეს მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შემჩვენებელი განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან“(5).

დიმიტრი ყიფიანის ამ წერილმა დიდი შეშფოთება გამოიწვია მმართველ წრეებში. საქართველოს საზოგადოებრივი აზრი ღელავდა. მეფის მთავრობამ გულმხურვალე პატრიოტი სტავროპოლის მხარეში გადაასახლა, სადაც დაქირავებულმა აგენტმა ერის მოჭირნახულე მამულიშვილი სიცოცხლეს გამოასალმა.

ი. ლაღიაშვილის ტერორისტული აქტის შემდეგ გაძლიერდა რეპრესიები თბილისის სასულიერო სემინარიაში. ბევრი მოსწავლე, რომელიც შემჩნეული იყო ნიჰილისტურ შეხედულებებში, მათ შორის მომავალი პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილი სოციალ-დემოკრატი მიხა ცხაკაია, გარიცხეს სასწავლებლიდან. საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად იმპერიაში, გამეფდა პოლიტიკური რეაქცია.

მიუხედავად ამისა, ბუნტარული სული თბილისის სასული-

ერო სემინარიაში მაინც ვერ ჩაკლეს. 90-იანი წლების დასაწყისში სემინარია კვლავ იყო მოსწავლეთა ოპოზიციური განწყობილებების გამოვლენის ცენტრი - 1892 წელს ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით მოსწავლეთა წრემ გამოუშვა არალეგალური ჟურნალი „განთიადი“. ერთი წლის შემდეგ მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით დაარსდა მოსწავლეთა რევოლუციური წრე, რომელმაც 1893 წლის დეკემბერში მოაწყო სემინარელთა დიდი გაფიცვა, რაც მიმართული იყო სასწავლებელში გამეფებული იეზუიტური რეჟიმის წინააღმდეგ. საქართველოს ეგზარქოსის სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში გაფიცვის ხელმძღვანელის, მიხა ცხაკაიას შესახებ აღნიშნული იყო შემდეგი: მას ახასიათებს „უხეშობა და თავხედობა, მავნე წიგნების კითხვა, აშკარად ანტირელიგიური და კერძოდ კი სოციალისტური მიმართულების, რომლის გავრცელებას ცდილობდა კიდეც სასწავლებელში“(6).

როგორც დასტურდება, წრის წევრებმა ორგანიზაცია გაუკეთეს მოსწავლეთა გაფიცვას ქალაქგარეთ. შეკრებაზე სიტყვით გამოსული მ. ცხაკაია „აგულიანებდა მათ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და მოუწოდებდა ხელმძღვანელთა განკარგულებისადმი ძალმომრეობითი პროტესტისაკენ“(7).

გაფიცვის დროს მოსწავლეებმა შეიმუშავეს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ისინი უარს აცხადებდნენ სასწავლებელში დაბრუნებაზე. ისინი მოითხოვდნენ სემინარიაში ქართული ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის სწავლას, ჟურნალ-გაზეთების კითხვის ნებართვას, ჯაშუშობის სისტემის მოსპობას, განსაკუთრებით საძულველი პედაგოგებისა და ინსპექტორების გათავისუფლებას.

თბილისის ჟანდარმერიის ხელმძღვანელობას სერიოზული ეჭვები ჰქონდა, რომ მოსწავლეთა ეს გამოსვლა დაკავშირებული იყო იდეურად და შესაძლებელია ორგანიზაციულადაც კი, ქართველი ერის სულიერ მამასთან - ილია ჭავჭავაძესთან(8).

მოსწავლეთა ამ გაიფიცვამ დიდი მღელვარება გამოიწვია კოლონიალურ ხელისუფლებაში. გაფიცვის მონაწილე 87 ახალგაზრდა „მგლის ბილეთით“ გაირიცხა სასწავლებლიდან, 23 მოსწავლეს თბილისში ცხოვრება აუკრძალეს. თუმცა, ამ რეპრესიებმა ვერ გატეხა მოსწავლეთა სულისკვეთება. ბრძოლა

რეჟიმთან გრძელდებოდა.

ასეთი იყო მოსწავლეების გუნება-განწყობილება თბილისის სასულიერო სემინარიაში, როცა 1894 წლის აგვისტოში იოსებ ჯუგაშვილმა სასწავლებლის კარები შეაღო.

არსებობს გადმოცემა, რომ 1894 წლის აგვისტოში იოსები დედასთან ერთად ჩამოვიდა თბილისში და გაჩერდა ნათესავებთან. შემთხვევით გამოირკვა, რომ იმავე ეზოში ცხოვრობდა სემინარიის ეკონომი, მღვდელი ჩაგანავა. მისი მეუღლე გაეცნო გორელ აბიტურიენტს და ისე აღფრთოვანდა მისი გონებრივი შესაძლებლობებით, რომ საღამოს ქმარსაც კი ესაუბრა ამ ახალი „ვუნდერკინდის" შესახებ. მღვდელი დაინტერესდა ახალგაზრდით, გაეცნო მას, ბევრი ესაუბრა და რეკომენდაციცა გაუწია მისაღებ გამოცდებზე(9).

სემინარიის დოკუმენტებში ჩვენ არ შეგვხვედრია გვარი „ჩაგანავა". ეს ფაქტი ი. ბ. სტალინზე გამოთქმულ მითებს შეიძლება მივაკუთვნოთ.

სავარაუდოა, რომ იოსებ ჯუგაშვილი, გორის სასულიერო სასწავლებლის სხვა 12 აბიტურიენტთან ერთად ჩამოვიდა თბილისში და უცხო პირის რეკომენდაციის გარეშე ჩააბარა მისაღები გამოცდები.

ჩვენ არ ვიცით, რა ნიშნები მიიღო მან გამოცდაზე, მაგრამ დოკუმენტურად ვიცით, რომ მან წარმატებით ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა სასწავლებელში. არსებობს თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგიური კრების 1894 წლის 2 სექტემბრის ოქმი (№ 20), სადაც აღნიშნულია, რომ 22 აგვისტო 1 სექტემბერის გამოცდების საფუძველზე სასწავლებელში მიიღეს 20 ახალგაზრდა. პირველ რიგში ჩაირიცხნენ სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილები, შემდეგ სხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები. მათ შორის აღნიშნულია იოსებ ჯუგაშვილი(10). სულ ბოლოს ჩარიცხეს სასულიერო წოდების ის წარმომადგენლები, რომლებმაც ერთი უარყოფითი შეფასება მიიღეს, მათ შორის დასახელებულია სოსოს სკოლის მეგობარი იოსებ ირემაშვილი.

იოსებმა რომ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები, ეს ჩანს იმ განცხადებიდან, რაც მან დაწერა სემინარიის რექტორის სახელზე გამოცდების ჩაბარებისთანავე. ქვემოთ

მოგვაქვს ამ განცხადების სრული ტექსტის ჩვენეული თარგმანი:

მის მაღალღირსებას თბილისის სასულიერო სემინარიის მამა რექტორს, არქიმანდრიტ სერაფიმს

თბილისის სასულიერო სემინარიის I კლასის მოსწავლის იოსებ ჯუგაშვილის

უმორჩილესი განცხადება

დავამთავრე რა გორის სასულიერო სასწავლებელი პირველ მოწაფედ და არა მაქვს რა საშუალება გავაგრძელო შემდეგი სწავლა, და მიუხედავად ამისა გავბედე, თქვენი მაღალღირსების თანხმობით, დავიჭირე გამოცდები თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც (გამოცდა) საბედნიეროდ დაგვირგვინდა წარმატებით და მე მიღებული ვარ სასულიერო სემინარიის აღსაზრდელად.

მაგრამ, რამდენადაც ჩემს მშობლებს არ შეუძლიათ შემინახონ მე თბილისში, უმოწყალესად გთხოვთ თქვენ, თქვენო მაღალღირსებავ, მიმიღოთ მე ნახევრადსახაზინო ხარჯზე.

ამასთან, გავბედავ დავამატო ისიც, რომ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში მე ვსარგებლობდი სასწავლებლის ხარჯიდან შემწეობით.

თბილისის სასულიერო სემინარიის I კლასის მოსწაცლე

იოსებ ჯუგაშვილი

1894 წლის სექტემბერი(11).

სემინარიის ხელმძღვანელებმა მოსწავლეთა ანალოგიური განცხადებები განიხილეს 3 სექტემბერს. მათ დააკმაყოფილეს

მოსწავლეთა ერთი ჯგუფის თხოვნა და საქართველოს საეგზარხოსოს ხარჯზე მიიღეს სასწავლებლად. ამ ჯგუფის მოსწავლეთა შორის იყო სოსო ჯუგაშვილიც(12). ლეგენდების სფეროს განეკუთვნება ის ფაქტი, რომ ი. ჯუგაშვილმა გამოცდებზე დამალა თავისი წარმოშობა და კვლავ მღვდლის შვილად გაასაღა თავი. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთის რელიგიურ სასწავლებლებში არ იზღუდებოდა გლეხის შვილების მიღება, ამასთან, ი. ჯუგაშვილის იმდროინდელ ყველა შემონახულ დოკუმენტში მისი გლეხური წარმოშობა დაფიქსირებულია.

იმჟამად სემინარიის რექტორი იყო არქიმანდრიტი სერაფიმი. პედაგოგები ძირითადად რუსები იყვნენ, მხოლოდ ორი ქართველი მასწავლებელი ასწავლიდათ - სამოქალაქო ისტორიას ნიკოლოზ მახათაძე, დიდაქტიკას და საეკლესიო ქართულს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი თედო ჟორდანია. პედკოლექტივი საკმაოდ კვალიფიცირებული ჩანს - თითქმის ყველა პედაგოგი ღვთისმეტყველების კანდიდატი იყო. ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებული დამსახურებებისათვის დაჯილდოვებული იყო წმინდა ანასა და სტანისლავის III ხარისხის ორდენებით(13).

პედაგონების უმეტესობა ოფიციალური იდეოლოგიის ერთგული მსახური იყო, თუმცა იყვნენ გამორჩეულნიც. პ. კაპანაძე განსაკუთრებული სითბოთი იგონებს რუსული სიტყვიერების მასწავლებელს ალბოვს და ზედამხედველს ნიკოლსკის. ისინი მოსწავლეთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, გამოირჩეოდნენ პროგრესული იდეებით. ხშირი იყო დისკუსიები ცხოვრებისეულ საკითხებზე. ეს არ მოეწონა სასწავლებლის ხელმძღვანელობას და ინსპექტორი ნიკოლსკი სხვა ქალაქში გადაიყვანეს. სემინარიის ახალგაზროდობას საყვარელი პედაგოგისათვის ტრიუმფალური გაცილება მოუწყვია - მასწავლებლის ეტლს სასწავლებლის კარიდან სადგურამდე მოსწავლეთა ეტლების საზეიმო კორტეჟი მიჰყვებოდა(14).

სიტყვიერების მასწავლებლის ალბოვის დამსახურება უნდა იყოს სოსო ჯუგაშვილის მიერ რუსული ლიტერატურის ღრმა ცოდნა. მან გულით შეიყვარა პუშკინის ენა და მთელი ცხოვრება ამ ლიტერატურის ჭეშმარიტი დამფასებელი იყო.

თბილისის სასულიერო სემინარიაში ოცამდე საგანს

ასწავლიდნენ, მათ შორის ძირითადი, რა თქმა უნდა, საღვთისმეტყველებო საგნები იყო: წმინდა წერილის განმარტება, ბიბლიის ისტორია, საეკლესიო ისტორია, გამილაქტიკა, ლიტურგია, საეკლესიო ქართული ენა, ქართული ეკლესიის ისტორია, საეკლესიო გალობა და სხვა. ამასთან ერთად ასწავლიდნენ რუსულ სიტყვიერებას, ალგებრას და გეომეტრიას, ფიზიკას, ფსიქოლოგიას, ლოგიკას, ბერძნულსა და ლათინურ ენებს და სხვ.

სწავლით დაინტერესებული მოსწავლეებისათვის სემინარიაში არსებობდა ყველა პირობა საეკლესიო ცონის მისაღებად. სასწავლებლის მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა - ადგილობრივ წიგნთსაცავში ინახებოდა 7877 დასახელების 12765 წიგნი. მათ შორის 1697 დასახელების საღვთისმეტყველო, 898 დასახელების საეკლესიო-პედაგოგიური, 1353 დასახელების საისტორიო, 638 დასახელების მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, 550 დასახელების ფილოსოლფიური ლიტერატურა, 430 დასახელების ფილოლოგიური შინაარსის წიგნი და ა.შ.(15).

ლიტერატურა თითქმის მხოლოდ რუსული იყო. სემინარია ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი გამტარებელი იყო ამიერკავკასიაში და აქ ყველაფერი ემსახურებოდა რუსული ენის უზენაესობის დამკვიდრებას. ალექსანდრე III მმართველობის პერიოდში ეს პოლიტიკა განსაკუთრებით აუტანელი გახდა. ამ პოლიტიკას ქედს უხრიდა სასულიერო სემინარიის პედკოლექტივიც, რომელიც ცდილობდა ქართული ენის საბოლოოდ განდევნას მოსწავლეთა ცნობიერებიდან. 1896 წლის 16-24 იანვარს სასწავლებლის პედაგოგიური კრების გადაწყვეტილებით მიიღეს დადგენილება: „მოსწავლეთა შორის რუსული სამეტყველო ენის ხმარების გაძლიერების შესახებ“. დადგენილება მოითხოვდა სემინარიის შენობაში და მის ფარგლებს გარეთაც კი ქართულ ენაზე მეტყველების ფაქტების არა მარტო აკრძალვას, არამედ ქართულად დალაპარაკების საბაბის წარმოშობასაც კი. ქართულად მეტყველება სრულიად აეკრძალათ მოსამსახურეებს(16).

ასეთი დრაკონული კანონები, უსამართლობა, ეროვნული ღირსების შეურაცხოყოფა, უდავოდ, დაბადებდა სასწავლებელში არსებული რეჟიმის მიმართ ნიჰილიზმს. თუმცა, ობიტექტურობა მოითხოვთ აღინიშნოს, რომ სასწავლებელში მაინც ჰქონდათ

79 დასახელების ქართული წიგნი, ძირითადად საღვთისმეტყველო შინაარსის. იყო საისტორიო და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიც: დიმიტრი ბაქრაძის, მოსე ჯანაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას თხზულებები(17).

განსაკუთრებით აღსანიშნავია სასწავლებლის ბიბლიოთეკის დასავლეთ ევროპული ლიტერატურის ფონდი. აქ იყო სერვანტესის, შექსპირის, განსაკუთრებით დიკენსის და სხვათა თხზულებების მდიდარი არჩევანი. რა თქმა უნდა, ჩინებული იყო რუსული მხატვრული ლიტერატურის განყოფილება: კარამზინის, გონჩაროვის, ტურგენევის, აქსაკოვის, ალ. ტოლსტოის და სხვების მდიდარი მემკვიდრეობა კარგ საფუძველს იძლეოდა ახალგაზრდის მხატვრული გემოვნების განვითარებისათვის. სავარაუდოა, რომ ბიბლიოთეკის მდიდარ წიგნის ფონდთან კავშირმა გაუძლიერა სოსო ჯუგაშვილს მხატვრული ლიტერატურის სიყვარული, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში მისი თანამგზავრი იყო, ხოლო როცა ამ ბიბლიოთეკამ აღარ დააკმაყოფილა, მან მონახა გზები თავისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

სემინარიაში ახლადმისულმა მოწაფეებმა ძალიან მალე შეიგრძნეს სულისშემხუთავი ატმოსფერო. მეტად მკაცრი დღის რეჟიმი, ინსპექტორებისა და პედაგოგების სისტემატური თვალთვალი, მონოტონური ერთფეროვნება, აღზრდის იეზუიტური მეთოდები ძალაუნებურად რეეოლუციონეროად აქცეედა ნებისმიერ, ღირსების მქონე ახალგაზრდას. დ. გოგოხია ასე იგონებს სემინარიის ყოველდღიურ ცხოვრებას: „ედგებოდით დილის შვიდ საათზე. ჯერ გვალოცვინებდნენ, შემდეგ ვსვამდით ჩაის, ზარის შემდეგ მივდიოდით კლასში. მორიგე მოწაფე კითხულობდა ლოცვას „მეუფეო ზეცათაო“ და მეცადინეობა დაუსრულებლად გრძელდებოდა დღის ორ საათამდე. სამ საათზე - სადილი, საღამოს ხუთ საათზე - ამოკითხვა, რის შემდეგ სასტიკად გვქონდა აკრძალული ქალაქში წასვლა. უფრო გვიან მივყავდით საღამოს ლოცვაზე, რვა საათზე ვსვამდით ჩაის, შემდეგ მივდიოდით კლასებში გაკვეთილების მოსამზადებლად, ხოლო ათ საათზე უნდა დაგვეძინა. თავს ისე ვგრძნობდით, თითქოს ქვის ტომარაში ვზივართო“(18).

ი. ირემაშვილი იგონებს: „სემინარიაში ცხოვრება მოსაწყენი და ერფეროვანი იყო. დღე და ღამე სემინარიის კედლებში

გამომწყვდეულები იმ ტუსაღებს ეგვდით, წლების განმავლობაში უდანაშაულოდ რომ იხდიან სასჯელს... გარე სამყაროსთან მოწყვეტილ დერეფნებსა და ოთახებს ახალგაზრდული მხიარულება იშვიათად თუ შეეხებოდა... სკოლაში დღე დილის წირვით იწყებოდა. დღესასწაულებზე კიდევ უფრო ხანგძლივი და მოსაწყენი რიტუალები იმართებოდა, 3-4 საათი ვიდექით ფეხზე და ეკლესიის იატაკის ფილაქსებს დავყურებდით"(19).

გრ. გლურჯიძე იგონებს „სასწავლებლის რეჟიმი მძიმე იყო. არ შეიძლება წაგვეკითხა გაზეთი, თეატრში წავსულიყავით. საღამოს ხუთი საათის შემდეგ აკრძალული გექონდა ქუჩაში გასვლა. დაუსრულებელი ლოცვა - გაკვეთილის წინ, საუზმის წინ, სადილობის წინ, დაძინების წინ. შაბათ-კვირაობით გრძელ-გრძელი, გამაბეზრებელი წირვები ძალიან გვიწყალებდა გულს"(20).

როგორ შეეგუა სოსო ჯუგაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიის მკაცრ და აუტანელ პირობებს? ის, გარკვეულწილად, შეჩვეული იქნებოდა სასულიერო სასწავლებლის მკაცრსა და პურიტანულ წესებს ჯერ კიდევ გორში, სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში, მაგრამ თბილისში ეს წესები კიდევ უფრო მკაცრი და როგლამენტირებული იყო, თანაც მოზარდი ოჯახს იყო მოწყვეტილი. სემინარიის ინსპექტორები განუწყვეტლივ უთვალთვალებდნენ ახალგაზრდებს, აფიქსირებდნენ მათ „დანაშაულს" და იყენებდნენ ზემოქმედების დადგენილ მკაცრ წესებს (პრაქტიკაში იყო კარცერის გამოყენებაც). მოზარდებს მკაცრად სჯიდნენ აკრძალული მხატვრული ლიტერატურის წაკითხვის გამოც. ინსპექტორებს თავისი შენიშვნები აღსაზრდელებზე, კომენტარები და დასჯის ფორმები შეჰქონდათ სპეციალურ ჟურნალში. შემორჩენილია ამ „ოპუსის" რომდენიმე ტომი. ამ დავთარს ჰქვია: „თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორების მოსწავლეთა ქცევაზე ზედამხედველობის ჩანაწერების წიგნი". არქივში დაცულია 1894-1898 წლების ჩანაწერები. ამ ჟურნალებში იოსებ ჯუგაშვილის გვარი დაახლოებით 33 ჯერ გვხვდება. ეს ჩანაწერები ჩინებული მასალაა იოსების ხასიათის ევოლუციური პროცესის შესასწავლად, მით უფრო, რომ აშკარად ჩანს, რა საოცარ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება ახალგაზრდებს, რა მეთოდებს იყენებდნენ კლერიკალები ახალგაზრდების „აღსაზ-

რდელად", რა ითვლებოდა „დანაშაულად" XIX საუკუნის დასასრულის სასულიერო სკოლაში.

იოსებ ჯუგაშვილი პირველად „დანაშაულზე დაიჭირეს" 1894 წლის 21 ოქტომბერს. ჟურნალში აღნიშნულია ეს „დანაშაული": „ჯუგაშვილი იოსები ხმამაღლა ლაპარაკობდა და იცინოდა საწოლ ოთახში, ხელს უშლიდა თავის ამხანაგებს, რის გამოც ერთმა რამდენჯერმე მიმართა - „დაგვანებე თავი"(21). ინსპექტორმა ზედმეტად მხიარული ახალგაზრდა სერიოზულად გააფრთხილა.

არის სხვა ჩანაწერიც:

27 ოქტომბერი - ლავრენტი ლანდიამ საღამოს გაკვეთილების დროს, მიუახლოვდა რა ერთად მეცადინე ორ ამხანაგს, მიაჯახა მათი თავები ერთმანეთს, რის გამოც იქ წარმოიშვა ხმაური. ხმაურობდა აგრეთვე ჯუგაშვილი /1 კლასი/"(22).

4 დეკემბერი - ჯუგაშვილი /I კლასი/ ცუდად იდგა ტაძარში ღვთისმსახურების დროს - ეყრდნობოდა კედელს და იდგა ცალ ფეხზე(23).

21 დეკემბერი 1895 წ. - თავისუფალ გაკვეთილზე (ბერძნული ენის მასწავლებლის ავადმყოფობის გამო) I კლასის მოსწავლეები კარბელოვი, ჯუგაშვილი, მურახოვსკი, ლიაძე, ცინცაძე არ აქცევდნენ რა ყურადღებას, რომ მეზობელ ოთახში მიმდინარეობდა სიტყვიერების გაკვეთილი, ქართულად მღეროდნენ ჯგუფურად, ისევე ხმამაღლა, როგორც ეკლესიაში(24). შენიშვნაში აღნიშნულია, რომ მათ მიეცათ უკანასკნელი გაფრთხილება.

ინსპექტორების ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ იმჟამად იოსებ ჯუგაშვილი არაფრით განსხვავდებოდა თავისი მეგობრებისაგან: იყო მხიარული, ცელქი, ზოგჯერ მას ურთიერთობაც ეშლებოდა მეგობრებთან. ერთ-ერთი ჩანაწერიდან ჩანს, რომ ჯუგაშვილი და ირემაშვილი სისტემატურად დასცინოდნენ, ზოგჯერ ამასხარავებდნენ კიდეც ვინმე ლაპეროვს, რასაც დაცინვის ობიექტი წონასწორობიდან გამოჰყავდა. სხვებთან ერთად იოსებსაც ჰყვარებია საწოლ ოთახში ფანჯრიდან გადაძრომა(25), ზოგჯერ მას ავიწყდებოდა სასწავლებლის შინაგანაწესის დაცვა - ის შეუმჩნევიათ საკლასო ოთახში ქუდით და ამის გამო შენიშვნაც კი მიუციათ(26). ყოფილა ასეთი შემთხვევაც: ერთხელ (1895 წლის 8 ოქტომბერს)

დილის ლოცვაზე სოსო ყველაზე გვიან მისულა, ინსპექტორმა ის დაუყოვნებლივ დასაჯა - იმ დღეს სოსომ ისადილა ყველაზე გვიან(27).

ასეთი მკაცრი წესები, ასეთი აუტანელი პირობები ალბათ გაგახსენებთ მეორე ცნობილ სასწავლებელს ინგლისში, შაირის საგრაფოში, ლოუდის საქველმოქმედო სასწავლებელს შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარიდან". თბილისის სემინარიაში თავისი „ბროკლეჰერსტიც" კი ჰყავდათ - ინსპექტორი ბერი მამა დიმიტრი აბაშიძე. მან 1896 წელს (და არა 1898 წელს, როგორც ეს ჰგონია რ. ტაკერს) დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია და იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისში. არსებობს მისი თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანება(28).

ეს ქართველი „ტორკვიმადა" თავისი წვრილმანი მზრუნველობით და ინკვიზიციური მეთოდებით ყოველდღიურად წარმოშობდა რევოლუციონერებს, ისე რომ მისი „დამსახურება" რუსეთის რევოლუციაში, მართლაც, თვალსაჩინოა. ისა და მისი კოლეგები ერენგიულად მუშაობდნენ. მარტო 1894-1895 სასწავლო წელს დააფიქსირეს 35 დასახელების მოსწავლეთა ათასობით დარღვევა: დაგვიანებები წირვაზე, სადილ-ვახშამზე, ამოძახებაზე, დაგვიანება შეებულებიდან და ა.შ. ყველაზე მეტად მოსწავლეები „ცოდავდნენ" ღვთისმსახურების დროს: აგვიანებდნენ წირვაზე, იქცეოდნენ უდისციპლინოდ, არღვევდნენ წესდებით გათალისწინებულ ნორმებს. სემინარისტები, როგორც ჩანს, ხშირად აცდენდნენ წირვას, სადილ-ვახშამს, გაკვეთილებს, მიდიოდნენ თვითნებურად ქალაქში, ზოგიერთი მოწაფე „დაიჭირეს" თამბაქოს წევის დროს, იყო ღვინის სმის შემთხვევებიც, ზოგიერთი თეატრშიც დადიოდა.

ასეთი სისტემატური თვალთალი ყველას გამოიყვანდა მწყობრიდან. სწორედ ცხოვრების ასეთ აუტანელ წესზე მიუთითებდა თვითონ ი. ბ. სტალინი მოგვიანებით, როცა გერმანელ მწერალთან ემილ ლუდვიგთან საუბრისას აღნიშნა: „სემინარიაში გამეფებული დამამცირებელი რეჟიმისა და იეზუიტური მეთოდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მე მსად ვიყავი გაემხდარიყავი და მართლაც გავხდი რევოლუციონერი..."(29). ი. ბ. სტალინი აღიარებდა იეზუიტების სისტემატურობას, შეუპოვრობას, რაც თვითონ მასაც ახასიათებადა

და ჩვენი აზრით, სწორედ რელიგიურ სასწავლებელში ხანგძლივი ყოფნის შედეგი უნდა იყოს. მაგრამ მისი აზრით მაინც მათი „ძირითადი მეთოდია თვალთვალი, ჯაშუშობა, სულში ჩაძვრომა. აბუჩად აგდება"(29). იოსებ ჯუგაშვილი სემინარიაში მოვიდა გარკვეული ბაზისური განათლებით, ცოდნის განსაზღვრული დონით. უდავოა, რომ რუსული სასულიერო სასწავლებლისათვის დამახასიათებელმა სიმკაცრემ, დისციპლინამ, ასკეტიზმმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მის ფსიქოლოგიაზე მასში გამოიმუშავა თვითდისციპლინის, შრომისმოყვარეობის, სისტემატურობის საუკეთესო თვისებები. რაც მასობრივად ნაკლებად არის დამახასიათეებელი ქართველისათვის და ყველა ეს თვისება წარმართა ერთი მთავარი მიზნისაკენ - განათლების, ცოდნის დაუფლებისაკენ.

სემინარიის პედკოლექტივის მაღალი თეორიული მომზადება, პირველხანებში, უდავოდ, დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნებსს. პირველ კლასში ის სწავლობდა რვა საგანს: წმინდა წერილს, ისტორიულ და თანამედროვე რუსულ ლიტერატურას, სამოქალაქო ისტორია, მათემატიკას, საეკლესიო ქართულს, სლავურ გალობას და ბერძნულ ენას.

მეცნიერების საფუძვლებს ის შემდეგი სახელმძღვანელოებით ეუფლებოდა: ბიბლია (I ნაწილი), წმინდა წერილის სახელმძღვანელო, ძველი ისტორია, ალგებრა (დავიდოვის რედაქციით), ლიტერატურის თეორია, ბერძნული ქრესტომატია და გრამატიკა(30). თეოლოგიის საფუძვლებს სწავლობდნენ არქიმანდრიტი ფილარეტის თხზულებებით, ავგუსტინეს - „ძირითადი ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოთი".

სამოქალაქო ისტორიის კურსი მოიცავდა ძველი ქვეყნების ისტორიას, სწავლობდნენ ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციას, საბერძნეთისა და რომის სახელმწიფოების ფორმირებასა და განვითარებას, ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. პროგრამა ითვალისწინებდა შუა საუკუნეების ისტორიას, აღორძინების ეპოქის მიღწევების შეთვისებას, ლუდოვიკო XIV ეპოქის ძირითადი მოვლენების ანალიზს და ა.შ.

ლოგიკის პედაგოგი დიდ ყურადღებას უთმობდა აზროვნების ანალიტიკური მეთოდების დახასიათებას. ეს საგანი იოსებ ჯუგაშვილის განსაკუკთრებულ ინტერესს იწვევდა, თუმცა, ჩვენი აზრით, საპროგრამო კურსის მიზანდასახულობა

ვერ დააკმაყოფილებდა ახალგაზრდის მზარდ ცნობისმოყვარეობას, რადგან მეტად სქემატური იყო.

ჩინებულად ასწავლიდნენ ბერძნულ ენას - ძირითადად ორიგინალური ლიტერატურის საფუძველზე. მოსწავლეები ეუფლებოდნენ ქსენოფონტეს „ანაბაზისს", ჰომეროსის პოემებს. მაღალ კლასებში ისწავლებოდა „ეკლესიის მამების" თხზულებები ბერძნულ ენაზე. სემინარიაში სწავლის ხუთი წლის განმავლობაში ი. ჯუგაშვილი, გარკვეულწილად, დაეუფლებოდა ჰომეროსის ენას.

ლიტერატურაში გვხვდება ცნობა, რომ ი. ჯუგაშვილი ფლობდა ლათინურ ენას. ამ ინფორმაციის ავტორია აკად. კ. კეკელიძე, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და იცნობდა იოსებ ჯუგაშვილს. ის იგონებდა, რომ ერთ-ერთი გამოცდის წინ მან ათხოვა თავისი კონსპექტი ლათინურ ენაში და სოსომ მეტად სწრაფად და ჩინებულად მოამზადა საგანი. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ი. ჯუგაშვილს სემინარიაში ლათინური ენა არ უსწავლია (თუმცა სხვები სწავლობდნენ), რადგან მას არ ჰქონდა საბაზისო განათლება: გორში ლათინურ ენას არ ასწავლიდნენ. შესაძლებელია, რომ ღვაწლმოსილ მეცნიერს ბერძნული ენის კონსპექტი ჰქონდა მხედველობაში.

აღსანიშნავია, რომ სემინარიაში ასწავლიდნენ მედიცინის საფუძვლებს. მუხეთე - მეექვსე კლასებში გათვალისწინებული იყო 36-37 საათიანი კურსი. მეხუთე კლასში ი. ჯუგაშვილმა შეისწავლა ადამიანის ზოგადი ანატომია, ჰიგიენის საფუძვლები, რაციონალური კვების წესები, ზოგიერთი საჭმლის მომზადებაც კი. მედიცინის საფუძვლების ელემენტარული ცოდნა მომავალში დიდად დაეხმარება იოსებ ჯუგაშვილს თავისი მშფოთვარე ცხოვრების მთელ მანძილზე.

ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა ენერგიულად შეუდგა მეცნიერების საფუძვლების შესწავლას. არქივში დაცულია სოსო ჯუგაშვილის საკლასო ჟურნალი, რაც პირველ კლასში მის მაღალ აკადემიურ მიღწევებზე მიუთითებს. პირველი ხუთიანი რუსულ სიტყვიერებაში მან მიიღო უკვე 15 სექტემბერს. ამ საგანში ფრიადი დაიმსახურა ოქტომბრის თვეშიც. მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა სხვა საგნებშიც წმინდა წერილში „4 პლიუსით" მიღებული აქვს უკვე 15 სექ-

ტემბერს.

დოკუმენტები ადასტურებენ ახალგაზრდა კაცის მიზანსწრაფვას მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისაკენ: საეკლესიო ქართულში შეფასება „3 პლიუსით“ ძალიან მალე იცვლება „ოთხით“, შემდეგ ნოემბერში მას აქვს უკვე „ოთხი პლიუსით“, რაც დაგვირგვინდა დეკემბერში შეფასებით „5“. წლიური ნიშანი იყო „ფრიადი“. ასეთივე მდგომარეობაა ბერძნულ ენაში: შეფასება „3“ ძალიან მალე შეიცვალა შეფასებით „5“.

რგორც ჩანს, დიდი სიძნელეები შეხვდა ი. ჯუგაშვილს მათემატიკაში. ამ საგანში დიდი ხნის განმავლობაში ფიგურირებს შეფასება „სამი“. არის „ორიც“. მაგრამ დიდი ძალისხმევის შედეგად ახალგაზრდამ შეძლო წლიური „ოთხის“ მიღება. მეტად ცვალებადი შეფასებები აქვს სლავურ და ქართულ გალობაში. იგრძნობა, რომ ახალგაზრდა ცდილობს უკეთესი შედეგების მიღწევას: შეფასება „სამი“ თანდათან იცვლება და საბოლოოდ არის შეფასება „5“(31).

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ XIX საუკუნის დასასრულს რუსეთის სასწავლებლებში სწავლის შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები იყო, ვიდრე არის დღეს. მაგალითად, შეფასება „სამი“, რაც დღეს დამაკმაყოფილებელ შეფასებას ნიშნავს, მაშინ ითვლებოდა „კარგ“ შეფასებად. „ოთხი“ - ითვლებოდა „ძალიან კარგ“ შეფასებად. შეფასებისას იყენებდნენ „1“, წილადებს - 1/2, 3/4 და ა.შ. ი. ჯუგაშვილის შეფასეებებში ნიშანი „სამი“ არ გულისხმობს დამაკმაყოფილებელ შეფასებას. ეს ნიშნავს რომ ის „კარგად“ სწავლობდა. პირველ წლებში სოსო ითვლებოდა პირველთანრიგოსან მოსწავლედ. ასეთი კი კლასში სულ რამდენიმე იყო.

სასწავლებელში ფართოდ იყო გავრცელებული თხზულებების წერის პრაქტიკა, ისე რომ წლის ბოლოს მოსწავლეს „თხზულებათა“ მთელი კრებულები უგროვდებოდა. ეს მისაბაძი პრაქტიკა იყო. ის ავითარებდა მოსწავლის წერის კულტურას, ხვეწდა მათ წერით აზროვნებას. აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება დიდად დაეხმარება ი. ჯუგაშვილს თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ჩვენთვის ცნობილია, მაგალითად, რომ 1895-1896 სასწავლო წელს მან დაწერა 12 თხზულება: ორი წმინდა წერილში, 3 - რუსულ სიტყვიერებაში,

2 - საეკლესიო ქართულში, 2 - სამოქალაქო ისტორიაში, 3 - ბიბლიის ისტორიაში(32).

ჩვენ ისიც ვიცით, თუ რა თემები დაწერა ი. ჯუგაშვილმა 1897 წელს სხვადასხვა საგანში. მაგალითად, ლოგიკაში მან დაწერა თემა: „სილოგიზმის პირველი ფიგურის დასკვნების სისწორის პირობები". სამოქალაქო ისტორიაში დაამუშავა პრობლემა: „ეკატერინე დიდის მოღვაწეობისა და პეტრე დიდის საქმიანობის შედარება". ფსიქოლოგიაში დაამუშავა თემა: „შთაგონება და მისი სახეები"(33). ქართულ საეკლესიო საგანში მან დაწერა თხზულება „ქრისტიანობის ისტორია საქართველოში წმინდა ნინოს ჩამოსვლამდე"(34). სამწუხაროდ, ეს თხზულებები არ შემონახულა.

მაგრამ იმუამად ახალგაზრდობას მარტო რელიგიური პრობლემატიკა არ იზიდავდა. XIX საუკუნის დასასრულს მსოფლიოში, რუსეთის იმპერიაში და მათ შორის საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები მათში დიდ ინტერესს აღძრავდა. საქართველოსათვის ეს წლები გამორჩეული იყო - რუსეთის იმპერიის გაძლიერებულ კოლონიალურ პოლიტიკას ქართველმა ინტელიგენციამ დაუკავშირა ეროვნული ენისა და კულტურის დასაცავად გაჩაღებული უკომპრომისო ბრძოლა. პირდაპირ თუ არაპირდაპირ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მკაცრად აკრიტიკებდნენ ცარიზმის კოლონიალურ რეჟიმს, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების მიზნით წერდნენ პატრიოტული სულიკვეთებით გაჟღენთილ მხატვრულ ნაწარმოებებს, მათი ზრუნვის საგანი იყო ახალგაზრდა თაობა საქართველოს მომავალი. ახსენებდნენ ერის ისტორიის დიდებულ ფურცლებს, მამულის ინტერესებისათვის საბრძოლად ამზადებდნენ მას. დიდი ქართველი განმანათლებელის - ილია ჭავჭავაძის მიერ 60-იანი წლების დასაწყისში ნათქვამი ფრთოსანი სიტყვა: „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს" - გახდა ქართველი პატრიოტების მთელი თაობის პოლიტიკური კრედო. ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერი იყო და საზოგადოებაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი პატრიოტული ლექსები, პოემები, მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები ხელიდან ხელში გადადიოდა. მართალია, სემინარიაში სასტიკად იდევნებოდა

გარეშე ლიტერატურის კითხვა, მაგრამ სემინარიის მოსწავლეები, ალბათ, შეძლებდნენ ილიას მრავალმხრივი შემოქმედების გაცნობას. იოსებ ჯუგაშვილი მოიხიბლებოდა ილიას ღრმა შინაარსიანი შემოქმედებით, განსაკუთრებით ილიას გენიალური „განდეგილით“, რომელიც პიროვნებისაგან მოითხოვს არა პასიურ ცხოვრებისეულ პოზიციას, განდგომას, არამედ უანგარო სამსახურს ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჭეშმარიტად სახალხო პოეტის აკაკი წერეთის პატრიოტული შემოქმედება სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს უნერგავდა ახალგაზრდა თაობას, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგის ჰეროიკული პროზა ახალგაზრდებს ასწავლიდა თავდადებას, თავგანწირვას, მაღალი ადამიანური თვისებების დაფასებას. ალ. ყაზბეგის გმირებმა იოსებ ჯუგაშვილის მსოფლმხედველობაზე, როგორც ამერიკელი სტალიონოლოგი რ. ტაკერი ამტკიცებს, განუსაზღვრელი ზეგავლენა მოახდინეს. მისი მოთხრობის ერ-ერთი გმირის სახელი - „კობა“ ი. ბ. სტალინის პირველი პარტიული ფსევდონიმიც კი გახდა. იოსებ ჯუგაშვილი ჩინებულად იცნობდა ვაჟა-ფშაველას, რ. ერისთავის და სხვა ქართველი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებას.

90-იანი წლების დასასრულს საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გვერდით გაჩნდა ახალი, მანამდე უცნობი საზოგადოებრივი მოძრაობა - სოციალ-დემოკრატია. მარქსიზმის მოძღვრებას ქართველები უკვე 80-იანი წლების მეორე ნახევარში გაეცვნენ. მ. ცხაკაია ამტკიცებდა, რომ ის ამ მოძღვრებას სწორედ ამ პერიოდში გაეცნო ნაროდნიკებისა და გ. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ წევრების შემწეობით. 1891-1893 წლებში ვარშავაში მყოფმა, მომავალში საქართველოსა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნოე ჟორდანიამ პირველად გაიცნო გ. პლეხანოვის ჯგუფის საქმიანობა, ჟენევაში რუსი მარქსისტების ჯგუფში შევიდა და გაითავისა მარქსისტული შეხედულებები.

უშუალოდ საქართველოში მარქსისტული იდეების გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა ცნობილმა ქართველმა მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა. მისი მდიდარი მხატვრული ბელეტრისტიკა აღსავსეა სოციალური უსამართლობის მკაცრი კრიტიკით, ადამიანთა უსიხარული ცხოვრების მაგალითებით.

ნაადრევმა სიკვდილმა მწერალს არ მისცა შესაძლებლობა ბოლომდე მარქსისტულ პლატფორმაზე დამდგარიყო. სწორედ მის ოჯახში არალეგალურად იკრიბებოდნენ პირველი ქართველი მარქსისტები.

1894 წელს ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე სილიბისტრო ჯიბლაძემ წარმოთქვა სიტყვა ფაქტიურად ქართველი მარქსისტების მანიფესტი. „ჩვენი ახლანდელი ცხოვრება, ამბობდა ს. ჯიბლაძე, წარმოადგენს ორი ახალი, ერთიმეორეს მოწინააღმდეგე წოდებას ანუ კლასს. ერთის მხრივ - ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენლები, მეორე მხრით - მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა - გარჯა, მეორეთა კი - დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილია“(35).

ამრიგად, საქართველოშიც გამოჩნდა ინტელიგენციის ახალი ჯგუფი, რომელმაც საქართველოს მომავალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მტკიცედ დაუკავშირა დასავლეთ ევროპაში გავრცელებული მარქსისტული იდეების რეალიზაციას. ისინი დაირაზმნენ ლეგალური გაზეთი „კვალის“ გარშემო, რომლის დამფუძნებელმა მწერალმა გრ. წერეთელმა მათ ასე მოხდენილად შეარქვა „მესამე დასი“.

საქართველოში უკვე არსებობდა ორი სხვა „დასი“: ილია ჭავავაძისა და მისი მეგობრების „პირველი დასი“ - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ერის მთელი შემოქმედებითი პოტენციალის გაერთიანება ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე, სოციალური განსხვავებების მიუხედავად ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნა. „მეორე დასი“ - ნ. ნიკოლაძის, გრ. წერეთლისა და სხვათა შემადგენლობით საქართველოს მომავალს მტკიცედ უკავშირებდა დასავლეთ ევროპაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, კაპიტალიზმის განვითარებას, აღებ-მიცემობის ინტენსიფიკაციას, ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ფორმირებას.

ამ სამ დაჯგუფებას შორის „სამკედრო-საციცოცხლო“ ბრძოლა გაჩაღდა ქართულ პრესაში, განსაკუთრებული რადიკალიზმით და შეურიგებლობით გამოირჩეოდნენ „მესამე დასის“ აქტივისტები. მათი ლაგამამოუდებელი თავდასხმები ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის - ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ყოველგვარ დასაშვებ საზღვრებს სცილდებოდა. ილიას პოპულარულ დევიზს: „ენა, მამული, სარწმუნოება!", მათ დაუპირისპირეს მარქსისტული ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

ყველა იდეური მიმართულების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ახალგაზრდა თაობის მხარდაჭერის მოპოვება. თუ თბილისის კლასიკური გიმნაზიის აღსაზრდელები უფრო ილია ჭავჭავაძის მხარეზე იდგნენ, სასულიერო სემინარიის მოსწავლეების ორიენტაცია აშკარად რადიკალური, პრომარქსისტული იყო.

მარქსიზმისადმი ინტერესი გაუჩნდა სოსო ჯუგაშვილსაც. სწორედ 1895-1896 წლებში მოხდა მისი იდეური შეხედულებების საბოლოო ფორმირება. წიგნისადმი დაუოკებელმა მიდრეკილებამ მას შესაძლებლობა მისცა საკუთარი მსოფლმხედველობა ჩამოეყალიბებინა, განესაზღვრა თავისი ადგილი ცხოვრებაში, აერჩია პოლიტიკური ორიენტირები. სწორედ ამ წლებში აქვეყნებს ის თავის ლექსებს. ჩვენ არ ვიცით ლექსების წერა მან ადრე დაიწყო, თუ ეს მისი პირველი ცდა იყო. საქართველოში, პოეტების ქვეყანაში, მოზარდების გარკვეული ნაწილი გარკვეულ პერიოდში მუდამ თხზავდა ლექსებს. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ იოსებმა გადაწყვიტა ლექსის გამოქვეყნება: 1895 წლის 14 ივნისს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში" გამოქვეყნდა მისი სამსტროფიანი ლექსი, რომელიც დღეს ცნობილია სახელწოდებით „დილა".

საყურადღებოა ახალგაზრდის ორიენტაცია - მან ლექსი მიიტანა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის გაზეთში. ეს, ჩვენი აზრით, ამ პერიოდში იოსებ ჯუგაშვილის გარკვეულ პოლიტიკურ ორიენტაციაზე უნდა მიუთითებდეს - მას გარკვეული სიმპატიები ეროვნული პრობლემებისადმი აშკარად ჰქონია. პატრიოტული სულისკვეთება დამახასიათებელია „ივერიაში" გამოქვეყნებული მისი ყველა ლექსისათვის.

პ. კაპანაძე ასე იგონებს ამ ლექსის პუბლიკაციის ამბავს: „სოსო სემინარიის მეორე კლასში იყო, როცა თვითონ სცადა ლექსის წერა. რამდენიმე ლექსი ამხანაგებს წაგვაკითხა. ამხანაგებმა ურჩიეს ლექსი გაზეთში წაეღო. იმ ხანად გაზეთი „ივერია" გამოდიოდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელ-

მძღვანელობდა. სოსო დიდ უარზე იყო, მორცხვობდა, მაგრამ ამხანაგების დაძალებით რედაქციისაკენ გაემართა. რედაქციაში „მეველე“ (დავით მიქაძე) დახვდა. სოსოს განუცხადებია - მინდა რედაქტორი ენახოო. იმჟამად ილია ჭავჭავაძე ადგილზე არ ყოფილა და სოსო იძულებული გახდა მეორედ წასულიყო რედაქციაში, თუმცა ძალიან ერიდებოდა. მეორე დღეს მან მოკრძალებით შეაღო ილია ჭავჭავაძის კაბინეტის კარები და თავმდაბალი სალამი მისცა დიდ მწერალს. - ახალგაზრდავ, რა გინდაო, უკითხავს მწერალს. სოსომ მწერალს თავისი ლექსი გაუწოდა. ილიას ლექსი წაუკითხავს, ოდნავ შეჩერებულა, შეუხედავს ახალგაზრდისათვის, წამომდგარა, მხარზე ხელი დაუდია და უთქვამს: - „კარგი ლექსია, ახალგაზრდავ, სწერე და კარგი მწერალი იქნებიო“. სულ მალე გაზეთმა „ივერიამ“ დაბეჭდა სოსო ჯუღაშვილის ლექსი. გაზეთი რამდენიმე დღე სემინარიის მოსწავლეთა ხელში გადადიოდა“(36).

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ზემოთ მოტანილი მოგონება, განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძესთან შეხვედრის ეპიზოდი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, თუმცა მასში არც დაუჯერებელი ამბავი არ არის გადმოცემული. მთავარი ის არის, რომ იოსებ ჯუგაშვილი იცნობდა პირადად ილია ჭავჭავაძეს და აფასებდა მას.

იოსებს მთელი ცხოვრება გაჰყვა მოკრძალებული დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი. მოგვიანებით, როცა ქართველმა მარქსისტებმა „ჯვაროსნული ლაშქრობა“ დაიწყეს ილიას წინააღმდეგ, მას არათვითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ სამარცხვინო საქმეში. არ არის შემონახული არცერთი სიტყვა, გამოსვლა ან წერილი, სადაც იოსებ ჯუგაშვილი აკრიტიკებდა ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს, ან მას პირადად, თუმცა, როგორც მტკიცე მარქსისტ-ლენინელი ის მათ, რა თქმა უნდა, არ იზიარებდა. უფრო მოგვიანებით კი, როცა ამის შესაძლებლობა მიეცა, ის გამოესარჩლა და დაიცვა ილია და მისი შემოქმედება და არ მისცა მის პოლიტიკურ ოპონენტებს, უკვე საბჭოთა ეპოქაში, იდეურადაც გაენადგურებინათ დიდი ქართველი.

პოპულარულ გაზეთში დებიუტმა ახალგაზრდას ძლიერი შემოქმედებითი იმპულსი მისცა. ის ზედიზედ წერს რამდენიმე, სხვადასხვა შინაარსისა და ღირებულების ლექსს, რომლებსაც

აქვეყნებს „ივერიაში“. 1896 წლის იულისიდან სოციალური შინაარსის ლექსები უკვე იბეჭდება გაზეთში „კვალი“. ეროვნული მოძრაობის ავანგარდი გაზეთი „ივერიიადან“ სოციალ-დემოკრატების გაზეთ „კვალში“ გადასვლა, აშკარად, მსოფლმხედველობითი ორიენტაციის ცვლილების მაჩვენებელი უნდა იყოს. მით უფრო, რომ „ივერიაში“ დაბეჭდილი ლექსები ღვთისმოშიში ადამიანის განწყობილებით არის ნაკარნახევი. ასეთი გამოთქმები, როგორიცაა „უფლის განგება დიდია“, „მთა წმინდა“ არ უნდა იყოს მხოლოდ რითმის გამართვის შედეგი. ისინი, გარკვეულწილად, ავტორის მსოფლმხედველობასაც ასახავს. მაგრამ უკვე 1896 წლის დეკემბერში გამოქვეყნებელი უსახლო ლექსი აშკარად ათეისტური შინაარსისაა. ლექსი ადამიანური უმადურობის პრობლემას ეხება და ქრისტეს ბედი, მისი ტრაგიკული აღსასრული გააზრებულაია განდეგილის სახეში: ქრისტეს ფენომენი დაყვანილია განდეგილამდე. ეს სერიოზული მსოფლხედველობითი ცვლილების შედეგი უნდა იყოს. იოსებ ჯუგაშვილის პოეზიას ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევეხებით.

ეს ცვლილებები ძალუმად აისახა იოსებ ჯუგაშვილის სულიერ სამყაროზე. ამას ამჩნევდნენ მეგობრებიც. პ. კაპაგაძე იგონებს, რომ თბილისში „გარდატეხა“ მოხდა(37). პ. კაპანაძე ამ გარდატეხას უკავშირებს სოსოს მიერ სწავლაზე გულის აცრუებას. დ. გოგოხია აღნიშნავს: „იოსები ყურადღებას აღარ აქცევდა გაკვეთილებს, სწავლობდა სამიანებზე - ოღონდ გამოცდა ჩაებარებინა“(38).

მართალია, არც კაპანაძე და არც დ. გოგოხია სოსოს თანაკლასელები არ იყვნენ, და შესაძლებელია, არა სცოდნოდათ საქმის ჭეშმარიტი ვითარება, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი ცნობები დასტურდება დოკუმენტურადაც.

ჩვენ ვიცით, რომ მესამე კლასიდან მეოთხე კლასში იოსები გადავიდა პირველი თანრიგით - ე.ი. მას გამორჩეული აკადემიური მოსწრება ჰქონდა. მართალია, თეოლოგიურ საგნებში უკვე ამ პერიოდში ჩნდება შეფასება „სამი“, ზოგჯერ „ორიც“, მაგრამ ის ჯერ კიდევ ახერხებს ამ საგნებში გადამწყვეტ დროს „ოთხის“ მიღებას. სოსო კვლავ მოწინავეა რუსულ ლიტერატურაში, ქართულ საეკლესიო საგანში, განსაკუთრებით ლოგიკაში. ჩვენ ვიცით ლოგიკის რომელ გაკვეთილში

დაიმსახურა იოსებ ჯუგაშვილმა შეფასება „ფრიადი“ ეს იყო თემა: „მატერია და აზროვნების ფორმები, ლოგიკის მნიშვნელობა(39). ასევე „ფრიადი“ დაიმსახურა გაკვეთილში „ლოგიკის კანონები“.

მეოთხე კლასში (1897-1898 სასწავლო წელი) მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. სოსო თავისი აკადემიური მაჩვენებლებით „დაეწია“ თავის სიყრმის მეგობარს იოსებ ირემაშვილს, რომელიც მუდამ მეორეთანრიგოსანი იყო და არ უნდა იყოს გამორიცხული ქვეცნობიერი, გარკვეული შურიც კი ამოძრაევებდა წარჩინებული მეგობრის მიმართ. მეოთხე კლასში იოსების ძირითადი შეფასება არის „სამი“, მხოლოდ ყოფაქცევაში აქვს შეფასება „ფრიადი“. მაგრამ გამოცდებისათვის ის ჩინებულად მოემზადა და დაიმსახურა მაღალი შეფასება: ოცი საგნიდან მან მიიღო ორი „ფრიადი“, თორმეტი - „4“ და სამი „3“. ამასთან, მისი ყოფაქცევა კვლავ შეფასდა „ფრიადით“. წარიჩინებული მიღწევები ჰქონდა ლოგიკასა და სიმღერაში. ეს ფაქტები ადასტურებენ მისი მეგობრის გ. გლურჯიძის მოგონებას იმის თაობაზე, რომ „საგნებიდან, რომლებსაც იმ დროს გაკდიოდით, იოსებს უყვარდა სამოქალაქო ისტორია და ლოგიკა. ამ საგნებში მუდამ ხუთიანები ჰყავდა. დანარჩენ საგნებში ემზადებოდა წლის დამლევს, გამოცდებისათვის“(40).

კიდევ უფრო გაუარესდა მისი აკადემიური მოსწრება მეხუთე კლასში. ცამეტ საგანში, რომელსაც სწავლობდნენ, იოსებმა დაიმსახურა მხოლოდ ერთი „4“ - ესეც ლოგიკაში, დანარჩენი შეფასება არის „3“. ამ დროს მას შეფასება „3“ აქვს ყოფაქცევაშიც, რაც იმჟამად მეტად იშვიათი შემთხვევა იყო(41).

სწავლისადმი გულისაცრუებამ, მსოფლმხედველობითმა გარდატეხამ, გამოიწვია ცვლილებები ხასიათშიც, ადამიანებთან ურთიერთობაში. ის უფრო ხშირად ავლენს გაღიზიანებას სასწავლებლის ადამიანისტრაციის მიმართ, აღარ ეპუება სასწავლებლის შინაგანაწესს, არღვევეს პედაგოგებისა და ინსპექტორების, ზოგჯერ თვით მამა რექტორის მითითებებსა და განკარგულებებს. ამ მხრივ მეტად საყურადღებო ინფორმაციის შემცველია ინსპექტორ მურახოვსკის ერთი ჩანაწერი. ეს გაკეთებულია 1895 წლის 4 დეკემბერს: „მან (ე.ი. ს. ჯუგაშვილმა - ა. დაუშვილი) ამასთან გამოამჟღავნა შემდეგი ფაქტი ჯიუტი და ჭირვეული დამოკიდებულებისა ხელმძღვა-

ნელების გადაწყვეტილებებისადმი. 22 ნოემბერს მან მიიღო შენიშვნა მამა რექტორისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ მას აქვს ძალიან მოშვებული თმები. ამის შემდეგ ჩემს მიერ ის იყო გაფრთხილებული იმასთან დაკავშირებით, რომ შეემოკლებინა თმები. მაგრამ მესამე დღეს მე შევამჩნიე, რომ ჯუგაშვილი არც კი აპირებს თმების შეჭრას. კვლავ დაბეჯითებით მოვთხოვე მას ამის გაკეთება. მესამე დღეს, ე.ი. ჩემს შემდგომ მორიგეობაზე ვხედავ, რომ ჯუგაშვილს არც კი შეუსრულებია განკარგულება. ბოლოსდაბოლოს, მე თვითონ მივიყვანე ის სემინარიაში მოსულ დალაქთან, მაგრამ ჯუგაშვილმა, თმები შეიჭრა მხოლოდ კეფაზე. ისიც მეტად უმნიშვნელო რაოდენობა, ხოლო შუბლზე, სადაც თმები პირდაპირ სახეზე ჰქონდა ჩამოშლილი (რაც განსაკუთრებით უსახური იყო) - მან ხელიც კი არ შეახებინა დალაქს"(42). მეტად საყურადღებო ინფორმაციაა, აშკარაა, რომ სოსო ჯუგაშვილი უკვე აღარ ეპუება არც ინსპექტორის მითითებებს და არც მამა რექტორის მოთხოვნებს, ის თავის უფლებას ამ ფორმით იცავს ზედმეტი რეგლამენტირებისა და პირად ცხოვრებაში უაპელაციოდ ჩარევისაგან.

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება იოსებ ჯუგაშვილის პერმანენტული დაგვიანებები სადილ-ვახშამზე, საუზმეზე, ღვთისმსახურებაზე. აშკარაა, რომ ახალგაზრდა საბოლოოდ დაიკარგა წმინდა ეკლესიისათვის.

პიროვნების ასეთი რადიკალური შეცვლის მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი: ჯერ ერთი, სასწავლებელში არსებული იეზუიტური, სულისშემხუთველი ატმოსფერო, პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობის დრაკონული კანონები, დაბეზღებისა და თვალთვალის აღიარებული პრაქტიკა. ეს განსაკუთრებით არ მოსწონდა გორელ მეამბოხეს. ამის შესახებ ის მოგვიანებით აღშფოთებით ეტყვის კიდეც ე. ლუდვიგს: „თვალვთალი პანსიონატში; 9 საათზე ზარი გვამცნობს, რომ ჩაის დალევის დროა, მივდიეართ სასადილოში, როცა უკან ვბრუნდებით ოთახებში, ირკვევა, რომ ამ ხნის განმავლობაში უკვე გაუჩხრეკავთ და აუფორიაქებიათ ყველა ჩვენი სანივთე ყუთი"(43). მეორე, ქრისტიანული რელიგიის დოგმატიკური პრინციპების (ქრისტიანული სოციალიზმის) და რეალური ცხოვრების ფუძემდებლურ დებულებებს შორის გადაულახავი

წინააღმდეგობა, რაც ათეისტურ შეხედულებებს წარმოშობდა; მესამე, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გაცნობა-შეთვისება. მარქსისტული შეხედულებებისა და სოსოს პირადი ასოციაციების თანხვედრა, მარქსისტულ მოძრაობაში თავისი მომავალი ცხოვრების პერსპექტივის დანახვა.

მუხტი, სტიმული რამაც პოტენციაში არსებული ახალგაზრდული რევოლუციური ენერგია კონკრეტულ მიმართულებით წარმართა, იყო მისი უფროსი მეგობარი - ვლადიმერ (ლადო) კეცხოველი.

სოსოს სემინარიის მეგობრებს შორის იყო ვანო კეცხოველიც, რომლის ოჯახში სოსომ მისი უფროსი ძმა, ლადო გაიცნო. ისინი ყველა გორის მაზრიდან იყვნენ და ეს „ქუთხური სოლიდარობა", გარკვეულწილად, ალბათ, ამტკიცებდა ამ ურთიერთობას. ლადო შესაშური ენერგიისა და გაქანების ადამიანი იყო, ადრე დაინტერესდა რევოლუციური მოძრაობით, 1893 წელს მონაწილეობდა თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა გაფიცვაშიც, რის გამო ის გაირიცხა სასწავლებლიდან. შემდეგ ლადო ცხოვრობდა კიევში, სადაც სცადა სწავლის გაგრძელება. ბევრ კითხულობდა აკრძალულ წიგნებს, ეცნობოდა სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას. 1897 წელს ის არალეგალურად დაბრუნდა თბილისში და მაშინვე აქტიურად ჩაება „მესამე დასის" საგანმანათლებლო-პროპაგანდისტულ საქმიანობაში, თარგმნიდა დასავლეთ ევროპაში პოპულარულ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას, მონაწილეობდა დისკუსიებში. სოსო ჯუგაშვილი ხშირად მიდიოდა თავის მეგობართან სახლში და, როგორც აღნიშნავენ, სწორედ აქ გადააწყდა ის სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას. ვანო კეცხოველის გვიანდელი მოგონებით, ერთხელ ლადოს სახლში დაბრუნებულს უნახავს გ. პლეხანოვის პოპულარული წიგნი გადაშლილი. ეს იყო „ისტორიაზე მონისტური შეხედულების საკითხისათვის". როცა გაიგო, რომ წიგნს სოსო ჯუგაშვილი კითხულობდა, ლადოს აღუნიშნავს „ახალგაზრდის გამჭრიახი გონება და უწინასწარმეტყველა მას გამორჩეული ადგილი რევოლუციურ მოძრაობაში"(44).

ამრიგად, დასტურდება, რომ 1896-1897 წლებში იოსებ ჯუგაშვილის მსოფლმხედველობაში მოხდა რადიკალური ცვლილება: ღვთისმოსავი ახალგაზრდა, ეროვნული იდეით

შეპყრობილი სემინარიის პირველთანრიგოსანი მოწაფე თანდათან მოექცა მარქსისტული იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ. ამ პროცესს ხელს უწყობდა საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ძვრებიც.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ეკონომიკური განვითარება, რომელსაც რუსეთის კულშეკვეცილი კაპიტალიზმი ძალუმად ითრევდა თავის ორბიტაში, სწრაფი ნაბიჯით მიიწევდა წინ - სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის კაპიტალისტური ფორმებისაკენ. რუსეთის, მათ შორის სააქართველოს კაპიტალიზაციის პროცესი, რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპის წამყვან სახელმწიფოებში მიმდინარე ანალოგიური პროცესების ადეკვატური არ იყო მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. პირველ რიგში ძლიერი ფეოდალური გადმონაშთების, ადგილობრივი კაპიტალის სისუსტისა და გაუბედაობის გამო. კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრებას საქართველოში თან სდევდა სოციალური კატაკლიზმები, კაპიტალიზმის პირველადი დაგროვებასთან დაკავშირებული სოციალური შედეგებიც: საზოგადოების ერთი მცირე ნაწილის გამდიდრება, მოსახლეობის ძირითადი მასის პაუპერიზაცია.

საქართველოში ეს პროცესი გადაჯაჭვული იყო ფეოდალური ურთიერთობის ძლიერ გადმონაშთებთან, თავად-აზნაურთა ფენის რაოდენობრივ, თვისებრივ და არ ეკონომიკურ ჰეგემონიასთან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქართველოს პროლეტარიატის აუტანელ საყოფაცხოვრებო პირობები დაკავშირებულ ახალგაზრდის ცნობიერებაში ბადებდა ბევრ შეკითხვას, რომლებიც პასუხს საჭიროებდნენ.

რეფორმის შემდგომ ხანაში საქართველოს ეკონომიკაში გარკვეული ძვრები მოხდა: აითვისეს და ყოველწლიურად ადიდებდა თავის ეკონომიკურ პოტენციალს მსოფლიოში იმჟამად უნიკალური ჭიათურის მარგანეცის საბადო. იგი მრეწველობის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა ამიერკავკასიაში. თბილისთან ერთად მნიშვნელოვნად დაწინაურდნენ ბათუმი, ფოთი - ამიერკავკასიის საზღვაო ვაჭრობის მთავარი ფორპოსტები. საქართველოს ქალაქებში გაიზარდა სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი. საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შედარებით დაბალ ტემპებს კი ავსებდა და კიდეც აჭარბებდა

ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების უდიდესი აქტიურობა და საბრძოლო შემართება.

ეკონომიკური ცხოვრების დაბალი განვითარება კაპიტალიზმის წყლულებს კიდევ უფრო საცნაურს ხდიდა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს გამორჩეულ შვილებს შორის ძალიან ცოტა იყვნენ კაპიტალისტური სისტემის აპოლოგეტები, გაცილებით მეტი იყო კრიტიკოსი. არა მარტო „რაზნოჩინული ინტელიგენცია", არამედ თავადაზნაურთა წრიდან გამოსული მწერლებიც კი კრიტიკულად აფასებდნენ ქვეყანაში შექმნილ სოციალურ ვითარებას. ცნობილი ქართველი მწერლის დ. კლდიაშვილის პროზა აღსავსეა „გაჭირვებით" და „გასაჭირით". იმჟამად საქართველოში გაჭირვებას განიცდიდა არა მარტო გლეხი, მუშა, არამედ თავადაზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილიც კი, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ნადგურდებოდნენ სოციალურად და მათი დაუფარავი პროტესტი სათანადოდ აისახა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

ინტელიგენციის ანტიკაპიტალისტური განწყობილება, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ საქართველოში კაპიტალისტების უდიდესი ნაწილი არაქართული წარმოშობის იყვნენ, რაც მათ არ განაწყობდა ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლების მიმართ სამეცენატოდ. ცალკეული ქართველი კაპიტალისტის საქველმოქმედო საქმიანობა კი საკმარისი არ იყო იმ დიდი ამოცანების გადასაწყვეტად, რასაც XIX საუკუნის ისტორიული განვითარება აყენებდა ქვეყნის წინაშე.

აშკარაა, რომ კაპიტალიზმს საქართველოში დიდი ოპოზიცია ჰყავდა როგორც დემოკრატიულ ფენებში, ისე თავადაზნაურთა შორისაც. ამიტომა იყო, რომ ქართველი თავადაზნაურების, განსაკუთრებით აზნაურების საგრძენობი ნაწილი რადიკალური რევოლუციური შეხედულებებით გამოირჩეოდა.

იოსებ ჯუგაშვილის დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარებოდა ის მძლავრი სოციალური პროცესები, რაც საქართველოში XIX საუკუნის დასასრულს მიმდინარეობდა. ეს პროცესები მით უფრო საცნაურს ხდიდნენ გაბატონებული ქრისტიანული დოგმების ფარისეველობას. ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო ის, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ ფუჭ ფრაზებად გადააქცია ისეთი ქრისტიანული მცნებები, როგორიცაა: „თუ გინდა სრულყოფილი იყო,

წადი შენი ქონება გაყიდე და მიეცი ღარიბებს; და გექნება საუნჯე ზეცაში“ (მათე. 19.21.); ან: „ერთი გაკლია, წადი, რაცა გაქვს გაჰყიდე და მიეც ღარიბებს და გექნება საუნჯე ზეცაში, მოდი და გამომყევი“ (მარკოზი.10.21.), ან კიდევ: „უფრო ადვილია აქლემის გაძრომა ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდრის შესვლა ღმერთის სასუფეველში“ (მათე. 20.25.).

ახალგაზრდისათვის აშკარა გახდა, რომ მიუხედავად ქრისტიანული რელიგიის აშკარად მაღალზნეობრივი შეგონებებისა, არსებული სახელმწიფო, რომელიც ვითომ ამ მოძღვრების საფუძველზე ცხოვრობდა, ყველაფერს აკეთებდა ამ მოძღვრების საწინააღმდეგოდ - ის იცავდა მქონებელის ინტერესს და სრულიად მიუსაფარი ჰყავდა უქონელი და მაშვრალი.

ცხოვრების ასეთი კონტრასტები აუცილებლად ათეისტურ შეხედულებებს გაუჩენდა ახალგაზრდა კაცს, ნიჰილისტად აქცევდა მას. მაგრამ, სავარაუდოა, რომ ეს ნიჰილიზმი მიმართული იყო არა ქრისტეს მოძღვრების ეკონომიკური შინაარსის წინააღმდეგ, რომელსაც ის იზიარებდა და მთელი ცხოვრება მისი რეალური დამკვიდრებისათვის იღვწოდა, არამედ ფარისეველი სახელმწიფოსა და კლერიკალების წინააღმდეგ, რომლებიც ქრისტიანულ მოძღვრებას საყოველთაო თანასწორობის შესახებ ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ამკვიდრებდნენ. სოსო ჯუგაშვილის ბუნებრივ ზიზღს მქონებელთა მიმართ დაემატა ქრისტიანული შეხედულება საყოველთაო თანასწორობის შესახებ და შეიქმნა საფუძველი ამ ნიადაგზე მსოფლმხედველობითი შეხედულებების დამყნობის, რომელთა სინთეზმაც მომავალში ხელი შეუწყო მსოფლიოში ყველაზე რადიკალური სოციალური მოძრაობის ლიდერის ფორმირებას.

სოსო ჯუგაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესი რთული იყო. მის წინაშე ცხოვრების მიერ დაყენებულ საკითხებს ვეღარ პასუხობდა ბიბლია და საღვთო რჯული. აქედან წარმოიშვა აუცილებლობა მოეძებნა მწვავე შეკითხვებზე პასუხი. ეს კი ძიების გზაა. სოსო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ახალი ლიტერატურის გაცნობით ცდილობდა. ის ამ პერიოდში არა ერთხელ დაიჭირეს „აკრძალული“ წიგნების კითხვისას. აი, სემინარიის ინსპექტორის ერთ-ერთი ჩანაწერი: „1896.30.11. ჯუგაშვილს (3 კლასი) როგორც ჩანს,

აქვს აბონიმენტის ფურცელი „იაფი ბიბლიოთეკის“, რომლის წიგნებით ის სარგებლობს. დღეს მე კონფისკაცია გაეუკეთე ვ. ჰიუგოს თხზულებას „ზღვის მაშვრალნი“, სადაც ვიპოვე დასახელებული ფურცელი“(45). შენიშვნაში მითითებულია, რომ ინსპექტორმა მას შეასწრო აგრეთვე ვ. ჰიუგოს „93 წლის“ კითხვისას.

1897 წლის იანვარში ინსპექტორმა სოსო ჯუგაშვილს ჩამოართვა ლეტურიეს ნაშრომი „სახალხო რასების ლიტერატურული განვითარება“, რაც ასევე „იაფი ბიბლიოთეკიდან“ იყო გამოტანილი. სოსო წიგნს გატაცებით კითხულობდა(46). ამ შემთხვევაში ახალგაზრდა უკვე მკაცრად დაისაჯა: მას გამოუცხადეს მკაცრი გაფრთხილება და ჩასვეს კარცერში.

აშკარაა სოსოს გატაცება ფრანგული ლიტერატურით. მართალია, ვ. ჰიუგო არ არის სოციალ-დემოკრატი მწერალი და მას არაფერი აკავშირებს კ. მარქსის მოძღვრებასთან, მაგრამ ამ მწერლის საოცარი რომანტიზმი, მისი გმირების მგზნებარე სახეები, უქონელთა და მაშთვრალთა მიმართ დაუფარავი სიმპატიები, ხოლო „93 წლის“ რევოლუციური ენთუზიაზმი აშკარად აუხელდა თვალს ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ახალგაზრდა სემინარისტს, კიდევ უფრო გაუღვიძებდა ინტერესს წიგნისა და რეალური ცხოვრებისადმი.

ეს ფაქტები აშკარად ადასტურებენ, რომ ი. ჯუგაშვილი ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში დაინტერესებული იყო დასავლეთ ევროპის პროგრესული ლიტერატურით და ეს კი აბათილებს მ. ჯილასის უტაქტო აპრიორულ შენიშვნას იმის თაობაზე, რომ „ი. სტალინი კარგად იცნობდა რუსულ ლიტერატურას და მხოლოდ რუსულს“(47).

ჩანს, რომ ი. ჯუგაშვილის ლიტერატურული მადა გასცილდა მხატვრული ლიტერატურის, პროზის ჩარჩოებს და უკვე იმ ხანებში დაინტერესდა ისეთი თეორიული პრობლემებით, როგორიცაა „სახალხო რასების ლიტერატურული განვითარება“.

ახალი ინტერესები, მსოფლმხედველობითი ძიება, გარეშე ლიტერატურის კითხვა, ახალი შთაბეჭდილებები წარმოშობდა აუდიტორიასთან თავისი შეხედულებების გაზიარების, დისკუსიის სურვილს. ასე დაიბადა, ალბათ, არალეგალური წრის შექმნის იდეა.

თბილისის სასულიერო სემინარიაში არალეგალური

წრეების ჩამოყალიბების მდიდარი ტრადიციები არსებობდა. სასწავლებელში ლეგალური წრეც იყო - ოფიციოზის მიერ დაშვებული წმინდა ანდრია პირველწოდებულის საზოგადოება ე.წ. „ანდრიას ძმობა“, რომლის მთავარი მიზანი შეუძლო მოსწავლეების მატერიალური დახმარება იყო(48). ეს წრე, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა იოსებ ჯუგაშვილის ინტერესებს. მას სურდა არალეგალური წრის ჩამოყალიბება.

პირდაპირი დოკუმენტური ცნობები ასეთი წრის შექმნის შესახებ ჩვენ არა გვაქვს. არსებობს ი. ბ. სტალინის ბავშვობის მეგობრების მოგონებები. დ. გოგოხიას აზრით: „ერთი წლის განმავლობაში იოსები ისე განვითარდა და გაიზარდა პოლიტიკურად, რომ უკვე მეორე კლასიდან ხელმძღვანელობდა სემინარელი ამხანაგების ჯგუფს“(49).

ამ ცნობაზე დაყრდნობით ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკვე 1895-1896 წლებში (ამ დროს იყო ი. ჯუგაშვილი მეორე კლასში) მას ჰქონდა წრე ან ჯგუფი. მაგრამ ჩვენ დოკუმენტურად ვიცით, რომ დ. გოგოხია სემინარიაში ჩაირიცხა 1897 წელს და უშუალო მომსწრე არ შეიძლება ყოფილიყო იმ ფაქტისა, რაც 1895-1896 წლებში მოხდა. ამასთან, ამ წლებში ი. ჯუგაშვილი პირველთანრიგოსანი, მოწინავე მოსწავლეა, სანიმუშოა ყოფაქცევით, გამოირჩეოდა რელიგიური შეხედულებებითაც, ეს კი ნაკლებ სავარაუდოს ხდის ამ პერიოდში მის მიერ საიდუმლო წრის შექმნის ფაქტს.

კიდევ უფრო ნაკლებად დასაჯერებელია გ. ელისაბედაშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ „სტალინის მითითებით და ხელმძღვანელობით ჩამოვაყალიბეთ მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი. წრეებში, რომლებსაც ეს კომიტეტი აერთიანებდა, ითვლებოდა ასი - ასოცდახუთი კაცი“(50). ძნელი დასაჯერებელაია, რომ სასულიერო სასწავლებელში, თვალთვალისა და დასმენის პირობებში, შესაძლებელი ყოფილიყო ასეთი ფართო განშტოების სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანიზაციის შექმნა. ეს ინფორმაცია მითების სფეროს უნდა მივაკუთვნოთ.

ი. ბ. სტალინის ოფიციალური ისტორიკოსების: კამენსკისა და ვერეშჩაგინის მოსაზრებით ეს იყო თვითგანათლების არალეგალური წრე(51). ასეთი წრეები სასწავლებელში ადრეც არსებობდა. ერთ-ერთი ასეთი წრე შექმნილი ჰქონდა სემინა-

რიელს ს. დეედარიანს. ამ წრეში ადრეულ პერიოდში თვით იოსებ ჯუგაშვილიც ყოფილა გაერთიანებული.

მაგრამ შემდგომში სოსომ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა დამოუკიდებელი წრის შექმნა.

ი. ირემაშვილი იგონებს, რომ მან და სოსომ თვით-განათლების წრეში ერთად დაიწყეს სიარული. ამ ეტაპზე მათი მთავარი მიზანი იყო არალეგალური წიგნების კითხვა. ი. ირემაშვილი ამტკიცებს, რომ „საიდუმლოდ, გაკვეთილებზე, ლოცვის დროს, ღვთისმ სახურებისას, ჩვენ ვკითხულობდით „ჩვენს" წიგნებს. ბიბლია გადაშლილი გვქონდა მაგიდაზე, ხოლო მეხლებზე გვედო დარვინი, პლეხანოვი და ლენინი"(52).

ი. ირემაშვილის ინფორმაციაც ძნელი დასაჯერებელია, თუმცა შესაძლებელია. როგორც ჰ. კაპანაძე იგონებს, რომ ი. ჯუ-გაშვილს საკუთარი მეთოდიც კი ჰქონია არალეგალური წიგნების საკითხავად: ის ფურცლებად შლიდა წიგნს, აწყობდა მათ ბიბლიაში და თავისუფლად კითხულობდა ასეთ ლიტერა-ტურას ინსპექტორთა თანდასწრებითაც კი(53).

პროფ. ვ. გურული უარყოფს 1896-1897 წლებში სასული-ერო სემინარიაში მარქსისტული წრეების არსებობას: „არავი-თარი მარქსისტული წრეები იმხანად თბილისის სემინარი-აში არ ყოფილა და საეჭვოა რომ საერთოდ ყოფილიყო თბილისში"(54).

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა კი საწინააღმდეგოს გვეუბნება: სემინარიის მოსწავლეთა შორის სოციალისტური იდეებისა და წრის არსებობაზე მიუთითებს თბილისის სასული-ერო სემინარიის ხელმძღვანელთა მიერ მიხა ცხაკაიას არსებული დახასიათება, რაც 1893 წლით თარიღდება. ამ ცნობაში ხაზგასმულია: "აკრძალული წიგნების კითხვა, აშკარად ანტ-ირელიგიური და კერძოდ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი (ხაზგასმა ჩვენია - ა. დაუშვილი) მიმართულების, რომელთა გავრცელებას ცდილობდა მოსწავლეთა შორის"(55). აშკარაა, რომ „სოციალისტური იდეების" გავრცელებას მ. ცხაკაია შეეცდებოდა მოსწავლეთა გარკვეულ, ერთგულ და სანდო ჯგუფთან - ეს კი უკვე თანამოაზრეთა წრეა.

ამ შემთხვევაში შეიძლება დაეეჭეროთ და გავიზიაროთ ი. ირემაშვილის მოსაზრებაც, რომ „სემინარიის ათი მოწაფე, მათ შორის სოსო ჯუგაშვილი და მე, საიდუმლოდ შევიკრიბეთ

და პირველი სოციალისტური ახალდგაზრდული წრე დავაარსეთ"(56).

მართალია, აქ არ ჩანს ამ წრის დამაარსებელი-ინიციატორი, მაგრამ თუ ი.ირემაშვილის შემდეგ შენიშვნას გავითვალისწინებთ: „სოსო სკოლის ბავშვებში გამოირჩეოდა... ჯერ კიდევ მაშინ ისეთი აზრები ებადებოდა, რაც ჩვენი ბავშური უზრუნველობისაგან ძალიან შორს იდგა"(57). შეიძლება დავუშვათ, რომ ფორმალური ლიდერის შინაგანი იმპულსები მას საიდუმლო წრის ორგანიზაციის სურვილებს, უდავოდ, აღუძრავდა.

სემინარიაში 1898 წლისათვის ი. ჯუგაშვილს რომ აკრძალული მიმართულების წრე ჰქონდა - ამაზე მიუთითებს სემინარიის ინსპექტორის შემდეგი ჩანაწერიც: „საღამოს 9 საათზე სასადილოში ინსპექტორის მიერ შემჩნეულ იქნა აღსაზრდელთა ჯგუფი, რომელიც მოსწავლე ჯუგაშვილის გარშემო იდგა, რაღაცას რომ კითხულობდა. მიახლოვებისას ჯუგაშვილი შეეცადა ჩანაწერი დაემალა და მხოლოდ... (აქ დოკუმენტი არ იკითხება - ა. დაუშვილი) დაბეჯითებითი მოთხოვნის შემდეგ გამოაჩინა თავისი ხელნაწერი. აღმოჩნდა, რომ ჯუგაშვილი კითხულობს გარეშე, სემინარიის ხელმძღვანელების მიერ აკრძალულ წიგნებს... ადგენს განსაკუთრებულ შენიშვნებს წაიკითხულის გარშემო და აცნობს მათ აღსაზრდელებს"(58). შემდეგ ინსპექტორი ჩამოთვლის იმ მოსწავლეებს, რომლებიც ისმენდნენ ამ ჩანაწერებს: ხვადაგიძე, ნიტრიეევი, დავიდოვი, ირემაშვილი, სემინარიის ინსპექციამ გაჩხრიკა აღნიშნული მოსწავლეების პირადი ნივთები, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა(59). ეს შემთხვევა 1898 წლის 28 სექტემბერს მოხდა.

თუ გავითვალისწინებთ რომ ი. ჯუგაშვილის პოეტურ შემოქმედებაში სოციალისტური თემატიკა 1896-1897 წლებში უკვე ცვლის ეროვნულ მოტივებს, იმასაც, რომ ინსპექციამ „აკრძალული წიგნები" სწორედ 1896-1897 წლებში აღმოუჩინა, შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ სწორედ 1897 წლის დასასრულს (ან მეორე ნახევარში) თავისი სოციალისტური შეხედულებების მეგობრებისათვის გაზიარების სურვილი სოსოს აშკარად გასჩენია და ამ მიზნით ორგანიზაციული ნაბიჯი გადაუდგამს. ჯგუფი აკრძალული ლიტერატით იყო დაინ-

ტერესებული ეს ხაზგასმულია ინსპექტორის შენიშვნაში. XIX დასასრულს ასეთი ლიტერატურა მხოლოდ მარქსისტული შეიძლება ყოფილიყო. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკვე 1901 წლის სექტემბერში დაიბეჭდა პირველი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბრძოლა“, რომლის სარედაქციო წერილის ავტორი სწორედ ი. ჯუგაშვილი იყო, რაც მის გამორჩეულ თეორიულ მომზადებასა და სოციალ-დემოკრატებს შორის გარკვეულ ავტორიტეტზე მიუთითებს, ეს კი ავტორის ხანგძლივ თეორიულ მუშაობას და თვითგანათლებას გულისხმობს, მაშინ ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ სოციალ-დემოკრატიული შინაარსის ლიტერატურას ი. ჯუგაშვილი უკვე სემინარიის კედლებში დაეწაფა და გარკვეული თანამოაზრეთა ჯგუფიც, ე.ი. წრეც შემოიკრიბა.

ასე და ამრიგად, ი. ჯუგაშვილი თანდათან ეცნობა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას და, რაც მთავარია, მისთვის,როგორც ჩანს, ხელმისაწვდომი გახდა ვ. ი. ლენინის პირველი ნაწარმოებები. ამტკიცებენ, რომ 1897 - 1898 წლებში ი. ჯუგაშვილი და მისი წრის წევრები გაეცვნენ ვ. ი. ლენინის ცნობილ ნაშრომს „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ“(60).

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ი. ჯუგაშვილზე ვ.ი.ლენინის მეორე ნაშრომმა „ნაროდნიკების ეკონომიკური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“. ეს სტატია დაიბეჭდა კრებულში „მასალები ჩვენი სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის“. კრებული საკმაოდ დიდი ტირაჟით (2000 ცალი) დაიბეჭდა და გავრცელდა მთელს იმპერიაში, მათ შორის თბილისშიც.

პ. კაპანაძე იგონებს: „დავინახე სტალინი, რომელსაც შემოხვეული ჰყავდა ამხანაგების ჯგუფი. იგი გაცხარებული ეკამათებოდა მათ, აკრიტიკებდა ჟორდანიას შეხედულებებს. ამან ყველანი გაიტაცა. და იქ ბაღში ჩვენ პირველად გავიგეთ ლენინის შესახებ... იოსებმა მითხრა, რომ წაიკითხა ტულინის (ლენინის) სტატიები, რომელიც მას ძალიან მოეწონა. - რაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ვნახო იგი, - მითხრა მან მაშინ“(61).

პ. კაპანაძის ეს ცნობა ვერაფრით მტკიცდება და ძნელი დასაჯერებელია.

სოსოს საიდუმლო წრის შესახებ ჩვენ ბევრი არაფერი

ვიცით. ცნობილია, რომ წრის წევრები საკუთარი ხარჯით (თვეში 5 მანეთი) ქირაობდნენ ოთახს ქალაქში და იქ იკრიბებოდნენ კვირაში ერთხელ ან ორჯერ.

დ. გოგოხია ამტკიცებდა, რომ „სემინარიელებს შორის იყვნენ დამბეზღებლები, რომლებიც ინსპექტორ აბაშიძეს მოახსენებდნენ ხოლმე მოსწავლეების და განსაკუთრებით იოსებ ჯუგაშვილის განწყობილებებისა და საქმიანობის შესახებ". ეს ინფორმაცია სარწმუნოდ არ გვეჩვენება, რადგან არ არსებობს არავითარი დოკუმენტი იმის შესახებ, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობისათვის საცნაური გახდა ი. ჯუგაშვილის წრის საქმიანობა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ 1897 წელს სასწავლებელში აღმოაჩინეს არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი „შრომა". სასწავლებლის ინსპექტორებმა ეჭვმიტანილი მოსწავლეების ბინებში შუა ღამით მოაწყვეს ჩხრეკა და გამოაელინეს ორგანიზატორი და კრებულის ავტორი: მესამე კლასის მოსწავლე გაბრიელ ბარნაბიშვილი. ჟურნალის დაფუძნებასთან დაკავშირებული ყველა მოსწავლე სემინარიიდან გაირიცხა(62).

ასეთი ვითარება აიძულებდა ი. ჯუგაშვილის წრის წევრებს გამოეჩინათ კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე: ისინი აშკარად კონპირაციულად მოქმედებდნენ. თუმცა ჩვენთვის ცნობილია დოკუმენტური ფაქტი, რომ 1899 წლის იანვარს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ერთ ჯგუფს: იოსებ ჯუგაშვილს (V კლასი), თევდორე გალბოესკის (V კლასი), საბა ჩაჩუას (IV კლასი), ვასილ პლიევს (II კლასი) და სხვებს აუკრძალეს ქალაქში თავისუფალი გასვლა ერთი თვის განმავლობაში. სამწუხაროდ, დოკუმენტში არაფერია ნათქვამი თუ რა იყო ამ აკრძალვის მიზეზი. იმ კრებაზე ძალიან ბევრი მოსწავლე დაისაჯა სხვადასხვა მიზეზის გამო (აკადემიური ჩამორჩენა, შვებულებიდან დაგვიანება და ა.შ.) ი. ჯუგაშვილისა და მისი ამხანაგების დასჯის ფორმა ყველზე მსუბუქია, რადგან სხვების მიმართ გამოყენეს დასჯის უფრო სასტიკი ფორმები: კარცერი, ხოლო ზოგი გარიცხეს კიდეც.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საიდუმლო წრის მეცადინეობის დროს ახალგაზრდები დროს ვერ სასღვრავდნენ, იგვიანებდნენ სასწავლებელში და ამის გამო დაიმსახურეს ეს

მსუბუქი სასჯელი. სასწავლებლის ხელმძღვანელობას რომ რაიმე ინფორმაცია ჰქონოდა ი. ჯუგაშვილის არალეგალური საქმიანობის შესახებ, ის აუცილებლად საქმის კურსში ჩააყენებდა პოლიციას და უანდარმერიას და მას არც სასწავლებლის დასრულების მოწმობას მისცემდა.

ინსპექტორების ჩანაწერებში ჩვენ ეხვდებით რამდენიმე ისეთ მნიშვნელოვან ჩანაწერს, რაც სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს და უფრო ღრმა ანალიზსაც. 1895 წლის თებერვალში გაკეთებულია შემდეგი ჩანაწერი: „შუადღის შემდეგ 4 და 1/2 საათზე, როცა შევედი I კლასის I განყოფილებაში, ძლიერ ყვირილზე მე დავინახე ლაპეროვი, რომელიც ძლიერ გაღიზიანებული უყვიროდა ირემაშვილსა და ჯუგაშვილს. აღმოჩნდა, რომ ეს ორი უკანასკნელი მოსწავლე სისტემატურად დასცინის ლაპეროვს, აღიზიანებენ, ყოველმხრივ ამასხარავებენ, რაც მის გაღიზიანებას იწვევს. მსგავს ქმედებას, როგორც ლაპეროვი აცხადებს, ისინი ხშირად სჩადიან“(63).

ნერვების მომშლელი, გამაღიზინებელი, დამცინავი ქმედება თანატოლის მიმართ, რომელიც ალბათ რაღაცით გამორჩეული იყო (ზედმეტად მსუქანი ან გამხდარი, უთავბოლო ან მშიშარაა, არაორდინალურია ქცევაში და ა.შ.) იმჟამად ერთეული შემთხვევა არ ყოფილა. ეს გავრცელებული იყო. განსაკუთრებით ასეთ ქმედებას ჩადიან ძლიერი, მამაკაცური საწყისის მქონე მოზარდები ჩაკეტილ, შეკრულ გარემოში, რითიც საკუთარ ჰეგემონიას ამყარებენ. გარდამავალ ასაკში ყმაწვილის დაუდეგარი ბუნება, განსაკუთრებით სამხრეთის ქვეყნებში, ქვეცნობიერად, მეორე პირზე ზემოქმედების სურვილით ივსება. ჩვეულებრივ პირობებში ასეთი ზემოქმედების ობიექტი ქალი ხდება, რაც მის მოქმედებას უფრო რომანტიულს ხდის, ვაჟკაცობის გამოვლენის სურვილს აღძრავს, ჩაკეტილ, კლერიკალურ, მამაკაცების გარემოში ყმაწვილი კაცის დაუდგრომელი ბუნება, მოწყვეტილი ქალის საზოგადოებას, რომანტიულ განწყობილებებს, იძულებულია თავისი ბუნება (დამორჩილება-დაუფლების ინსტინქტი) თანაკლასელების, თანატოლების, მეგობრების გარემოში გამოხატოს, მეგობრებთან ძიძგილაობაში, მათზე ჰეგემონიის გავრცელებაში, „ყოჩობაში“ გამოაველინოს. ამ შემთხვევაში ჩვენ მოზარდების სწორედ ამგვარ ქვეცნობიერ ქმედებასთან უნდა გვქონდეს საქმე. რომ

ეს „გართობა“ ი. ჯუგაშვილისათვის დამახასიათებელი არ იყო, ამაზე მიუთითებს ის, რომ მსგავსი შემთხვევა სხვა არ დაფიქსირებულა და თვითონ ლაპეროვსაც აღარ შეუწუხებია ინსპექტორი საჩივრით. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ამ „ცელქობაში“ ი. ჯუგაშვილი მარტო არ იყო და გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ამ ინციდენტში მისი თანამონაწილეობა მეგობრის ზეგავლენას მივაწეროთ (ამ ინციდენტს ი. ირემაშვილი თავისი მოგონებების წიგნში არ „იგონებს“).

უნდა გვახსოვდეს, რომ 1895-1896 წლებში ი. ჯუგაშვილი და მისი მეგობრები 17-18 წლის ახალგაზრდები არიან. ფიზიკურად უკვე ჩამოყალიბებული სამხრეთში ხომ უფრო ადრე მწიფდება სქესობრივად ადამიანი. მათი სექსუალური სურვილები და ეროტიკული მოთხოვნილებები უკვე საცნაური იქნებოდა. სექსუალური ფორმირების პროცესი მუდამ იწვევს მამაკაცისათვის დამახასიათებელი ინსტინქტების გაძლიერებას, რაც ხშირად უხეშობაში ვლინდება. ამ პერიოდში ასეთი უხეში გართობა, როგორც ჩანს, გავრცელებული ყოფილა სემინარიის აღსაზრდელთა შორის. გავიხსენოთ ერთი ფაქტი: „ი. ჯუგაშვილის თანაკლასელმა „ხუმრობით“ მერხზე გვერდიგვერდ მჯდომი ორი ამხანაგის თავები ერთმანეთს ისე შეაჯახა, რომ კლასში აუტანელი ღრიანცელი ატყდა, რამაც ინსპექტორის ჩარევაც კი მოითხოვა. მსგავსი შემთხვევები სხვაც ბევრი იქნებოდა მოწყენილობით და ერფეროვნებით გაჯერებულ თბილისის სასულიერო სემინარიაში.

უფრო რთული ასახსნელია მეორე ეპიზოდი. ეს ფაქტი ჩაწერილია 1896 წლის 22 ნოემბერს ინსპექტორს მურახოვსკის მიერ: „ანტონენკომ ივ. (2.1) (იგულისხმება მეორე კლასის პირველი განყოფილება - ა. დაუშვილი) 19 ნოემბერს მამა ინსპექტორს შემოუტანა საჩივარი თავის ამხანაგზე - მაჭარაშვილ კოტეზე, რომელმაც მას თითქოსდა უწოდა „ქურდი“ იმის გამო, რომ მისი ვარაუდით ანტონენკომ თავისთავს უფლება მისცა მისი წიგნი ალგებრა... (აქ ტექსტი აღარ იკითხება - ა. დაუშვილი). ეს საჩივარი მამა ინსპექტორმა თვითონ გაარჩია, რომელმაც ანტონენკო სცნო უდანაშაულოდ ამ ბრალდებაში და მოსწავლის მიერ გაკეთებული ეს განცხადება ჩათვალა უსამართლოდ. ის, რომ დასახელებული სახელმძღვანელო დევს

ანტონენკოს სკამზე და არა მის სკივრში იცოდა, როგორც გაირკვა, ჯუგაშვილმა იოს. რომელმაც ამ ისტორიაში შეასრულა არც თუ საქებარი როლი"(64).

ეს შემთხვევა, ერთი შეხედვით ჩინებული დოკუმენტია ანტისტალინური ინსინუაციისათვის: აი, უკვე ბავშვობის ასაკიდან ის წარმატებით „უსისინებდა" მეგობრებს ერთმანეთს და ეს ულირსი საქციელი შემდგომში, მისი ზეობის ხანაში უბადლო ოსტატობამდე აიყვანა. ეს ფაქტი რომ სცოდნოდა ლ.დ. ტროცკის, ის მას საოცარი ვარიაციებით შესთავაზებდა მკითხველს.

ამ დოკუმენტის პირველი წაკითხვისას ნებისმიერ ადამიანს შეიძლება უარყოფითი ასოციაცია დაებადოს, მაგრამ ისიც თვალში საცემია, რომ სერიოზული დასკვნებისათვის ინფორმაცია ძალიან მცირეა, ვითარების ყოველმხრივი შესწავლის შესაძლებლობას იგი არ იძლევა. აშკარაა, რომ ინსპექტორი მეტად ზერელე მოტივით, აპრიორულად სწორედ ჯუგაშვილს დებს ბრალს არა ეთიკურ საქციელში: თურმე ჯუგაშვილმა იცოდა და დროზე არა თქვა, რომ წიგნი იდო სკამზე და არა სკივრში. მაგრამ თუ წიგნი სკამზე იდო და არა სკივრში, ამას ხომ ყველა შეამჩნევდა? თვით დაზარალებულიც კი? ბრალდებულიც ხომ შეეცდებოდა მიეთითებინა წიგნის ნამდვილი ადგილსამყოფელი, თვითონვე დაესაბუთებინა თავისი უდანაშაულობა და კონფლიქტიც ამოიწურებოდა. რამ გამოიწვია ი. ჯუგაშვილის ჩარევა?

ჩვენ არ ვიცით სად იყო კონფლიქტის საწყის ეტაპზე ი. ჯუგაშვილი. არც ის ვიცით, როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას ბრალდებულთან, დაზარალებულთან. სოსოს მოტივაცია - თუ რატომ არ ჩაერია ის საქმეში კონფლიქტის საწყის ეტაპზე, ჩვენთვის უცნობია, ვარაუდი კი ბევრი შეიძლება იყოს.

როგორც ჩანს, სწორედ ს. ჯუგაშვილის განცხადებამ, რომ იცის წიგნის ადგილმდებარეობა, ბრალდებული გაამართლა. მაგრამ ინსპექტორის აზრით, ეს მან გვიან გააკეთა. დოკუმინტი არ იძლევა პასუხს, თუ რატომ მოიქცა სოსო ასე - ი. ჯუგაშვილს შეეძლო საერთოდ გაჩუმებულიყო (სწორედ ასე მოიქცეოდა ნამდვილი „ინტრიგანი") და განეცხადებინა, რომ მან არაფერი არ იცის საქმის შესახებ. რამ წამოატივტი-

ვა სხვის კონფლიქტში სოსო ჯუგაშვილის სახელი? რატომ უნდა სცოდნოდა მას ამის შესახებ?

ჩვენი აზრით, სწორედ სოსო ჯუგაშვილის განცხადებამ, რომ მან იცის წიგნის ნამდვილი ადგილმდებარეობა - გაფანტა ეჭვი ქურდობის შესახებ. არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ეს ინსპექტორი (ს. ა. მურახოვსკი) „გადაკიდებული" იყო სოსო ჯუგაშვილზე და გასაქანს არ აძლევდა (ასეთი რამეც ხომ ხდება სკოლებში).

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სწორედ ს. ა. მურახოვსკი აღძრავს საჩივარს მოგვიანებით, 1898 წლის დეკემბერში პედაგოგიური კრების წინაშე იმასთან დაკავშირებით, რომ სოსო ჯუგაშვილი მას სისტემატურად არ ესალმება(65). არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ი. ჯუგაშვილი პროტესტის ამ ფორმით თავის უარყოფით დამოკიდებულებას ავლენდა ინსპექტორის მიმართ, სწორედ ამ კონკრეტული ფაქტის შეფასების დროს გამოჩენილი სუბიექტური დამოკიდებულებისათვის. ახალგაზრდები, განსაკუთრებით თავმოყვარე და ამაყი ვაჟები, საოცრად მტკივნეულად განიცდიან უსამართლობას გარდამავალ ასაკში.

ეს ასაკი მეტად რთული პერიოდია მოზრდილისათვის, განსაკუთრებით ვაჟისათვის. კაცად ფორმირების პროცესი ბევრ ფიზიოლოგიურ, ფსიქიკურ, სულიერ მოძრაობებთან არის დაკავშირებული. ასეთ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ გარემოს, მშობლების ავტორიტეტსა და მზრუნველობას. სასულიერო სემინარიაში „ჩაკეტილი" ახალგაზრდა ვაჟკაცები ამას მოკლებულნი იყვნენ, განსაკუთრებით ისინი, ვინც მთლიან პანსიონზე იმყოფებოდნენ. იოსებისა და მისი მეგობრების პიროვნული ფორმირება ურთულეს ფსიქოლოგიურ გარემოცვაში ყალიბდებოდა - სასულიერო სემინარიის სულისშემხუთველ ატმოსფეროში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ფარისეველობა, ფლიდობა, აუტანელი სიმკაცრე. ჩვენ არაფერი ვიცით სასულიერო სემინარიის პედკოლექტივის სულიერი სამყაროს შესახებ. ცალკეული სამაგალითო პედაგოგი, რომელთა შესახებ სხვადასხვა საყურადღებო ინფორმაცია გვაქვს, საჭირო ფსიქოლოგიურ კლიმატს სასწავლებელში ვერ შექმნიდა. XIX საუკუნის მიწურულში კოლონიალური საქართველოს მთავარი სასულიერო სასწავლებლის პედაგოგები, მატერიალური

ყოფიერებით, საკუთარი ოჯახური პრობლემებით გადაღლილი ადამიანები, მოსწავლეებს იმ სითბოს, სინაზეს, ადამიანური დიდსულოვნების საჭირო მაგალითებს, ალბათ, ვერ მისცემდნენ. ეს კი აუცილებელი იყო ახალგაზრდის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. სემინარიის შეძლებულ მოსწავლეებს ოჯახური სითბო და მშობლების მზრუნველობა, ალბათ, უფრო ჰქონდათ, სახლშიც უფრო ხშირად მიდიოდნენ, მშობლები და ნათესავებიც ხშირად აკითხავდნენ, მატერიალურ სიდუხჭირესაც ნაკლებად განიცდიდნენ.

სოსო ჯუგაშვილის დედას იმის საშუალება არ ექნებოდა, რომ თბილისში შვილი ხშირად მოენახულებინა. უფრო პირიქით, როგორც ჩანს, ზედა კლასებში უკვე თვითონ სოსო ჩადიოდა გორში და დანამდვილებით ვიცით, რომ ხშირადაც აგვიანებდა უკან ჩამოსვლას, რის გამოც მკაცრად ისჯებოდა(66).

ამიტომ, სემინარიის მოსწავლეთა სულიერი სამყარო ერთმანეთთან ინტენსიურ ურთიერთობაში ყალიბდებოდა. ჩაკეტილი, იზოლირებული მამაკაცური გარემო კი დამატებით პრობლემებს ქმნიდა საყოველთაოდ დადასტურებულია, რომ ჩაკეტილი მამაკაცური გარემო (ჯარი, ციხე, მონასტერი და ა.შ.) ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის სხვადასხვა გადახრებისათვის, არასტანდარტული ქცევის ფორმირებისათვის. მით უფრო, როცა პიროვნება ამ გარემოში სულიერი ფორმირების პროცესის დროს ხვდება.

1895-1896 წლებში იოსებ ჯუგაშვილი 16-17 წლის მოწიფული ყმაწვილი იქნებოდა. სამხრეთის ქვეყნის შვილი ის ადრე მომწიფდებოდა სექსუალურადაც. ულირსი მამის პირობებში, მით უფრო, ინტენსიური კონტაქტის არ არსებობის გამო მას არ ექნებოდა საშუალება ვაჟისათვის მიეცა ამ ასაკში საჭირო მამის დადებითი მაგალითი - რაც ყოველთვის ასე აუცილებელია ახალგაზრდა კაცის ფორმირებისათვის. ჩვენ არ ვიცით ამ პერიოდში ვინ შეცვალა მამის იდეალი ქვეცნობიერში. მას ხომ უფროსი ძმაც არ ჰყავდა. მოგვიანებით მისი იდეალი გახდა ბავშვობის მეგობრის ვანო კეცხოველის უფროსი ძმა - ლადო, ცნობილი რევოლუციონერი. უფრო მოგვიანებით კი, როგორც ამას რ. ტაკერი ამტკიცებს, ეს იდეალი გახდა ვ. ი. ლენინი(67).

გარდამავალ ასაკში ი. ჯუგაშვილს ბუნებრივად დაე-

ბადებოდა მისი ასაკის ვაჟისათვის დამახასიათებელი ბიოლოგიური მოელენები, დაიწყებოდა სექსუალური საკითხებით დაინტერესება, პირველი სექსუალური შთაბეჭდილებები. იმ წლებში თბილისი უკვე კაპიტალისტური ქალაქი იყო თავისი ბოჰემით, გართობისა და ტკბობის გამორჩეული ადგილებით, კურტიზანი ქალებით...

1906 წლამდე, იოსებ ჯუგაშვილის პირველ ქორწინებამდე მის ინტიმური ცხოვრების შესახებ დოკუმენტურად ჩვენ არაფერი არ ვიცით და, ალბათ, ვერც ვერაფერს გავიგებთ.

თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1898 - 1899 წლების პერიოდში მან დაიწყო (20 წლის ასაკში) თამბაქოს მოწევა. სემინარიის ინსპექტორის 1898 წლის 17 სექტემბრის ჩანაწერში მითითებულია, რომ მე-5 კლასის მოსწავლეების ერთი ჯგუფი (დოლიძე, ხახანოვი, კარბელოვი, კანდელაკი, ი. ჯუგაშვილი და სხვები) დაგვიანებით მივიდნენ კლასში, ხოლო ერთ-ერთ მათგანს - ბენიამინ კანდელაკს წმინდა წერილის სახელმძღვანელოში აღმოუჩინეს თამბაქოს ნაშთი(68).

არ არის გამორიცხული, რომ თამბაქოს წევის ის ჩვეულება, რაც ი. ბ. სტალინს მთელი ცხოვრება გაჰყვა, სწორედ მეგობრების ზეგავლენით, მათი მიბაძვით დაწყებულიყო. ამ ასაკში ეს თითქმის ყოველთვის ასე ხდება.

გარდამავალი ასაკი პიროვნული ორიენტაციის შეცვლასაც გულისხმობს. ძველი კავშირები სუსტდება ან კვდება. იბადება ახალი ინტერესები, ცხოვრებაში ჩნდება ახალი პიროვნული სახეები. ხშირად ხდება მეგობრების შეცვლაც. სასულიერო საასწავლებლის მაღალ კლასებში ი. ჯუგაშვილის მეგობრების წრეც შეიცვალა. სემინარიის ინსპექტორების წინა წლებში დაფიქსირებულ ჩანაწერებში ი. ჯუგაშვილის გვერდით უფრო ხშირად ი. ირემაშვილის გვარი ფიგურირებს. 1898-1899 წლებში სოსო უფრო მეტ დროს მიხეილ დავიდოვთან (დავითაშვილი) ატარებს. დავიდოვი სოსოს თანაკლასელი არ იყო. ის მომდევნო, მეოთხე კლასში სწავლობდა. დავიდოვი ი. ჯუგაშვილის „ჯგუფის“ წევრი იყო. ის ფიგურირებს სემინარიის ინსპექტორის იმ ჩანაწერშიც, რომელიც ი. ჯუგაშვილის წრის არსებობაზე მიგვანიშნებს, ე.ი. მათ იდეური ერთობაც აკავშირებდათ. როგორც ჩანს, ისინი ხშირად იყვნენ ერთად. ისინი ერთად აგვიანებდნენ ლიტურგიაზე, ერთად

აგვიანებდნენ შვებულებიდან: 1898 წლის 11 ოქტომბერს მეგობრებმა დააგვიანეს ლიტურგიაზე, თანაც მ. დავიდოვი ეკლესიაში ქაბრის გარეშე მისულა, რაც ინსპექტორის მახვილ თვალს არ გამოპარვია(69). 25 ოქტომბერს მეგობრებმა კვლავ ერთად დაიგვიანეს ხანმოკლე შვებულებიდან, რის გამოც ასევე ერთად ჩასვეს კარცერში 5 საათით(70).

სულ ბოლო ჩანაწერი ინსპექტორთა დავთარში სოსო ჯუგაშვილის შესახებ გაკეთდა 1899 წლის აპრილს: მან საღამოს ლოცვაზე დაიგვიანა 25 წუთითი(71).

თუ შეიმჩნეოდა უკვე ყმაწვილკაცობაში იოსებ ჯუგაშვილის ხასიათში ისეთი თვალში საცემი რამ, რაც დააფიქრებს ფსიქოანალიტიკოსს და მისცემს მას გასაღებს სოსოს რთული ხასიათის იდუმალი მხარეების გასაგებად, ახსნის მის შემდგომდროინდელ ქცევებს, განწყობილობებს, ადამიანებთან დამოკიდებულების მისეულ პრაქტიკას, მის გამარჯვებებს ადამიანური კოლიზიების მორევში ურთულესი პოლიტიკური ვითარებების პერიოდში, ურთულესი პოლიტიკური თუ სოციალური ამოცანების გადაჭრისას?

ი. ბ. სტალინის ფსიქოანალიტიკური პორტრეტის შესაქმნელად მისი ხასიათის გამოვლენის ყველა ნიუანსს, ყველა ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო თუ ეს ფაქტი დოკუმენტურად დასტურდება და ყურმოკრული, სხვისი გადმოცემების საფუძველზე გავრცეელებული არ არის (ფროიდული მეთოდოლოგიის მთავარი პირობა). მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საუბარია მსოფლიოში ყველაზე ურო რადიკალური პოლიტიკური მოძრაობის წამყვან ლიდერზე და არა „დედიკოს ბიჭზე“.

უხეშობა - ეს აშკარად მისი თვისებაა, რაც ჩანს კიდეც სემინარიის ინსპექტორების ჩანაწერებში. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ უხეშობა შესამჩნევია ინსპექტორებთან, კლერიკალებთან, იეზუიტებთან დამოკიდებულების დროს. არსებული ჩანაწერებიდან (ასეთი დაახლოებით 33-მდეა) უხეშობა ფიგურირებს სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან დამოკიდებულების დროს, ჩხრეკისა და დასმენის მეთოდების კულტივირების წინააღმდეგ მიმართული პროტესტის დროს, სწავლისა და ქცევის იეზუიტური მეთოდების დამკვიდრებასთან დაკავშირებით. ამ ჩანაწერებში დაპირისპირება, გართულებები მეგობრებთან, თანაკლასელებთან

უმნიშვნელოა. აშკარაა, რომ ი. ჯუგაშვილი უხეშია მათ მიმართ ვინც სძულს, ვისაც არ ენდობა, ვინც არ უყვარს.

ჯიუტობა ესეც ი. ჯუგაშვილის დამახასიათებელი თვისებაა, რაც, ასევე, კლერიკალებთან, სასწავლებლის ხელმძღვანელებთან დამოკიდებულებაში ვლინდება (ის არ ემორჩილება სემინარიის რექტორის მითითებას თმის დამოკლებასათან დაკავშირებით, ჯიუტად არ ემორჩილება ინსპექტორის შენიშვნას თავის ადგილს დაუბრუნდეს ეკლესიაში და ა.შ.)

მეგობრობა ინსპექტორების ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ ი. ჯუგაშვილი მიუსაფარი განდეგილი კი არ არის, არამედ მუდამ მოვლენათა ეპიცენტრშია. ის მეგობრებთან ერთად მღერის, მეგობრებთან ერთად იცინის, მეგობრებთან ერთად აგვიანებს, მეგობრებთან ერთად ზის კარცერში, მეგობრებთან ერთად ძვრება ფანჯარაში და ა.შ. სოსო მუდამ საზოგადოებაში ტრიალებს, მუდამ ურთიერთობაშია - ის კონტაქტურია. ეს თვისება ყველა გამორჩეული რევოლუციონერი-პრაქტიკოსის თვისებაა, ამ თვისებების გარეშე წარმოუდგენელია ახალგაზრდა პროპაგანდისტი, რეოვოლუციონერი-აგიტატორი.

სემინარიის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა თანდათან სერიოზულად დაიძაბა. ი. ჯუგაშვილის დაუმორჩილებელი ბუნება ვეღარ ეგუება სემინარიის სულისშემხუთველ ატმოსფეროს, აღზრდის იეზუიტურ მეთოდებს, თვალთვალსა და დასმენებს და ეს არა ერთხელ განუცხადა კლერიკალებს. სასწავლებლის ინსპექტორებმა დააფიქსირეს საინტერესო შემთხვევა: 1898 წლის 16 დეკემბერს სემინარიის ინსპექციამ გაჩხრიკა მე-5 კლასის ზოგიერთი მოსწავლის პირადი უჯრები აკრძალული ლიტერატურის გამოსავლენად. ინსპექტორი წერს: „ჯუგაშვილი იოსები(V,I)... რამდენჯერმე ჩაება განმარტების მისაცემად კამათში ინსპექციის წევრებთან, გამოხატავდა რა თავის განცხადებებში უკმაყოფილებას მოსწავლეთა მიმართ განხორციელებული ჩხრეკვის გამო. ამასთან, განაცხადა, რომ არცერთ სხვა სემინარიაში მსგავს ჩხრეკვას არ ატარებენ“. აქვე საყურადღებოა ინსპექტორის დასკვნა: „საერთოდ ჯუგაშვილი მოკრძალებული არ არის და უხეშია ხელმძღვანელ პირებთან დამოკიდებ: ულებაში, სისტემატურად არ ესალმება

ერთ პედაგოგს (ს. ა. მურახოვსკის), რის შესახებაც ამ უკანასკნელმა არა ერთხელ განაცხადა ინსპექციაში"(72). ამ თავხედობისათვის ი. ჯუგაშვილმა გაიცხვა და 5 საათი კარცერი დაიმსახურა.

ახალგაზრდა მეამბოხე ვეღარ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ინსპექტორ-იეზუიტების მიმართ. ეს უკვე ვლინდებოდა მის ქცევაში, სიტყვა-პასუხში, დაუმორჩილებლობაში, სიტყვიერ შეურაცხყოფაში. ეს მომავალი რევოლუციონერის სრულიად ბუნებრივი და გასაგები ქცევაა. მისთვის ეს ადამიანები (ღვთისმსახურები) ბიბლიურ ცრუმწიგნობრებად და ფარისევლებად გადაიქცნენ. მას უკვე აღარ შეეძლო მათთვის პატივი მიეგო - ეს მისი მხრიდან იქნებოდა კომპრომისი, ლიციმერობა, კომფორმიზმი. სწორედ ასეთი და მხოლოდ ასეთი შეიძლება ყოფილიყო მომავალი პროლეტარიატის ბელადი.

სიძულვილზე მასაც სიძულვილით პასუხობდნენ. სემინარიის ინსპექციის ჩანაწერებში გაიზარდა კრიტიკული შენიშვნების რიცხვი: „31 იანვარი. 1899 წ. ი. ჯუგაშვილი (V,I) გუშინ მომიახლოვდა ლოცვის დროს... (ტექსტი არ იკითხება ა. დაუშვილი) სათხოვნელად, რომ ეკლესიიდან გასულიყო. მივიღე რა მხედველობაში მოსწავლე ჯუგაშვილის ცუდი ქცევა და ... (ტექსტი არ იკითხება - ა. დაუშვილი) მე არ მივეცი მას ამის უფლება. მიუხედავად ამისა, ჯუგაშვილი მაინც გავიდა ეკლესიიდან. იმავე დღეს საეგზარხოსო ღვთისმსახურების დროს მე შევამჩნიე ის მოლაპარაკე VI კლასის მოსწავლე ცინცაძესთან ან ამასთან ის იდგა არა თავის ადგილზე (არამედ მთლიანად საწინააღმდეგო მხარეს თავისი ჩვეული ადგილიდან), როცა მივუახლოვდი მას და ვუთხარი, რომ ლაპარაკის ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა თავის ჩვეულ ადგილზე დამდგარიყო, მან თავხედურად, ყველას გასაგონად განმიცხადა: „ჩემთვის აქ უფრო მოსახერხებელია". მე მას გავუმეორე ჩემი ბრძანება და მან ის შეასრულა მხოლოდ 5-8 წუთის შემდეგ გაატარა რა ეს დრო ძველ ადგილას(73). დაუმორჩილებლობის ამ ინციდენტს კარცერში 6 საათი ჯდომა მოჰყვა.

ინსპექტორები და მასწავლებლები ჩივილით არ ასვენებდნენ ი. ჯუგაშვილს: „ჯუგაშვილმა იოსებმა (V,I),

როგორც პედაგოგმა ა. პ. ალბოვმა აღნიშნა, შვეიცარის ოთახში თავი არ დაუკრა მას. ჯუგაშვილის განცხადებით პედაგოგი მას არ შეუნიშნავს"(74). ახალგაზრდას ამისათვის შენიშვნა მისცეს, კიდევ ერთი, უკვე მერამდენე... აი, კიდევ ერთი ჩანაწერი: „კანდელაკი ბენ.(V,I), ხახანოვი(V,I) საუბრობდნენ, ჯუგაშვილი(V,I) იცინოდა. გამოეცხადოს მკაცრი საყვედური"(75). სიცილის გამო მკაცრი საყვედური: ეს მხოლოდ იეზუიტის ცივ გონებას შეეძლო მოეფიქრებინა.

სოციალ-დემოკრატიული მოძღვრებით გატაცება, სწავლაზე გულის აცრუება, კლერიკალების მიმართ უკვე დაუფარავი ნიჰილისტური, ანტიპატიური დამოკიდებულება არა მარტო შეხედულებებში ვლინდებოდა, არამედ მოქმედებებშიც. საერთოდ გაქრა ადრინდელი პატივისცემის ყოველგვარი ნიშანი.

იმ პერიოდში კლერიკალებისადმი დაუფარავი ანტიპატიის გამოვლენის ერთ საინტერესო ფაქტს გადმოგვცემს პ. კაპანაძე: „ერთხელ ალექსანდროვის ბაღისკენ მივდიოდით. სოსოს ვუთხარი, ნეტა ისეთი ძალა გექონდეს, რომ ერთი დარტყმით მოვსპოთ ამ ბერების სინსილა მეთქი.

ასე მიპასუხა - იცი პეტა, ერთი დაკვრით მათი მოსპობა შეუძლებელია. მაგალითისათვის ვთქვათ ასე ერმა გამელელ-მა აანთოს სანთელი, გამომვლელმა ის ჩააქროს, შემდეგ სხვა გამვლელმა სანთელი ხელმეორედ აანთოს და ასე ეს პროცესი მეორდებოდეს. არა. მაგ ბერებს ისეთი ქარიშხალი უნდა დავატეხოთ, ძირამდე დაიწვან, რომ მათი აღდგენა შეუძლებელი გახდეს"(76).

არის მსგავსი სხვა მაგალითიც. მისი მეგობარი გ. ელისაბედაშვილი იგონებს: „ერთხელ ბერი დიმიტრი მიეპარა სოსოს, როცა იგი არალეგალურ წიგნს კითხულობდა. მან მაჯვედ გამოსტაცა სოსოს წიგნი, მაგრამ ერთ წამში უკანვე გამოგლიჯა.

ბერი დიმიტრი აღშფოთდა:

- განა ვერ ხედავ ვისთან გაქვს საქმე!?

სოსომ თვალები მოიფშვნიტა, დაკვირვებით დააცქერდა და უპასუხა:

- შავი ლაქის მეტს ვერაფერს ეხედავ!"(77)

დოკუმენტურად დასტურდება, რომ ი. ჯუგაშვილს უფროს კლასებში გაუძლიერდა წინააღმდეგობა ადამინისტრაციასთან,

განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა ინსპექციასთან. მაგრამ ზემოთ მოტანილი ფაქტი მაინც საეჭვოდ გვეჩვენება: ძნელი დასაჯერებელია ისეთ მკაცრ კაცს, როგორიც ბერი დიმიტრი იყო, ეპატიებინა ასეთი თავხედობა და შეურაცხყოფა ახალგაზრდა კაცისათვის და ეს საკითხი არ დაეყენებინა პედაგოგიური კრების წინაშე ან არ ჩაენიშნა „თვალთვალის ჟურნალში". ასეთი ინცინდენტების შემდეგ ი. ჯუგაშვილი ძნელად თუ წაიღებდა სასწავლებლიდან სემინარიის მოწმობას.

ი. ირემაშვილი ამტკიცებს, რომ ის ურჩევდა სოსოს არ მიეტოვებინა სასწავლებელი, მოეთმინა, აეღო დიპლომი, რომელიც მას რუსეთის ნებისმიერი უნივერსიტეტის კარებსს გაუღებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ი. ჯუგაშვილს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სასწავლებლის მიტოვება.

მისი ეს გადაწყვეტილება სამართლიანი და გულწრფელია. მომავალი ილუზორული კეთილდღეობის გულისათვის დარჩე იმ სასწავლებელში, რომლის ძირითადი პრინციპები შენთვის მთლიანად მიუღებელია, რომლის იდეოლოგია და საქმიანობა მცდარად და მავნედ გეჩვენება, აიღო სასულიერო პირის დიპლომი - როცა თვალის დასანახავად გეზიზღება კლირი, ეს უკვე აშკარა კონფორმიზმია, უპრინციპობაა. ამიტომაც ი. ჯუგაშვილმა გადადგა ერთადერთი სწორი ნაბიჯი მან მიატოვა სემინარია. ეს ძნელი გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგან ამ ნაბიჯს არ მიესალმებოდა მისი დედა ეკატერინე ჯუგაშვილი, რომელმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო რომ მის ვაჟიშვილს სასულიერო სემინარია დაესრულებინა.

არ არის გამორიცხული, რომ სოსომ ეს გადაწყვეტილება ვიღაცის ზეგავლენით მიიღო. სულ მალე 1899 წლის 7 ოქტომბერს საკუთარი სურვილით და მშობლების თანხმობით სემინარია დატოვა ვანო კეცხოველმა ლადო კეცხოველის ძმამ, სოსოს მეგობარმა. მართალია, იგი ოფიციალურად ამ ნაბიჯს მშობლების მძიმე მატერიალური მდგომარეობით ხსნის, მაგრამ არ არის გამორიცხული ძმის ლადოს ზეგავლენაც. არ უნდა გამოირიცხოს, რომ სოსო ჯუგაშვილის გადაწყვეტილებაზე გარკვეული ზეგავლენა ასევე ლადო კეცხოველმა იქონია.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ი. ჯუგაშვილმა სასულიერო სემინარია მიატოვა მატერიალური გაჭირვების გამო,

რადგან ოთხი კლასის დასრულების შემდეგ სემინარიის მმართველობამ მას უარი უთხრა საეკლესიო ხაზინის ხარჯზე სწავლის გაგრძელებაზე, როგორც არასასულიერო წოდების წარმომადგენელს(78).

ვფიქრობთ, რომ თუ ეს ასეა, სემინარიის პედაგოგიურ კრებას არ გაუჭირდებოდა აღნიშნული მიზეზი ჩაეწერა ს. ჯუგაშვილის საკითხის განხილვის დროს მიღებულ დადგენილებაში. ფაქტი ერთია - 1899 წელს გამოცდაზე ი. ჯუგაშვილი აღარ გავიდა, რაც ავტომატურად სასწავლებლიდან მის გარიცხვას ნიშნავდა. სემინარიის პედაგოგიურმა კრებამ ი. ჯუგაშვილის საკითხი განიხილა 1899 წლის 29 მაისს და დადგინა მისი გარიცხვა სასწავლებლიდან „უცნობი მიზეზებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის გამო"(79). აშკარაა, რომ სემინარიიდან წასვლის სურვილი ჰქონდა ი. ჯუგაშვილს და მან ეს განახორციელა კიდეც.

სასწავლებლიდან წასვლისას ი. ჯუგაშვილმა თან წაიღო მოწმობა სასწავლებლის არასრული კურსის დამთავრების შესახებ. ეს მოწმობა თარიღდება 1899 წლის 2 ოქტომბრით. მას ხელს აწერს სემინარიის რექტორი, მამა არქიმანდრიტი გერმოგენი(80). ეს დოკუმენტი ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში.

თუ გავითალისწინებთ იმას, რომ მეოთხე და მეხუთე კლასში ი.ჯუგაშვილი უკვე ცუდად სწავლობდა, გვაოცებს მოწმობაში დაფიქსირებული მაღალი აკადემიური შედეგები. ტრადიციულად, არასრული კურსის დამთავრებისას მოსწავლეს აძლევდნენ მოწმობას, რომელშიც ფიქსირდებოდა მის მიერ ბოლო გამოცდებზე მიღებული შეფასებები. მოწმობაში 21 საატესტაციო საგნიდან მხოლოდ სამი შეფასებაა „3", თექვსმეტია „4" და ორი „5". ყოფაქცევა შეფასებულია „ფრიადით."

არქივში დაცულია ხელწერილი, რაც ჩამოართვეს ი. ჯუგაშვილს სასწავლებლიდან წასვლისას. იგი ითვალისწინებს სასწავლებელთან ფინანსური ურთიერთობის გარკვევას. ი. ჯუგაშვილი სასწავლებელში ძირითადად სახელმწიფოს ხარჯზე სწავლობდა, თუ კი ის სასულიერო სარბიელზე არ დაიწყებდა მოღვაწეობას, მაშინ მას სასწავლებლისათვის უნდა გადაეხადა 200 მანეთი და დამატებით კიდევ უნდა მიეცა 18 მანეთი და

15 კაპიკი - სასწავლებლის ფუნდამენტური ბიბლიოთეკიდან დაკარგული წიგნისათვის(81).

დასავლეთის სტალინოლოგიაში ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ი. ჯუგაშვილის გარიცხვის ფაქტს და მასთან დაკავშირებულ ინსინუაციებს. არსებობს აზრი, რომ ი. ჯუგაშვილმა სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან დაასმინა თავისი საიდუმლო წრის წევრები, რის გამოც ისინიც გარიცხეს სასწავლებლიდან. ამტკიცებენ - სოსომ ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ გარიცხული მოსწავლეები, რომლებიც დაკარგავდნენ მღვდლად კურთხევის შესაძლებლობას, ჩინებული რევოლუციონერები გახდებოდნენ(82). როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს შეხედულება ეკუთვნის ესერ ემიგრანტს სიმონ ვერეშჩაკს, რომელიც 1908 წელს ი. ბ. სტალინთან ერთად ბაქოში ბაილოვის ციხეში იჯდა და 1928 წელს პარიზში გამოაქვეყნა სტატია, სადაც ამტკიცებდა, რომ ეს ინფორმაცია მას მიაწოდეს ი. ჯუგაშვილის თანაკლასელებმა, რომლებიც ასეთე ამ ციხეში იჯდნენ სხვადასხვა მიზეზით(83).

თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგიური კრების 1899 წლის ყველა ოქმი დაცულია ცენტრალურ საისტორიო არქივში(84). ჩვენ ამ ინფორმაციის შესამოწმებლად სკრუპულოზურად შევისწავლეთ ისინი და ამ ფაქტის დამადასტურებელ ვერავითარ კვალს ვერ მივაგენით. ძნელი დასაჯერებელია, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობას მორიდებოდა და არ დაესახელებინა მოსწავლის გარიცხვის ნამდვილი მიზეზი (ეს ქვეყანა ხომ ჯერ კიდევ რუსეთის იმპერია იყო და არა ტოტალიტარული საბჭოთა კავშირი). 1899 წელს გაზაფხულ შემოდგომაზე სასწავლებლიდან სხვადასხვა მიზეზით (ცუდი აკადემიური მოსწრება, გამოცდაზე გამოუცხადებლობა, სასწავლებლის დატოვება საკუთარი სურვილით და ა.შ.) გაირიცხნენ მოსწავლეები. ჩვენ ვერ დავაფიქსირეთ მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის გარიცხვა ერთი მიზეზის გამო. აშკარაა, რომ ს. ვერეშჩაკის ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება.

ამრიგად, 1899 წლის მაისში სოსო ჯუგაშვილმა დატოვა თბილისის სასულიერო სემინარია. დაიწყო პროფესიონალი რევოლუციონერის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე საინტერესო ცხოვრება.

სოსელოს პოეზია

ახალგაზრდა ჯუგაშვილის სულიერი სამყაროს შეცნობისა და გააზრების, მისი ფსიქოანალიტიკური პორტრეტის შექმნისათვის მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი მასალაა ის რამდენიმე ლექსი, რომლებიც მისი ყრმობის პერიოდში შეიქმნა და დღემდე მათთვის სპეციალური ყურადღება არავის მიუქცევია. თვით ისინიც კი, ვინც ცდილობს ი. ბ. სტალინის სულიერი სამყაროს დაფარული პლასტები წამოსწიოს წინ და სააშკარაოზე გამოიტანოს (დ. რინკურ-ლაფარიერი და სხვები) არაფერს გვეუბნებიან ამ ლექსთა ფსიქოანალიტიკური მნიშვნელობის შესახებ. ამ ლექსებში კი გაბნეულია მომავალი პოლიტიკური ლიდერის ხილული თუ უხილავი სამყაროს, სუბიექტური განცდებისა და გრძნობების საინტერესო, ზოგჯერ ძნელად შესამჩნევი ფაქტორები, ლექსების ავტორის პირადი ინტერესები, აშკარად იმზირება მისი ქვეცნობიერიც კი. ამ პატარა, გაუწაფავ ლექსებს ის მნიშვნელობაც აქვს რომ არ არსებობს (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის დღემდე უცნობია) უშუალოდ ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი მემუარული ნაშრომი, რომელიც გარე სამყაროსა და ადამიანების მისი სუბიექტურ-ფსიქოლოგიური აღქმის, მისი ინტიმური სამყაროს დაუფარავად წარმოსახვის შესაძლებლობას მოგვცემდა. თუმცა მის შესახებ არსებულ ზოგიერთ მემუარულ ლიტერატურაში (მხედველობაში გვაქვს ა. ვასაძის, ა. ვასილენესკის, მ. ჯილასის და სხვათა მოგონებები) გაცხადებულია ი. ბ. სტალინის სულიერი სამყაროს მეტად საყურადღებო და იშვიათი ასპექტები. პიროვნების მხატვრული შემოქმედება - ეს ქვეცნობიერის ყველაზე სანდო და ნამდვილი გასაღებია. იგი ზუსტ წარმოდგენას ქმნის ადამიანის სულიერი სამყაროს შესახებ, მის უხილავ ბუნებაზე, ფარულ გრძნობებზე და შინაგანი ხასიათის ტენდენციებზე, მის სიყვარულზე, ვნებებზე.

ჩვენამდე მოღწეულია სოსელოს ექვსიოდე ლექსი ეს მთელი სამყაროა, რომელმაც დაკვირვებულ მკვლევარს უნდა მისცეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ რაზე ფიქრობდა, რისკენ ისწრაფვოდა, რა აღელვებდა, რა უყვარდა და რა სძულდა

16-17 წლის იოსებ ჯუგაშვილს, რა გრძნობებით ტოვებდა ყრმობას და შედიოდა ჭაბუკობაში.

ეს ლექსები სწორედ ის გასაღებია, რაც დაგვეხმარება თუ არსებობდა, მართლაც დავინახოთ ი. ბ. სტალინის „პარანოიდალური“ ხასიათის ადრეული შრეები, „სადისტური“ გატაცებების ჩანასახები, ადამიანისადმი „პათოლოგიური სიძულვილის“ წინარე პლასტები, ჰომოსექსუალისტური მიდრეკილებების დაფარული ტენდენციები.

რა თქმა უნდა, არ ვიქნებით მართალი, თუ შედევრად მოვნათლავთ ახალგაზრდა ყმაწვილის პირველი ნაბიჯებს ქართული პოეზიის სამყაროში, სადაც არა ერთი ტიტანია ამეტყველებული. მაგრამ, არც ის იქნება მართებული, რომ არ დავინახოთ ის აღიარებული დაფასება, რაც სრულიად ახალგაზრდა კაცმა მიიღო ქართული ლიტერატურის ისეთი კორიფეებისაგან, როგორიცაა ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი.

პირველ რიგში, რაც თვალში საცემია ამ ლექსებში ეს არის ავტორის გულწრფელობა, ბავშური უშუალობა, გრძნობების სიღრმე. ალბათ, სწორედ ეს თვისებები მოეწონა დიდ ილია ჭავავაძეს, რომელმა იმ დროისათვის მეტად პოპულარულ გაზეთში - „ივერია“ სრულიად უცნობ ჭაბუკს პატარა ლექსი დაუბეჭდა, ხოლო ქართული პედაგოგიკის პატრიარქმა იაკობ გოგებაშვილმა 1916 წელს ეს ჩინებული ლექსი თავის „დედა-ენაში“ შეიტანა და ქართველი ახალაგაზრდობის პატრიოტული აღზრდის ფუნქცია დააკისრა. დიდი მამულიშვილები არ შემცდარან.

იოსებ ჯუგაშვილის ლექსებს შორის ეს პატარა სამსტროფიანი ლექსი ფორმითაც და შინაარსით საოცრად სრულყოფილია. ლექსი, როგორც უკვე აღინიშნა, გაზეთმა „ივერიამ“ გამოაქვეყნა 1895 წლის 14 ივნისს. სოსო 16 წლინახევრის თუ იქნებოდა. ლექსი იმდენად გამართულია, რომ ის, მართლაც, არ შეიძლება ავტორის პირველი პოეტური ქმნილება იყოს. საქართველოში - დიდი პოეტებისა და სანაქებო პოეზიის ქვეყანაში ლექსებს ბევრი წერდა და წერს დღესაც, განსაკუთრებით კი მოზარდები. XIX საუკუნეშიც კი, როცა მოსახლეობის საყოველთაო განათლებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა, ქართველი გლეხი კაცის მდიდარი სულიერი სამყარო განსაცვიფრებელ ხალხურ ლექსებში, სიმღერებში,

შაირებსა და ზღაპრებში აისახებადა. სოსო ჯუგაშვილი კი ტიპიური ქართველი ახალგაზრდა იყო.

ამ პატარა ლექსს შთამომავლობამ „დილა“ უწოდა. როგორც ჩანს, ლექსი ავტორსაც მოეწონა, რახან მან გაბედა და დასაბეჭდად ილიასეულ „ივერიაში“ მიიტანა

საოცარი სითბო და სილაღე იგრძნობა ამ ლექსის სტრიქონებიდან. ტრადიციული პოეტური ფორმით ახალგაზრდის სული შეპხარის სიცოცხლის მშთვენიერებას, ბუნების მარადიულ განახლებას. სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით არის ნასულდგმულები ეს ლექსი. აშკარაა, რომ ახალგაზრდა სოსო ჯუგაშვილი საოცრად აღიქვამს ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულ ერთიანობას, რომ ბუნების უდიდესი ძლიერების მიუხედავად, ადამიანი მაინც სამყაროს ცენტრია, ის ჭეშმარიტი გარდამქნელია ბუნებისა და საზოგადოების. აბა სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ ბულბულის „სიტყვები“:

აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე ივერთ მხარეო,
და შენ, ქართველო, სწავლითა,
სამშობლო გაახარეო(1).

ეს სამშობლოს ბედით შეწუხებული ადამიანის სიტყვებია. აშკარაა, რომ ახალგაზრდა გრძნობს უდიდეს პასუხისმგებლობას სამშობლოსადმი, მისი მომავალის წინაშე და სხვებსაც ამისაკენ მოუწოდებს. სოსოს ეს პატარა ლექსი თავისი მიზანმიმართებით უახლოვდება დავით გურამიშვილის - „სწავლა-მოსწავლეთა“. მართალია, მის ფილოსოფიურ სიღრმემდე ვერ მაღლდება, მაგრამ თავისი მარტივი, ადვილად მისაწვდომი ფორმით ჩინებულად ასრულებს ახალგაზრდობის დამრიგებლის როლს.

დავით გურამიშვილმა თავისი შედევრი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში შექმნა, ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებულმა, სამშობლოს მომავალი ბედით შეწუხებულმა. 16 წლის იოსებ ჯუგაშვილს იგივე აღელვებს - სამშობლოს გადარჩენის, მისი ბედნიერების ერთადერთი საშუალება მისი მომავალი თაობის მუხლჩაუხრელი შრომა და განათლებაა თვლის დამწყები პოეტი.

ეს ლექსი კიდევ ერთი რამით არის საინტერესო ის აბათილებს ი. ბ. სტალინის კრიტიკოსების მტკიცებას (მათ შორის ი. ირემაშვილისაც), რომ პატარა სოსო ბავშვობაში გამოირჩეოდა სასტიკი დამოკიდებულებით ბუნებისადმი, ფრინველებისადმი, რასაც ზოგიერთი ფსიქოანალიტიკოსი უკრიტიკოდ იღებს და სადისტური განწყობილებების წინარე პლასტებს ხედავს. ძნელია ეს დაიჯერო, როცა კითხულობ:

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღლა ღრუბლებში,
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული,
ნაზი ხმით ამას ამბობდა.

იმდენი სილამაზე და მშვენიერებაა აქ, ბუნების საოცარი თაყვანისცემა იგრძნობა, სტრიქონებიდან საქართველოს ულამაზესი ბუნების, მისი მცენარეების სუნთქვა ისმის, ჩიტების გალობა გვატკბობს. ეს ავტორის შინაგანი ბუნებით ნაკარნახევი პანთეისტური სიტყვებია, ეს დიდი ვაჟას ზეგავლენაა. ამიტომ მეტი სიფრთხილეა საჭირო ი. ირემაშვილის იმ მოგონების გააზრებისას, რომელიც ახალგაზრდა სოსო ჯუგაშვილს ჩიტებზე უგულოდ მონადირედ წარმოაჩენს.

აშკარაა, რომ იმჟამად მოზარდს პატრიოტული გრძნობები საკმაოდ ძლიერად ჰქონია მომადლებული. ამ ასაკში, ჩვეულებრივ, მოზარდის პოეტურ აღტაცებას მიჯნურობის პირველი სიმპტომები იწვევს ხოლმე. სოსელოს პოეტიკაში კი სასიყვარულო ლირიკა საერთოდ გამოირიცხა, რაც გარკვეულ დაფიქრებას საჭიროებს. თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ ამ სახის ლექსებმა ჩვენამდე არ მიაღწიეს, ჩვენ მათ შესახებ არაფერი ვიცით.

სოსელოს ლექსები არ უმღერის ქალისა და ვაჟის პოეტურ ურთიერთობას, ქალის მშვენიერებას, სიყვარულის ამაღლებულ გრძნობას. მაგრამ საოცრად საცნაურია და

ხაზგასმულია სიყვარული უბრალო ადამიანებისადმი.

სოციალური პრობლემატიკა სოსელოს ძირითადი მოტივია. მისი ლექსების უმეტესობა - ექვსიდან ოთხი ამ პრობლემას ეძღვნება. რელიეფურია ეს მოტივი ლექსებში: „მოხუცი ნინიკა“, „თავად რ. ერისთავს“. განსაკუთრებით ძლიერად აისახა ეს განწყობილება 1895 წლის 22 სექტემბერს გაზეთში „ივერია“ დაბეჭდილ ლექსში „მთვარე“. აქ ახალბედა ავტორი კვლავ აგრძელებს თავის საყვარელ თემას - ბუნებისა და ადამიანის განუყრელი ჰარმონიული კავშირის შესახებ და აღწერს მთვარით განათებული ივერიის ბუნებას, რაც მშვენიერი და ჰარმონიულია, ეს კი სოციალურ იმედს აღძრავს ჩაგრულ ადამიანში:

მაშინ მეც ჩაგრულს სევდისა ნისლი,
თავიდან მწყდება, მყისვე მშორდება,
და იმედები კეთილდღეობის,
უბედურს გულში მიღორძინდება.

და იმ იმედით გატაცებულსა,
სული მიხარის, მშვიდად ძგერს გული;
ნუთუ წრფელია იმედი ესე,
ჩემდა ამა დროს მოვლინებული?!

ეს ორი სტროფი აღსილია უდიდესი დრამატიზმით. ახალგაზრდა კაცი დაუფარავად გადმოგვცემს თავის შინაგან სულიერ განცდებს. ყურადღებას იქცევს ავტორის სიტყვები: „ჩაგრულს“, „უბედურს“. ეს სიტყვები აშკარად მიგვანიშნებს ავტორის თვითგანცდას, მის სულიერ განწყობას, მის სოციალურ მდგომარეობას. აშკარაა, რომ „ჩაგვრა“ და „უბედურება“ ახალგაზრდისათვის უკვე ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ისიც აშკარაა, რომ მათი გადალახვის ერთადერთ გზად მოზარდს „იმედი“ ესახება. როგორია ეს იმედი, რაშია მისი არსი ეს ჯერ კიდევ არ ჩანს და ვერც გამოჩნდებოდა. 16 წლის მოზარდის მსოფლმხედველობითი კრედო ჯერ ჩამოყალიბების სტადიაში იყო. მას არჩევანი ჯერ კიდევ არა ჰქონდა გაკეთებული. ეს ჯერ კიდევ მომავლის საქმე იყო.

ავტორის პროტესტი არსებული მდგომარეობის მიმართ აშკარაა: XIX საუკუნის საქართველოში, ადრეული კაპრიტა-

ლიზმის მსახვრალი ხელით შეწუხებული ადამიანის სოციალური ტკივილი სახეზეა. მაგრამ აქვე რელიეფურად წარმოჩნდება ცხოვრების დამამკვიდრებელი პათოსიც - სიტყვა „იმედი“ ორ სტროფში სამჯერ არის მოხმობილი ავტორის გრძნობების გადმოსაცემად. ეს აღნიშვნის ღირსია - სოსო ჯუგაშვილს, 16 წლის ყმაწვილს სწამს სოციალური პერსპექტივა, მომავლის იმედიც აქვს და ამის გამო „სული უხარის, მშვიდად ძგერს გული“.

ამრიგად, სამშობლოს სიყვარული, ბუნების პოეტური განცდა და სოციალური თემატიკა განსაზღვრავდა ი. ჯუგაშვილის პოეტიკას. ისიც აშკარაა, რომ სოსო ჯუგაშვილს იმ წლებში პატრიოტიზმის გრძნობა მომადლებული ჰქონდა. ეს არა მარტო სამშობლოს ბუნების საოცარ განცდაში, შეუდარებელი ეპითეტებით მის დახასიათებაში იგრძნობა, არამედ იმ ადამიანების ღვაწლის დაფასებაშიც, რომლებმაც ერის სამსახურს შესწირეს თავი, ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს.

„ყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეოს“ ავტორი სხვასაც უწონებს ერისათვის თავდადებას და უანგარო სამსახურს. მისი ლექსი - „თავად რ. ერითავს“ სწორედ ამ კატეგორიის ნაწარმოებია. ამ ლექსში დაკვირვებულ მკითხველს, რომელმაც კარგად იცის შემდგომდროინდელი ი.ბ. სტალინის თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი, უდავოდ, ყურს მოსჭრის სიტყვები: „ერისთვის თავ-დადებული“, „რომ ერის კეთილდღეობით საამოდ აღტაცებული“, „როს დაჰგალობდი სამშობლოს, ის იყო შენი ტრფიალი“.

ეს ლექსი გრძნობით გამთბარი თაყვანისცემაა დიდი მამულიშვილისა, რომლის „სიტყვებმა მის გულში უკვე გაიდგა ფესვია“.

აშკარაა, რომ სოსო ჯუგაშვილი კარგად იცნობდა რ. ერისთავის შემოქმედებას, მის დამსახურებას ქართული კულტურის განვითარების საქმეში და ავტორს, ამ შემთხვევაში, არც მისი თავადური წარმომავლობა აღიზიანებდა და არც მისთვის ასე დამახასიათებელი გამოკვეთილი სოციალური ზიზღი.

ლიტერატურათმცოდნე, პოეტიკის სპეციალისტი ამ ადრეულ ლექსებში, ალბათ, კიდევ აღნიშნავდა რაიმე გამორჩეულს, ან გააკრიტიკებდა ლექსის სტილს, ფორმას, ან სიღრმეს

დაუწუნებდა ახალგაზრდა შემოქმედს. მაგრამ ისტორიკოსისათვის აქ მთავარია ორიენტაცია და აზრთა ჭიდილი, რაც ახალგაზრდა კაცის მსოფლმხედველდობითი ცვლილებების დადგენაში დაგვეხმარება. ბუნებისა და სამშობლოს სიყვარულის მოტივი მჭიდროდ ენასკვება სოციალურ პრობლემატიკას. აშკარაა, რომ სწორედ 16-17 წლებში ხდება გარდატეხა ახალგაზრდის მსოფლმხედველობაში ის აკეთებს არჩევანს: ნაციონალური თუ სოციალური. 1895-1896 წლებში ეს არჩევანი ჯერ კიდევ საბოლოოდ გაკეთებული არ არის. 1897 წელს ეს არჩევანი უკვე გაკეთებულია სოციალური პრობლემატიკის სასარგებლოდ.

სოსო ჯუგაშვილის პოეტურ შემოქმედებაში განცალკევებულად დგას და სპეციალურ შესწავლას ელის მისტიკური ლექსი „მთვარე". მისტიციზმი აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელია: ის ძალუმად შეიმჩნევა ქართულ ხალხურ პოეზიაში, განსაკუთრებით ვაჟას პანთეიზმში, გალაქტიონის შემოქმედებაში. ასტრალური სამყარო, ასტრალური ღვთაებები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში საკმაოდ ძლიერ პლასტს ქმნიან, რაც წინაქრისტიანული ხანის ქართული კულტურის ძლიერი საფუძვლების გვიანდელი დანაშრეები შეიძლება იყოს. სოსელოს პოეტიკაში ჩვენ ვხედავთ მზისა და მთვარის პოეტურ სახეებს. მზე შედარებით ფრაგმენტულია, მთვარე - გამორჩეული, სათაყვანო.

მთვარის კულტი საქართველოში უძველესი საკრალური კულტია. ის ღვთაება არმაზის სახელთან იყო დაკავშირებული. ეს კულტი საქართველოში ჩ.წ-მდე IV ს. დამკვიდრდა. არმაზის დიდი კერპი აღმართული იყო მტკვრის მარჯვენა მხარეს: „აპა დგა კაცი ერთი არმაზი სპილენძისა, ეცვა ჯაჭვი ოქროსა და ჩაფხუტი ოქროსა, სამხარნი ესხეს ფრცხილი და ბიერიტი. ხელს აქვნდა ხმალი ლესული, რომელი ბრწყინავდა და იქცეოდა ხელსა მისსა..." ეს ძველი ქართული ანტროპომორფული ღვთაება გადმოცემით იყო „სასტიკი და კეთილი". საქართველოში, ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად დამკვიდრების შემდეგ (337 წ). ეკლესიამ ბრძოლა გამოუცხადა ამ ღვთაებას და, როგორც ამტკიცებენ, ქართულმა ხალხურმა წარმოსახვამ სიყვარული და პატივისცემა ამ კულტისადმი გადაიტანა წმინდა გიორგის კულტზე,

რომელიც ასევე შეჯავშნული მხედარია. სწორედ ამას უკავშირებენ საქართველოში წმინდა გიორგის კულტის გამორჩეულ მდგომარეობას, რაც უნიკალურია მთელს ქრისტიანულ სამყაროში.

სოსო ჯუგაშვილთან მთვარეს განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია: ერთი ლექსი მთლიანად მას ეძღვნება, მეორეში არის გამორჩეული სენტენციები. ახალგაზრდა გრძნობს მთვარის მშვენიერებას:

როდესაც ბადრი მნათობი მთვარე.
ცის კამარაზედ გადაცურდება,
და მისი შუქი გაბრწყინებული,
ლურჯ ჰორიზონტზედ შეთამაშდება.

ახალგაზრდა ჯუგაშვილი მთვარეს სასიყვარულო ეპითეტებით ამკობს, უწოდებს „ტურფას“, აშკარაა, რომ ავტორს ლექსის ობიექტი პერსონაფიცირებული ჰყავს, ის მას ლამაზ არსებად წარმოიდგენს და სურს მასთან გაერთიანება:

მეც გადავიხსნი საკინძეს,
და მკერდს მოგიშვერ მთვარესა,
ხელ-განპყრობილი თაყვანს გცემ,
ქვეყნად შუქ-მომფინარესა.

მრავლისმთქმელი სტრიქონებია...

ჩვენ არ გამოვრიცხავთ ი. ბ. სტალინის ფარული, არასტანდარტული გატაცებების არსებობას. ჩვენ გვაქვს ფაქტები, რომლებიც მისი ფსიქიკის არასტანდარტულ გატაცებებზე მიუთითებს. მათ შესახებ ჩვენ სხვა ადგილზე გვექნება საუბარი. ამ შემთხვევაში უფრო ამერიკელი სტალინოლოგის რ. ტაკერის მოსაზრებისაკენ ვიხრებით, რომელიც ი. ბ. სტალინის პლატონურ გატაცებებზე აკეთებს აქცენტირებას(2).

სოსელოს გამოქვეყნებულ ლექსებს შორის, ჩვენი აზრით, გამორჩეულია მისი ბოლო, უსახელო ლექსი. მისი შინაარსის გაცენობა გვარწმუნებს, რომ ავტორს საყოველთაოდ ცნობილი ფაბულის საკუთარი, ორიგინალური ინტერპრეტაცია შემოუთავაზებია - ლექსის გმირის პარალელები იესო

ქრისტეს მოწამებრივ ცხოვრებასთან აშკარაა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ი. ჯუგაშვილის პოეზიაში გარკვევით შეიმჩნევა მისი ავტორის დეისტური შეხედულებებიდან ათეისტურ შეხედულებებზე გადასვლის პროცესი. ჩვენ, როგორც აღინიშნა, არ ვიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებს, რომ ი. ბ. სტალინის ათეისტური შეხედულებების ფორმირება გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდში მოხდა. ეს მოსაზრება მისი ბავშვობის მეგობრის გ. გლურჯიძის მოგონებას ეფუძნებოდა.

16 წლის ჯუგაშვილის ლექსებში ჩვენ ვხედებით გამოთქმებს „მთას წმინდას“, „უფლის განგება დიდია“, რაც რელიგიურ რწმენაზე, უფლის პატივისცემაზე მიგვანიშნებს.

მაგრამ მისი ბოლო ლექსი - ეს უკვე ათეისტის დაწერილია. ლექსის სიუჟეტი ახალი აღთქმიდან არის. იესო ქრისტე ლექსში განედეგილად ქცეულა და პირდაპირ უკვე აღარაფერი მიგვანიშნებს ანალოგიაზე. მაგრამ ლექსის შინაარსი, განსაკუთრებით ლექსის გმირის საბოლოო ბედი აშკარად ამ პარალელს გულისხმობს: ხალხისათვის გაწეული უდიდესი ძალისხმევა იმავე ხალხმა („ბრბო“) წამებად გადაუქცია განდეგილს, მისი ამაგი ვერ დაინახა, ძალისხმევა არ დაუფასა...

16 წლის ახალგაზრდა კაცის დაინტერესება უმადურობის მარადიული პრობლემით ძლიერ საყურადღებოა. როგორც ჩანს, ეს თემა მას აღელვებდა. შემდეგ, მისი ზეობის ხანაში მას არა ერთხელ აღუნიშნავს ადამიანთა უმადურობის შესახებ. იქნებ ეს იყო საკუთარი ბედის წინასწარხედვაც...

ლექსში სოსო ჯუგაშვილი მეტად ფაქიზად ძერწავს მოძღვრის, მასწავლებლის სახეს, რომელმაც ხალხის სამსახური თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად დასახა:

მის საოცნებო ჰანგებში.
ვითარცა სხივი მზიური,
ისმოდა თვივონ სიმართლე,
და სიყვარული ციური.

მაგრამ რითი გადაუხადეს ადამიანებმა მოძღვარს, განდეგილს ამაგი? იმით, რომ წინ დაუდგეს „შხამით აღსავსე ფიალა“. მეტად ავტობიოგრაფიულად ეღერს შემდეგი სიტყვებიც:

და უთხრეს: შესვი, წყეულო,
ეს არის შენი ხვედრიო!
შენი არ გვინდა სიმართლე,
არც ეგ ციური ხმებიო.

პირველი წიგნის დასასრული

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

შესავალი

1 Такер Р. Сталин, Путь к власти 1879-1929. М.,1991, с. 104
2 იქვე
3 Ранкур -Лаферриер Д. Психика Сталина. М.,1996, с. 154
4 12 иографии. М., 1925, с. 47
5 იქვე
6 ი. ირემაშვილი, სტალინი და ქართველი ერის ტრაგედია, გაზ. „ერი", 1991 წ. 29 მაისი, 12 ივნისი, 10 ივლისი, 4 სექტემბერი
7 ამიერკავკასიის ძველი მუშების ნაამბობი დიდ სტალინზე, თბ., 1939; პ. კაპანაძე, ბელადის ბავშვობა და ყრმობა, თბ., 1945
8 Каминский В. Верещагин И. Детство и юность вождя, "Молодая гвардия", 1939, №12
9 იქვე, გვ. 84
10 Такер Р. назв. работа, с. 92
11 Сталин. М, 1939
12 Троцкий Л. Д .Сталин, М., 1990, тт. 1-2
13 Булок Л. Гитлер и Сталин, Смоленск, 1994
14 Белади Л. Краус Т. Сталин, М.,1990
15 Ранкур-Лафарриер Д. Психика Сталина, М., 1996
16 მე - იოსებ სტალინი, თბ., 1990 წიგნი 1-2
17 გაზ. „შანსი", 1995, სექტემბერი №26
18 ა. დაუშვილი, ლენინის უკანასკნელი ინტრიგა, თბ., 1998
19 ვ. გურული, სტალინი, მასალები ბიოგრაფიისათვის, თბ., 1998
20 ვ. გურული, სტალინის დიდი ექსპერიმენტი, თბ, 2000, გვ. 10
21 ჯ. ლომაშვილი, ივანე ჯავახიშვილი ჯუღაშვილების გვარის შესახებ, გაზ. „კვირის ფოსტა", 1997 წ. 17-24 მაისი
22 ჟურნალი „ანალები", 1999 №2

დედა-სამშობლო

1 Троцкий Л.Д. назв. рабрта, с. 19

ძირმომპალი იმპერია

1 Соловьев С. М. соч. т. 1, с. 12
2 Василевский И. М. Романовы. 1991, с. 111

დავითის ძალაძე

1 დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ. 7
2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 100
3 მათეოს ურჰაელი, ჟამთააღმწერლობა, გვ. 356-357
4 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16
5 იქვე
6 იქვე
7 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი... გვ. 74
8 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 24
9 ალ. დიუმა, კავკასია, გვ. 384
10 Горкий М. соч. т. 25, стр. 414
11 მ. გორკი, გორი, ციტირებულია: ბუხნიკაშვილი, გორი, გვ. 58

მამა

1 მე იოსებ სტალინი, წიგნი I, თბ., 1990 გვ. 14
2 იქვე
3 იქვე, გვ. 15

4 *საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდგომში: სცსა), ფ.440, აღ. 2, ს. 40, ფურც. 36*
5 *სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 40, ფურც. 51, 66*
6 *იქვე, ფურც. 83, ფურც. 117*
7 *მე - იოსებ სტალინი, წიგნი I, გვ. 15*
8 Такер Р. назв. работа, стр. 75
9 Троцкий Л.Д. назв. работа, стр. 26
10 *ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი, გაზ. „ერი", 1991 წ. 29 მაისი*
11 *სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 22, ფურც. 238*
12 *სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 53, ფურც. 21*
13 *მე - იოსებ სტალინი, წ. I, ფურც. 18*
14 *იქვე*
15 *მე - იოსებ სტალინი, წიგნი I, გვ. 18*
16 *ა. ვასაძე, აქტიორის თვალით, ხელნაწერი*

დაბადება

1 *სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 38, ფურც. 11; ს. 40, ფურც. 132*
2 *სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 82, ფურც. 31*
3 *იქვე, ს. 82, ფურც. 21*
4 *იქვე, ს. 53, ფურც. 21*
5 *სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 39, ფურც. 37*
6 *მე - იოსებ სტალინი, წიგნი I, გვ. 322*
7 *ვ. გურული, იოსებ სტალინი, თბ., 1998, გვ. 6*
8 *მე - იოსებ სტალინი, წიგნი I, გვ. 5*
9 *იქვე*

დედა

1 *სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 40, ფურც. 36*
2 *იქვე*
3 Троцкий Л. Д. назв. работа, т. 1. стр. 25
4 там же, стр. 22
5 Светлана Аллилуева. Дваджцать писемь к другу: М., 1990, стр. 187-188
6 *ამიერკავკასიის ძველი მუშების ნაამბობი დიდ სტალინზე, თბ., 1939, გვ. 10*
7 *ი. ირემაშვილი, სტალინი და საქართველოს ტრაგედია; იხ. გაზ. „ერი", 1991, 29 მაისი*
8 *იქვე*
9 Светлана Аллилуева, назв. работа. стр. 189
10 Ранкур -Лафарриер Д. назв. работа, стр. 69
11 Троцкий Л. Д. назв. работа, стр. 29
12 Каминский В. Верещагин И. назв. работа, стр. 37
13 Такер Р. назв. работа, стр. 80
14 Freud Sigmund. Collected Popers. London, 1952. *ციტირებულია რ. ტაკერის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 80*
15 Ранкур -Лафарриер Д. назв. работа, стр. 69
16 *ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი, გაზ. „ერი", 1991 წ. 29 მაისი*
17 *იქვე*
18 *საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 363, ფურც. 62*
19 Светлана Аллилуева, назв. работата, стр. 142

პირველი მოწაფე

1 *ს. მგალობლიშვილი, მოგონებები, თბ., 1938, გვ. 37*
2 *სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1082, ფურც. 58*
3 *მე იოსებ სტალინი, წიგნი I, გვ. 24*
4 *იქვე*
5 *პ. კაპანაძე, ბელადის ბავშვობა და ყრმობა, გვ. 11*

6 იქვე, გვ. 12
7 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი, გაზ. „ერი", 1991, 29 მაისი
8 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1007, ფურც. 4
9 იქვე
10 იქვე, ფურც. 5
11 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1007, ფურც. 13-14
12 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1330, ფურც. 33
13 იქვე, ს. 1122, ფურც. 1
14 პ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22
15 Такер Р. назв. работа. стр 82
16 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, გვ. 644
17 ამიერკავკასიის ძველი მუშების ნაამბობი... გვ. 9
18 ს. მგალობლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83-84
19 პ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22
20 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1106, ფურც. 49
21 იქვე, ს. 1115, ფურც. 67
22 З. Фреид, Леонардо да Винчи, Психо-аналитические этюды, Минск, 1991, стр. 384
23 ამიერკავკასიის ძმველი მუშების... გვ. 9
24 იქვე, გვ. 24
25 იქვე, გვ. 24 -25
26 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი, გაზ. „ერი", 1991 წ. 29 მაისი
27 იქვე
28 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 10
29 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი, გაზ. „ერი", 1991 წ. 29 მაისი
30 Такер Р. назв. работа, стр. 77
31 Троцкий Л. Д. назв. работа, стр. 24
32 ამიერკავკასიის ძველი მუშების გვ. 10
33 Троцкий Л. Д. назв. работа, стр. 29
34 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 9-10
35 იქვე, გვ. 17
36 იქვე, გვ. 22
37 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი, გაზ. „ერი", 1991 წ. 29 მაისი
38 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 10
39 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი
40 იქვე
41 პ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15

42 პ. კაპანაძე, დასახ.ნაშრომი, გვ. 20
43 ა. ვასაძე, აქტიორის თვალით (ხელნაწერი)
44 იქვე
45 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 25
46 Правда, 1935. 27 октября
47 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი, გაზ. „ერი", 1991 წ. 29 მაისი
48 ამიერკავკასისის ძველი მუშების... გვ. 22
49 იქვე, გვ. 24
50 იქვე
51 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი
52 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი
53 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 22
54 იქვე,
55 იქვე, გვ. 18
56 Т роцкий Л. Д., назв работа. стр, 33
57 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი
58 акер Р. наз. работа, стр. 81
59 პ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29
60 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 82, ფურც. 31
61 იქვე, ს. 22, ფურც. 238

სოსო თბილისის სასულიერო სემინარიაში

1 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე. თბ., 1954, გვ. 339
2 კ. ჭელიძე, თბილისის სასულიერო სემინარიის რევოლუციური წარსული, თბ., 1988, გვ. 16
3 იქვე, გვ. 17
4 ფ. ლომაშვილი, ზ. გეგეშიძე, მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელება საქართველოში, თბ., 1986 გვ. 15
5 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, გვ. 671

6 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1403, ფურც. 5
7 იქვე
8 კ. ჭელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28
9 მე - იოსებ სტალინი, ტ.1, გვ.
10 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 24, ფურც. 253
11 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 22, ფურც. 238
12 იქვე, ს. 24, ფურც. 267
13 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1390, ფურც. 8-9
14 პ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41
15 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1598, ფურც. 18
16 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 3, ფურც. 55
17 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1562, ფურც. 7-8
18 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 13
19 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი, გაზ. „ერი", 1991, 29 მაისი
20 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 18
21 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 83, ფურც. 24
22 იქვე, ფურც. 28
23 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 83, ფურც. 28
24 იქვე, ფურც. 70
25 იქვე, ს. 50, ფურც. 10
26 იქვე, ს. 50, ფურც. 1
27 იქვე, ს. 83, ფურც. 147
28 იქვე, აღ. 1, ს. 1483, ფურც. 5
29 ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 13, გვ. 119
30 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1439, ფურც. 64
31 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 26, ფურც. 2-9; 10-17; 19-23; 34-39; 45-46
32 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1499, ფურც. 7, 9, 10, 14
33 იქვე, გვ. 7-8
34 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1499, ფურც. 14
35 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, გვ. 729
36 პ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55
37 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 25
38 იქვე, გვ. 13
39 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 47, ფურც. 40
40 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 21
41 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 47, ფურც. 40

42 სცსა, ფ. 440, აღ. 2. ს. 83, ფურც. 169
43 ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 13, ფურც. 119
44 Такер Р. назв. работа: стр. 90
45 სცსა ფ. 440, აღ. 2, ს. 50, ფურც. 30
46 იქვე, ფურც. 60
47 მ. ჯილასი, შეხვედრები სტალინთან, თბ., 1991, გვ. 111
48 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1598, ფურც. 21
49 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 14
50 იქვე, გვ. 23
51 Каминский Вл. Верещагин И. назв, работа, стр. 67
52 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი, გაზ. „ერი", 1991, 12 ივნისი
53 პ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46
54 ვ. გურული, სტალინის დიდი ექსპერიმენტი, თბ., 2000
55 სცსა, ფ. 440, აღ. 1, ს. 1403, ფურც. 5
56 ი. ირემაშვილი, დასახ. ნაშრომი
57 იქვე
58 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 78, ფურც. 14
59 იქვე
60 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 623
61 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 26
62 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 3, ფურც. 490
63 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 83, ფურც. 90
64 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 83, ფურც. 161
65 იქვე, ს. 78, ფურც. 31
66 იქვე, ფურც. 19
67 Такер Р. назв. работа, стр. 223
68 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 78, ფურც. 12
69 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 78, ფურც. 17
70 იქვე, ფურც. 19
71 იქვე, ფურც. 62
72 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 78, ფურც. 31
73 სცსა, ფ. 400, აღ. 2, ს. 78, ფურც. 46
74 იქვე, ფურც. 62
75 იქვე, ფურც. 25
76 პ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42
77 ამიერკავკასიის ძველი მუშების... გვ. 23
78 ვ. გურული, იოსებ სტალინი, თბ., 1998, გვ. 9

79 სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 64, ფურც. 7
80 იქვე, ფურც. 59
81 Такер Р. назв. работа. стр. 104
82 იქვე

სოსელოს პოეზია

1 ი. ბ. სტალინის ლექსები ციტირებულია: „სოსელო", თბ., 1992

2 Такер Р. назв. работа, стр. 223

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი.....5

დედა-სამშობლო.....19

ძირმომპალი იმპერია.....31

დავითის ქალაქი.....42

მამა.....47

დაბადება.....58

დედა.....63

პირველი მოწაფე.....75

სოსო თბილისის სასულიერო სემინარიაში.....102

სოსელოს პოეზია.....149

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა.....159